თამაზ მეტრეველი

სულის პერანგი

თბილისი

25 ნოემბერი 2013

15 მაისი 2014

ჰო, თუნდაც...

როგორც არ უნდა მებრძოდნენ მტრები,
ზეცა მიგზავნის თავის წყალობას...
მართლაც, რამდენჯერ წამოვდექ მკვდრეთით,
როცა სიკვდილი დაგრიგალობდა...
ვიცი, როდესმე, მართლაც, ყველაფერს,
დრო მოუძებნის თავის სახელებს...
თუმცა, ვერაფრით დღემდე ვერ ვასწრებ,
გავექცე ჭორის კორიანტელებს...
ამ სვეტზე ჩემი ნიჭი ჰკიდია,
ჩემგან ოდესღაც გადაგდებული...
მე ის არასდროს გამიყიდია...
ვყოფილვარ მშვიდი თუ აღგზნებული...
რაღაც ხმა მოდის ისე მკაფიოდ,
ალბათ, აიშვეს თავი ქარებმა...
რაც უნდა მოხდეს, გთხოვ არ გამწირო,
ჰო, თუნდაც, თუკი, სხვა მეყვარება...

გაიმეტე

რა ლამაზი იქნებოდა,
ეს სამყარო შენ რომ გგავდეს...
შენი მკერდი მიტკბებოდა,
ქედანს ჰგავდა მონავარდეს...
ჩემთვის თეთრი მწვერვალი ხარ,
ცის კიდემდე ატყორცნილი...
როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს,
ერთი სიტყვაც შენგან ტკბილი...
გაიმეტე, გაიმეტე,
შენი გულის სითბოს წვეთი...
მხოლოდ შენღა მაიმედებ,
შენ შემომრჩი ერთადერთი...
და შენა ხარ, თუკი ვინმე,
ბადაგივით მეწყურება...

გამიღიმე, გამიღიმე...
ჩუმად რომ ხარ, გული მწყდება...

მთვარე მომიტანს ამბავს (გ.ზ.-ს)

თქვენც სიყვარული გინდათ?
ვერ ვიფიქრებდი ამას...
გიქსოვთ აპრილი მინდვრად,
უულამაზეს კაბას...
მე კი ჩამყვება ძილში,
თქვენგან ნასროლი მზერა...
თითქოს, სიყვარულს მიხსნის,
მე კი არაფრით მჯერა...
მე ხომ, ძვირფასო, თქვენზე,
ჯერ არაფერი ვიცი...
მხოლოდ თვალების ფსკერზე
მოჩანს იმედის ნისლი...
რა პატარაა მიწა,
როგორ ადვილად შევხვდით...
ჭიამაია გიწნავთ
გვირგვინს თავისი ფრთებით...
და როცა მთებში ჩავა,
მზის მოელვარე დისკი...
მთვარე მომიტანს ამბავს,
თქვენი ლამაზი სიზმრის...

ახედე ზეცას

ამ გასაოცარ ღამეთა იქით,
ალბათ, არსებობს სხვა ღამეები...
სად მთვარე დნება ვარსკვლავთა ხილვით,
შეჰყვარებია მას ვარსკვლავები...
ახედე ზეცას, ახედე ზეცას...
ხედავ საოცარ ციურ ნათებას?..
ცა ბავშვის სუფთა გულივით ფეთქავს,
და გარიჟრაჟებს ეთამაშება....
სურს რომ მოიგოს, სურს რომ მოიგოს,
განთიადების გული რატომღაც...
ცას ნერვებს უშლის, რომ მთვარეც ფხიზლობს,
და მთელი ღამე მასზე დაბობღავს...
გამოჩნდებიან წვიმის ღრუბლები,

ქარებთან ერთად მოთარეშენი...
ელვით და მეხით მოსაუბრენი,
ცასთან, მიწასთან სულ დაყვედრებით...
ნუ გადაიღებს, ნუ გადაიღებს,
თუ სურს დილამდეც, თუნდა, იწვიმოს...
ცა თავის დარდებს სხვაგან წაიღებს,
რომ განთიადმა არ მოიწყინოს...

გული?

იცი, კი, გული რომ ჩემთან დაგრჩა?..
ისე წახვედი, არც გაგახსენდა...
და ისიც, თითქოს, მიცქერის მკაცრად,
და თანაც, მგონი, მეთვალთმაქცება...
წახვედი, ალბათ, სხვა რაინდს ეძებ,
და თუ იპოვი, არც მას დაინდობ...
თუმც, ეგ თვალები კი ჰყრიან ცეცხლებს,
მაგრამ დღეიდან ღმერთმა მარიდოს...
გული? ეს გული რამედ ღირს, ვითომ?
ამ წამს ფანჯრიდან გადავუძახებ...
თუ კი მან თვითონ მე არ დამინდო,
მეც მოვისვრი და თან წავუთაქებ!!!

მე თქვენი მჯერა

საოცარია, სულ სხვა მეგონეთ,
ამ დროს, რა სწრაფად დამიმეგობრდით...
თითქოს, არც ვიცნობთ ერთიმეორეს,
გებაასებით ისევ თქვენობით...
ხომ ვერ მეტყოდით, მკერდში რა ხდება,
თქვენსას ვგულისხმობ და არა ჩემსას...
შიგ ქარიშხლები ხომ არ ატყდება,
ან აზრი სადმე ხომ არ გაგექცათ?..
მოატრიალეთ, მოატრიალეთ,
მე მშვიდად გისმენთ, მე თქვენი მჯერა...
ვარდისფერ კანზე ხელი სრიალებს,
დიახ, გვღალატობს ხან ბედისწერა...
მაგრამ ღალატი, თქვენც კარგად იცით,

ხშირად ჯადოსნურ სიყვარულს ბადებს...
და უტკბილესი სიტყვებიც ისმის,
თითქოს, თავისით რომ ამბობს ბაგე...
ნუ დაუჯერებთ, ნუ დაუჯერებთ,
მათ, ვინც არასდროს და არსად ცდება...
ვისაც უმაღლეს ქულებს უწერენ,
მხოლოდდამხოლოდ გადასარჩენად...
ისე, დავწყნარდი, როგორც ზღვა წვება,
ზოგჯერ ღელვების შემდეგ დაღლილი...
მაშ, რა ხმა არის? ეს სისხლი წვეთავს...
ჩემი მკერდიდან შენში ჩაღვრილი...

გიყვარდე

ნუ მალავ თვალებს, არა აქვს აზრი,
სიყვარულს, აბა, როგორ დამალავ?..
მუდამ ვაზისკენ მიიწევს ვაზი,
მოურიდებლად, დაუფარავად...
გრძნობას, რომელიც შენს თვალებშია,
ძვირფასო, სახელს ვერ გადაარქმევ...
მე, მაგალითად, რაც კი ჩემშია,
ვდგავარ და ირგვლივ უსაზღვროდ ვაფრქვევ...
გიყვარდე, ამით რა დაშავდება?..
ნუ მეტყვი, მე ხომ ისედაც გამჩნევ...
გნახავ, ეგ გრძნობა რომ ჩაშაქრდება,
ჰოდა, ერთ კოცნას მაინც წაგართმევ!!!

არა მთავრდება

დღეები მოდის თითქოს მშვიდობის,
სული კი მაინც არა მშვიდდება...
რადგან ამ დღეთა უამინდობის,
ვერ მოვახერხე მე არიდება...
ჯერაც დროება, თითქოს, მშფოთვარე,
რაღაც უცნობის მოლოდინშია...
დაცემულ მერნებს ისევ ხოცავენ,
ღამითაც, თითქოს, ისევ ისვრიან...
არა მთავრდება, არა მთავრდება,

ომი უაზრო, ომი ბედითი...
ჩაქრა კოცონი იმ სიამეთა,
თუ კი რამ ჰქონდა დროს დადებითი...
იქნებ, მე ვცდები, იქნებ, ვაჭარბებ...
იქნებ, ღმერთები ჩვენსკენ არიან...
ნუ ამაჩქარებ, ნუ ამაჩქარებ,
რადგან ჩემს თავში დღეს დომხალია...
მე მირჩევია მოვიდე შენთან,
მსურს ჩავიძირო შენს ნატკენ სულში...
რომ არ მესმოდეს ცხოვრების ყეფა,
არც განთიადზე, არც ღამის მწუხრში...

იხარე ჭერო!

თითქოს, შუაგულ მტრის ბანაკში ვარ
და ჩემ ხმალს ვიქნევ გამწარებული...
ჯავრი ლოდებად თავზე მაცვივა,
და მეც ხავსს ვეძებ წყალწაღებული...
რადგან არ მინდა გაქრეს უკვალოდ,
ის რაც ჩემამდე ამ ერმა ზიდა...
და თუ დღეს ბედი ასე მუხთალობს,
დუღაბად შეკვრა, სწორედ, დღეს გვინდა...
მაგრამ, ამდენი, ხალხო, მაცილი?
ამდენი მტერი გინახავთ ვინმეს?
ვერ ვხვდები, ნუთუ, ღმერთიც დაგვცინის,
ეშმაკისაგან რა გაგვიკვირდეს?..
მართლაც, როდემდე ეს ჯახაჯუხი,
ან ვინ ვინ არის, ვერ უნდა მივხვდეთ?
ვინ მოყვარეა და ვინ ჯაშუში,
ვინ საკმელს გვიკმევს და ვინ წყალს გვიმღვრევს?!.
კი, მესმის, მტერი გველეშაპია,
ცხრა თავს, რომც ვცადოთ, ვერასდროს მოვჭრით...
მაგრამ, საიდან ეს აპათია,
ქართულის მიმართ, მომცველი ყოვლის!!!
რა ვთქვა, როგორ ვთქვა, ან როგორ ვწერო,
ვითომ მჭირდება ამის კარნახი?..
იხარე ჭერო და მოკვდი მტერო,
რამდენი რამ გვაქვს გადასალახი!!!

ის აღტაცება

დრო, როგორც სილა მტევანს თითებში,
ისე გამირბის და მეფანტება...
და თუ რამ ყრია სინამდვილეში,
წამები, როცა გვსურს აღტაცება...
ბევრი რომ იყოს მოგვყირჭდებოდა,
ბედიც გვიზოგავს, ალბათ, თანდათან...
შენი ცხოვრება რომ იწყებოდა,
ჩემი, ვინ იცის, მაშინ დამთავრდა...
მაგრამ ხომ იყო ის აღტაცება,
შენმა ხილვამ რომ გამოიწვია...
მე ბედს, ყოველთვის, ბედი მტაცებდა,
მისი მათრახი ხშირად მიწვნია...
მართლაც, ძნელია რომ შეაფასო,
რაც კი წავიდა სულ ყველაფერი...
თუმცა, მე დღემდე მიყვარს და მახსოვს,
შენი ლამაზი თვალების ფერი...

მე ხომ ამ მთების მონათლული ვარ

მე ისევ ზეცის კარი შევაღე,
სად მწვერვალები მკერდებს მიხსნიან...
ზღვები ღელავენ, ზღვები ღელავენ,
ალბათ, ზვირთები მათი სისხლია...
ვეღარ ვენდობი, ვეღარ ვენდობი,
მიწას, რომელიც მუდამ მღალატობს...
ისევ გრიგალებს დავუმეგობრდი,
რომ საიდუმლო ჩემი გავანდო...
მე ხომ ამ მთების მონათლული ვარ,
მიწაზე მათგან გადმოხვეწილი...
დაბადებული სასწაულიდან,
როგორც ვარსკვლავი ცას მოწყვეტილი...
ისე კი, გეტყვით, აქაც სცოდავენ,
სეტყვის ღრუბლები ქარიშხალებთან...
როცა ნისლები ყინულს ლოკავენ,
მთებიც წვებიან, როგორც ქალებთან...
მაშინ ჩნდებიან, მაშინ ჩნდებიან,
ალბათ, ჯანღებიც სევდიანები...
და უგზო–უკვლოდ ეხეტებიან...

ხეობებივით ეჭვიანები...
მე მწვერვალები ჯადოს მანდობენ...
რომ დავამშვიდო მათი ქარები...
მაგრამ, ვერ გეტყვით, რას მიამბობენ,
გათოშილნი და სევდიანები...

რას ფიქრობს, ნეტა, ოთოლთას ციხე...

ნეტა, რა ჰქვია უსაზღვრო ტკივილს,
ტკივილს, რომელსაც სული აქუჩებს,
მერე, რომელიც სხეულში მივლის
და ვეღარაფრით ვეღარ ვაყუჩებ...
მიწას, რომელზეც მე დღეს ვაბიჯებ,
ან რა ერქვა და ახლა რა ჰქვია?
მხარე, რომელიც მკერდზე ამგლიჯეს...
და ვკურნალობდი, როგორც ნატყვიარს...
აქ იღვრებოდა ქალთა ცრემლები
და მოდიოდა ნაკადულებად...
და სულის თეთრი ანახლეჩები
ამ მწვერვალების იყო ბუნება...
თუკი ჩემია ეს ცხელი მიწა,
სული რად არის სხვის საზიარო?
აქაურობა რით ვერ ეღირსა,
რომ საბოლოოდ იქართვლიანოს...
აქ ცრემლი სხვაა და სისხლიც სხვაა,
მათში ტკივილი ბევრად მეტია...
აქ სხვა მიწაა და სხვა ზეცაა,
და გულიც უფრო მეტად შემტკივა...
ან წამიერი სიკეთე რაა,
ან წამიერი ბედნიერება?..
თუ ბოროტება გაშლილი ზღვაა
და ზღვების სისხლით წითლად შეღებვა...
აქ ჯერაც ისევ სვავნი ბუდობენ,
და არწივებიც ზრდიან მართვეებს...
ვიცი, დუშმანსაც არ გაურბოდნენ,
ციხე–ბურჯებსაც სისხლით აგებდნენ...
არ დაელია მტერი ამ მხარეს, ისევე,
როგორც მთელ საქართველოს...
თუმც, აქაური ტკბილიც და მწარეც,
მაინც ჩემია და ჩემად ვჩემობ...
რა მოხდა თუკი მარადიული
ამ ქვეყნად, მართლაც, არაფერია...
რაღაც აცხიათ ამ მთებს ღვთიური
მთელ შუახევს რომ გადასცქერიან...

თავსხმაა, მოქუხს მღვრიედ მდინარე,
მთებს ჩაკეტილი აქვთ კალაპოტი...
ერთი ფასი აქვს ტაძარ–მინარეთს,
თუ გწამს სიკეთე და გძულს ბოროტი...
რა დათვლის მთებში ამ თეთრ ჩანჩქერებს,
მუხა–წიფლებში გამომჭვირვალეს...
სელიმი ჯერაც ცხენს მოაგელვებს,
თითქოს სიკვდილშიც ებრძვის ტირანებს!!!
ვინ იცის, მართლაც, რაა გმირობა,
ან ვის რისათვის უღვივის სული?..
რომელმა ძალამ განაპირობა
ამ მხარის ხსნა და ღირსება სრული....
ანდა, ვინ ედგა გვერდით სელიმ ბეგს,
ვინ დაიტირა მისი ცხედარი...
დაამახსოვრდათ კი აჭარის მთებს,
თავგანწირული მათთვის მხედარი...
ჩემთვის აჭარაც თითქოს ქალია,
დედოფლის კაბა ჩამოფლეთილი...
რომელმაც შხამის თასი დალია
და მაინც დარჩა სუფთა, კეთილი...
ეს მღვრიე წყალიც დაიწმინდება,
გადაათეთრებს მთებს წმინდა თოვლი...
ბევრი არწივი გადაფრინდება,
და თავის ბუდეს სვავიც იპოვის...
თქვენი სიმრავლით მინდა გიწამოთ,
რომ აჭარლები გამრავლდებიან...
სადაც კლდეები ჭარბობს ციცაბო,
და მწვერვალები ყალყზე დგებიან...
სულაც არ მინდა ვიტყუო თავი,
ვეძებ თეთრ წერტილს თეთრ მწვერვალებზე...
როგორც ხეობებს ეცემა ზვავი,
და ცრემლი შრება დაღლილ თვალებზე...
რითი ფასდება ბედნიერება?
უპირველესად თავისუფლებით...
ბედს რომ ენება, ღმერთს რომ ენება,
მტერს ვახოხებდით, შიშველ მუხლებით!!!
ალბათ, ეს იყო ამ მიწის ხვედრი,
ჩვენ ვტიროდით და უცხო ხარობდა...
ცას შებღაოდნენ აქ ხარ–ირმები,
და მთებზე ქარი დაგრიგალობდა...
მას შემდეგ, ბევრი გავიდა წლები,
და დაიხია კვლავ უკუნეთმა...
დგას ჯავშნებივით აჭარის მთები,
და ზეიმობენ თავისუფლებას!!!
აქ აღარ დადის ქართველი ჩადრით,

ქართველში ჯერაც ჩვენი სისხლია...
და თუ სიმრავლით თურქი დაგვჯაბნის,
აჭარის მთები ისევ გვიხსნიან...
კი, სული ტირის, ალბათ, ყოველჟამს,
სარწმუნოებას თუკი გიცვლიან...
მეკი ბავშვების ხმები მომესმა,
კარს რომ გვიხსნიან, ცას რომ გვიხსნიან!!!
თუ ზოგი ჭირი მარგებელია,
აჭარაზეა ზედგამოჭრილი...
აქ ჯერაც ისევ ქრისტეს ელიან...
მთვარეც ჯვარზეა გადაჭდობილი...
რას ფიქრობს, ნეტა, ოთოლთას ციხე,
ოქროპილაურს რას გადასძახებს?
ალბათ, ომებზე ლეგენდებს ისმენს,
ან სელიმ ბეგი როგორ დასაჯეს...
და მოქუხს, მოქუხს კვლავ ტბეთისწყალი,
ის გამოივლის თამარის ხიდებს...
ფურტიოს თავზე ტრიალებს კვამლი,
კვამლი რომელიც აღვიძებს ცისკრებს...
მოწყდება ზვავი, ხეობა გრგვინავს...
დარეკავს ზარი? ალბათ, დარეკავს...
ჰო, როგორც იყო დიდიხნის წინათ...
დღეს კი, კვლავ ვუსმენ არწივთა ყეფას...

იცი, რას ვებრძვი?

ძნელია როცა გადაბუგულ ველზე მიდიხარ,
და ყოველივეს კვლავ სიცოცხლე გინდა შთაბერო...
თუმცა, შენს ირგვლივ, როგორც ჯვარცმა, როგორც ღვთის რისხვა,
გადამწვარია, არაფერი აღარ არსებობს...
თითქოს, ახლოდან ეშმაკები კვლავაც გიმზერენ,
და მხრჩოლავ კვამლში ბედნიერი სახით დადიან...
ვერას უშველი, თუნდ, პირჯვარი გადაიწერე...
როგორც ჩანს, შენი იმედებიც აქვე მარხია...
ერთი სიცოცხლე ამ ყველაფერს აღარ ეყოფა,
მეორეს, აბა, არც მოგცემენ და ვერც წაართმევ...
ასე მგონია გველეშაპი გადამეღობა...
მე ვებრძვი, ვკვდები, ის კი დგას და მგონი ვერც მამჩნევს...
იცი, რას ვებრძვი? უნიჭობას ვებრძვი, ძვირფასო...
ის ჩემს მიწაზე ნიჭზე უფრო კარგად საღდება...
და მეც ვჩუმდები, სიველურეს როგორ მივბაძო,
ის კი გრძელდება და არა და აღარ მთავრდება...

სადილაო

ვიღვიძებ და რიტმებიც
უნდა ამეკვიატოს...
იქვე ტვინში რითმებიც
ჟრუანტელად ჭიატობს...
მინდა წამსვე ამოვსხა,
როგორც კრუხმა წიწილა...
სანამ ღამე ამოხდა,
სანამ დილამ იყივლა...
მალე დამშვიდდებიან
წუთებიც და წამებიც...
თითქოს, იჭვრიტებიან
სულში ჭუჭრუტანები...

მომანათე

ვერ მივმხდარვარ, როგორ ზიდავს,
სული ამდენ ექსპრომტებს...
ვერ ვპასუხობ ვერცერთ კითხვას...
ვგავარ ლექსის მეკობრეს...
დროშას მე რომ ვაფრიალებ,
ხშირად სისხლის ფერი აქვს...
შენ რომ მკერდში გამიარე,
ტყვიას ეგ მირჩევია...
ქარი ქრის და ნაძვებს ღუნავს...
ტყდება ძველი სადაფი...
შენზე, ალბათ, ვინმე ზრუნავს...
გემო ვიცან ბადაგის...
მომანათე, მომასხივე,
მზერა ასე ქალური...
დამიბრუნო, იქნებ, ისევ,
ის წრფელი სიყვარული...
როცა ბაღებს, თითქოს, ტრფობის,
სურნელება ემოსა...
როცა, მართლაც, გულით ვგრძნობდი
გაზაფხულის შემოსვლას...

მოვიდოდი ამ ღამეს

სანამ ეს ზღვა გადმოვა,
ეგებ შესვლა მოვასწროთ...
როგორ სამწუხაროა,
შენ რომ დღემდე მონაზვნობ...
ზღვა არასდროს ახანებს,
ღელავს როცა მწიფდება...
მოვიდოდი ამ ღამეს,
თუ კი არ გეწყინება...
მოვალ სანამ ტოტები
ჩამოსტყდება ალუჩებს...
სანამ შენი ლოყების
სიტკბო წლებმა ჩაყლურწეს...
ზღვა გადმოდის არ იცდის,
ზღვასაც ჩემი შური აქვს...
ზღვამ ლოდინი არ იცის,
თუკი კოცნა სწყურია...
და თუ არ ელოდები,
მართლაც, ჯერაც, არავის...
მწიფობს შენი ლოყები
მეტი მოცდა აღარ ღირს...
თორემ უალერსებო,
იქროლებენ ქარები...
და ბევრიც რომ ეძებო
არავის ეყვარები...

რეტრო (ლეილას, მაჩაიძეს)

ეჰ, რამდენი საზიზღარი
ღამე დამიღამებია...
ადრე რატომ არ მითხარი
ვარდები რომ გყვარებია...
მოგიტანდი, სულ ხასხასა,
წითელ ვარდებს მოგიტანდი...
თუნდაც ჩემი სისხლის ფასად,
ჰო, რომ გეთქვა თუ გიყვარდი...
ახლა რაა, დროს ძაღლივით
კუდში ხელს ხომ ვერა სტაცებ...
ხან წინ გარბის, ხან ჩაგივლის,
გასწრებს, გასწრებს, მუდამ გასწრებს...
რომც გიყვარდე, რა აზრი აქვს...

იქნებ, კიდეც, გენატრები...
დაჭკნება და გადაყრიან,
დიდხანს ვერ სძლებს დღეს ვარდები...

ნუ, ნუ დამირღვევ

ზურგშიც და მკერდშიც, ორივე მხრიდან,
ალბათ, ამური მცხრილავს ისრებით...
ეს სიყვარული აღსდგა ფერფლიდან,
ისევ და ისევ შენი მიზეზით...
თითქოს სამოთხის კარი გამიღეს,
გამომიგორეს თეთრი ხალიჩა...
ვუმზერ მკერდს, ჯერაც მოტკბოს, ალისფერს,
რომელზეც შენი შავი ხალი ჩანს...
ვკვდები, ძვირფასო, ამდენ ისრებმა,
არ დამიტოვეს სისხლის ნასახი...
და სულიც, თითქოს, ქრება, იცლება...
ფიქრით ირწყვება ჩემს წინ ბალახი...
შეღებილია, შეღებილია,
ბაღებში თეთრი იასამნები...
ნუ, ნუ დამირღვევ ამ იდილიას...
შევსვამდი მკერდს თუ დამაძალებდი...
ზოგჯერ მგონია ერთ მხარეს დგანან,
ეშმაკებიც და ანგელოზებიც...
როგორც თვალები ერთმანეთს ჰგვანან,
ერთმანეთს ჰგვანან ეს ჯადოსნებიც...
შენი ბაღჩები გაკრეფილია...
აქ ლეღვის ტოტით დარბის ამური...
შენი ბაგენი რძეზე ტკბილია,
შენი სურნელი კი საამური...

მე კი მზე მსურს

გიცქერი და, თითქოს, ღამის მირაჟში,
შენს საწოლთან ანგელოზი დახრილა...
ის გაშლილ თმებს სიყვარულით გივარცხნის,
ზრუნავს, ზრუნავს, შენზე ზრუნავს ნამდვილად...
გარეთ წვიმს და წვიმის მსხვილი წვეთები,
ეცემიან ხეებს ფოთლებგაძარცვულს...
წვიმას სულშიც გაუდგია ფესვები,
მე კი მზე მსურს, წვიმა უკვე აღარ მსურს...
და ციდანაც ანგელოზთა კრებული,

ერთად დამზერს შენი თმების ხვეულებს...
ასე ვდგავარ შენით გაოგნებული,
და სარკმლებშიც ვხედავ შენს ორეულებს...
ნუ მიიღებ, ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს...
როგორც რაღაც უცილობელ ბრძანებას...
როცა სული ამდენ სევდას ვერ იტევს...
ამოდის და შენსკენ მოექანება...

ის ჩემს წინ მიდის

ასე, მგონია, თითქოს, მთლიანად,
ვარ კალენდრიდან ამოვარდნილი...
თითქოს გაჩენა დამაგვიანდა,
ეშმაკის ხელში ვარ ჩავარდნილი...
ჩემს აზრებს, გრძნობებს ეშმაკი მწყემსავს,
და რა ვაკეთო ის მიკანონებს...
ჩემს წინ გარბის და ამტვერებს ჩემს გზას,
და თუ მტვერს ვყლაპავ, მას სიამოვნებს...
მოვკლავდი, მაგრამ, მისი სიკვდილი,
არ მსურს ცოდვაში რომ ჩამეთვალოს...
ის ჩემს წინ მიდის, ის ჩემს წინ მიდის,
რომ ყველა ჩემი აზრი შეცვალოს...
რათა ცოდვათა ზღვაში ჩავარდნილს,
მან შემაშველოს თავის ბრჭყალები...
მგონი, სიცოცხლე, მართლაც არა ღირს
თუ ვცოცხლობთ, მხოლოდ რაღაც წამები...

სული ჩიტის მაგვარი

მღერის ისევ, მღერის ისევ...
სული ჩიტის მაგვარი...
თითქოს ჰაერს წითელ წინწკლებს
აფრქვევს ენადამტკბარი...
შემოჯარდნენ ყველა მხრიდან,
კვირტგამსკდარი ნერგები...
ის კი მღერის, გრძნობას იკლავს,
მღერის შეუსვენებლივ...
მიწას თეთრი ზოლები აქვს,
მთვარეს ვერცხლის საყურე...

კარს დავტოვებ დღესაც ღიას,
მოდი, მესიყვარულე!!!

ცეცხლი ჩირაღდნის

როგორ ჩნდებიან ტირანები, იბადებიან?
თუ იზრდებიან გარემოთა მათდა მიხედვით?
ჩემი აზრები გაცოფებულ ზღვის ტალღებია,
და დასიცხული ეგვიპტური პირამიდები!!!
და ვხედავ, ვხედავ, ჩემს ნაოფლარს, როგორ ამსხვრევენ,
სულის კედლებში შემოჭრილი ქაჯთა ურდონი...
მაგრამ ვერასდროს, ვერასოდეს შემოაღწევენ,
სადაც სინათლეს დაუპყრია ცის საუფლონი...
რადგან ტირანთა სამშობლოა, ალბათ, წყვდიადი...
მე კი გზას მუდამ მინათებდა ცეცხლი ჩირაღდნის...
მე ათასობით ბრილიანტის სხივით ვბრწყინავდი,
და დამნათოდა შარავანდი ვერცხლის სინათლის...
მე ყველა დღე და ყველა წუთი ცას მაახლოვებს...
სადაც არასდროს გააკარებს ღმერთი ტირანებს...
თუმც, მართალია, მკერდით ვტოპავ ახლა ღვარცოფებს,
დრო მოვა, ბედი გზას ზეცისკენ გამიჩირაღდნებს!!!

ლამაზი ხარ

ლამაზი ხარ, ვაღიარებ,
ჰგავხარ პირველ ღამის ალერსს...
სიტყვებს, ტკბილს და თაფლიანებს,
მოსახვევად გაშლილ მკლავებს...
ლამაზი ხარ, როგორც ბარტყი,
ატმის ყლორტზე დაფრენილი...
როცა მიწას გამოაყრის
მარწყვი წითლად გაფენილი...
შენს ბაგეზე ნუში ჰყვავის,
მკერდზე ხარობს ია–ვარდი...
ფურ–ირემი მთას შეჰბღავის...
შვლის ნუკრს მისდევს ლეოპარდი...
მინდა, მინდა, როგორ მინდა,
გახდე მსხვერპლი ჩემი მზერის...

რომ მაგ ბროლის გულმკერდიდან,
დამეკრიფა ყველაფერი...

რა დამავიწყებს

მიყვარდი? არა, მიყვარხარ ისევ...
ჯერ ისევ ვაფრენ ხორბლისფერ კანზე...
რა დამავიწყებს, რა დამავიწყებს...
თვალებს, სულის ამ საოცარ სანთლებს...
რა დამავიწყებს შენს ულამაზეს,
შეუდარებელ სახეს, უზადოს...
როგორც მნათობი ანათებს ცაზე,
ასე ანათებ, მუდამ, ჩემს ახლოს...
მგონია, თითქოს, მომკიდეს ხელი,
და რაღაც ძალა მეწევა შენსკენ...
მე კი, საკუთარ სურვილთა მკვლელი...
არაფრად ვაგდებ მორალს თუ წესებს...
და მინდა, მინდა, რომ შევაწებო,
ჩემი ტუჩები სისხლისფერ ბაგეს...
აღარაფერი აღარ არსებობს,
ჰო, სიცოცხლესაც სასწორზე ვაგდებ...
თუმცა, შენამდე ისე შორია,
როგორც უშორეს ვარსკვლავებამდე...
შენი სხეული ქარს გაჰყოლია...
და არ მიშვებენ ქარნი შენამდე...
როგორ მოვიქცე, როცა ნერვები,
წყდებიან, როგორც ნავის აფრები...
ვიცოდე, მაინც, თუკი შემხვდები,
მეც ყაჩაღივით ჩაგისაფრდები...
რომ მოვკლა, მოვკლა ეს სიყვარული,
ბედნიერებას რომელიც მტაცებს...
რომ არ დამერქვას ხელმოცარული,
და სისხლი ეცხოს ჩემს რკინის მაჯებს...

ექსპრომტი

როგორ ენდო ვარსკვლავს მთვარე,
ვარსკვლავმა კი უღალატა...

ჰყვარებია თურმე ღამე,
მოატყუა მუხანათმა...
და მას მერე, მთვარე სცოდავს
თურმე ყველა ვარსკვლავებთან...
სულ სხვა უყვარს იმ საცოდავს,
მაგრამ მასთან არა წვება...

რა შუაშია

არავინ არ თქვას, ეს რატომ უყვართ,
ის რატომ უყვართ, რა ნახეს მასში?..
უყვარდეთ ვინც სურთ, მე თვალებს ვხუჭავ,
მე ვერ ვერკვევი ამ გრძნობის არსში...
ზოგს, შესაძლოა, რწყილი უყვარდეს,
ზოგს ძაღლი, ზოგს კი ლეკვი ძაღლისა...
თვით დედამიწაც უკან ბრუნავდეს,
ზეცაზე ფიქრის, მასზე დარდისგან...
რა შუაშია აქ სილამაზე,
ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს მისი ცოლი...
შენ კი მომწონდე ნებას არ მაძლევ,
რატომ? არა ვარ, მე, შენი სწორი?..

აწმყო

ვერ გაექცევი ვერასდროს აწმყოს,
ვერც წარსულში და ვერც მომავალში...
არაა ისე, ჩვენ როგორც გვაწყობს,
და რომც გინდოდეს აწმყოს ვერ წაშლი...
ის ერთადერთი არსებობს მხოლოდ,
ის შენთან ერთად ჩნდება და კვდება...
ის შენთან ერთად იბრძვის და ომობს,
შენი სიცოცხლის გადასარჩენად...
გაჩნდები? აწმყო შენს გვერდითაა,
კვდები და ისევ აწმყო გაცილებს...
აწმყო ყოველთვის შენი ხნისაა,
და აწმყოსია ეს სინამდვილეც...
არ დაიჯერო, არ დაიჯერო,
ხვალინდელ დღეთა უკეთესობის...

ცდება ყველა ის, ვინც სხვაფრივ მსჯელობს...
ჩვენ მუდამ აწმყოს ზეიმს ვესწრობით...
ზეიმს, რადგანაც ჩვენ ვცოცხლობთ მხოლოდ,
როდესაც ვკვდებით, ჩვენ აღარა ვართ...
ჩვენ არ არსებულ წარსულსა ვგლოვობთ,
ხოლო მომავალს ვიყენებთ ფარად...

დარდი

დარდმა დარდი გაიყოლა,
გაიყოლა ქარმა ნისლი...
გველეშაპთან მქონდა ბრძოლა,
მაგ ლამაზი თვალებისთვის...
არ დამინდო, ცეცხლის ნაკადს,
მოანთხევდა მოაფრქვევდა...
მთელი შხამი ჩამოსცალა,
თან საშინელ კვამლში მხვევდა...
ვაგებ, ვაგებ, ბრძოლას ვაგებ,
ცეცხლი მწვავს და შხამით ვთვრები...
მე ტახტიდან ჩამომაგდეს,
მეფე ვიყავ, გეფიცები!!!

ტკივილი

თითქოს შევეჯახე კვლავ ცხოვრებას,
რაღაც უმძიმესი გამძაფრებით...
ისევ ტკივილებად აგორდება
დღეები, როგორც საფლავები...
მხრებზე სიხარული გადავიგდე,
მკერდზე სიყვარული ავიკარი...
ჯიბიდან ჯიბეში გადავიდე,
ჩემი გაცვეთილი ნატრისთვალი...
მივალ და ოცნებებს მივაგორებ...
ძველი თავადური მანერებით...
ზეცას შევარდნები მიაპობენ,
ხრამში ვარდებიან ჩანჩქერები...
რომც მოვკვდე უნდა გადავლახო,
ბნელი უფსკრულები თაღიანი...

სადაც ხევხუვები საკალმახო,
მოქუხს, მოდიდდება ძარღვიანი...
ცივი ნამქერები მიმაცილებს,
ცისკენ, სადაც თვლემენ მყინვარები...
მალე ქარიშხლები მიმასპინძლებს...
ანდა, ხარირმები მყვირალები...

ვერ იზამ ვერაფერს

ბედი რომ გვქონოდა, ჩვენ, ალბათ, შემთხვევით,
სადმე შევხვდებოდით, მთებში, ჩანჩქერებთან...
როცა გვიყვარდა და გვწამდა ცისქვეშეთი,
როცა სილამაზე, მართლაც, გვაღელვებდა...
დღეს ზღვების ტალღებიც რაღაც სხვას ჰყვებიან,
თუმც ეჯახებიან ერთურთს გამძაფრებით...
ჩემი განრისხება ცას გადასდებია,
და ცაც ემუქრება მიწას სხვა თვალებით...
ზღვათა მიმოქცევა მათი ცხოვრებაა,
ვერ იზამ ვერაფერს, დღეებიც ჭკნებიან...
ნუ მოხვალ, ნუ მოხვალ, ეგ შენი ნებაა,
ოღონდ სხვა თითები ნუ შეგეხებიან...
ნუ ანგრევ ზღვასავით შენ ჩემ ტკბილ ცხოვრებას...
ჩვენს ნათქვამს არ ისმენს, ვინც უნდა ისმენდეს...
თოვლს მუდამ ყინვა და ნამქერი მოჰყვება,
და მთებიც მათ თარეშს უსიტყვოდ ითმენენ...
და თუ ყველა ღამე ცრემლების ღამეა,
აქ მთვარე ათენებს თავის ბუდუარში...
გრძნობ, რა სიმშვიდეა?.. გრძნობ, რა სიწყნარეა?..
რა ცხელი ნაღმი დევს მაგ შენს ცივ უარში...

ჩემს ქუჩაზე ჩაგივლია

მთვარე ღრუბლებს მიეფარა,
ეპარება ქუჩებს ნისლი...
შენს სიყვარულს ქარი მპარავს,
ქარი ისევ ნერვებს მიშლის...
ქალაქს კრუნჩხვა დასჩემია...
როგორც ძარღვებს არითმია...
გული გამოსაცვლელია,

გული ამოსარიდია...
რა მოხდება, რომ ეს ხმები,
ამ გარემოს არ ბზარავდეს?..
რომ სამყაროც თავის მხრებით
არ ეჭიროთ მაგრად ქალებს...
რა მოხდება, რა მოხდება,
ქარი დადგეს, ქარი ჩადგეს...
ალბათ, ქუჩა გაცოცხლდება,
ნისლიც თავის ბედს მიაგნებს...
აქ ეშმაკებს ნადიმი აქვთ...
შენთან სძინავთ ანგელოზებს...
ჩემს ქუჩაზე ჩაგივლია,
მე კი, ვეღარ დაგელოდე!!!

თუ, მეტიც, წლებია,

მე ხშირად, უბრალოდ, სიტყვებით ვთამაშობ,
ფიქრით კი, ვინ იცის, რას ვფიქრობ, სადა ვარ...
რომ ჩასწვდე ჩემს აზრებს, ნამდვილად დაგაფრთხობს,
და მიწაც, ეს მიწაც ასე პატარაა...
მიქრიან, მიქრიან ველური ქროლებით,
ჯგუფები ომიდან გაქცეულ მერანთა...
ღამე დღეს გაჰყრია და დგება ზმორებით,
წინა დღით ბრძოლაში დაღლილი ესკადრა...
მოსაღამოვდება და ჩემი ხილვებიც,
ვინ იცის, რა სახის ნისლებში შესტოპავს...
ვერასდროს შენ ამას ვერაფრით მიხვდები,
მე მთელი სიცოცხლე ვეძებდი მეგობარს...
დაღამდა, საღამოც მიდის, თავს მანებებს...
ეს მძიმე წუთებიც ნელ–ნელა ქრებიან...
მითხარი, ძვირფასო, ღამიდან–ღამემდე,
თვეები მიქრის თუ, მეტიც, წლებია?..

დაგელოდები, სანამ მოვკვდები...

რა უჭირს, მაინც დაგელოდები,
ჩვენ ხომ ლოდინსაც გვაჩვევს ცხოვრება...
დაგელოდები, სანამ მოვკვდები,
ან სანამ ჩემში მამრი მოკვდება...
ერთს კი გეტყოდი, ასე უყვარდათ,

ასე უყვარდათ, მხოლოდ ძველ დროში...
როცა ხვდებოდნენ სადმე მურყანთან
შეყვარებულნი საქართველოში...
მერე კი, მერე, როცა დრო გაცვდა,
და სიყვარულიც ასე გაირყვნა...
დაკარგა ძალა ღვთის სალოცავმა
და არვინ იცის რად გარდაიქმნა...
არავინ ასე აღარ დაიცდის,
მე რომ შენ გიცდი და გელოდები...
რაღაც იმ ძველი სიდარბაისლის
შემომრჩენია, თითქოს, ყლორტები...
იქნებ შენც შეგრჩა, იქნებ შენც დაგაქვს,
სურნელი ძველი არომატების...
როცა ღალატი ჰქვიოდა ღალატს,
და ვარდებს ერქვა, მართლაც, ვარდები!!!

უკრავს ორკესტრი

როგორ კვდებიან პოეტები? როგორც ჩიტები,
ალბათ, ფრენისას მიწაზე თუ ენარცხებიან...
ვერ გამიგია ამ ამბავზე რატომ გიყვები,
თუ ჩემი გული დედამიწის გულზე ცხელია...
გაჩახჩახებულ დარბაზში ვარ, უკრავს ორკესტრი,
ბოლო აკორდი ჩაჰყვა ხალხის აპლოდისმენტებს...
სოლისტმა მზერა შემოგვავლო მიმინოსებრი...
ის, ჩვენგან, ალბათ, დითირამბებს სურს რომ ისმენდეს...
მე კი მგონია, თითქოს, სადღაც ჩრდილოეთში ვარ,
თან აისბერგი გვეჯახება, როგორც ტიტანიკს...
რის აისბერგი, როგორც ხშირად, როლში შევჭრილვარ,
და თავის ქსელში მახვევს ბრჭყალნი ობობისანი...

იქნებ გეცადა

იცი, რაღაცით ჯადოქარს ჰგავხარ,
მწვანე თვალებით, აჩეჩილ თმებით...
თითქოს ნამდვილი ნერვების ზღვა ხარ,
ჩამითრიე და, მგონი, გნებდები...
მახსოვს, მიყვარდა ეს სილუეტი,
საფერფლის გვერდით თითები შენი...
გადარუჯული ჩვენი დუეტი,

და ზღვის ტალღებში კანჭი შიშველი...
ცხოვრება გასცდა ჩემს ფანტაზიას,
და შენც შორსა ხარ, როგორც ზაფხული...
აღმოსავლეთში იწვის აზია
და დასავლეთში სული ქართული...
ეგ ჯადოქრობა იქნებ გეცადა,
და ბედს ერთხელაც ხელი აუკრა...
რომ მისთვის სულაც არ დაგეცადა...
ბოლოს ხომ მაინც ვერსად წაუხვალ!!!

გადაივლიან

რა მეფობს ჩვენზე,
ბოროტება თუ სიყვარული?..
რომელი მეფობს სამყაროზე,
შენ ხომ ვერ მეტყვი?..
არ მიპასუხებ, ან, ვინ იცის,
რით ხარ გართული,
სად, რომელ ბილიკს მიუყვება
ეგ შენი ეტლი...
რატომ მგონია ჩვენს ცხოვრებას,
თითქოს, სარტყელად,
თოვლის და ყინვის სალტეები
შემოასალტეს...
ჩვენ კი, გაჩენილთ,
პაწაწინა ჩიტის ბარტყებად...
ფრენის მაგივრად,
აიღეს და ბრძოლა გვასწავლეს...
კი ვიცი, ვიცი, ფრენა გსურს და
ფრთები დაგაჭრეს...
ნუ შეგშურდება
ღამურებმაც ფრენა იციან...
ჩვენ, ალბათ, მიწას
ცოდვებისთვის თუ მიგვაჯაჭვეს...
გადაივლიან,
ეს ზამთრებიც გადაივლიან!!!

მიჯობს სიკვდილი

შენ რომ ენახე სილამაზეს ხომ მოკვდებოდა,
სულ არ ვაჭარბებ, არ გეგონო ასე სულელი...
იცი, მეგონა, მოდიოდი და მოგყვებოდა,

თავბრუდასხმული გაზაფხული შენი სურნელით...
ან შენნაირი ვინმე იყო, ნეტა, შენამდე?
არა მგონია, ატყდებოდა, მაშინ, ომები...
რადგან შენს გამო, თუ შეგნიშნეს ზღვები ღელავენ...
და თვალებს ხომ ვერ დაითხრიდნენ ფარაონები?..
იქნებ, ამიტომ გაგაჩინა ღმერთმა ჩვენს დროში,
როცა ლტოლვანი დამცხრალია და სიძვა ხარობს...
ლამის დავვარდე შენს წინ, როგორც სამლოცველოში...
და მონუსხულმა მონასავით თავი დავხარო...
და თუ არსებობს სიყვარული, ნაღდად გიჟია...
შენი სხეულის, სახის, იქნებ, სულის მნახველიც...
მე კი გაძლება ამ ყველაფრის სად შემიძლია...
მიჯობს სიკვდილი თუ შენს ახლოს დავიმარხები...

და ვგრძნობ

მართლაც, წამებში იცვლება,
ზოგჯერ ეს ჩვენი ცხოვრება...
ხან ზეცა გაიცრიცება,
ხან ვარსკვლავები მოსწყდება...
ხან ბედი ისე მოგისვრის,
როგორც ბლის კურკას ისვრიან...
ხან კვდები ერთი კოცნისთვის,
ხან თავი ვერ დაგიხსნია...
არის მიწაზე ედემი?
იქ არის, სადაც არა ვართ...
წვიმს, ღრუბელს დასდის ცრემლები,
და ქარი მიმტვრევს დარაბას...
ბაღში დარბიან ჭინკები,
ღამე ნისლებით ირთვება...
ივსება ხსოვნის ჭიქები
და სევდისავით იცლება...
სარკმელთან ქარი ბუზღუნებს...
კომშს დასცვენია ფოთლები...
მთვარე მიჰკვალავს უკუნეთს...
და ვგრძნობ, ვგრძნობ, შენ რომ მშორდები...

ნუ დამიმალავ (ნა ნოს)

ნუ დამიმალავ, ნუ დამიმალავ,
თვალებს, რომლებიც ასე მაგიჟებს...
მე ხომ თვალებში ვკითხულობ ღალატს,

რომელსაც ტანი არასდროს იმჩნევს...
მოდი, მიხსენი, გამომეცხადე,
არ დამიტოვო ამოსაცნობი...
მე მართალი ვარ, ძვირფასო, ცამდე,
არ მიცრუია, არა, არცროდის...
შენს ყელს ზურმუხტის მძივები ფარავს,
და ამეთვისტო ბრწყინავს მაჯაზე...
შენს მკერდს რამ მისცა ასეთი ძალა,
თითქოს, თვალებით ზედ მიმაჯაჭვეს...
ვერ ვიმორჩილებ, იცოდე თითებს,
მე უძლური ვარ მათთან ბრძოლაში...
და თუ მტევანი შენს მკერდს აირჩევს,
დაეხმარები კერტის პოვნაში?

ქარიშხალი დაგარქვი

მე შენ ჩემი ქარიშხალი დაგარქვი,
და ამიტომ, ხან წყალივით მჭირდები...
როგორც მთიდან მოხეთქილი არაგვი,
მეხეთქები მკერდზე ვით კლდის ტინები...
და მგონია, რომ სამყაროს გავცდები,
თუ კი ჩემთან ყოფნა არ მოგბეზრდება...
ქარიშხალშიც თვითონ ჩამიტაცებდი...
ეგ მკლავებიც თვითონ შემომეწვნება...
მივატოვებთ ამ ზღვებს თავის ღელვაში,
ამ ცას, როცა რისხვით მოიღრუბლება...
ჩაწერილხარ, შენ, ჩემს ბედისწერაში,
და ვერც წაგშლი, არ მაქვს ამის უფლება...
ერთსაც გეტყვი, მე შენ ისე გეძებდი,
როგორც ზღვაში მარგალიტებს ეძებენ...
ჰოდა, როგორც თეთრი აისბერგები,
ნეტა, შენს მკერდს ჩემსას შეაგებებდე...

ბროლი

ბროლის კოშკში იყავ სტუმრად,
ფეხზე გეცვა ბროლის ქოში,
ბროლის კანი მესათუთა,
თეთრი სახე გქონდა ბროლში...
არც ის ვიცი რას გავუძელ,

როგორ აჰყვა სული სხეულს...
ვუმზერ, ვუმზერ, შენს ტანს ვუმზერ,
ბროლს ჩემს ხელში გადამსხვრეულს...

არ დაიზარო

ისე ველოდი შენს გამოჩენას,
როგორც ომისას მეფე მალემსბოლს...
მართლაც, როდემდე შევძლო მოთმენა,
ლამის ფიალა შხამით გამევსო...
რა არის მიწა, ორი მტკაველი,
ცაზე მეტია თუკი შენია...
მე ხმაურიან დღეებს არ ველი,
რადგან სიმშვიდე შემომჩენია...
მგონი ზამთრებიც ერთმანეთს ჰგვანან,
მხოლოდ შენ ერთი დამრჩი თილისმად...
სადღაც შორს ჩარჩა დიდების ხანა,
როგორც ურდული ძველი ბინისა...
არ დაიზარო, არ დაიზარო,
ეგებ დამინთო სადმე სანთელი...
რომ როგორც გვალვით დამშრალი წყარო,
მეც არ გაგიხდე გადასარჩენი...

მოდი, ძვირფასო!

როდესაც სულის მსურს ქარიშხლობა,
შენს სიახლოვეს მაშინ ვნატრულობ...
და წამსვე ვიწყებ რაღაც მისნობას,
რომ მოხვიდე და მეგაზაფხულო...
როცა ყაყაჩოს კაბა გაცვია,
და წამწამები გეხამხამება...
როცა ეზოში მდგარ აკაციას,
შენი გულმკერდი შეუყვარდება...
შენ შემოდიხარ ჩემში ზღვასავით...
და მეც ვგრძნობ, ძალას, თითქოს, ზღვებისას...
ხელზე მაცოცავ პეპელასავით,
მე კი სავსე ვარ მღელვარებისგან...
მსურს გაზაფხულმა ბინა დაიდოს,
სადმე ჩვენს ახლოს, გულთან, სათუთად...
შენი ტუჩები კი დამტკბარიყოს,

როგორც ხის ტოტზე ტკბება ალუჩა...
და რაც არ უნდა ბედმა დაგვცინოს,
ბედნიერებას ის ვერ დასცინებს...
მოდი, ძვირფასო, დამისხი ღვინო,
ჩამეწანი და გადამარჩინე!!!

საღამოა

შენს სიყვარულს ანგელოზი სდარაჯობს,
ჩემს სიყვარულს სდარაჯობენ სვავები...
რა მოხდება ერთხელ რომ მითანაგრძნო,
მოიარო ჩემი სალოცავები...
საღამოა, მწუხრი მკერდზე მაბიჯებს,
დუმს ჩემსავით მთელი სავარსკვლავეთი...
მე სვავებმა გული ამომაგლიჯეს...
შენ გეხვევა ანგელოზთა მკლავები...
ღამის ნიავს ჩვენზე ჭორი მიმოაქვს...
ღრიჭოებშიც სისინებენ ჭორები...
მე ღიმილით ვუმზერ შენს ყვავილობას,
და მათ ჯიბრზე შუბლზე გეამბორები...

მომეწყურა

რად მგონია, რად მგონია,
ზღვასთანა ვარ წილნაყარი...
ზვირთის ბედი დამყოლია,
მათი შტო ვარ ანაყარი...
ჰოდა, როგორც თევზი წყალში,
თავს ასე ვგრძნობ ქარიშხლებში,
ქარაშოტსა და ყინვაში...
დავალ ჩემი სულით ხელში...
კალმახი ხარ მოფართხალე,
სადღაც ახლოს, ზღვის ნაპირას...
მოვიხედავ მოგკრავ თვალებს,
შენი კანი ისე ბზინავს...
შენი კანი დაწინწკლული,
მზის ფერებს რომ გამოსტაცე...
მკერდი თეთრი და მდიდრული,
ძუძუ რძით და თაფლით სავსე...
მომეწყურა, მომეწყურა,
ლაყუჩები კალმახისა...

ბაგე, როგორც ღვინის სურა...
ბაგე ყურძნის ბადაგისა...

აუ, რა ტაციაობა გაიმართა?

ვიცოდი, რომ მომტაცებდნენ,
მომტაცებდნენ მალე შენს თავს...
ყვავილები გენთო მკერდზე,
გაზაფხულის კაბა გეცვა...
ვინ დაგიდევს გემოვნებას,
ვინღა ეძებს დღეს ტოლს და სწორს?..
ვისთანა ხარ ახლა, ნეტა,
ვისთან იყოფ, ნეტა, საწოლს?..
თავს იკლავდნენ, თავს იკლავდნენ,
ერთ დროს, ალბათ, ამის გამო...
მსურს შენს გვერდით დავბინავდე,
მკერდი ცრემლით დამინამო...
არათითზე ვერცხლის ბეჭედს,
ვინ აწვალებს ჩემს მაგივრად...
შენს ყვავილებს მინდა ვკრეფდე,
ნექტარს ვწოვდე შენს ბაგიდან...
მოიღერე, მოიღერე,
ყელი ირმის, ტანი შველის...
ეს ცხოვრება მოიმღერე,
სანამ დრო და წლები გშვენის...
მეცილება, მეცილება,
მეცილება ყველა შენს თავს...
წადი, სულ არ მეწყინება,
გადავურჩე მინდა ჯგლეთას...

...

ვით ბატკანს მატყლი, ვით მერინოსი,
შვენოდა მის შუბლს ქერა კულული...
მოზღვავებული ვნებების დროში,
როცა დაისი დაისს მოება...
ის მოდიოდა ჩემს გვერდით თოვლში...
როგორც ნაწყენი პატარა ბავშვი,
როგორც დასჯილი უმანკოება...

აღარ დაადგა ამ თოვლს საშველი

აღარ მოვიდა, არა და არა,
აღარ დაადგა ამ თოვლს საშველი.
ასე მგონია, ზამთარიც გვპარავს.
თავის თოვლს, ალბათ, ღრუბლის საშლელით...
ის მოვა, მოვა, მოვა, თოვლჭყაპით,
მოვა სიცივის ჩამქრალ თვალებით...
და გაივსება ჩემი ოთახი...
შენზე ფიქრების გარდაცვალებით...
მე კი მინდოდა, ისე მინდოდა,
მენახა მიწა თოვლით დამთბარი...
ცაში ღრუბლების უნაპირობა
და შენი ტანი დარდით დამცხრალი...
ალბათ, მოთოვა, სადმე მოთოვა,
მე კი რატომღაც სახეს მარიდებს...
ის არასოდეს აქ აღარ მოვა,
ალბათ, ჩემს სევდას თუ გაარიდეს...
და ვამჩნევ, როგორ აღარ მოქმედებს,
ჩემს სულზე უკვე აღარაფერი...
და თუ, ძვირფასო, შენც არ მომხედე,
მოვა და მომკლავს, ალბათ, ნამქერი...
ჰო, სულში სევდას დაუთოვია,
ყველა ფიქრები, ყველა აზრები...
"ჩემს შეყვარებულს სხვა უპოვია",
მე მისთვის აღარ მოვიაზრები...

ჩემზე ნუ ჯავრობ

ნუ მეტყვი, თითქოს, აღარ გახსოვარ,
რომ აღარ ფურცლავ ჩვენს ძველ რვეულებს...
მოვა ზამთარი ამ საღამოსაც,
მოვა და შენზე იჭირვეულებს...
ნუ უფრთხილდები შენს სილამაზეს,
მე ხომ მაცოფებს, რომ ვერ გეხები...
რადგან ზნეობა ნებას არ მაძლევს,
შენ კი დღითიდღე მშვენიერდები...
კი, ვიცი, ვიცი, არად ჩააგდებ,
ყინვებს ჩემს სულში დაგუბებულებს...
რომ არაერთხელ დამაღალატებ,
რომ შენს მაგიერ სხვა მიერთგულებს...
რომ შემოდგომა შიშვლდება სულში...
რომ სურვილები არ ცხადდებიან,
რომ ვიქექები ურცხვად წარსულში,
თუმც, უსასრულოდ დამღამებია...
მე მუდამ, თითქოს, რაღაცას ვჩქარობ...

რა გაასწორებს ამდენ შეცდომებს?..
ჩემზე ნუ ჯავრობ, ჩემზე ნუ ჯავრობ,
მე დემონებმა დამიმეგობრეს!!!

ეს მორევი ისე მითრევს

ცამ ღრუბლები დაიფერთხა,
მთვარემ ჩადრი აიფარა...
რა გინდოდა ჩემთვის გეთქვა,
მითხარ, მითხარ, მითხარ, ჩქარა!!!
იქნებ, სული ოდნავ გათბეს,
იქნებ გალღვეს გულში სისხლი...
სხვასთან გინდა? მაშინ, გყავდეს,
მართლა, მართლა, არ დაგიშლი...
კარგად იცი, შენს ძებნაში,
ყველა გზებზე მიჭენია...
თუ შენ გინდა, ქორწილს ჩავშლი,
თუკი მასთან გირჩევია...
ეს მორევი ისე მითრევს,
როგორც ნასვამს ბოლო ჭიქა...
არ გეგონოს დაგივიწყებ,
შენს სიყვარულს თან ჩავიტან!!!

ვერ გაგცემ პასუხს

აღარ არსებობს არა ყორღანი,
აღარც გმირების, აღარც დევკაცთა,
აღარც ლელანი, აღარც თორღვანი,
აღარც თამაში ბედისწერასთან...
აწმყო მომიკლეს, სისხლი გაცივდა,
და თვითონ გულიც გაცივდა, ნუთუ?
რატომ არ მესმის ყეფა არწივთა,
რატომ ვერ ვისმენ ხეობის გუგუნს?!.
იქნებ გაჩერდნენ არაგვიც, თერგიც...
ყაყაჩოებსაც თეთრი სისხლი აქვთ...
ნურაფერს მკითხავ, ნურაფერს მეტყვი...
ვერ გაგცემ პასუხს, არ შემიძლია...

მუდამ მხოლოდ შენსკენ ვივლი (ანუ დადუ ნა–ს)

მე სიყვარულს გეფიცები,
შენ კი, იქნებ, არცა გჯერა...
როგორც ფრინველს თავის ფრთები,
მეც დამაფრენს ბედისწერა...
იქნებ, ფიქრობ, რომ დამტოვებ,
როგორც ქარი ქრება დილით...
მე კი ტალღებს მოვაგორებ,
მოდრეიფე ხომალდივით...
ვერ წამიხვალ ვერსად უკვე,
უკვე ვეღარ გადარჩები...
შენს ალუბალწასმულ ტუჩებს,
დააკვდება ბაგე ჩემი...
და რაც მინდა, როგორ გამცნო,
რა მოგელის, რა ბედში ხარ?..
არ გაკვირდე თუ გაგძარცვო
ყველა ძველი ნატვრებისგან...
ჩემს ოცნებებს გავცდები და
მხოლოდ, შენსკენ, შენსკენ ვივლი...
რომ მაგ მკერდის ბაღებიდან
ვკრიფო ხილი ტკბილზე–ტკბილი...

ყინვა

ფრთხილად, როგორც ნიგოზს თაგვი,
ეპარება ყინვა ქალაქს...
ბნელ ქუჩებში ქარი დარბის,
და ცივ მიწას ნამქრით ფარავს...
ნეტა, ყინვას ვინ უბრძანა
შეაჭირხლოს სარკმელები...
და სახლებიც ზღაპრებს ჰგვანან,
მოხატულნი ფანტელებით...
ყინვა სულაც არა ჩქარობს,
ყინვა ზამთრის მხატვარია...
მან მზე უნდა ცას გაჰყაროს,
მანამ სანამ ზამთარია...

მე მესმის შენი

მშვენივრად მესმის, მე მესმის შენი,
რომ შორსა ხარ და კვლავ ფიქრობ ჩემზე...
რომ სიყვარული ვით განაჩენი,
გადაფოფრილა შენს სათუთ მკერდზე...
ახლა ძნელია რამე გირჩიო,
ამ დღეთა სუსხმა გადამიყოლა...
განა, მე კი მსურს გადაგეჩვიო...
მე თოვლმა სული ამომიქოლა...
რას გეუბნება ეგ შენი სარკე,
გაიმედებს თუ ნაღველს გიმატებს?..
იქნებ, უბრალოდ, გიყვება ზღაპრებს,
გაგიმართლებს თუ არ გაგიმართლებს...
ზღვაში ვარ, შტორმში, და კუნძულს ვეძებ,
ვეძებ განძეულს, დაფლულს ჩემამდე...
ჩემი ხომალდი მივანდე ღმერთებს...
ზღვას კი, როგორც სურს ისე ღელავდეს...
მე შავსა და თეთრს უკვე ვერ ვარჩევ...
გული თარს დღეებს გამოუხრია...
და სულ ერთია, თუნდ, ზღვაშიც ჩავრჩე...
ჩემთვის ისედაც მუდამ მწუხრია...

მე რომ ბედი მქონდეს

მე თქვენ გამახსენდით, მე თქვენ გამახსენდით,
ლურჯი თვალებით და მკერდზე გვირილებით...
თქენთვის სიყვარული დამრჩა ასახსნელი...
თქვენ კი იღიმებით, ისევ იღიმებით...
მართლაც, კაცმა რომ თქვას, მე რომ ბედი მქონდეს,
ახლა თქვენთან ერთად უნდა ვიძინებდე...
დილას თქვენთან ერთად უნდა ვზეიმობდე,
და მეც ვიცინოდე მაგ თქვენს სიცილებზე...
ჩემი გაზაფხული ქარმა დაარბია,
ტალღამ ჩაიტაცა თქვენი შროშანები...
ჩემი სიყვარული სულ სხვას გადაჰყრია,
სადღაც ზეცის იქით, თქვენგან მოფარებით...
ისე მომიარა ახლა მონატრებამ,
ყველა მოგონება ერთად მომაყარა...
მალე სინანულთან ერთად მომადგება,
თქვენგან დატოვებულ კოცნის მოსაპარად...

განა რა მსურს

მე მინდა რომ ნეტარებას განიცდიდე,
შენ კი, იქნებ, სევდა აგირჩევია...
მაგას არ სჯობს, სიყვარულით აგიზგიზდეს,
ყველა ღამე შენ რომ გაგითევია...
და თუ ზეცა გამოგზავნის ვარსკვლავებს,
ან რაშს თავის ოქროსთმიან რაინდით...
არ დაღონდე, შენს სარკმელს მოვასწავლებ,
და სარკმელთან შენც დაგხვდება ტაიჭი...
ზღაპრებია? მაგრამ ხომ ლამაზია,
რა გგონია, ვის უჭირავს ცა ხელით?..
რად უხდება სცენას დეკორაცია...
ჩვილს ღიმილი, ახლად თვალებგახელილს...
შემომიჯექ, დეზი ვკრათ და გავფრინდეთ,
ეს ჩვენ გვიხმობს, როცა ზეცა ხმიანობს...
სიყვარული ჩემს ცხელ მკლავზე გაფინე,
რომ სამყაროს თვალწინ ავუფრიალოთ!!!

მეც ნაკბენი მაქვს

მე ის დავკარგე და ვიპოვე, მაინც ვიპოვე...
რომელი ძალა ჩაერია, რა ჯადოქრობა?..
რომ ამ წყვდიადში მისი პოვნა გამიიოლეს,
როცა ქარიშხლებს ზვავების ხმა ჩემთან მოჰქონდა...
აქ ყველგან, ყველგან უფსკრულია, ხრამი უძირო...
და ნაპრალები მომითხრობენ მსგავს ისტორიებს...
ზვავები მოქუხს მიწას გული რომ გაუგრილოს,
თავისი მსხვერპლი უპოვია მზეზე მორიელს...
მეც ნაკბენი მაქვს, გულის კოვზზე მწარე ნაკბენი,
შენი დაკარგვით და გაქრობით გამოწვეული...
ჩემი მუზები იქნებოდნენ ერთით ნაკლები,
მაგრამ უსულო იქნებოდა ჩემი სხეული...
ვერც მივხვდი, თურმე, მომიძღვნია შენთვის სონეტი...
მე მოვკვდი, მაგრამ, ამ სიკვდილით შენთან მოვედი...

სიყვარული

სიყვარული ორგვარია,
ხან ცალმხრივი, ხან ორმხრივი...
ბედი ეტლის ბორბალია,
გარბის, გარბის დაოთხილი...

თავს გავიტან, თავს გავიტან,
რომც ჩამაგდონ შუა ზღვაში...
ოღონდ მქონდეს შენი მხრიდან,
მხარდაჭერა ამ ღელვაში...
შენსკენ იის ნამი ცვივა,
ჩემსკენ ალვებს არხევს ქარი...
შენ ცამ ვარდი დაგაწვიმა,
მე საომრად მიხმობს ზარი...
წავალ, წავალ, სადაც ვეფხვებს,
კლდეები აქვთ სანავარდო...
ცხენს მათ მკერდებს მივახეთქებ,
თუნდაც ხრამში გადამაგდონ...

დამავიწყდება შენი ალერსი

წახვედი, არცკი დამემშვიდობე,
დატოვე თოვლში ნაფეხურები...
არც ეს დღეები არ დამინდობენ,
დღეები ბრმები, მეტიც, ყრუები...
არ ესმით ჩემი, ჩემი არ ესმით,
და მეც მათ უკვე ვეღარ ვენდობი...
დამავიწყდება შენი ალერსი,
როგორ მიყვარდი, როგორ გელოდი...
იქნებ არც იყო სულ არაფერი,
სიტკბო, რომელსაც ერქვა კოცნები...
რომ ჩაქრა, ჩაქრა ჩვენი სანთელი,
კვდება ბალახიც, ერთი მოცელვით...
წავიდნენ, წლებმა გადაიარეს,
გარბიან როგორც მგლები, აფთრები...
სულს კი, ნეტავი, რა დამიამებს...
არც მას, შენსავით, არ ვედარდები...

სითბო

შემომაკლდება, როცა ალერსი
და სითბო, ერთ დროს შენ რომ გასცემდი...
თავს შემახსენებს გულზე ნანემსრი...
შენ ყურადღებას რომ არ აქცევდი...
გიხდება თეთრი ხელთათმანები,
თოვლიც თეთრია სწორედ შენსავით...
და უთეთრესი შენი მკლავები,
კვლავ მიზიდავენ სამოთხესავით...

და თმები შენი, როგორც ნახატი,
ჩემში ანგელოზს რომ აღვიძებენ...
ყელზე მარჯანი, ყურზე აგატი,
თვალები, მე რომ ბოლოს მიღებენ...
ნუუ, ნუ მიცქერ, გადავეჩვიე,
მაგ განრისხებულ თვალების მზერას...
მერჩია, მორევს რომ ჩავეთრიე,
გავმხდარიყავი ტალღების წერა...
შენ, ალბათ, სახლში გაიხდი მანტოს,
მაგ შენი თეთრი ხელთათმანებით...
ბუხარის ცეცხლი შენს ოთახს ათბობს,
მე, შენი მკერდის ნაპერწკალები...

თოვლი

მოვიდა თოვლი, მიწა დაფარა...
სხვა არაფერი, თოვლი მოვიდა...
და სევდაც მიტევს უკვე აშკარად
გაუკვალავი თეთრი თოვლიდან...
დაბარდნა სული, ისე დაბარდნა,
როგორც მთებს ბარდნის ხშირად ზამთარი...
და თოვლში, თითქოს, ღამეც არ ჩანდა,
არ ჰქონდა არსად თავშესაფარი...
იცი, ეს თოვლი მხრებზე მაწვება,
შემოაღწია მკერდში სითეთრემ...
გაზაფხულამდე ასე გამყვება,
სანამ ნუშებზე კვირტი იფეთქებს...
რა წარმტაცია ეს მელოდია,
გადაბარდნილი თოვლით ბაღები...
ეს ფანტელებიც, ალბათ, მოდიან?..
რომ გადააძრონ მიწას თალხები...
ღამე კი, სადღაც, ამ თოვლის იქით,
მიიპარება მოსვლის სანაცვლოდ...
ჩაღამებია თვალები ფიქრით,
და დარდიც, მგონი, ღრუბლებს გაანდო...
თოვლი კი მოდის, მოდის და მოდის,
მან ჩემს ფიქრებსაც გადაათოვა...
მახსოვს, რომ თოვლთან მეც ვმეგობრობდი,
მაგრამ, ის თოვლი აქ აღარ მოვა...

გამჭვირვალეა

შენ ჩემს წინ დგახარ თოვლის სამოსში,
რაღაც უზადო თეთრი ფერებით...
ცა თავის ფიფქებს ჩქეფად ჩამოშლილს,
აცილებს თოვლის თეთრი ბგერებით...
გამჭვირვალეა, გამჭვირვალეა,
ეს თოვლიც, თითქოს, ჩემი სულივით...
და ვუმზერ, ვუმზერ რა ბრწყინვალეა,
საღამო თოვლში გადასულივით...
და შენც გაცვივა, ფიფქი გაცვივა,
თმაზე, რომელიც ასე გამშვენებს...
სახე, რომელიც თოვლით გავსილა
და ისეც ჰგავდა თოვლის ფანტელებს...
და მე არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
ფიფქებმა შენი თავი წამართვა...
და გიცდი, გიცდი თოვლის ლოგინზე,
სადაც სიცივემ მოიკალათა...

წვიმს

წვიმს, ცა გრუხუნებს, არ ჰყოფნის წვიმა...
გული ვერაფრით ვერ მოიოხა...
ხეზე შეყუჟულ ბეღურებს სცივათ,
წვიმა კი მოდის და მოდის ოხრად...
მოდის, რადგანაც გასაწურია,
გასაწურია ყველა ღრუბელი...
მიწას ქარები გადაუვლიან,
სტუმრები სტვენით მოსაუბრენი...
ცას სადარდებელს რა გამოულევს,
მას ღაპაღუპით მოსდის ცრემლები...
ქარი ცას უტევს, ქარი ცას უტევს,
სტვენით, სისინით, ხველით, ყვედრებით...

მაინც მიყვარხართ

მაინც მიყვარხართ, მენატრებით, კიდეც, დროდადრო,
მაგრამ რა გინდა, რომ გააწყო დროსთან წყეულთან?
ან ეს დღეები კალენდრიდან რად ამოაგდო,

ალბათ, ასევე მოიქცევა, ვატყობ, წლეულსაც...
ამ ზეცას, მიწას, როგორ გინდა სადმე გაექცე?..
საკუთარ აჩრდილს, აბა, მითხარ, ვინ გაქცევია?..
მოდი, ძვირფასო, მოდი, მნახე, მომიალერსე,
სანამ ეს სისხლიც, თუ რამ დამრჩა, დამიქცევია...
იქნებ, მოგბეზრდა სიყვარული, ჩემი, მიაგდე,
სადმე კუთხეში, როგორც ნივთი, რამე, უხმარი...
ალბათ, ცისკრებსაც ჩემს მაგიერ სულ სხვა გინათებს,
და სხვას გაუყავ შენი მკერდის თავსასთუმალი...
და ჩემს ცხოვრებას დღეს დაისის ფერი თუკი აქვს,
შენ კარგად იცი, რის გამოა, ვისი ბრალია...
და მიაქვს ჩემი სინანული, ამ დღეებს მიაქვს,
და ვერც მივმხვდარვარ, ნაღდებია თუ სიზმარია?..

განა ერთხელ

გაკოცებდი, შენ კი ალბათ,
თავს იკავებ ისევ,
გაკოცებდი, გაკოცებდი,
როგორც ხატებს წმინდას...
ყოველ ღამით ამ სამყაროს
ყველა ჭინკებს მიქსევ,
მე კი შენი მოგზავნილი,
ეს ჭინკებიც მიყვარს...
ვიცი, ვიცი, ხელს რომ მიწვდი,
შენც კოცნაზე ფიქრობ,
გელოდები, ქალი ხარ და,
გითმობ პირველ სიტყვას...
მომავალში მაგ ბარიერს
გადაახტე ვინძლო,
მაკოცნინო, განა ერთხელ,
დიდხანს, დიდხანს, დიდხანს...

მენანება

მენანება, როგორ ვკარგავ,
როგორ ვკარგავ მუზებს...
უსაზღვროა მოლოდინი,
ყველა ეძებს მიზეზს...
მე კი, ჩემო ძვირფასებო,

უთქვენობას ვუძლებ,
ჩემი აწმყო, ამის გამო,
დაემსგავსა ციხეს...
თუმცა, გარეთ, როცა თოვლი
მოდის, ანდა, წვიმა...
მაგონდებით შეყუჟულნი
ჩემს ლექსებთან ახლოს...
ვიცი, გცივათ უჩემობით,
მეც უთქვენოდ მცივა...
რა თქმა უნდა, ყველა ერთად,
რომ მკოცნიდეთ, მაწყობს...

ნუ მოხვალ ჩემთან

იცი, არ მინდა გული გატკინო,
სულაც არ მინდა რომ შემიყვარო...
არ მსურს უცრემლოდ რომ აგატირო,
ანდა, ჩემს გამო რომ შეიშალო...
ლექსებს გიწერ და არ გეუბნები,
არ გეუბნები, მართლაც, არაფერს...
მაგრამ იწვიან ჩვენი გულები...
გულები ცხელი და მოღალატე...
ნუ მოხვალ ჩემთან, ნუ მოხვალ ჩემთან,
ბრმა ვარ, მე შენთან დამრჩა თვალები...
თან წამოვიღე მე შენი სევდა,
სევდა ტკბილი და მიუკარები...

შეგიფარებენ

ჩემს ტრამალებზე მე ყვავილს ვეძებ,
მსურს, რომ როგორმე ვიპოვო შენთვის...
მაგრამ დამჭკნარა სულყველა მზეზე,
მზეს კი ვერაფრით, ვერაფრით ვერ ვცვლი...
ნუ დაიჯერებ ჩემ ჯადოქრობას,
არ ვენდობოდი მე არცერთ მკითხავს...
მე შენთან ჩემი გული მომქონდა,
რომ მყვარებოდი, ეს გულმა მითხრა...
შეგიფარებენ, შეგიფარებენ,
შეგიფარებენ შენ ჩემი ფრთები...
თუმც, ოცნებები აგვიანებენ,
და ჩემს სიტყვებზეც შველივით ფრთხები...

ასეა, მართლაც, მეც მეკობრე ვარ...
ცხოვრებამ სხვა გზა არ დამიტოვა...
მე შენი სული მსურდა მეგობრად,
რადგან ის ჩემმა სულმა იპოვა...
და ახლა როცა ზღვებზე ქარიშხლებს,
ვებრძვი და მკერდით შევდივარ ომში...
შენ შენი ლოცვით მტერს ამარიდებ,
მე კი ამოგხდი სულს ჩემი კოცნით!!!

მარტო დამაგდეთ

და წავა, წავა, ეს ცხოვრებაც,
როგორც სხვა ბევრი,
წავა და უკან არასოდეს
არ დაბრუნდება...
მე კი არ მინდა, რომ სხვებივით
მეც მერქვას მსხვერპლი,
რადგანაც სიკვდილს ვერ გაუძლებს
ჩემი ბუნება...
მოდით, დამადეთ ბორკილები,
სულზე დამადეთ,
რომ ვეღარ შევძლო გალაქტიკის
მონახულება...
სადმე უდაბნოს ცხელ ქვიშაში
მარტო დამაგდეთ,
რომ ვერ მიპოვონ ჩემი ნახვის
მონატრულებმა...
რომ ვერ შევიგრძნო,
როგორ კვდება ჩემი სხეული,
როცა გველისგან დანესტრილი
აფართხალდება...
და ვენა ჩემი საბოლოოდ
სისხლამღვრეული,
ფეთქვას შეწყვეტს და
სიკვდილივით გაფერმკთალდება...

ბოლო სიტყვა

დაგავიწყდა? გული განდე,
მაგრამ, მაინც, დამეფლითა...
მე, ხომ შენთვის ვრგავდი ვარდებს,
რომ ოდესმე დამეკრიფა...
შენ კი, შენ კი არ მაცალე,
ოქროს თევზი შემახსენე...
მთელი ჯერი დამაცალე,
და კუბოში ჩამასვენე...
გვიანია, გვიანია,
ახლა შენი სინანული...
რაღაც სულის წრიალია,
და ეკლებზე სიარული...
ბოლო სიტყვა, მოდი, გულზე,
შენი ხელით დამაწერე...
რამე, თუნდაც სიყვარულზე
და შენს გზაზე წადი, მერე!!!

ბედი

ბედი გწყალობს?.. მოგძებნის...
ამოგათრევს ფსკერიდან...
ბედი, ალბათ, ოცნების
გვიმზერს ნასვრეტებიდან...
ხან რაშს მოგგვრის დარახტულს,
და ზეცაში აგიყვანს...
ხან დუღს, ხანაც გადადუღს,
ხან იმედებს ჩაგიკლავს...
და რაც უნდა ეცადო,
ვერსად დაემალები...
მუდამ ცხოვრობს შენს ახლოს,
მუდამ შენ ელანდები...
ბედი, მართლაც, ბედია,
და შენც ეთამაშები...
თუკი დაგბედებია...
დასხდება დუშაშები...

და მაშინ მივხვდი

ისე შორსა ხარ, ჩემს თვალში ლამის,
სილამაზემაც ფასი დაკარგოს...
დრომ სინანული მასწავლა წამის,
დრო მე არ მიცდის, არა, არასდროს...

ან, მართლაც, ნეტა, ბედნიერებას,
არ ვიცი, შენში რატომ ვეძებდი...
შენ გაგაჩინეს, ალბათ, ღმერთებმა,
მე კი დემონებს ვეიმედები...
როგორც მდინარე ადიდებული,
მუდამ ვამსხვრევდი მე ჩემს არტახებს...
სანამ არ ვნახე შენი სხეული,
ეგ სილამაზე და სიწარმტაცე...
და მაშინ მივხვდი, როგორ ვცდებოდი,
რომ ზეცის კარი არ იღებოდა...
რომ თურმე სულ შენ მაგონდებოდი
და შენი სახე მესიზმრებოდა...
ყველა ვერ გადის, ალბათ, ბოლოში,
არც მე მიმიძღვის ბრალი ამაში...
რომ ჩავრჩი, ჩავრჩი ჩემს სამშობლოში,
შენ კი წახვედი სხვა ქვეყანაში...

შენს სიყვარულს სევდა ჰქვია

ცას ახედე, ანგელოზებს,
მოჰყვებიან ფიფქები,
შენ თუ გინდა ბედი გქონდეს
მე ნუ დამეკითხები...
ანგელოზებს შეეკითხე
და ისინი გეტყვიან,
მიწა ცოდვებს როგორ იტევს,
ზეცა თუ რა თეთრია...
მოდის, მოდის, ციდან მოდის,
უთვალავი ფანტელი...
და მიწაზე დგება თოვლის
მთელი კორიანტელი...
შენს სიყვარულს სევდა ჰქვია,
ჩემსას შენი თვალები...
ჩემგან თავი დაგიხსნია
და სხვებს ეგუნდავები...
თუ ამაღამ დიდ თოვლს დადებს,
არ გახვიდე სახლიდან...
შენ რომ ვინმე შეგიყვარდეს,
მე ხომ მეტი არც მინდა...

შემიყვარდები მეც ხელმეორედ

ვერ შევამჩნიე, ვერ შევამჩნიე,
ვერ შევამჩნიე მე შენი სევდა...
მე, შენ, თვალები შემოგაჩვიე,
შენ კი შეგეძლო, ალბათ, რომ გეთქვა...
მე უეჭველად დავბრუნდებოდი,
შენთან ფიქრებში, სულში, აზრებში...
მე ხომ შენს ამბებს ცას ვუყვებოდი,
სანთელს ვანთებდი ხშირად ტაძრებში...
რა გამოვიდა, რა გამოვიდა,
თუკი სევდასთან მარტო დაგტოვე...
ვინ იცის ერთი სიტყვაც გყოფნიდა
და სულ წამებით კი სიახლოვე!!!
აქ უდაბნოა, ცხელი უდაბნო,
და მე ქვიშაში ცრემლით ვსველდები...
ჩემზე ნუ დარდობ, ჩემზე ნუ დარდობ...
მე მიშველიან ჩემი ლექსები...
დრო გაჩერდება, რომ განმეორდეს,
ბედნიერების ყველა წამები...
შემიყვარდები მეც ხელმეორედ,
ისევ უსაზღვროდ შემიყვარდები!!!

ამინდი

ამინდი სწორედ ასეთი უნდა,
ამინდის გარდა ყველაფერია...
გადახვეწილი ქარი დაბრუნდა,
ბაღს დაერია, გზებს დაერია...
მისთვის ვის ეცეს ეს სულერთია,
ანჩხლობს და ღრუბლებს ხელით ეხება...
გარეთ ნამდვილი საგიჟეთია,
ქუჩებში ქარი დაეხეტება...
მე კი ფიქრები შენზე მიტევენ,
არ ვიცი, ამას როგორ ვუშველო...
და დაწრწის ქარიც სახლში ისევე,
როდესაც რჩება ბინა უშენოდ...
და გელოდები, მეც გელოდები,

ასე ბავშვები დედებს ელიან...
სულ დაალეწა ხეებს ტოტები
და ქარი ამით ბედნიერია...
მე კი ვყოფილვარ, ნეტა, ოდესმე,
როგორც ქარია დღეს ბედნიერი?..
შეყუჟული ვარ მეც ხის ტოტებზე,
როგორც ბეღურას ბარტყი მშიერი...

არ დავანებებ

ალბათ, მთვარესთვის მიწაა დედა,
იქნებ, ჩვენსავით სხვა დედა არც სურს...
ზეციდან ჩუმად ჩამოდის სევდა
და ჩემს ცივ სულში ეძებს ნავსადგურს...
არ დავანებებ, არ დავანებებ,
დარდებს და სევდას დარჩენილ დღეებს...
დღეს, ალბათ, ჩემთან ინეტარებენ,
ხვალ დაიპყრობენ სხვა სიმაღლეებს...
ტკივილის ცნება მათთვის უცხოა,
მათ ისე უყვართ ჩვენი გულები...
აი, ქალისთვის რომ სათუოა,
ოქროს და ვერცხლის სამკაულები...
ნეტა, ეს მთვარეც ამ ცას არ ებას,
ნეტა, ეს ღამეც ღამე არ იყოს...
ჩვენი სულები არ გადაებას,
და ვარსკვლავივით არ ჩამქრალიყოს...
ყური დაუგდე, გესმის მუსიკა?
ჟღერს ვიოლინოს სიმის ბგერები...
ეს პაგანინის მძაფრი სულიდან,
ცვივა ელვები და ნამსხვრევები...

მინდა იცოდე

რა უჩვეულო დარდი გცოდნია,
როგორ მეტყველებს შენი თვალები...
რაღაც საოცარ მელანქოლიას,
აფრქვევენ თითქოს სევდიანები....
იქნებ, გენგრევა თავზე სამყარო,
იქნებ, უბრალოდ, გული აგტკივდა?...
გინდა, საყრდენი გამოვაცალო

და ჩამოვარდეს ზეცა მაღლიდან?..
მინდა იცოდე, შენი დროც მოვა,
აღსდგება შენი პირამიდები...
ისევ იქნება ვარდების თოვა,
და სიყვარულის ტკბილი წვიმები...
ნუ შეგაშინებს რთული დრო თუა,
ბედს დასაჯიჯგნად თუ ვემეტებით...
თუ ვდგავართ ისევ კვლავ ორ წყალს შუა
და ეშმაც დაგვდევს თავის კეტებით...
მე ხშირად, იცი, რომ აწმყოს ვტოვებ,
მე მმასპინძლობენ სხვა დარბაზები...
იქ მწვერვალებზე ცის სიახლოვეს,
თავისუფლდება ჩემი აზრები...
და ვუსმენ როგორ რეკავენ ზარებს,
რათა იპოვონ მათ ერთმანეთი...
შენ კი, შენს თავს თუ არ შეიბრალებ,
მე ვხდები სხვების შესაბრალები...

ცივია ღამე

ვერ გამიგია, ვერ გამიგია,
დროს მე მივათრევ, თუ ის მიმათრევს?..
კვლავ სინანულის ქარები ქრიან,
ჯერაც წყვდიადი ახრჩობს სინათლეს...
შენც რა ხანია არ მეფერები,
და მეც დავკარგე ამის სურვილი...
დადუმებულან შენი ხელები,
დაგვიანებულ გაზაფხულივით...
როგორც არასდროს ცივია ღამე,
ღამე ჩემს სევდას შემოეჩვია...
ანგელოზები შენს ვარდებს რწყავენ,
ჩემები ხმება და შავ დღეშია...
ნუ, ნუ აწვალებ ხელზე სამაჯურს,
მას, როგორც ვატყობ, ბედი ჰქონია...
მე ველოდები ზამთრის დასასრულს,
ჯერ კი გარშემო მხოლოდ თოვლია...

რად გიხარია

თვალებს დავხუჭავ შენ მეჩვენები,
გავახელ, მხვდება სიცარიელე...
დაგეწაფები, როგორც ცხენები
ზაფხულის ხვატში წყაროს სინედლეს...
რად ჩამოდიან, რად ჩამოდიან,
ზეციდან თეთრი ანგელოზები?..
მერე იწყებენ შენსავით წრიალს,
და მეც მაშინვე შენ მაგონდები...
როგორ დადიხარ თითზე ბეჭედით,
და ვინც კი გხვდება ყველას აჩვენებ...
როგორც თირკმელში მწვავე კენჭები,
ასე მტკივდები და პულსს აჩერებ...
რად გიხარია, რად გიხარია?..
ეს სიყვარული მოჩვენებითი?..
მთვარე დილიდან გამომთვრალია...
დღე კი ცინიკი და ავბედითი...

შენი მეკვლე ვარ

ნუთუ არ გესმის შენს ჭიშკართან ჭიხვინი რაშის?
გსურს, ბროლის ეტლით ამ ჭიშკარზეც გადავფრინდები...
მე უთვალავი ყვავილები დავკრიფე გზაში,
რომ მომეტანა სურნელება გალაქტიკების...
შენი მეკვლე ვარ, სურვილების ამსრულებელი,
კარში გამოდი, მოგიტანე ბედნიერება!
თან მომყვებიან ვარსკვლავები ჩემი მხლებელი...
რომ აგისრულონ ყოველივე რაც გენებება!
ხელი ჩამჭიდე, ავიჭრებით მალე ზეცაში...
ბროლის მერნები მიაპობენ ტალღებს ღრუბლების...
ვიცი მოვხვდებით შიგ შუაგულ საოცრებაში
და სიხარულით აძგერდება ჩვენი გულები...
არ ვიტყუები, შენც ხომ იცი, ჯადოქარი ვარ,
ეს ბროლის ეტლი საახალწლოდ მთვარემ მაჩუქა...
ხედავ, ათასი ვარსკვლავებიც ჩვენთან არიან,
მთვარემაც, როგორც დედოფალმა გამოაშუქა...
გესმის, აჟღერდა ღვთაებრივი ჰანგით ორკესტრი,
შობა–ახალწელს გვილოცავენ ანგელოზები...
მინდა იხილო კოსმიური მათი კონცერტი,
და ცივ ლოყებზე იგრძნო ჩემი ცხელი კოცნები!!!

გადავრჩი?

მართლაც, რამდენჯერ გავები.
რამდენჯერ ენა დამება...
ხან სიკვდილს ვასამარებდი,
ხან კი ის მასამარებდა...
მკერდზე მეკიდა ბორბალი,
ვაგორე წუთისოფელი,
მეც მქონდა ჩემი მორალი,
სიკვდილის უარმყოფელი...
მართლაც, რამდენჯერ დავიწვი,
მე კი, სულ უნდა მებრძოლა...
გადავრჩი? აბა რა ვიცი...
თუმცა, სულ მასე მეგონა...

მე ვარ ვენახი

მე ვარ ვენახი, მართლაც,
ვერსად წაუველ სეტყვას...
მქონდა ისეთი განცდა
თითქოს ჯავშანი მეცვა...
დელგმა, ყინვა თუ ქარი,
რომელი ერთი გინდა...
ჩემზე იყარეს ჯავრი,
ყველამ თავისი მხრიდან...
და რომ ეგონათ მომკლეს,
და რომ ეგონათ მორჩა...
მაინც ვიყრიდი ყლორტებს,
მაინც მაგნებდა ლოცვა...
და მეც ვთავაზობ მარცვლებს,
მტერს და მოყვარეს ყველგან...
ვარ გამარჯვების მაცნე
და დამარცხების მწეც ვარ...
მე ვარ ვენახი ტკბილი,
ქარვის მტევნებით სავსე...
ვივლი, შენს ძარღვში ვივლი...
თან გადავავსებ მარნებს...

"მესმის, მესმის ხმა ბულბულის..."

რის ბულბული, მგონი, ყვავიც,
მგონი ყვავიც გადაშენდა,
დილდილობით რომ დაგვჩხავის,
და ჩემს ახლოს მიმოფრენდა...

ჰო, ბულბული აღარ მატკბობს,
შაშვიც იკლებს, შაშვიც ქრება...
სავარდო და სანავარდო
მიწა ჭკნება, მიწა კვდება...
გაცვეთილა, გაცვეთილა,
აღარ მიწერს კალმის წვერი...
ჩემი ტანიც აჩეხილა,
ვით ეს მიწა ძველისძველი...
აირია ერი–ბერი,
ვერ გაიგებ, ვინ ვინ არი...
გარეთ გავალ, შემომცქერის,
მეზობელი პირმცინარი...
ჩემი ენა მან არ იცის,
მე კი ისიც, თუ ვინ არი...
იწვის, იწვის, მიწა იწვის...
ბულბულების იწვის ქნარი...

თემა: სამშობლო, თუნდაც გაუფასურებული...

მოწყობილია ცხოვრება ასე,
სწორედ მას მაძლევს რაც უარვყავი...
ვერ შევაფასე, ვერ შევაფასე,
ვინ ვარ, რა შევძელ, ან ვინ ვიყავი...
თუმცა, მან იქნებ, უკლებლივ მომცა,
რისიც სიცოცხლით ვიყავი ღირსი...
გავუძელ დრო–ჟამს, ათას გამოცდას,
მხვდებოდა მუშტი, ტყვია თუ ხიშტი...
როცა სამშობლოს სტკიოდა გული,
მე მასზე ასჯერ მეტად მტკიოდა...
ბევრ გამოხედვას თუ იყო მტრული,
ჩემი თვალები ვერ პატიობდა...
მე დღესაც მტკივა, მე დღესაც მტკივა,
მიწას, რომელსაც ჰქვია ქართული...
მიწას, რომელსაც სამშობლო ჰქვია
და ჩემს გულზეა კვლავ მიჯაჭვული...

მემახსოვრები

მე, იცი, მესმის, თითქოს, შენი ხმა...
ის ლოცვასავით სულში მეღვრება...
და თუ ოდესმე ნახვაც მეღირსა,
მას დავარქმევდი ბედნიერებას...

თორემ უშენოდ ამ დღეებს ჩავლილს,
ამ ღამეებსაც ჩალის ფასი აქვს...
მთელი არსებით ვგრძნობ ახლა მანძილს,
და ბედისწერაც თუ რა მკაცრია...
არ დამიტოვა თავისუფალი
სულში ადგილი არანაირი...
და თუ რამ შემრჩა ნასათუთარი,
გახდა უხეში და სხვანაირი...
ნუ, ნუ აწვალებ შენს თმებს თითებით,
მე ისეც ვიცი, რომ შენც მოგწონვარ...
მემახსოვრები სადაც ვიქნები,
გავუძლებ ჯადოს და ჯადოქრობას...
მესმის შენი ხმა, მესმის შენი ხმა,
ნუ, ნუ მეძახი ასე შორიდან...
რა ვიცი, იქნებ, ბედნიერიც ხარ,
მე კი, ვინ იცის, რა ბედს მოგიტან...
და თუ ვერ ვხვდები ახლა ვერაფრით,
ჩემ წილ სიხარულს რად მიმალავენ...
ალბათ, დრო თუა კვლავაც ვერაგი,
და ჩემს ოცნებებს შენს გამოც ჰკლავენ...

ზღვა ცხელია

ზღვა ცხელია, როგორც ტაფა...
და ნაპირი უფრო ცხელი...
ძარღვში სისხლი ამიქაფა,
და კენჭებმა დამწვა ხელი....
რა ძნელია, რა ძნელია,
რომ მე ამ ზღვას ისევ ვენდო...
ზღვას, ამღვრეულ ტალღებიანს,
ჩემი ხელი მკერდზე ედო...
ჰგავდა მისი გულისცემა,
როგორცა სცემს გული ჩემი...
ზღვას უნდოდა თავის შველა,
თუმცა, იყო თავის მკვლელი...
დამადევნე, დამადევნე,
ეგ ღიმილი შენ რომ გამკობს,
და თან ისე ამაღელვე,
რომ ზღვასავით მომენატრო...

ეს კოშკიც ნახანძრალია

არ მაქვს სურვილი აგიგო,
ოქროს და ბროლის კოშკები...
მაგრამ, ძვირფასო, რა გიყო,
უკოშკოდ როგორ მოგწვდები...
შავი ყოფილა სამყარო,
მე კი სულ თეთრი მეგონა...
დამშრალა ჩემი ცხრაწყარო,
ან მე რა უნდა მეღონა...
თუ სხვა ფერხულში ჩავები,
თუმც ფეხი ვერ ამიდგია...
თუ მწვავენ შენი ალები
მაგ თეთრ მკერდზე რომ გინთია...
შენ იქნებ სულაც არ გჯერა,
მე რომ ბედს ვეთამაშები...
არა, ძვირფასო, ამჯერად,
მე, მართლაც, ვერ გადავრჩები...
შენი მზე ჩემს გულს არ ათბობს,
ის მე ცივ სხივებს მიგზავნის...
როგორ გაირბენ მარათონს,
თუ არ არსებობს მიზანი...
დავნებდი, ჩემს ბედს დავნებდი,
ეს კოშკიც ნახანძრალია...
უშენოდ ვერც ავაგებდი...
თუმც, ესეც ჩემი ბრალია...

მაგ ღიმილის მსხვერპლი ვხვდები

შენს მოცინარ ლამაზ სახეს,
მშვიდად უმზერს ჩემი სევდა...
სევდა მკლავებს შემოგახვევს,
სევდას სულ არ ეღიმება...
მითხარ, რატომ აღარ ვეძებ,
იმ სიხარულს შენ რომ გგავდა,
ჩამიარა თითქოს გვერდზე,
წავიდა და დამეკარგა...
ცას აყრია, ცას აყრია,
ვარსკვლავები ხვინჭა–ხვინჭა...
დილამ ღამე გადახია
და ცისკარიც მიაფხრიწა...
შენთან ვეღარ დავბრუნდები,
რაც არ უნდა მომენატრო...
მაგ ღიმილის მსხვერპლი ვხდები,
უკვე, ჩემ თავს ამას ვატყობ...
ქარს რომ ჩუმად მიმოჰქონდა,

შემოდგომის ფოთლებია...
რაც მიყვარდა, რაც მომწონდა
სევდას გაუოხრებია...
მე მაგ სიცილს შენ რომ გიყვარს,
აბა, როგორ ავიცილებ?..
კაცმა რომ თქვას ან ვინ მკითხავს,
გეცინება და იცინე!..

მოდის, მოჩქეფს...

ჩვენ ორს შორის, ჩვენ ორს შორის.
ოდნავ ბჟუტავს ჯერაც კვარი...
მომეკარი, არ მომშორდი,
მე კი მაინც ხელი გკარი...
ხელი ვკარი მე შენს იმედს,
მას კი ჩემთან ყოფნა სურდა...
და ვუმზერდი ცრემლის წვიმებს,
უგულოდ და თავხედურად...
სიამაყის ბრალი იყო,
თუ დატოვა წლებმა კვალი?..
ჰო, რომელმა წამოიწყო,
მე მკვდარი ვარ, შენ ცოცხალი...
ჩვენ ორს შორის, ჩვენ ორს შორის,
შავმა კატამ გაირბინა...
სახლი იქცა რინგად ბრძოლის,
მოდის, მოჩქეფს ცრემლის წვიმა...

გავუყვები ცისკენ კიბეს

აღარ ელი, ალბათ, ჩემგან
არც ზღაპრებს და არც რომანებს...
შენი ნახვა მომარჩენდა,
თუმც, არ ველი არც მე ალერსს...
გავივლიდი ბეწვის ხიდზე,
ნაღვერდლებზე გავივლიდი...
შენთვის, რადგან, დღემდე ისევ,
ისევ ჩიტის ბარტყად გთვლიდი...
ვიცი, ვიცი, მაგ ბაღნართან
არვინ გაგიკარებია...
ჯერაც ისევ დგანან კართან,
კოცნაც დაგიბრალებია...
ბაღჩაში კი ამოსულან,

სულ ედემის ყვავილები...
მთიდან ბარში ჩამოსულან
მარტოსული ხარირმები...
გავუყვები, გავუყვები,
გავუყვები ცისკენ კიბეს...
გადაღლილი ჩემი მხრები
ორის წარსულს ვერ დაიტევს...
ეს ფიქრებიც ტალღებივით,
თითქოს მკერდზე მასკდებიან...
ვივლი, ვივლი, ცისკენ ვივლი...
კარს შევაღებ თაღებიანს...
სადაც ღმერთებს ტრაპეზი აქვთ
და ყანწებით სვავენ ღვინოს...
თუ რამ გული დამწყვეტია
ახლა უნდა მოვილხინო...

დასანანია

აქ არაფერი არ არის ჩემი,
აქ ყველაფერი ვიცი სხვისია...
აქ ვერ დავრჩები, აქ ვერ დავრჩები...
მე ხომ, შენც იცი, ცაში მიცდიან...
აქ ყოველივე დროებითია,
და თუნდ მსოფლიოც რომ მიითვისო...
დაგიმთავრდება მაინც მისია,
და წაგართმევენ სულ თითო–თითოდ...
მარადიული აქ მხოლოდ დროა,
სხვა ყველაფერი წარმავალია...
თუნდა ილოცო არა გამოვა,
კი, საწყენი და დასანანია...
ბოლოს შეგრჩება ოთხი ფიცარი,
და დაკრეფილი მკერდზე ხელები...
ზოგს უცდის ბაღნი სამოთხისანი,
ზოგს კუპრის ქვაბში ყურყუმელები...

რა მოხდებოდა

როცა შენ გხედავ, მშვიდს, როგორც დაისს,
როცა მტრედისფრად საღამოვდება...
როცა დაღლილი მზე ზღვაში ჩადის,
და ტალღა ტალღას ფრთხილად მოჰყვება...
როგორ არ მინდა, რომ დაარღვიოს,

რაიმე ძალამ ეს იდილია...
რა მოხდებოდა სულ ასე იყოს,
ამაზე ფიქრიც კი ტკივილია...
შენ არ გეხება, შენ არ გეხება,
ეს ჩემი სულის წყდება ძაფები...
ზღვაც შიგადაშიგ თუ იყეფება,
მეც აყეფებულ ზღვას ვემსგავსები...
მოსაღამოვდა და ვარსკვლავებში
მთვარე გზას იკვლევს ბანოვანივით...
და ამ ზეციურ სიმდუმარეში
მე ერთი დავალ შენით მთვრალივით...

რაა ცხოვრება

აქ გავჩერდები, შენთან, სულ ახლოს,
დარდებს მოვიხსნი ფრთხილად მხრებიდან...
ერთსა გთხოვ, მხოლოდ, ხელი არ ახლო,
თორემ წავლენ და დამიფრთხებიან...
ამას ვერა ვხსნი, რატომ მეგონა,
რომ შენს გრილ მკერდზე დავისვენებდი...
რომ გულს გაგლეჯილს სევდისგან ორად,
შენი კოცნებით გავიმთელებდი...
რაა ცხოვრება, სიკვდილ–სიცოცხლე...
ერთი ნაბიჯი მხოლოდ ზეცამდე...
ერთი ნაბიჯიც, ჩემგან იცოდე,
გვრჩება ყოველთვის გადარჩენამდე...
და დაგვაქვს, დაგვაქვს ჩვენ ჩვენი ტვირთი,
როგორც კლდე, სალი, ჩამორღვეული...
და სიცოცხლეში რასაც კი ვიმკით,
მასაც სიკვდილი გვართმევს წყეული...

ახლა სხვა დროა

აღარ ვეკუთვნი მე უკვე ჩემს თავს,
არც შენ გეკუთვნი, ეს კარგად იცი...
გული კი ფეთქავს, გული კი ფეთქავს,
თითქოს საათებს და წამებს ითვლის...
თუ შენ ისედაც გარბიხარ ჩემგან,

დროის ფლანგვაა ეს ლაპარაკი...
მე დედამიწა მინდა რომ შევძრა...
და არ მაწუხებს შენი ღალატი...
ანდა, ვინაა დღეს უცოდველი,
არსებობენ კი ანგელოზები?..
ბევრად მეტია ჩემში ცხოველი,
და უფრო მეტიც, იქნებ, მონსტრებიც...
ახლა სხვა დროა, ზიზილ–პიპილებს,
დააფრიალებს მთელი სამყარო...
შენ კი სულ სულში რომ მიჭვრიტინებ...
ისეთს რას ეძებ, ნეტა, რას წვალობ?..
გეტყვი, რომ სული გაუბრალოვდა,
დღეს ჭუჭყი მასში ბევრად მეტია...
ღმერთი კი არა სატანა გმოძღვრავს,
უმეტესისთვის კი სულერთია...
ნუ გააოგნებ, ნუ გააოგნებ,
სულს უმიზეზო გარდასახვებით...
თუმც, მეც ვღალატობ ზეცის კანონებს...
და ამას, ვიცი, შენც კარგად ხვდები...

გადაიარეს?

გადაიარეს? იმ დღეებმა ჩვენ რომ გვავსებდა,
ჩვენ რომ გვავსებდა, როგორც ჭიქებს შამპანურები...
როცა ჩვენს ირგვლივ მთვრალებივით დაფარფატებდა,
ანგელოზების გუნდი მთვარის დახატულები...
ახლა შენ ჩემი ერთადერთი ანგელოზი ხარ,
და შენს თვალებში მე ღამეებს ვეძებ წარსულის...
როდესაც ზეცა ვარსკვლავების რიდეს მოისხამს,
და მიწაც ხდება შინდისფერი თუ მეწამული...
ხელი მომხვიე, შენი ხელი, ასე სათუთი,
მინდა ჩავთვლიმო სიმხურვალის იმ ძველ მორევში...
იქნებ, მეგონოს, რომ იმ წლების ზვრებში დავბრუნდი,
ქარვის მტევნები რომ ბზინავდა ვაზის ფოთლებში...
გადმომაფინე, შენი თმები გადმომაფინე,
იმ ძველ სიტკბოთი მიღუტუნოს იის სურნელმა...
მე ხომ, ძვირფასო, მკვდარი ვიყავ და მომარჩინე,
რადგანაც შენმა სიყვარულმა გამასულელა...

ვარდი თუ ტიტები (ტატას, კვეკვესკირს)

ამ თვალებს, ამ ღიმილს, შენ რომ გაქვს,
შენ რომ გაქვს და აღარ იცილებ...
არ ვიცი, სადამდე გეყოფა,
არ ვიცი, სადამდე იცინებ!!!
თუ ფიქრობ, სამყარო შენია,
და რომ შეგეცილო, შევცდები...
და ღმერთსაც თუ გაუჩენია,
შენამდე, ეს მოხდა შემთხვევით?..
რას ფიქრობ, შენ ჩემზე არ ვიცი,
არ იცი, მე შენზე რას ვფიქრობ...
თუ ჩემთან სიშორეს განიცდი,
შევხვდეთ და ახლოდან გაგიცნობ...
იცოდე, საშიში არა ვარ,
და მიყვარს ფლირტი და გართობა...
მე დავრჩი ოცნების ამარა,
უშენოდ, გეტყვი, რომ მარტო ვარ...
პირველად ჯერ თვალებს შეგაჩვევ,
ან იქნებ შეგახო თითები...
მერე კი ყვავილებს შევარჩევ,
რა გიყვარს, ვარდი თუ ტიტები?..

თეთრად ათოვს

თოვლი თუ გსურს, ზეცა უნდა თეთრი იყოს,
რომ სპეტაკი ჩანდეს თოვლი ნათელ ცაზე...
ჩემი სული, ჩემი სული ამას ითხოვს,
ის მიელტვის პირველყოფილ სილამაზეს...
და ვაბიჯებ მე პირველ თოვლს გაუკვალავს,
ჩემს გარშემო კი ფიფქები ეცემიან...
თეთრად ათოვს, თეთრად ათოვს ღამის ქალაქს,
თოვლს ქალაქი სულმთლად გაუთეთრებია...
არ შეეხოთ, არ შეეხოთ ამ სიწმინდეს,
დე, იცოცხლონ თოვლში თეთრმა ფანტელებმა...
ნუ დაარღვევთ, ნუ დაარღვევთ ამ სიმშვიდეს,
ამ უწმინდეს და უთეთრეს გათენებას!!!

მიხრიგინებს ჩემი ეტლი

განა არა, განა არა,
შენცა მშველი, მაინც, მშველი...
მიწას ლურჯი ზღვები ფარავს,
ხოლო ცაა სულ შიშველი...
რა გავიგო, რა გავიგო,
მაგ ცისფერი თვალებისა,
თუკი, ოდნავ არ დამინდო,
თუ ჩახედვა არ მეღირსა...
მიაქანებს, მიაქანებს,
ჩემს ეტლს ქარი სულ სხვა მხარეს...
მთვარე თვალებს ახამხამებს
და ეჭვების მიქსევს ჯარებს...
ნუ დარჩები, ნუ დარჩები,
ჩემს სიტყვებზე ამრეზილი...
შენი ცივი უარები
ლოყებზე მაქვს აგლესილი...
მიგრიხებს ჩემი ეტლი,
ეჭვების და ჭორის გზაზე...
წავალ, წავალ, ჯარებს შევყრი,
ჰოდა, მაინც მოგიტაცებ!!!

მოფენილია მიწა ნაღველით

ღამეა, ზეცას ღრუბლები ფარავს,
და მთვარის შუქი კვალავს სიბნელეს...
მე შენი ნატვრა ისევ თან დამაქვს,
როცა სხვაგან ხარ, მე ვერ ვისვენებ...
ღამეა, მე კი არ მეძინება,
მოფენილია მიწა ნაღველით...
ღია სარკმელში ქარი იჭრება
და ჩემს დარღვეულ სახეს დასცქერის...
მე კი ვიგონებ შენს გამოხედვას,
თვალებმა მკერდში რომ გაიარა...
გულიდან სევდამ რომ ამოხეთქა
და ყველა ძარღვი დააზიანა...
იყო დრო, როცა დროსაც ვასწრებდი,
თუ დროზე ვიყავ გადაჭდობილი...
და თუკი სახეს გაიმკაცრებდი,
შხამიც შემისვამს შენი მოწვდილი...
ღამეა, მალე ცაზე ღრუბლები,
ვეფხვის ბეწვივით აიჯაგრება...
მე დღეს სეტყვის ღმერთს მივეკუთვნები,

მეხი და ელვა უკან დამყვება...
მალე ქუხილი ზეცას გაარღვევს...
დამავიწყდება შენი თვალები...
შენ ზეციური გაქვს სილამაზე,
მე კი თითებად ნაკვერჩხალები...

თუ დავბრმავდი

რა მინდა, ან რა არ მინდა,
მე არავინ მეკითხება...
ჰორიზონტი გადაწითლდა,
მე კი სული მეყინება...
ღამე, მგონი, აცრილია,
მე ვარ მისი ტეტანუსი...
ჩემი მიწა გაცვლილია.
და უცხო ვარ ჩემს მამულში...
თუ ყელს თოკის ყულფი ელის,
ტერფებს ელის ცეცხლის ალი...
მოკვეთილი ჩემი ხელი,
ცას ჰკიდია სისხლიანი...
თუ დავბრმავდი, უნდა მითხრა,
თუ გაშავდა ლაჟვარდები...
ან ყინული თუ ჩამიტყდა
და არსად მაქვს გასაქცევი...
იქნებ, მოვკვდი, აღარა ვარ,
აღარ მიდგას წვეთიც სისხლის...
ჯოჯოხეთის ფანჯარაღა
ან ეშმაკი თუღა მიცდის...

დარტყმა

დარტყმა დარტყმაზე, ტყვია ტყვიაზე,
ესეც მეხუთე, დიდი მადლობა!!!
ამდენი შხამი, ამ განთიადზე?
ღამის ეშმაკთა მიმზერს სარდლობა!!!
რაა, ძვირფასო, ხომ არ გეტკინა?
მე ვიცი შენი გულის წამალი...
ბრძოლას აჯობებს ისევ შენდობა,
ძაღლსაც სჭირდება თავშესაფარი...

აი, ზეცის კარს შეგიღებ, თუ გსურს,
მზე ემზადება გამოსასვლელად...
მზეს გული უწუხს, მზეს გული უწუხს,
თურმე ვერ უძლებს მთვარის აღგზნებას...
ცისკრის ვარსკვლავი გამოჩნდა ცაზე,
და იადონიც უკვე გვიგალობს...
შენ კი, ცრემლებით ასეთმა სავსემ,
სჯობს, ეს ერთი დღეც გადაიტანო!!!

ბოროტება

რა დაამშვიდებს ჩემს ამღვრეულ სულს?
თუ ბოროტება გადამდებია?
არავინ არ მძულს, არავინ არ მძულს,
თუმც, სიძულვილი ხშირად მხლებია...
ასიათასი მიზეზი ვიცი,
რომ გავბოროტდე, როგორც სატანა...
მე კი კვლავ ვიცდი, მე მაინც ვიცდი,
თუმც, სისხლმა მკერდში გამოატანა...
ეს სისხლიც არის, ვიცი, ორგვარი,
სისხლი შავი და სისხლი წითელი...
მევე ვარ ჩემი სისხლის მომბანი,
ასეა, შენ კი ცუდად მიცქერი!!!

„ამ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო“ გალაკტიონი

მე კი სამარეს გავუთხრიდი, სიამოვნებით...
ამ დღეებს, ამ წლებს, გარდამავალებს...
დღეები? არა, ესენია ნაღდი მონსტრები,
წლები, რომლებსაც, მართლაც სჯობდა, ალბათ, სამარე.
მკვდრებისა გშურდეს, ვინც წავიდა და აღარაა?..
ან ამ ნგრევის წლებს რა სახელი უნდა დაერქვას?..
რა პატარაა საქართველო, რა პატარაა,
რა უნდა, მართლაც, ჩემი მიწის გაგლეჯ–გაფხრეწას?!!
აქ ყველაფერი იყიდება, ყველა მტკაველი,
სულ ყველა გოჯი, თითო–თითოდ, ერთად ათასი...
სული, სიცოცხლე, ყველაფერი, სუყველაფერი...
ნიჭი, ღირსება, ვინმეს შერჩა ამ ქვეყანაში?..

არ გაიმეტე

ყველას თავისი ქალაქი უყვარს,
ყველას თავისი კერპიც ჰყავს, ალბათ...
რასაც ინახავს გულში სათუთად...
და ქებით მეცხრე ცაზეც კი აჰყავს...
არ გაიმეტე, არ გაიმეტე,
შენ ჩემთვის ერთი, სულ ერთი სიტყვა...
მე კი მახსოვდა შენი სიკეთე,
მას მერე, დიდხანს, ძალიან დიდხანს...
გკითხავდი, ასე რამ დაგაღონა...
შენ ხომ რაც გქონდა, მართლაც, გაეცი...
ჩემს ნაცვლად, ვიცი, სხვა გეამბორა,
სხვას შეუნახე შენი ალერსი...
რაც მოხდა, მოხდა, ვერაფერს შეცვლი...
წაღებულია ყველა ხიდები...
დონ კიხოტივით, მეც მირაჟს შევრჩი,
და წისქვილის ფრთებს ზედ ვეკიდები...
ღირდა კი, ნეტა, თავის განწირვა,
მე რომ ვერაფრით ვეღარ გავჩერდი...
ჩამოშლილია ბუდე არწივთა,
და დახოცილან მათი მართვები...

ნუ მპირდები

ნუ მპირდები, რომ გულს მომცემ,
რომ ეგ გული ჩემი არი,
არ წამოგცდეს, არ წამოგცდეს,
მე გიჟი ვარ, ფეთიანი...
სად წავიღო შენი გული,
იმედებით მოფართხალე,
ვერ მოვუვლი, ვერ მოვუვლი,
როგორც უყვართ მოვლა ქალებს...
ზედ ან ღვინო წამექცევა,
ან არაყი და ან ვისკი...
ჭკუა სხვისკენ გამექცევა,
ამევსება თვალი სისხლით...
ჩემს სიგიჟეს, ჩემს სიფეთეს,
შენი გული ვერ გაუძლებს...
ატირდება, დაიკვნესებს,
სხვას აჩუქე, ვინც გაუგებს...

სულ სხვას ვეძებდი

ჩამომაწერენ დღეები წამებს,
თვეები წუთებს,
წლები საათებს...
თანაც მიქრიან და მილეწავენ,
როგორც მერნები,
ქედებს, ქარაფებს...
ისინი აღარ დაბრუნდებიან,
როგორც შენ აღარ დამიბრუნდები...
და ჩემით აღარ შეწუხდებიან,
ლარნაკში მჭკნარი თაიგულები...
სულ სხვას ვეძებდი,
სულ სხვა აღმოჩნდი...
დროის ტიტრებზე გამოსახული...
ვიგრძენ, როგორც კი მომიახლოვდი,
რომ აწმყოც გაქრა,
როგორც წარსული...
მივხვდი, მომავლის კარი შევაღე,
რომ თეთრ ანგელოზს
შევხვდი ფრთებიანს...
რომ რაც კი რამე იყო შენამდე,
თურმე, უბრალოდ დამსიზმრებია...
ისევ ქანაობს, ისევ ქანაობს,
ყურზე ალმასის თეთრი საყურე...
მოსარკულ ტბაზე მიჭყუპალაობს
მზერა, რომელიც დავიმსახურე...

მოვა ზამთარი

ალბათ, თოვლს ისევ მალე ჩამოჰყრის,
ჯერ კი ზამთარი კვლავ ემზადება...
რათა მოქსოვონ ცაში სამოსი,
თოვლის ფიფქების პატარძალებმა...
დროებს არ უნდათ ბევრი პატიჟი...
ამ მარადიულ წრეთა ბრუნვაში...
მოვა ზამთარი თეთრ თმებს გაიშლის,
და მიწაც წავა კვლავ ძილბურანში...
დავუბრუნდები მეც ზამთრის დღეებს,

ბრუნავს ფიქრების კრიალოსანი...
რომ შენს ხორბლისფერ მკერდზე ისვენებს,
ახლად გაშლილი ორი შროშანი...

აპათია

ასე მგონია, არაფერიც არ შემიქმნია,
აზრი არა აქვს აღარაფერს, არა აქვს აზრი...
ცხოვრება ერთი ნაცრისფერი ცივი ნისლია,
ცხოვრება ერთი ბაზარია უზარმაზარი...
მე რა ვაკეთე, გავაჩუქე ჩემი გრძნობანი,
მძიმე დღეები ბაწარივით ხელზე მეხვია...
ხშირად მსმენია მეგობართა თანაგრძნობანი...
რომ სულ წინ მევლო და უკან კი არ დამეხია...
მაგრამ თუკია ეს ცხოვრება გზაჯვარედინი,
და ყველა გზაზე, ყველა გზაზე მგლები გელიან...
იყავ ვინც გინდა, ბონაპარტი, ჯალალედინი...
აზრი არა აქვს, სამარეში მხოლოდ ძვლებია...
მოდი, ძვირფასო, ჩაგიხედო ყავის ჭიქაში,
აი, ჩიტს ხედავ? ეს ნამდვილად შენი ბედია...
ეს კი რა ხდება? ქმარი გაგცვლის ჟოზეფინაში...
მას შენს მაგიერ ვიღაც კახპა შეჰყვარებია...
შენ გეცინება, მე კი ვიცი რომ ეს ნაღდია,
რადგან არასდროს წინათგრძნობა არა მღალატობს...
იცი, რატომღაც, შემომიჩნდა დღეს აპათია...
და მეც დავნებდი მის ცივ ბრჭყალებს ულაპარაკოდ...

აღარ მართობს

თენდება დილა და ცრემლი აქვს მასაც თვალებში,
მე კი სახელი მომეძებნა მისთვის მინდოდა...
რა ყრია, მითხარ, მზის უმაღლეს სივარვარეში,
თუ გულზე მაწევს ზამთრის პირის უამინდობა...
გარეთ ნაძვებმა გადმოიღეს ყაისნაღები,
გამოიტანეს საახალწლოდ თავის გირჩები...
და იქსოვება სინანულის თეთრი ძაფებით
მწვანე წიწვებზე ყინულების მარგალიტები...
საოცარია, აღარ მართობს ცივს და ეჭვიანს,
არავითარი საახალწლო დღე და განწყობა...
ეტყობა სული იმ სიხარულს გადაეჩვია,
რომელსაც ერქვა უდარდელი ჩემი ბავშვობა...

ვარდი

ამ ვარდზე ახლა რაიმეს დავწერ,
ამ ვარდს ისეთი ფერები ახლავს...
რომ უნებურად თვალებსა მტაცებს,
მაგონებს მკერდზე დაკიდულ ვარსკვლავს...
ეს შინდისფერი ზოლი ხავერდის
თითქოს გასდევდეს ძუძუს ქალისას,
ფიფქის წინწკლები ნაკამკამები,
ხოლო ფურცლები ცეცხლის ალისა...
ამ ვარდს ვერავის ვერ ვაჩუქებდი,
დავიჩემებდი და არ გეწყინოს...
ვარდი, რომელიც წითელ ტუჩებით
ჩემ სამარეზე მინდა ეფინოს!!!

მერამდენე გაზაფხულია

მეწამულ ზეცას, შერევია ვერცხლის ღრუბლები...
მთვარემ სასწრაფოდ სადედოფლო ტახტი დაიდგა...
შემოაცალა მინდვრებს სხივმა ჭირხლის ხუნდები...
ცისარტყელები აფერადდა ათასნაირად...
ადიდებულ წყლებს ხევხუვებში მოაქვს ლოდები,
ქედებს აკვირვებს ჩანჩქერების სილაღე, ვარდნა...
თითქოს ყვავილნარს შეფენოდნენ ქალბატონები,
ირმების ჯოგმა ხეობაში გაინავარდა...
შენ ხომ არ იცი, მერამდენე გაზაფხულია,
რომ მიწას დღემდე გაღვიძება ასე ახარებს...
რამდენ ქარიშხლებს, რამდენ ყინვებს გადაუვლია,
ან ამ მთებს ჟამი მერამდენედ გააზღაპარებს...
მალე, სულ მალე, მწვერვალებიც შეიცვლებიან,
მედიდურობას დაკარგავენ მათი შუბლები...
რადგან ზვავები გაცოცხლებას ეღირსებიან,
და სიკვდილს მშვიდად შეხვდებიან ძირს გართხმულები...

თუ სიყვარულიც ჩამოვლაზეა

როგორც მოხვედი, ისე წახვედი,
არც მოსვლა მკითხე, წასვლა, საერთოდ...

მაშინ სიყვარულს თავს რად მახვევდი...
თუ მშვენივრად ვძლებთ უერთმანეთოდ...
მაშინ, თმებს შავად რად იღებავდი,
ანდა სისხლისფრად ბაგეს საცხებით...
მიმზერდი, მაგრამ ვერა მხედავდი...
იცოდი, ისეც დამამარცხებდი...
მართლაც, ასეა, მართლაც, ასეა,
ვერ მივხვდი რატომ გამინაწყენდი...
თუ სიყვარულიც ჩამოვლაზეა,
ერთ–ორ კოცნასაც დავიმატებდი...

გაუგებრობა

მსხვერპლი ვარ რაღაც გაუგებრობის,
მე კი არა მსურს მაინც გავჩერდე...
როდესაც მკერდში სევდა შემოდის,
და ჩემს შეცდომებს ხელში მაჩეჩებს...
ველი მეგობრებს, ველი მეგობრებს,
აღარ ანთია მათი სანთლები...
ისინი მხოლოდ ხსოვნას შემორჩნენ,
როგორც კედელზე ძველი ხატები...
მე კი კვლავ ველი, მაინც, რატომღაც,
ან რომ მესტუმრნენ გამიკვირდება?..
ვერ ჩააბარებ ყველა გამოცდას,
კოცონზე მხოლოდ ხორცი იწვება...
სული კი რჩება, სულს არ ეხება,
გილიოტინა და ეშაფოტი...
სამგლოვიარო ვარდები ხმება...
ვარდები მიწის სულის ნაყოფი...

არ დამიკეტო

არ ვაპირებდი, არ ვაპირებდი,
რომ შენში ჩემი თავი შემეცნო...
არ გააჩნია ცას ნაპირები,
შენი სულივით საუკეთესო...
ან შენს სიყვარულს მე ვინ შემარჩენს,
ვერ მოვიფიქრე მე სხვა ფინალი...
ფრენა ზეცაში უყვარს შევარდენს,
მიწაზე ხდება ის უწყინარი...
არ დამიკეტო, არ დამიკეტო,

გზები, რომლებიც შენსკენ მოდიან,
ის ჩირაღდანი გულში რომ მენთო,
სამარადისო ცეცხლი როდია...
თუმც, უძლებს, უძლებს ჩემი ხომალდი,
ზღვებს განრისხებულს შენი ბრძანებით...
ის მშვიდად ხვდება ქარს ამოვარდნილს,
და ტკბება კიდეც ცის მრისხანებით...
ასე ვარსკვლავი ვარსკვლავს დაეძებს
და ფეთქდებიან თუკი ხვდებიან...
შენ სად გიპოვო, რომელ განედზე...
ან ვის ბუდეში ჩაგძინებია?..

სიცოცხლე მართლაც სასწაულია

ზოგჯერ მგონია ჩემს სიველურეს,
მართლაც, არა აქვს, თითქოს, საზღვრები...
სიცოცხლის ნაცვლად შენ მიერთგულე,
ყოველთვის, თუკი მოგენატრები...
შენ კარგად იცნობ ჩემს ისტორიას,
მე გავიარე ყველა ეტაპი...
გველეშაპთანაც კი მიბრძოლია,
და ეპიზოდებს თვითონ ვძერწავდი...
სიცოცხლე, მართლაც, სასწაულია,
თუმც, გვიჭირს ხშირად დანახვა მისი ...
ვამჩნევთ ქალის ყელს სამკაულიანს,
თვით სიცოცხლე კი არაფრად გვიღირს...
და თუ თითები შენს მკერდს ვხება,
ძუძუს, რომელიც სიცოცხლეს ბადებს...
ეს ზღვის ტალღები კლდეს ეხეთქება,
და სადაცაა ტინებს შეანგრევს...

ეჭვის ხიჭვი

ვის ვეჯიბრები, რას ვეჯიბრები,
ძნელია ომი საკუთარ თავთან...
როცა მე ვტირი, შენ იღიმები,
იწყება ბოლო წამების ათვლა...
და ეჭვის ხიჭვი შიგ ნეკის ფრჩხილში,
გველის შხამივით ძარღვში მესხმება...
ეჭვი, რომელიც შენს ნახვას მიშლის,

და საუბარშიც ხშირად ეჩრება...
კაი, მოიგე, ბოლო ერთია,
ხან ბოროტია, ხან კი კეთილი...
თუმცა, იქამდე საგიჟეთია,
რომელშიც მე ვარ ამოკეტილი...
ან უკვდავება სიკვდილის მერე,
რომ მოდის, აბა, რაღა გემო აქვს...
საფლავის ქვაზე ისეც გვიწერენ,
ცოდვილი ვიყავ, ვითხოვ შენდობას...
სიკვდილის მერე, სიკვდილის მერე,
ვიღაც აღადგენს ტაძრებს ჩამოშლილს...
მაგრამ დღეს რომ აქ ზარები ჟღერენ
ესმის კი ვინმეს იმ სამყაროში?..
ვის ვეჯიბრები, რას ვეჯიბრები?
რის პასუხია ასეთი განცდა?..
მიწა ვიყავ და მიწად ვიქცევი...
ალბათ, შენსავით, მეც ყველას მსგავსად!!!

მეც ვერას ვუგებ

წამოხვალ, მინდა შემოვუარო,
ამ დედამიწას შაჰინ–შაჰივით...
ვნახო ვულკანი სადა მუხთალობს...
ზღვა სად ბობოქრობს გველეშაპივით...
არ მითხრა, თითქოს, ჩემი არ გესმის,
ან რომ ჩემს აზრებს ვერა გაუგე...
მიჯაჭვული ვარ ცაზე თასმებით,
მეც ვერას ვუგებ ჩემს აბდაუბდებს...
იყო დრო, როცა მსხვერპლად სწირავდნენ,
ბავშვებს და ქალებს კანიბალები...
ღამით ანთებდნენ ცოდვის ჩირაღდნებს,
და ღრიალებდნენ სისხლით მთვრალები...
გადაიარეს, გადაიარეს,
ბევრმა წლებმა და ბევრმა დროებმა...
დღეს ისევ სჭამენ ადამიანებს,
დღეს ისევ უყვართ სისხლი მოძმეთა...
სისულელეა თავისუფლებაც,
თავისუფლება მთელი ერების?!.
თუ უამრავი ჯერაც ჩუჩელა,
ტკბება მონობის ბედნიერებით...
სასაცილოა, რადგან მეფენიც,

თავს მონებივით ხშირად სწირავდნენ...
და თუ ბაგენი ვიგემე შენი,
მაშინ, ეგ შენი სხეულიც მანდე!!!

მე ვიქნები თქვენი მეკვლე

მოდით, ყველა ერთად შევხვდეთ,
ერთად შევხვდეთ ამ ახალ წელს...
მე ვიქნები თქვენი მეკვლე,
ხოლო ზეცა გადაგვარჩენს...
ღმერთმა ტკბილად დაგაბეროთ...
მიწყივ ყველა, ერი, ბერი...
მსურს მთლიანი საქართველო
იყოს ჩემი მასპინძელი...
დაგაბედებთ, დაგაბედებთ,
ხვავს, ბარაქას, სიტკბოს, სითბოს...
ყველგან თოფი ისე ჭექდეს,
ექო ღმერთმაც კი გაიგოს!!!
ფუძე–ჭერი გვქონდეს მტკიცე,
დუღაბივით ურღვეველი...
და შვილებიც მტრების ჯიბრზე,
გვეძლეოდეს ულეველი...
ცა გაიხსნას, ცა გაიხსნას,
და ცვიოდეს ყვავილები...
იზეიმოს ჩვენმა სისხლმა,
ზეცის ძალით და ღვთის ნებით!!!

სხვა გზა არა მაქვს

მე შენთანა ვარ, თუმცა, არ ვიცი,
ვისთან დადიხარ, ვისთან ნებივრობ...
ვინ გეფერება სილამაზისთვის,
ვინ გკოცნის და ვის უნდა ერიდო!!!
სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავნებდე,
სხივებს რომლებიც შენგან მოდიან...
მსურს, მკერდში ცეცხლი რომ მძვინვარებდეს,
და შენს თავს ვთხოვდე ბედის ზოდიაქს...
ასე მიწაში ჩნდება ალმასი,

დაუხმარებლად, უჯადოქაროდ...
და თუ ტყვიები დევს იარაღში
ძნელია უკან რომ ამოჰყარო!!!
და რა გგონია, რისთვის დაძრწიან,
ზღვაზე შტორმი და მთაში ქარები...
თუ დინასტიას სხვა დინასტია
ცვლის, ვინ არიან დამნაშავენი?..
გამჩაღებელნი ყველა ომების,
მე ვფიქრობ, მართლაც, იყვნენ ქალები...
ამრევ–დამრევი მშვიდი ცხოვრების,
ამ სიზმარეთის დედოფალები...

რატომ არ გჯერა

რატომ არ გჯერა, ჰო, ნუ გგონია,
რომ ჩემი მზერა გაურბის შენსას...
რომ გულს ამ ჯერზეც სხვა უპოვია,
რომ აყურადებს სხვის გულის ძგერას...
გაცვეთილია, რამდენიც გინდა,
სასიყვარულო ტექსტის სიტყვები:
"კარგო, ლამაზო, ტკბილო, თავნება,
სატრფო" თუ სულ სხვა მარგალიტები...
გაცვეთილია თვით ლექსის ფორმა,
რიტმი, რითმა თუ ალეგორია...
ხშირად რასაც ვწერ მგონია ბოდვა,
და იქნებ მეტიც, ყალბი მგონია...
ისე ბლომად გვყავს ლექსის მეტრები,
თავი რომ ასე ყინჩად უჭირავთ...
აბა, მე იმათ რას შევედრები...
მე ხომ იმათთვის საპნის ბუშტი ვარ...
ვთვლი, უნიჭობას მეტი ძალა აქვს,
ის ლავირებას ადვილად ბედავს...
იგონებს ტერმინს, რომლითაც ფარავს,
საკუთარ ნაკლს და სახელს კი ბერავს...
ჰოდა, უბერონ რამდენიც უნდა,
და დააკნინონ ლექსი თუ ენა...
საწნახელივით დრო ლექსსაც სწურავს...
და ისტორია მოუვლის ყველას...

დროც გადაივლის

დროც გადაივლის მეტეორივით,
და შენს კანს ახლა ასე რომ ბზინავს...
დააცხრებიან, მალე ქორივით,
წლები, როგორც ბარტყს, როგორც წიწილას...
ჯერ კი, დრო შენთან მხოლოდ კამათობს,
და შენც საკუთარ წლებით ერთობი...
ჰო, ლამაზი ხარ, როგორც არასდროს,
და ბრწყინავ, როგორც მეტეორები...
ყველა ვარსკვლავი ჩაქრება, ალბათ,
ძველ ბზინვარებას დაკარგავს კანი...
და გესტუმრება სიამის ნაცვლად,
დარდი, თვალზე რომ ცრემლად აქვს ნამი...
გადაივლიან, გადაივლიან,
წლები, სევდით და მკერდზე ბზარებით...
და მათ, ვინც ახლა დედოფლად გთვლიან...
ვერ გეტყვი ისევ თუ ეყვარები...
ჯერ კი შენს ლოყებს ასდის ალმური...
ანათებ და მეც თვალს ვერ გაცილებ...
ხარ ბედნიერი და მხიარული...
და წლებსაც ცხელი კოცნით აცილებ...

არ მეგონა

არ მეგონა თუ ჩემს სიტყვებს
ასე გულთან მიიტანდი,
მართლა, მართლა, დამიჯერე,
ეს ნამდვილად არ მეგონა...
იცი, რაღაც სილამაზეს,
ალბათ, კიდევ ავიტანდი...
მაგრამ შენ რომ აღმოგაჩნდა?
საერთოდ არ გამეგონა...
თითქოს ბედმა ჩემს ცხოვრებას
გადაუსვა იმწამს ხაზი,
თითქოს დავრჩი სადღაც ველზე,
მარტოდმარტო, როგორც მგელი...
სადაც წარღვნას ველოდები,

ისიც მორბის ჩემსკენ ბრაზით,
დღეს წარღვნა და მეწყერია,
მართლაც, ჩემი მასპინძელი...
რომც მინდოდეს, ხომ ვერ ავხსნი,
რა მჭირს, რა მსურს, რა მახარებს?..
არ გეწყინოს, ვერ გავბედავ,
რომ შენს გზაზე შევდგა ფეხი...
ზოგჯერ, მართლაც, ერთი სიტყვაც
ბედისწერის ტოლფასია...
შენ ლამაზი ყვავილი ხარ,
მე კი ელვა, იქნებ, მეხი...
თუმც ვიღაცამ ამურების
მთელი ჯარი მომასია...
იტევს, იტევს, გული იტევს,
ჯერაც იტევს ყველა გრძნობას,
ყურში ვიღაც ჩამჩურჩულებს,
ნუ გადახვალ ნურსად საზღვრებს...
ხოლო ჩემი ორეული,
ფიქრობს, ასე არ გამოვა,
რადგან მალე ვინმე მოვა
და სიყვარულს ის წამართმევს...

რად გეშინია

მოვა საღამო და ცისფერ ნისლში,
ცად ვარსკვლავები ქოლგებს გაშლიან...
რად გეშინია ჩემი სიშიშვლის,
ჩემთან შეხვედრის რად გეშინია...
თუ ყოველ ღამეს მთვარე და მიწა
მთვარე და მიწა ერთად არიან...
მე შენი სახე რამ დამავიწყა,
რამ დამავიწყა, საოცარია...
თითქოს მიშლიან, თითქოს მიშლიან,
შენს გახსენებას ღამის ჭინკები...
და თუ უშენოდ არ შემიძლია,
ერთსა გთხოვ მხოლოდ, ნუ დამიფრთხები...
შენს ცისფერ თვალებს ასე ნაღვლიანს,
ნუ დამანახებ, ნუ დამანახებ...

ამაღამ კარი დატოვე ღია,
როგორ მოიქცე, მე გიკარნახებ!!!

არ ვიცი

არ ვიცი, ამ ყელს რა ჰქვია,
არც შენი მკერდის სახელი...
ქვეყნად ლამაზი რაც კია,
შენშია და მეც დავცქერი...
ვფიქრობ, საიდან დავიწყო,
ამ ოქროს ნაკვთა შექება...
როცა თვალები ქარიშხლობს
და თითი ძუძუს ეხება...
ღმერთო, რამდენი რამეა
ამ მკერდზე გადმოხატული...
ზედ ორი სავსე მთვარეა...
შუაში თონე ჩაკრული...
ყელს რომ ჩაუდის ლავიწთან
გადახლართულა მძივები...
და სანამ გული გამისკდა,
სანამ მთლად ჩავიძირები...
მაჩუქე შენი თვალები,
შენი ტუჩებიც მაჩუქე...
მაკოცე, ნუ მეკრძალები,
მთლიანად ნუ დამამუნჯე...
იქნებ, მოიხსნა საყურე,
ეგ ბრილიანტი ფირუზის...
თორემ შენს ლოყებს მაწყურებს,
თვალებს, ზღვას რომ ჰგავს სილურჯით...
მოკლედ, არც ვიცი რა გითხრა,
რით ამოვწურო სათქმელი...
ხან ნაზი თეთრი ვარდი ხარ,
ხან გედს მაგონებ აფრენილს...

თოვს

თოვს, თოვლი აზრობს ვარდის თეთრ ფურცლებს,
ფიფქები შენს თლილ თითებს ადნება...

აღარ მაწუხებს, აღარ მაწუხებს,
დრო რომ არ ცდილობს გამოდარებას...
გავა ზამთარი, გადარჩებიან,
გადარჩებიან, ალბათ, ვარდები...
მე კი ჩავყურებ შენს მკერდს ვნებიანს...
თოვლში ვდგავარ და მეც ვინამქრები...
ნუუ, ნუ ეტყვი ჩემს ამბორს უარს,
ის ამ ფიფქივით არის სპეტაკი...
რადგან ეს გრძნობა სიყალბე თუა,
ჩემს გულს მე თვითონ დაგიკეტავდი...
და არც არსებობს თეთრი ვარდები,
ამ ჩემს ვარდებზე უთეთრესები...
ზეცაა, მხოლოდ, ჩემი გამგები,
მეც მესმის მისი ამოკვნესები...
თოვს, ჩემს გარშემო სიცარიელე,
გადაათეთრა თოვლის ფანტელმა...
ნუ მიშვებ ხელებს, ნუ მიშვებ ხელებს,
თორემ ეკლებიც იცის ვარდებმა...
და თუ ვერ შევძელ, რომ შენც გაგითბო,
ეგ გაყინული ცივი თითები...
გული მაქვს ცხელი და მას დაგითმობ,
მოკიდე ხელი, წამსვე მიხვდები...

მე ვულკანები მმატებდნენ ძალას

დამაგვიანდა მე შენთან მოსვლა,
თუ ადრე მოველ, ვერაფრით ვხვდები...
ხომ არ წამომცდა, ხომ არ წამომცდა,
გულს რომ გატკენდა რამე ისეთი...
ნუ იღიმები, ნუ იღიმები,
და ერთსაცა გთხოვ, კარს ნუ მიკეტავ...
მე მაწოვებდნენ ძუძუს ირმები,
მზე მაღვიძებდა და მაძინებდა...
მე ვულკანები მმატებდნენ ძალას,
და მწვერვალებმა შემასხეს ფრთები...
მე ჩემი სულის უებარ წამალს,
შენს წარმოსახვას ჩუმად ვასმევდი...
მე, ვიცი, ვიცი, რომც შენც გიზიდავ,
რომ ითვლი ჩემთან შეხვედრის წამებს...
მე შენ შეგქმენი ჩემი სიზმრიდან,
და ჩემს მეტს სხვას შენ ვერ შეიყვარებ!!!

რომც გამაცოცხლო

ნუ მიხდი ბოდიშს, რა საჭიროა?..
შეცდომა, განა, ვის არ მოსვლია...
შენი ცხოვრება თეთრი ტილოა,
ჩემი კი, ალბათ, ნაღდი მონსტრია...
არ დაითვალო, არ დაითვალო,
ჩემს შიშველ გულზე ნაჭრილობევი...
მინდა შენს მკლავზე გარდავიცვალო,
და ირგვლივ დადგეს სისხლის მორევი...
რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდე,
ვერ დამივიწყო ვერცერთი წამით...
ჩემი ტკივილი სულ თან დაგქონდეს,
გაგონდებოდე დღითა და ღამით...
რა საჭიროა, რა საჭიროა,
ეს ქვითინი და ცრემლის ღვარცოფი...
თუკი ჭრილობა სასიკვდილოა,
ჩემნაირები კვდება ასობით...
გესმის, ღრიალებს ნოემბრის ქარი
და დეკემბერსაც ცუდად ახველებს...
ეს მე ვარ, მე ვარ, გამიღე კარი...
თორემ მთელ ღამეს არ დაგასვენებ...
ღამეა, ცაზე მთვარეს ელიან...
აქა-იქ ცვივა მეტეორები...
შენი წუხილი ისე წრფელია,
რომც გამაცოცხლო, მაინც მოვკვდები...

ახალ რიტმებს მე არ ვეძებ

რაც დრო გადის, ბევრ რამეზე,
ბევრ რამეზე მწყდება გული...
ახალ რიტმებს მე არ ვეძებ,
ძველებით ვარ მოთაფლული...
როკი, ბლუზი, როკენროლი,
და იმ წლების სიგიჟენი...
შენი სული, როგორც ბროლი,
ღამეების სიფხიზლენი...
მდინარე ვარ, ზღვისკენ ვილტვი,
მივაგორებ მისკენ ლოდებს...
რა დაითვლის, რა დაითვლის,
ვინ დაითვლის დღეს ჩემ ცოდვებს...
შორს ნუ წახვალ, მოტრიალდი,
ყელზე მძივი დაგვიწყნია...
შენ რომ გულში გრძნობას კლავდი,

მე ხომ ხელიც არ მიხლია...
ნუ აწუხებ, ნუ აწუხებ,
იმ სიზმრების გაჰქრა კვალი...
რად მახსენებ იმ ტკბილ წუთებს,
როცა შენზე დამრჩა თვალი...

რა ურცხვი ხარ, რა ურცხვი ხარ, მუდამ სილის გაწვნის ღირსი... (რომელიღაც ანთოლოგიიდან)

მივაჭენებ ღრუბლის ცხენებს,
ღრუბლის მათრახს ვაწნავ ფერდში...
თავს ხან მეხი შემახსენებს,
ხან კი ელვა იწვის ცეცხლში...
მივქრი, სანამ დაიშლება,
ღრუბლის თეთრი ნაწნავები...
სანამ ცაზე წაიშლება
ეს ბრწინვალე ვარსკვლავები...
მივქრი, სანამ შემაჩერებს,
ღმერთი თავის მძლავრი ხელით...
ან შემომხვევს ყელზე ხელებს,
შხამიანი ღრუბლის გველი...
შენ ძუძუზე ხალი გქონდა,
ხალი გქონდა, მახსოვს, მკრთალი...
ცაზე ცხენთა რემა ქროდა...
ძუძუს თავზე თრთოდა ხალი.

ტანგო

ასე, მშვიდად, წვეთ-წვეთობით,
რიტმს მაწვეთებს ვიღაც სისხლში...
ქალია და ვერ ვენდობი,
ახლა ჩემს წინ თმებს გაიშლის...
მიაფრქვია, მოაფრქვია,
თვალებიდან შუქი გიშრის...
უკვე ჩემთან მოაღწია,
ალბათ, ძუძუ-მკერდს ჩამიხსნის...
ფეხი თვითონ გასრიალდა,
მიეწება ხელებს ხელი...
და სწრაფადვე გატრიალდა,

ქალი შველი, ქალი გველი...
მე მტევნები ქვებად მექცა,
წამით შედგა, შეკრთა ქალი,
თვალი ჩემსკენ გამოექცა
და მეც წამსვე ავეკარი...
ჩვენ კი არა, დარბაზია,
ასე სწრაფად რომ ბზრიალებს...
ქალმა თავი გადასწია,
წითელ კაბას აფრიალებს...
მარწევს, მარწევს, როგორც ნავი,
მოფართხალე ტანი მისი,
და მოქნილი თეთრი მკლავი,
ჩემს ცხელ მკერდზე ადგილს იცვლის...
შუა ტაქტზე ტანგო წყდება,
ქალს თვალები რჩება ღია...
მე ილეთი მავიწყდება,
მან კი მკერდი შეარხია...
ეს სულ რაღაც, იყო წამით,
ქალს ღიმილი შერჩა ტუჩზე...
და დარბაზი, ჟინით მთვრალი,
მიაჩერდა ქალის უბეს...
თურმე ხდება, ასეც ხდება,
გადაირღვა თეთრი მკერდი...
რა ქნას, ჩემს მკერდს დააკვდება,
რომ გადარჩეს ქალი გედი...

სიყვარულის გინდა თქეში

მესმის, მესმის, ტრფობა გინდა,
სიყვარულის გინდა თქეში,
მაგრამ ატმის რტოს მაგივრად
ამოსულა დარდი ყელში...
მიაქვთ, მიაქვთ, ზვირთებს მიაქვთ,
ზღვის ნაპირი აქ რომ დაგხვდა...
სევდას ძაფი გაუბია,
ცრემლებსა და გულის ჯავრთან...
რას მოგიტანს, რას მოგიტანს,
ეს ქარები მონაბერი...
მანამ, სანამ გული იტანს,
და დაფარავს საფლავს მტვერი...
აუვსია, აუვსია,

ცას გულმკერდი, ვარსკვლავებით...
შენი დარდი განუცდია,
მთვარეს, ჩემგან განსხვავებით...

არ ამიორთქლდე

შემოიბურა ჭორები ღამემ,
და როცა თავი ღმერთი ეგონა...
დილამ კინწისკვრით გააგდო გარეთ,
რომ მისგან სიტყვაც არ გაეგონა...
და როცა ღამე გადაიკარგა,
თავის ეჭვებით, თავის წყვდიადით...
კარი გამოხსნა წამსვე ცისკარმა,
და თან გამოჰყვა მას განთიადი...
აღერებული, ამწვანებული,
ააჩოჩქოლეს ტყეთა კრებული...
დილის სინათლეს დახარბებული,
დაიძრნენ ხევნი ადიდებულნი...
რაზე მღერიან, რაზე მღერიან,
რაზე მღერიან, ნეტა, ფრინველნი...
იქნებ, დილა რომ უძლეველია
და თან ყოველთვის ახლავს იმედი...
მე კი ერთს ვფიქრობ, არ დამეკარგო,
არ ამიორთქლდე ღამის მწუხრივით...
ჩემო უმანკო ბედის პერანგო,
გზააბნეულო შველის ნუკრივით...

ვერ გაასწრებ სიკვდილს

ღმერთმა შენი სიყვარული მანდო,
შენ კი სხვისთვის გაგემეტა, ვიცი...
რომ მოვიხსნა ეს წყეული ჯადო,
არ დაგიდევ არავითარ სირცხვილს...
მაგრამ ჩემთვის ვისა სცხელა, როცა,
ჩართულია ყველა თავის დოღში...
ზოგი დაქრის, ზოგი ძრწის და ცოცავს,
ზოგი დაფრენს, ზოგი ათევს მორგში...
ვერ გაასწრებ, ვერ გაასწრებ სიკვდილს,
თუნდ ფრთოსანი ოქროს რაში გყავდეს...

დაგეწევა და გზას გადაგიჭრის,
ჩაგაშხამებს უკანასკნელ წამებს...
უკვე დროა, დღეს მე შევცვლი სიკვდილს,
მოგიხელთებ სადაც უნდა იყო...
შევიღებავ მაჯებს შენი სისხლით,
დღეს, რადგან შენ, სწორედ ამას ითხოვ!..

ითამაშე

ითამაშე, ითამაშე,
თუ ცხოვრება თამაშია...
თუ კი მოგცემს რამის შანსებს,
და მოგებაც ძალაშია...
ნუ დაგაბნევს, ნუ დაგაბნევს,
შემოტევა შენი მტრების...
ქარიშხლები ზღვებს თუ ამღვრევს,
ისევ ზღვებად რჩება ზღვები...
მე კი, მგონი, რაც კი გავჩნდი,
შენს ცეცხლოვანს ვებრძვი თვალებს...
თუმც, ჩემს ბრძოლას ბრძოლად არ თვლი,
და კვლავ ახლოს არ მიკარებ...
გესმის, ქარი ამოვარდა,
ქარი ქალაქს ემუქრება...
მთვარე მოკლა ქარზე დარდმა,
თუმცა, თვითონ ქარიც კვდება...
ითამაშე, ითამაშე,
თუ ცხოვრება თამაშია..
თუ კი მოგცემს რამის შანსებს,
და მოგებაც ძალაშია...

დრო გაჩერდა

ვამჩნევ, ნაღდად დრო გაჩერდა,
ღრუბელიც კი არ ცურავს...
ცა მწუხარედ მომაჩერდა,
ყვავი მეკრიმანჭულა...
ვეთამაშო უნდა სიტყვებს...
მეტი რა დამრჩენია...
ბოლოს მაინც დაგივიწყებ,
რა ვქნა, ასე მჩვევია...
ვერ დავძარი დრო ვერაფრით,
შინ ვერ შემოვიტყუე...

არ მპასუხობს, იცის ჩავჭრი,
ამრეზილი მიყურებს...
შენ ირჩევდი სხვა ბილიკებს,
ჩემსას არ მოჰყვებოდი...
შერჩებოდი, ალბათ, ფიქრებს
ასე რომ არ მტკენოდი...

გითხოვ

ისე გშვენის ეგ ხალები,
როგორც ზეცას ვარსკვლავები...
თუმც, შენს გულმკერდს ვეხარბები,
ვთრები, მათი მზერით ვთვრები...
როგორ ჩავტევ, როგორ ჩავტევ,
ამ ბწკარებში შენს სიყვარულს...
ქარი სარკმლის მინას ამტვრევს
და ჩემს სახლში მართავს აღლუმს...
ვეღარ ვუძლებ ამდენ ზრიალს,
მინდა ვიყო ზვირთი ზღვაში,
შევეხეთქო ლოდებს კლდიანს,
გავქრე, როგორც ღვინო ყანწში...
შენ კი, ნეტა, რას აპირებ,
რას გკარნახობს, ნეტა, გული...
დავცქერ, დავცქერ გულისპირებს,
დარდით როა შემოჭმული...
არც ეს ქარი არ დამინდობს,
ღამეც გახდა ისე კუშტი...
გითხოვ, ვფიცავ, მართლა, გითხოვ,
თუ ამ ღამეს გადავურჩი!!!

ქარი წაიღებს გვირგვინებს

ბარდნიდა, დაფნის ფოთოლი,
პარნასის თავზე ბარდნიდა...
ხან კენტად, ხანაც ორ-ორი
ცვიოდა იმ სიმაღლიდან...
როცა მწვერვალი იგრგვინებს,
და ნისლი გაიფანტება...
ქარი წაიღებს გვირგვინებს,
ქარი ბილიკებს დაჰყვება...
ზოგი ბულბულებს შეხვდება,
ზოგიც ტოროლებს, იადონთ...

ქარი არასდროს შეცდება,
არც დაფნას სხვას არ მიანდობს...
მღერიან, მართლაც მღერიან,
ზღვები თუ ნაკადულები...
დაფნის მძებნელი ბევრია...
და დაფნაც, ალბათ, ულევი...
მეც ველი, იქნებ, ერთხელაც,
ჩემს ცაზეც ჩამოატაროს...
ერთი, ალბათ, მეც შემხვდება,
აბა, ამდენხანს რას ვწვალობ?!.

წამიკიდე

ბედს ნუ დასცდი, ბედს ნუ დასცდი,
მუზად ყოფნას რატომ ლამობ?..
მე ჩემს მუზას გზაში ავცდი,
სხვა აღარ მსურს შევიყვარო...
შენ კი, შენ კი, როგორ მაბნევ,
ვერ გავიგე, რატომ, რისთვის?...
შენ მე სულს ვერ დამიამებ,
მე არა ვარ შენი ღირსი...
მე, უბრალოდ, ქალებს ვაბნევ,
ჩემნაირი რამდენია...
შენ, არც იცი, ჯერ აქამდე,
არაფერი ამხდენია...
და თუ თმაში ბზინავს ვერცხლი,
შენ გგონია, რამეს ნიშნავს?..
წამეკიდოს გინდა ცეცხლი,
ალბათ, შენი ალებისა...
წამიკიდე, წამიკიდე,
გამაწითლონ მაგ თვალებმა!..
და ჯანდაბას, თუნდაც, მცდიდე,
დამწვას ერთმა აალებამ!!!

სიცოცხლეს გადავაჭარბე

სულ გადარჩენას რად ველი,
სულ გადარჩენის ზღვარზე ვარ...
მუდამ სიცოცხლის მნატვრელი
სიკვდილის გუნებაზე ვარ...
მოვა, ხომ კაი, არადა,
წავალ მე თვითონ მოვძებნი...

სიკვდილი დამიფარავდა
ამდენი შხამით მოცელილს...
ვზივარ, განვლილ წლებს ვაჯამებ,
მეტი და მეტი გამომდის...
სიცოცხლეს გადავაჭარბე,
მაგრამ სიკვდილი არ მოდის...
ტრიალებს, მიწა ტრიალებს,
ეს წუთისოფლის ბორბალი...
მოვა და ააწრიალებს,
სიკვდილის კრიალოსანი...
უკვე არც ვიცი სადა ვარ,
ამ სააქაოს შემყურე...
მალე ეს წლებიც გადავა,
და შენც სულ სხვა გიერთგულებს...
სხვა მოვა, სხვა შეგიყვარებს
და შენთვის ცეცხლში ჩადგება...
თუ შენი ვარდი იხარებს,
ისიც სხვას გაუხარდება...

მე გმირი არა ვარ

გიცქერი, ძვირფასო, გიცქერ და მგონია,
რომ სევდით სავსეა, ეგ შენი თვალები...
მანძილი შენამდე კი ისე შორია,
როგორც ცის კიდეზე ღმერთის ვარსკვლავები...
ზამთარი გავა და ეგ წყენა გაგივლის,
შენს თითზე სადაფი ცრემლების ფერია...
ჩემს მკერდზე კვალია ჩავლილი ქარიშხლის,
რომელი წელია, რომელი წელია?..
რას იზამ, დღეები ერთმანეთს არა ჰგავს...
მე გმირი არა ვარ, ციხეს ვერ ავიღებ...
მივყვები უგულოდ ამ წელთა ქარავანს...
და ბრძოლებს, უკლებლივ, ყველას თავს ვარიდებ...
ჩამითრევს, ჩამითრევს ეს ცეკვა ველური,
აქ ქარი დაძრწოდა ფრთით ფარშევანგების...
ვით ცხადში ვიხილე ლანდების ფერხული...
როგორ მენატრები, როგორ მენატრები...

მაცალე

მაცალე, სულ ცოტა, შენს სახეს ვეჩვევი,
მუზების ძებნაში შემთხვევით მოგაგენ...
კარგია, თუ კიდევ მცირე ხანს შევრჩებით...
მომანდე, ეგ შენი თვალები მომანდე!..
მე მათში ყველაფერს ადვილად ვკითხულობ,
ვკითხულობ, თუ რამ გაქვს, უბრალოდ, სათქმელი...
რომელი ოცნება გინდა აისრულო,
იმასაც თუ ჩემგან რა გსურს და რას ელი...
და ვფიქრობ, ცხოვრება რად ხდება მარტივი,
დღეს ყველა სურვილებს თითებზე დაითვლი...
დადგება, დადგება სულ მალე აპრილი,
და შენც თმებს, ყორნისფერს, ზღვასავით გაიშლი...
ელიან, ელიან, თვალები ელიან,
თვალების თვალთაგან ფსკერამდე ჩახედვას...
როდესაც შენს სიტყვებს ხელები შველიან,
და ხდება ბაგეთა შერწყმა და თანხვედრა...
მოგისმენ, მოგისმენ, რაც კი გსურს, ამოთქვი,
მითხარი, რომ გულმა კვლავ მშვიდად იფეთქოს...
გპირდები წამებს და წუთებსაც სამოთხის,
სადაც ჩვენ ნება გვაქვს ტრფობის დროს ვიმეფოთ!!!

მე მართლაც ვკვდები

სულ არ გელოდი,
ისე მძაფრად მომექარიშხლე,
რომ მგონი გავქრი,
არ ვარსებობ, შენი შემყურე...
ატამს ყვავილი გასცვენია,
მაგრამ დგას ისე,
სჯობს ყველა ბაღებს
ყვავილებით გადავსებულებს...
არა, სასწრაფოდ
გული უნდა ამოვიქოლო,
სანამ შიგ სისხლი
სიყვარულით ადუღებულა...
თორემ, თუნდ, ერთხელ,
შენ რომ ახლოს ჩამომიქროლო,
თუნდაც სამყარო ერთმანეთზე
დადუღებულა...
ენაცვლებიან, ჩემს ფიქრებში
ენაცვლებიან,
ქალთა სახენი
ახლობელი და საყვარელი...
მაგრამ, შენს გვერდით

ყველა ისე სწრაფად ქრებიან,
როგორც მე გავქრი, სამუდამოდ,
შენი მნახველი...
ერთსაც გთხოვ, იქნებ დაიფარო
თეთრი გულმკერდი,
რომ შენს მტევანზე
შევაჩერო მე ჩემი მზერა...
თორემ, ძვირფასო,
არ ვკეკლუცობ,
მე მართლაც ვკვდები...
და შენი ხელი დასტყობია
ჩემს ბედისწერას!!!

ანუ გალაკტიონს

როცა სიცოცხლე ღვედივით გვიჭერს,
როცა სიკვდილი სულ უკან დაგვდევს...
შენ პირველობა ლექსს მიანიჭე,
და სწორედ ლექსით ახვედი ცამდე...
და უფრო მეტიც, მსმენია თითქოს,
რომ შენ მოკალი ქართული ლექსი...
რომ ხელოვნება თუკი მსხვერპლს ითხოვს,
შენ, მართლაც, მსხვერპლი გაიღე ჩვენთვის...
დროები ქრიან, დროები ქრიან,
ინტეგრალებით, შენ რომ გვაწვიმე...
მიწას კი, ალბათ, ის გვერდი სტკივა,
დაცემით, შენ რომ სიკვდილს დასცინე!!!

გადამარჩენ? (ი.ფ.-ს)

გადამარჩენ? ახლა როცა ასე მიჭირს,
ახლა როცა ასე მინდა გადარჩენა...
მთვარე ჩემს წინ, ნაღდად, ვენებს გადაიჭრის,
ცაზე ერთი ვარსკვლავიც კი არ დარჩება...
წუხელ ვნახე ზღვის ნაპირას ქარიშხალი,
კეკლუცობდა და ტალღებით ერთობოდა...
გამიკვირდა, შეეხვია თავშლით თავი,
და ტუჩებზეც საღებავი ეტყობოდა...
აირია, აირია დღე თუ ღამე,
მთვარე თუ მზე ერთმანეთში აიზილა...
და მეც მიჭირს, ვერაფერი შევუხამე,
უკუნეთში გადაჩეხილ ზამთრის დილას...

მეყვარები, მაშინ, თუკი გადამარჩენ,
თუკი ბაღში ალუბლები დამწიფდება...
გაზაფხული შემომჯდარა ქანდარაზე,
და შორიდან ქალწულივით მაკვირდება...
რად გგონია, რად გგონია, რომ არ გიცნობ,
რომ შენს სულში ვერასოდეს ჩავიხედავ...
კი, მეც მინდა რომ სულ ასე იმაისო,
მომაგონო ჩანჩქერების აზვირთება...

აყვავდება, აყვავდება...

ეს ქარებიც გაქრებიან,
თავის სტვენა-ქროლებით...
მზე ამოვა კაბადონზე
და ოქროს ტახტს დაიდგამს...
მოვლენ, მოვლენ გაზაფხულის
თვეები მიყოლებით...
და შენს მკერდში სიყვარული
ფესვებს ფრთხილად გაიდგამს...
აყვავდება, აყვავდება,
შიგ ვარდების ბაღები,
და გულმკერდიც ვარდისფერში
ისე აფერადდება...
რომ სულ შენსკენ გამოსწევენ
ყველა ესტაკადები,
შენს ბაღებთან მოუნდება
ყველას მოკალათება...
თუ ზამთარი იმედებს კლავს,
გაზაფხული აცოცხლებს,
ყველა ზამთრებს გავუძელი,
რადგან გულზე მეფინე...
გავუძელი სიძულვილის
ზვავებსა და ღვარცოფებს,
დავკრეფ, დავკრეფ მე შენს ვარდებს,
ოღონდ დამაკრეფინე...

ველზე ჰყვაოდა თეთრი ასკილი

ნუ დაეჭვდები, ძვირფასო, ჩემში...
მე მახსოვს ჩემი როგორ გჯეროდა...
როცა ზაფხული შევიდა ეშხში,
ხოლო მწვერვალებს თოვლი შვენოდა...

ბარდს ბღუჯა-ბღუჯად ესხა მაყვალი,
და შვინდიც იყო თავზესაყრელი...
სულ იქვე ახლოს იყო ნაკრძალი,
დასუნსულებდა ტურა და მგელი...
გადაჰყურებდა ქედებს არწივი,
თრითინა ყლორტზე გასვლას ლამობდა...
ველზე ჰყვაოდა თეთრი ასკილი
და ჭრიჭინების იდგა გალობა...

ვიცი, უკვე გვიანია...

ჩემთან გულმა ვერ გაგიძლო,
გაგიტაცეს სხვა ქარებმა...
ცამ ღრუბელი გადაიძრო,
თავს ასე რომ აყვარებდა...
ღრუბელია, კოპებს შეჰყრის,
გააყრუებს ჭექით ზეცას...
რაც სათქმელი მქონდა შენთვის,
ნეტა, ცოტა ადრე მეთქვა...
ვიცი, უკვე გვიანია,
სინანული მიჭერს ყელში...
რა დროს გულის ფრიალია,
შენ დაგეძებ ამ ღრუბლებში...
ზოგჯერ მთელ ზღვას სევდა ფარავს...
შენ კი, ვიცი, ჩემი გიკვირს...
სიყვარული მკერდს გაბზარავს
და ღრუბელი ცას შეიცვლის...
უპოვია, უპოვია,
მითხრეს ზეცის მონაყოლი...
მთელი ღამე უთოვია,
ღრუბელს თურმე უყვარს თოვლი...

რას გაუგებ

რატომ გენდე, რატომ გენდე,
ჩემს თავს როგორ ვაპატიო...
შენი ეჭვის რკინის კედლებს,
თავი როგორ დავაღწიო...
დაუღვრია, დაუღვრია,
მთვარეს მზის წინ ტრფობის ცრემლი...
ქარს ზეცისკენ წაუღია,
გავსებული ჭორის ეტლი...
ავიტანდი, ავიტანდი,

ავიტანდი სიცრუესაც...
რომ გქონოდა ჩემი დარდი,
ჩემი ფიქრის თაფლი გესვა...
მაგრამ არა, რას გაუგებ,
ცას ვარსკვლავებჩამოლეწილს...
ანდა, მთვარის სისათუთეს,
ღალატს ოცდაათი ვერცხლის...
რას გაუგებ ბედის ტრიალს,
როცა ჟამი ათვლას იწყებს...
როცა წუთებს დაგითვლიან
და ღმერთიც კი დაგივიწყებს...

მიდიხარ

მიდიხარ, ნელ-ნელა მიდიხარ...
მიდიხარ და ტოვებ ჩემს არეს...
უნდა ვთქვა, მეც ვეღარ მიცვნიხარ,
ვგრძნობ, შენს თავს არავინ შემარჩენს...
სახელსაც ვერ ვარქმევ იმედებს,
რომლებმაც შენამდე გამწირეს...
მიმეტებ, შენ კი კვლავ მიმეტებ...
ნუკრი ვარ და ვებრძვი არწივებს...
აქ ზეცა საოცრად ჭრელია,
და მთვარეს აცვია შავები...
ეს სხვაგან მას არა სჩვევია,
მგლებს ქურქი მოუსხავთ კრავების...
მიდიხარ, მე კი ვერც გაცილებ...
მე მკაცრი დღეები მელიან...
ამ წუთებს ნერვებზე აცრილებს...
შენ გატან, მე ვერას მშველიან!!!

მე კი გავკივი...

მე კი გავკივი, რომ მე ვარ და მეტი არავინ,
რომ ეს ქვეყანა ღვთის რჩეული არის სამოთხე...
მაქვს რქაწითელი, ხვანჩკარა და მწვანე მანავი,
მაქვს რკინის გული და ველურმა მგლებმა გამომწვრთნეს...
მაგრამ დავფიქრდი და მივედი ასეთ დასკვნამდე,
ყველას თავისი ურჩევია დედულ-მამული...
და მეც სხვა ერებს რაც არ უნდა გავუთამამდე,
ყველას საკუთარ სამშობლოსი აქვს სიყვარული...
ყველა ერთნი ვართ, ვინც კი ოდნავ მაინც ვაზროვნებთ,

კანის ფერების განურჩევლად, ყველა ერთნი ვართ...
ყველას თავისი მიუზომა ღმერთმა სამოთხე,
მას ფავორიტად არცერთიც არ ავურჩევივართ...

ნუ დაკარგავ

შენ ლარნაკში ჩაწყობილი ყვავილები გიყვარს,
მე კი შენი ხელი მიყვარს მკერდზე...
თუ ოდესმე, ვინმე განმიკითხავს,
ალბათ, თავის გამართლებას შევძლებ...
რას გაუგებ სილამაზეს თუკი,
შერევია შემოდგომის ფერებს...
როცა ბაღში ფერმკრთალდება შუქი...
და ნოტებიც ნაღვლიანდ ჟღერენ...
ნუ დაკარგავ, ნუ დაკარგავ აწმყოს,
ამაოა მომავალზე ფიქრი...
რადგან ბედმა ისეც უკვე არწყო,
რა მოხდება შენი აწმყოს იქით...
თითქოს ბაგე შეფაკლიათ ვარდებს,
ხოლო შორს კი ჰორიზონტი იწვის...
როგორ მინდა შენი ისე მწამდეს,
როგორც გრძელი, უსასრულო სიზმრის...
გავა, გავა, ეს დღეებიც გავა,
დროის სრბოლა წაიყოლებს ნაღველს...
შენში ვეძებ ჩემი სევდის წამალს,
სევდის, შენ რომ ასე გძულს და ამღვრევ...

შენ შემოგწირავ

დღეს შენი დღე მაქვს, შენ შემოგწირავ,
ჩემს ყველა წუთებს და ყველა წამებს...
გუშინ, შენც ნახე მზემ იქორწინა
და დღეს ამიტომ ვერ ახელს თვალებს...
გაიჯეჯილებს, გაიჯეჯილებს,
ამ ნაფუძვრებშიც ყვავების გუნდი...
ქარი გაძარცვავს ღამით ხეხილებს,
და ტოტებს ცოტა შერჩება ბუმბლი...
შეციებული და მოწყენილი
ბაღს წიწკანები შეესევიან...
როგორც შენ მყავხარ შემოჩენილი,
და ვკოცნი ტუჩებს მარწყვისწვენიანს...
ჩაიძირება დღე ღამის ნისლში,

და ქარიც ბოლო სხივებს წაიღებს...
მერე, შენც ჩუმად მკერდს გადამიხსნი,
რასაც ჩვენს მეტი ვერვინ გაიგებს...

არ ჩანხარ

აღარც მახსოვდი, გადაგივიწყეს,
ჩემი ლტოლვების ლურჯმა ძარღვებმა...
თავის განწირვად უნდა მიღირდეს
ეგ მკერდი, შენ რომ გეამაყება...
უშენოდ ზეცამ დაკარგა ფერი,
მზის გულიც იქცა, მგონი, ყინულად...
აღარ მახარებს აღარაფერი,
თითქოს, ვარსებობ ზედაპირულად...
ვიღაც ზეცაში თეთრ ღრუბლებს სწურავს,
და თავზე მაწვიმს წვიმის ცრემლები...
ალბათ, ამ ცრემლთა ზღვაში შევცურავ,
მე ხომ ისედაც სევდით ვსველდები...
ნეტავი, რაა აქ საფიქრალი,
შენ არ ჩანხარ და ზეცაც მშვიდია...
წეღან, უბრალოდ, მოგკარი თვალი,
და, რა მაწუხებს, ვერ გამიგია...

ყელს ნუ დამალავ

ჩემი სიზმრების თანამგზავრი ხარ,
ლამაზი, როგორც ცისკრის ყვავილი...
დანახვის დღიდან მკერდზე მაჭდიხარ,
უძვირფასესი ბეჭდის თვალივით...
დღემდე მოველი რომ საცეკვაოდ,
გამიძახებენ შენი მკლავები...
გედი ხარ, მე კი, მგონი, ვმერანობ,
და სამუდამო დოღში ჩავები...
და მინდა, მინდა, ჩამაკვდებოდე,
ხელში ჩიტივით, მეათე წრეზე...
ანდა, კვიცივით განზე ფრთხებოდე,
მე კი შენს რბოლას შიშით ვუმზერდე...
ის აღარ მოვა, ის გაზაფხული,
ტკბობის ფერხულით თავაწყვეტილი...
ცაზე არწივი ფრთებით გაკრული...
ზღვაში ხომალდის თეთრი წერტილი...
ყელს ნუ დამალავ, ყელს ნუ დამალავ,

მიყვარს ეგ თეთრი მარგალიტები...
ნუ, ნუ დამტოვებ ბედის ამარა,
რომც ვცადო, ათად ვერ გავიჭრები...

ცოდვათა განბანა

ცხოვრება მკაცრია, ძვირფასო, საოცრად,
ვარდების ხალიჩას ბევრს ის ვერ გაუშლის...
პირიქით, ის ხშირად გვიტარებს გამოცდას,
მორალში, ღალატში და, თვით, სიყვარულში...
ცხოვრება მკაცრია, შენს მიზნებს არა სცნობს,
ის, არად დაგიდევს მიწიერ კანონებს...
დაგახრჩობს, ეგ სევდა, ნამდვილად დაგახრჩობს,
შეეშვი, ჯერ დროა, ნუ გაიბატონებ!!!
უსმინე სამყაროს, ფრინველთა გალობას,
წყაროს წყლის ჩხრიალს და სიჩუმეს მთებისას...
არც ბედი თავისით არასდროს არ მოვა,
ან როგორ ჩასწვდები ილეთებს ბედისას...
მომკიდე ეგ ხელი, ღონივრად მომკიდე,
და სანამ არ გეტყვი, არასდროს გამიშვა...
ნატვრისთვლის პოვნამდის ლოდინი მოგვიწევს,
თუ უკვე ეშმაკმა შენთან არ ჩამიშვა...
ძნელია, ძნელია, ცოდვათა განბანა...
თუ ფიცის ფასიც კი, შენც იცი, გროშია...
მიწაზე კანონებს აწესებს სატანა...
ღმერთი კი ჯერ ისევ ღვთის საუფლოშია...

ჩამეხუტე

კაცმა რომ თქვას, ბევრი რამე მინატრია,
ოცნებებში დამიპყრია მწვერვალებიც...
ვერ გავუგე ვერაფერი ბედის ტრიალს,
ან ვინა ხარ, ანდა, რატომ მენატრები?!.
ჩამეხუტე, შენი სითბო გადმომედოს,
ჩამეხუტე, ვიგრძნო შენი გულის ძგერა...
მსურს ბაგეზეც მონატრების ცეცხლი გენთოს,
მაგიჟებდეს, მაცოფებდეს შენი მზერა...
ჩამეხუტე, ჩამეხუტე, სისხლმა იგრძნოს,
სიმხურვალე შენი მკერდის ნაღვერდლების...
ჩამეხუტე რომ ხელებმა არ დაგინდოს,
როგორც ბატკნებს არ ინდობენ ველად მგლები...
მოგიზიდე, უკვე ვერსად ვერ წამიხვალ...
მკლავებში ხარ და გაქცევას ნუღარ ცდილობ...

ჩამეხუტე, მერამდენედ უნდა გითხრა,
თორემ მკერდზეც დამირჩები უადგილოდ...!!!

ვერ გამინათებ

ნუ აელვარებ, ნუ აელვარებ,
თვალებს ჯადოქრულ აელვარებით...
ვერ გამინათებ ამ წყეულ ღამეს,
ჩაკეტილი აქვს მყარად კარები...
შუქი ჩემამდე რომ ვერ აღწევდა,
მეც შევეგუე ღამის კაპრიზებს...
რამდენჯერ მთვარე გამინაწყენდა,
რამდენჯერ ზღვებმა მომინაკლისეს...
აქ ვარსკვლავები უსხედან სუფრას,
და ქარი დადგა მათ სათამადოდ...
შენ კი, სულ ახლოს, ამ ღამის უკან,
სარეცელსა შლი ჩემ საღალატოდ!!!

დრო მოვა

დრო მოვა, ისევ გამოიბრწყინებს,
იმ სიდიადით ჩვენ რომ ველოდით...
ჩვენ ხომ, უბრალოდ, სული ვიტკინეთ,
აალებული საქართველოთი...
რა დააძინებთ დედებს უაკვნოდ,
რა დაადუმებთ მთებში ხეობებს,
თუკი წარსული უნდა ვუარყო,
რა ვუპასუხო მოკლულ მეომრებს...
მე ხავსმოდებულ გზებზე მივრეკავ,
და რემაც გარბის ფაფარაშლილი...
როგორ მჭირდება, როგორ მჭირდება,
ჩემი ქვეყანა კვლავ ფრთაგაშლილი...

როგორ მეწყინა

როგორ მეწყინა, როგორ მეწყინა,
როგორ მეწყინა რომ გაწყენინეთ...
ახლა თქვენსავით გული მეც მტკივა,
ზღვა ხართ და მკერდზე გადმომედინეთ...
თუ ნებას დამრთავთ, ხელზე გაკოცებთ,
ხელი რომელიც გამომიწოდეთ...

მაგრამ, თუ კიდევ რამე წამომცდეს,
გულიდან მოდის, მინდა იცოდეთ...
იცით, ცხოვრება ზოგჯერ ტბაა და
ზოგჯერ მდინარე ადიდებული...
ბევრი აქ მოსვლით, მხოლოდ დამტკბარა,
ბევრი კი დარბის გაგიჟებული...
არა მქონია, არა მქონია,
თქვენთან რაიმე წყენის მიზეზი...
ვაკვირდებოდი თქვენს ჰარმონიას,
როგორც ოცნებებს ვხედავთ სიზმრებით...
იქნებ, ეკუთვნით სულ სხვა თაობას,
მე კი შორს ჩავრჩი სიველურეში...
არა, არ მიყვარს უნახაობა,
არც ტყვია მიყვარს ცივი გულებში...
ამომირეცხეთ, ამომირეცხეთ,
მკერდიდან, როგორც ვინმე უღირსი...
მე რვა სხვა მოვკალ, ვიქნები მეცხრე,
ამაოდ ცდილობთ, თქვენ მე ვერ მიხსნით!

შენც დაგკარგე

როგორც ბავშვმა დაიჩოქოს ღმერთის წინ,
თითქოს მინდა, რომ მეც ამ ბავშვს მივბაძო...
მე ხასიათს ვეღარასდროს შევიცვლი,
რომც კატორღა, ან ციხე მომისაჯო...
სად არიან, სად არიან ისინი,
ვინც ჩემს სულზე ჯადოსნურად მეფობდნენ?..
შემომაკლდა მათი ცრემლიც, სიცილიც...
რომ მეპოვა ერთ ტკბილ სიტყვას მეტყოდნენ...
ქარი დარჩა, ქარი დარჩა ქუჩაში,
ის შიშველი დარბის, როგორც მეძავი...
შენც დაგკარგე ამდენ აბდა-უბდაში,
დაგეძებდი, ლამის ზეცა შევძარი...
ჩაიარეს, ჩაიარეს ზამთრებმა,
შემოსილმა თოვლის ცივი ზეწარით...
როცა ყინვა სარკმლის მინას ამსხვრევდა,
და გულს მბწკენდა შენი ენის ეკალი...
სულ ცოტაც და გაზაფხულის ზარები,
ყვავილებით ზეცას ჩამოანგრევენ...
მე კი, ალბათ, შენ აღარ მეყვარები
და შენს ნაცვლად სევდას უნდა დავნებდე...

რა სიცივეა

რა სიცივეა, რა სიცივეა,
როგორ თარეშობს სულში ნამქერი...
აქ ახლოს ძველზე-ძველი ციხეა
ქართვლის სხეულის ჩამონანგრევი...
ამ ძველ სურათებს, ასე მგონია,
ჯერაც აჩნია კვალი სანთლების...
მე რაც დავკარგე ვერ იპოვიან,
ნუ მისაფრდები, ნუ მისაფრდები...
ნამქერმა სული ამომიგლისა,
რა უსაშველო გახდა ტკივილი...
მეც აჩრდილი ვარ ჩემი ციხისა,
დავალ ამ კედლებს აწყვეტილივით...
მითხარი რამე, რომ გულს ეამოს,
ძვირფასო, ასეც ნუ დამუნჯდები...
თითქოს ჩემს მკერდზე გადაგეაროს,
ცივი ხელით და ცხელი ტუჩებით...

ცაზე სავსე მთვარეა

ჩემი სული ცხრა ფერის,
გადარჩება მტრის ჯინზე...
არა ფიქრობს ჩანჩქერი
არასოდეს სიკვდილზე...
ის მოჰქუხს და ვარდება,
უმეტესად ფსკერამდე...
ალბათ, გაგიხარდება,
როცა მოვალ შენამდე...
რა ლამაზად ქანაობს
შენი თმების კავები,
როგორც მზეზე მარაოს
ძაფის მოსართავები...
ბაღში დაძრწის ნისლები,
ცაზე სავსე მთვარეა...
ალბათ, დამესიზმრები,
რადგან სცრის და ღამეა...

ხელს ვერ გავიწვდი

რის მაქნისია ეს სიცოცხლე, რის მაქნისია,
თუ ბედი ჩვენი სადღაც ცაში, ღრუბლებში წყდება...

თუ განსაცდელმა სიყვარული შემომისია,
რომელიც თურმე ძილშიაც კი არ მავიწყდება...
შემომიკეცე, ეგ მკლავები შემომიკეცე,
მიყვარს სიგრილე შენი ხორცის, შენი ვენების...
ახლა ზამთარი გაზაფხულის ნემსებს იკეთებს,
და თებერვლის მზეს ვარსკვლავები მიასვენებენ...
ვერ გამიგია რად ვიცხოვრე ძველი მორალით,
ხელს ვერ გავიწვდი, მათხოვრობა არა მჩვევია...
შევისისხლხორცე ეს სოფელი ნაპასტორალი,
და სული შენი, თანდათან რომ შემომეჩვია...
ახლა ჩემს ხელში უღიმღამო კვდება სონეტი...
არ ვყოფილვარ და, ვერც გავხდები მარიონეტი...

რად ვდგავარ კლდეზე

ჩვენ გვიან ვხვდებით ჩვენს დანაშაულს
და უფრო გვიან შეცდომის შედეგს...
ნუღარ მოელი ჩემგან სასწაულს
მინდოდა, მაგრამ კლდის პირას შევდექ...
საოცარია, მარადისობას,
მაცილებს მხოლოდ ერთი მტკაველი...
ეს ვერ მივმხდარვარ რად არის ცოდვა...
მე ხომ უბრალოდ კლდეს გადაველი...
შენ არ გქონია, არასდროს განცდა,
რომ მთებში დაფრენ, როგორც ვეფხვი კლდის?..
და ის რომ მხრებზე ხელების ნაცვლად,
ფრთები გაქვს, ფრთები და ცისკენ ილტვი?..
და, ნეტა, მართლაც, ვიცოდე ახლა,
რად ვგავარ კლდეზე და მთებს გავკივი...
ალბათ, მინდოდა ყველაზე მაღლა,
მეფრინა, როგორც დაფრენს არწივი...

ნუ იფერებ

ნუ იფერებ ჩემ სიყვარულს,
ნურც ჩემ ალერსს ნუ იფერებ...
მე ლექსებს ვწერ გენიალურს,
არ მწყინს შენ რომ არ იჯერებ...
ხომ არ იცი, ხომ არ იცი,
ღმერთი რატომ გაწყრა ჩვენზე?..
ნუთუ მხოლოდ იმ ვაშლისთვის,
ტოტს რომ ება გველის ხეზე?..

არ მატკინო, არ მატკინო,
გულის კოვზი გაბზარული...
მე ხომ მხოლოდ შენთვის ვცდილობ...
აგაცილო მინდა შური...
წამო, წამო, ღელის პირას,
მობიბინე ვიცი ფშანი...
დაგანახო, როგორ სძინავს,
შენ რომ გიყვარს ის შროშანი...

მახსოვს, მახსოვს...

გადავურჩი რამდენ ღამეს,
რამდენ დღეებს გადავურჩი...
ერთად ვსვავდი ტკბილს და მწარეს,
ხან კვრინჩხის და ხან ალუჩის...
მახსოვს გემო, დღემდე მახსოვს,
შენი მკერდის ალერსისა...
ალუბალი ატამს ატკბობს,
დილით, თვალის გახელისას...
დამეხმარე, დამეხმარე,
ზღვა ვიყავ და კოვზით დავშრი...
კვლავ შრიალი გააქვთ ქარებს,
ვით ადრეულ ბავშვობაში...
გასაღები მთვარემ მოგცა
ჩემი გული გაგიღია,
მახსოვს, მახსოვს ცხელი კოცნა
საჩუქრად რომ წამიღია...

რომ დაგენახე

მეც მომენატრა ის ზამთარი შენ რომ გათოვდა,
შენ რომ ფიფქები ჩამოვარცხნილ თმებზე გეკვროდა...
თითქოს ყინულის დედოფალი მოგიახლოვდა
და მასაც შენი სილამაზით სუნთქვა შეკვროდა...
მართლაც, რა იყო სიტკბოება შენ რომ აფრქვევდი,
და ფანტელებიც შენს რბილ თმებზე თითქოს მღეროდნენ...
ზღვაზე გემები ირწეოდნენ თეთრი აფრებით,
და ჩემს სიყვარულს შენს გულისკენ მოუძღვებოდნენ...
და გიზგიზებდნენ, გიზგიზებდნენ შენი თვალები,
მათ აღტკინებას ფიფქებისთვის ხარკი გაეღოთ...
რომ დაგენახე, ერთხელ მაინც, შემიყვარებდი,
მაგრამ ფორტუნას საჩუქრები ჩემთვის არ ეყო...

ძვირფასო, წლები, შენც ხომ ხედავ, როგორ მიჰქრიან,
გთხოვ, სიყვარული სამერმისოდ აღარ გადადო...
შენ რომ გეკვრიან, განა მართლა, თოვლის ფიფქია,
სულია ჩემი, გთხოვ მოეპყრო მათ სათანადოდ...

რას ელოდი

იყო, იყო სიყვარულის ჟინი,
გიხდებოდა ალისფერი კაბა...
გრძელი არა, მგონი, ერქვა მინი,
მე კი შენი სიყვარული მკლავდა...
ეს სტრიქონიც, ნაღდად მაშინდელი,
ლექსიკონის შესაფერი დამცდა...
მენატრება სანთელივით ყელი,
კოცნა, ღამით მიყინული ძარღვთან...
რას ელოდი, რას ელოდი, ნეტა,
ამ უენო, უქალებო დროსგან...
როცა ხდება უტიფრობის შერწყმა,
თითქმის ყველგან, არა ერთ და ორგან...
მე კვლავ ველი გაზაფხულის მოსვლას,
და შენს ნაცვლად გამიღიმებს დილა...
დამამადლის მთვარე ღამის კოცნას,
და მეც ცისკრის ვარსკვლავებთან მივალ...

სულის ტკივილი

მართლაც, ძნელია, რადგან არაფრით,
არა ხორცდება სულის ტკივილი...
არც შემიძლია სულის ღალატი,
ვარ უღრან ტყეში ჩარჩენილივით...
ნუ შეეხები ჩემს წარსულს, აწმყოს,
და ნურც მომავალს ნუ შეეხები...
ან წმინდანობა, ვინ, როგორ არწყო...
სხვის სულში როგორ ჩაიხედები?..
გადაშლილია ისეც საზღვრები,
სულს კი საზღვრები ვინ დაუწესა?..
შენ თუ ჩემს სხეულს მიეტმასნები,
სულს ეს არა აქვს არასდროს წესად...
ან ჩემი სულის ტემპერატურას,
როგორ გაზომავ, რა მანქანებით?
ჩემი სხეული წყალზე დაცურავს,
სულით კი ფსკერზე მივექანები...

ან სიყვარული, რა არის, მითხარ,
სულს სული თუკი არ ეყვარება?..
თუ ღმერთმა ხორცად იხმარა თიხა...
სული? სული ხომ თვითონ ჩაბერა?..

ერთს

ზოგჯერ, მართლაც, საოცრებას წააწყდები,
ისე, როგორც, ცივი შხაპი გადაგასხან...
არ გამოვა, ვეღარაფრით ვერ მოწყდები,
წახვალ, მაგრამ ფიქრებით სულ მასთანა ხარ...
ვერ ივიწყებ, ვერ ივიწყებ წყლისფერ თვალებს,
სულში ატანს, სულში ატანს მისი მზერა...
ხელს იზიდავს მისი კანის სიფერმკრთალე,
ის კი მიდის და გედივით მიირწევა.
რა ხანია, რა ხანია არ მწვევია,
გრძნობა, მართლაც, სიყვარულის შესაფერი...
ის კი გაქრა, გამერიდა, საწყენია...
საწყენია, ვერ ვიღონე ვერაფერი...

თეთრი შურით მშურს თქვენი მუზების (თამარს, მჭედლიძეს)

ნუ შეგშურდებათ, ჩემი მუზების,
ისინი ჩემმა ცეცხლა დაფერფლა...
ჩემზე ლოცულობს ყველა უკლებლივ,
დამდევენ კიდეც მოსატაცებლად...
ნება მათია, ნება მათია,
შემომიმტვრიეს ერთად კარები...
ვინც ჩემთან ერთად ღამე ათია,
აჩნია კიდეც ნათითარები...
მართალი გითხრა, მეცოდებიან,
შაჰინ-შაჰი ვარ, მიყვარს სიცილი...
ჰოდა, როდესაც ხელთ მაკვდებიან,
მუზებს არ ჰგვანან, ნაღდად, ისინი...
ყველაც ჩემია, ყველაც ჩემია,
რადგან იციან, ალბათ, ვინცა ვარ...
თანაც, მე ხომ არ ამირჩევია,
მათ ამირჩიეს, დედას ვფიცავარ...

მხოლოდ წუთები გვამახსოვრდება (ნუნუკას, ბიკაშვილს! 1980 - ბაკურიანი)

შენ გიყვარს თოვლი და თოვლთან ერთად,
ყველა გარდასულ ზამთრებს აცოცხლებ...
დროს, ჩვენ რომ შევხვდით, სულ სხვა დრო ერქვა,
დრო, მე და შენ რომ დავიმახსოვრეთ...
არ მეორდება, არ მეორდება,
წლები, რომლებიც ჩვენგან მიდიან...
მხოლოდ წუთები გვამახსოვრდება,
რაც კი იმ წლებში გამოგვივლია...
მე შენს მიხაკებს დღემდე ვიხსენებ,
როგორ დავარქვა ახლა სახელი?..
ბევრი ზამთარი გავიდა მერე,
ბევრი მზე ცაზე გადასავლელი...
ჩვენ იქნებ ჩავრჩით ისევ იმ წლებში,
როცა ერთმანეთს ვხვდებით შემთხვევით...
იმ სურვილებს და იმ ნატვრებს შევრჩით,
წმინდა როა და ვერ შევეხებით!!!

განწყობილება

ახლა ყველა წერს, თან ყველა მაგრად,
და მეც სადმე აქ უნდა დავმთავრდე...
იქნებ ჩამოვხსნა ეს ძველი აფრა,
რომელიც წლების წინ მივამაგრე...
ამ დროს, უცნაურ თარგზე გამოჭრილს,
არა სჭირდება არისტოკრატი...
გამაკარ ჯვარზე, ნუღარ ჩამომხსნი,
და, იქნებ, მოკვდეს ჩემში მოცარტი...
მოზღვავებულან შავი ღრუბლები,
და გრიგალივით მიტევს ორკესტრი...
ნუ მესტუმრები, ნუ მესტუმრები,
მე მიგალობენ უკვე მონსტრები...
აქ ბევრი დგანან ჩუმად დედები,
რომლებიც შვილებს აღარ ელიან...
რადგან წაართვეს მათ იმედები...
როგორც უდაბნოს დამშრალ ყელიანს...
ამ კლდეებს ასე ცივად მომზირალთ...
მზეთა სხივები აღარ სწყალობენ...
მე კი მწვერვალზე ვერ ამოვდივარ,
რადგან, შემთხვევით, ბრჭყალი გამომდე...

რა ძნელია

შემიყვარდი, სულ უბრალოდ...
შენც უბრალოდ შემიყვარე...
ან, მითხარ, ვის ჩავუთვალო,
თვალში თვალი გამიყარე...
რა ძნელია, რა ძნელია,
თუ ისარი ხვდება ისარს...
თუ არცერთი არ ელიან...
ელვარებას თვალებისას...
აბა, მართლაც, რას გაუძლებ,
სული სულს თუ ეჯახება...
როცა თვალი თვალს გაუგებს
როგორც უტყვი შეთანხმება...
ეს სამყარო ცრემლებს მიაქვს,
ცრემლებს მიაქვს სუსტი სქესის...
მე კი ჭორებს ეჭვებიანს,
როგორც ტირში, უარს ვესვრი...
ვინ გაარტყა, მითხარ, შენს გულს...
სიყვარულის ცხელი ტყვია...
ამურს შენზე შეყვარებულს,
ვიცი, ჩემზე რაც უთქვია...
შენსკენ ვარდნი ბატონობენ...
მორევს მიაქვს ჩემი ზვრები...
ცოლი ეშმაკს შევატოვე
და ისევ შენ მესიზმრები...

ნუ, ნუ იფარებ...

ამ ხელებს უკან, რა იმალება...
რა იმალება ამ თვალებს უკან?..
მონანიება თუ მრისხანება?..
რა ხდება, როცა ბაგენი სდუმან?..
რაღაც ტკივილი, შენ რომ ატარებ,
მეც გადმომედო დიდი ხანია...
ასე მგონია ზეცას გამყარე,
და მეც ჩავცქერი ბნელეთს ხრამიანს...
ნუ აჩქარდები, ნუ აჩქარდები,
თუ გსურს სასჯელი გამომიტანო...
ნუ დამანახებ თვალებს დაღვრემილს,
ან ვინ გაძალებს, რომ ამიტანო?..
ვერ აისრულებ, ვერ აისრულებ,
ვერ აისრულებ ყველა სურვილებს...
როგორ ამოხსნი, ვინ გიერთგულებს,
ვინ გიღალატებს და გიორგულებს?..
თუკი ცხოვრება, მართლაც, წამია,

ან გაელვება ერთი წამისა...
ჩვენ რომ ათასჯერ აგვიტანია,
შხამები მისი რვალის ტანისა...
ნუ, ნუ იფარებ ხელებს თვალებზე,
ან რას იპოვი, მითხარ, წყვდიადში?..
ვერა, ვერ შეძლებ, აწმყოს გაექცე.
და შვება ნახო, ბედის ტრიალში...

აქ ჯერაც ისევ

გთხოვ, გამარიდო, დავიღალე ამ ყაყანისგან,
აქ ჯერაც ისევ ზამთარია და თოვლი მოდის...
ასე მგონია, სიყვარულიც თოვლმა გასრისა
და გაზაფხულიც, გაზაფხულიც იქნება თოვლის...
რისთვის დაგტოვე ჩემს მახლობლად, რისთვის დაგტოვე,
სადაც იები გადაშენდა და ვარდიც გახმა...
სადაც თავის ცხენს დააჭენებს დღეს სიმარტოვე,
და სისასტიკე ბოროტებით შეიარაღდა...
ამიყოლებენ, ეს დღეებიც ამიყოლებენ,
ჩემს ნაფუძარზე, ეშმამ ომის თესლი ჩათესა...
როგორც ზამთრამდე ფრინველები ბუდეს ტოვებენ...
ჩემი ოცნება სულ პირწმინდად ზღვამ გადარეცხა....
ალბათ, ოდესღაც ამ ადგილზე იყო მუხნარი,
და სიველურე სიდიადეს მას ანიჭებდა...
ახლა შიშველი კლდეებია და ტყეც უღრანი,
არც მომავალი კარგ არაფერს არა ჰპირდება...
ჩამოალეწავს ქარიშხლები ტოტებს აშოლტილს...
ალვას, რომელსაც ბავშვობიდან თვალი დავადგი...
ვერც შენ, ძვირფასო, ვერ უშველი ჩემს სულს გათოშილს,
რადგან ტრფობისთვის აღარ ვარგა ეს ნიადაგი...

ვანთებ ღამით ჩამქრალ სანთელს

შეისვენებს, მერე, ისევ,
წამოაყრის თოვლს და ნამქერს...
ნუ მომიქსევ, ნუ მომიქსევ,
დარდებს შენ, რომ, თითქოს, გმართებს...
ჩაყინულა, ჩაყინულა,
ვარდი, გულში შენახული...
სევდის ფსკერზე ჩაძირულა,
უიმედო ჩემი სული...
ვეღარ ვუძლებ შენს ლურჯ თვალებს,

როცა ჩემზე წუხდებიან...
როცა ბედი მაჭანჭყარებს
და ქარებიც ბრუნდებიან...
მერე, რა, რომ ულამაზესს
ფლობ სახეს და ნერვებს მიწეწ...
ვანთებ ღამით ჩამქრალ სანთელს,
ღმერთს ვხვდები და შენ გივიწყებ...

მეც მიგემია მათი ნექტარი

მე რაც ვაკეთე, აღემატება,
დემონურ ძალთა ძლიერებასაც...
მე, ალბათ, ლექსის ღმერთი მკვებავდა,
მაძლევდა სტიმულს და უფლებასაც...
კი, მყავდა, მყავდა ჩემი მუზები,
და მათგან გული, ალბათ, აენთო...
და, უამრავიც მქონდა წუთები,
როცა ამურიც გვყავდა საერთო...
გაშლილ ველებზე სადაც ჰყვავიან,
სიველურეში ყაყაჩოები...
და სასწაული სანახავია,
ნაკადულები თუ წყაროები...
მეც მიგემია მათი ნექტარი,
როცა ზეციდან ვწყვეტდი ვარსკვლავებს...
და სიყვარულის ტკბილი ნესტარი,
ფრთხილად ნესტრავდა მათ სიანკარეს...
გადმომდებია მიწის სიგრილე,
და იმ ვნებათა სიფართხალეში...
ბევრი ამური გადმოვიბირე,
რომ ჩამეხედა მათთვის თვალებში...
ველი ველია, მაგრამ ვინ იცის,
ჩვენს აღმაფრენებს იმახსოვრებენ...
დღეს კი ზღვასავით ღელავს თბილისი
და ამურებიც მიწას სტოვებენ...

ეჰ

იქნებ, არცა მაქვს იმის უფლება
ლექსებს გიწერდე და გაღმერთებდე...
მე კი მჭირდება, რომ მომცე ნება,
რომ ცოტა კოცნებს შემომაწევდე.
კოცნებს, რომლებსაც არ უნდა ცეცხლი,

არც გატაცება, არც გაცოფება...
კოცნა, რომელიც ძველ კოცნებს შეცვლის,
და სამუდამოდ გვემახსოვრება...
ეზოში ბაღმა უბე გაივსო,
უბე გაივსო მზის ნაკოცნებით...
გადაინახავს მათ საგაისოდ,
ზამთრებს გაიტანს მზეზე ოცნებით...
მე კი, არ ვიცი, რა ვიოცნებო...
რით მოვირჩინო დროის ნაბზკენი...
ეჰ, გოგონებო, ჩასაკოცნებო,
რა უცნაურად გაიფანტენით...

სითეთრე

მე ეს სითეთრე მილიარდ წელს არ მომბეზრდება,
მასში სამოთხის სინათლეა ციდან ჩაღვრილი...
თითქოს ღმერთებმა გაიგონეს ჩემი ვედრება,
როგორც ჩანჩქერთა ხეობებზე გადაძახილი...
თითქოს ჩემს სულში გაუდგიათ მუხებს ფესვები,
და მე ვერცხლისფერ ვარსკვლავების ვხედავ ნათებას...
თითქოს, ქედებზე გამოსულან ცხვარით მწყემსები,
ამ საოცარი იდილიის შესაფასებლად...
მე ეს სითეთრე გაზაფხულის დღეებს მაგონებს,
როცა ერთმანეთს საიდუმლო ფიქრებს ვანდობდით...
როცა ხელიხელ მივყვებოდით ცის კაბადონებს,
და ანგელოზებს შურდათ ჩვენი ტკბილი ამბორი.

ნუ დაიფარავ

ნუ დაიფარავ, ნუ დაიფარავ,
შენს სხეულს, განა, რა მოუხდება?
ნურც შემოხედვას ნუ ამიკრძალავ,
მიყვარს, ძვირფასო, შენი ყურება...
თითქოს მაცვივა ოქროს ზოდები,
თითქოს ღრუბლების ფრთებზე დავდივარ...
სულ ყველგან, ყველგან შენ მაგონდები,
ხარ გაჩენილი ბრილიანტიდან...
ხელი მომკიდე, ხელი მომკიდე,
პლანეტას ერთად გადავუაროთ...
სულ უმიზეზოდ მინდა მკოცნიდე,
არ იუარო, არ იაურო!!!

ევა და გველი

როგორ ვთქვა, ღმერთმა ჩვენ მიწა მოგვცა,
მიწა და ზეცა თავის ფერებით...
მერე მოუწყო ევას გამოცდა,
და მიუგზავნა საწყალს გველები...
ერთი შეცდომა ვის არ მოსვლია,
და შეცდა ევაც, გველმა აცდუნა...
დღეს კი გულს გული ვერ უპოვია,
ეულ თევზივით მარტო დაცურავს...
საწყალი ევა, მართლაც, ვინ იცის,
ვინ იცის, რას არ დააბრალებენ...
ის პასუხს აგებს იმ ზღაპრებისთვის,
მეზღაპრენი რომ გულს აწყალებენ...
ისე კი, მართლაც, სუსტია ქალი,
ყველა ანკესზე სწრაფად ეგება...
გველმა ჩაკეტა სამოთხის კარი,
რომელიც ევას არ გაეღება!!!

არ მომერიდო

მთელი სისავსით მინდა შეგიგრძნო,
როგორც ასხივებს სხივებს მნათობი...
არ მომერიდო, არ მომერიდო,
გამართე, როგორც მუდამ მართობდი...
სულ მეხს რომ ვგავდე არ მომერიდო,
რომც ცეცხლებს ვყრიდე ოქროს რაშივით...
ვიცი, ძვირფასო, რომ ჩემ მსხვერპლს ითხოვ...
თუმცა, მეხვევი ტანზე ვაზივით...
ვინ აუკრძალავს ფრენას არწივებს,
ან ზვავებს კლდეებს ვინ ჩაუხერგავს...
დღესა და ღამეს ვინ დააცილებს,
ზოგჯერ ბალახი ლოდსაც კი ხეთქავს...
როგორ ადვილად ვიტანთ ღალატებს,
ჩემი მკლავები შენს მკლავებს ითხოვს...
ნუ მომანატრებ, ნუ მომანატრებ,
შენი გულის და თვალების სითბოს...

ამ ხეზე, მგონი, ჩიტის ბუდეა

საიდან იღებს, ნეტა, სათავეს,
ჩემი ლექსების თეთრი მდინარე...
ვინ ხატავს ღამით ცაზე ვარსკვლავებს,
ან მერე ასე როგორ ბრწყინავენ...
დღეს ღამე მოსდევს დაუსრულებლად,
და წუთი წამებს ესაყვარლება...
ზეცას ჰკიდია სამკაულებად,
ანგელოზების იდუმალება...
არა არ მინდა ისე ავღელდე,
რომ შემოვიჭრა შენში ზღვასავით...
მაგრამ, ძვირფასო, თავს ვერ განებებ,
ტანს მოსდებიხარ კალიასავით...
ამ ხეზე, მგონი, ჩიტის ბუდეა
მიტოვებული შემოდგომიდან...
სადღაც რომ გარბის სიჭაბუკეა,
როგორც წვეთები რჩება თოვლიდან...
შენც, შემოდგომის ყვითელ ფოთლებით,
შეიმოსები ბუნებასავით...
ცას ნუ მოსწყდები, ცას ნუ მოსწყდები...
ნუ დამემხობი თავს ზეცასავით...

ნაცვლად იმისა

მართლაც, სად არის გამოსავალი
ამ უსაშველო წლების ჭირიდან?
ვერ გამიგია, ნუთუ არ არი,
ვერ გამიგია, რა მოგვივიდა...
ნაცვლად იმისა, ნაცვლად იმისა,
გვეთესა სიტკბო და სიყვარული...
გვქონოდა ძალა თავგანწირვისა,
და ჭკუაც, ცოტა, გენიალური...
არ აღმოგვაჩნდა, დროის გაგების,
არავის ნიჭი არავითარი...
სხვა იგებდა და ჩვენ კი ვაგებდით,
არ აღმოგვაჩნდა ერთი მიზანი...
თითქოს, ქვეყანა თავზე გვექცევა,
გაგარეულდა, თითქოს, თბილისი...
გამეფდა ნიჭი და უმეცრება,
დადგა სიკვდილი ერის პირისპირ!
დიდი ხანია არ მეღიმება,
და ხსნაც, მგონია, აღარსად არი...
ესაა ჩემი შთაბეჭდილება
და სევდა, სევდა უზარმაზარი...

ჰორიზონტი იწვება

მწყინს ჩემთან რომ არა ხარ,
მწყინს ათასი სხვა რამეც...
რომ ვერ გნახავ კარგახანს,
რომ კვლავ სხვაში გამცვალე...
მე კი მეხალისება
მაგ ღიმილთა მზერანი...
რა ლამაზად ისხმება,
ჭიქაში საფერავი...
მტრედებს გააქვთ ღუღუნი,
და ერთმანეთს ჰკოცნიან...
ეს ღამენი უკუნი,
შენთვის დამილოცნია...
როგორც კუნძულს გეძებდი,
ბოლოს აღმოგაჩინე...
ცაზე თეთრი გედები,
შენთვის გადმოვაფრინე...
ჰორიზონტი იწვება,
ასდის, თითქოს, ალმური...
სადაცაა მიწყდება
სხივების ჟრიამული...

რა ხდება, მართლაც...

ნეტა, ვინ მეტყვის, რატომ განვიცდი,
ბოლო დროს ყველა წუთს და წამებსაც...
რა ხდება, მართლაც, რომ ვეღარ ვიცდი,
თითქოს, რაც იყო, სადღაც გამექცა...
თითქოს სამყაროს ცეცხლი ეკიდოს,
თითქოს იწვოდეს მთელი პლანეტა...
მე კი სიცოცხლე უნდა შევწყვიტო,
და რისი თქმაც მსურს მაგვიანდება...
რაღაც ამგვარი მუდამ დამყვება,
თითქოს, სულს ჩიჩქნის და აზიანებს...
თითქოს, სულ სადღაც მაგვიანდება,
ანდა, ვინ იცის, მე ვაზვიადებ...
თუმც, ვერაფერი კი ვერ გავიგე,
რა სჯობს, სიმშვიდე თუ გრიგალები?..
მე ხომ სამყარო ზურგზე გავიდე,
და დავიღალე მისი ტარებით...

და კლავდნენ, კლავდნენ…

არაუჭირსრა, გადავიტან მე ამ დღეებსაც,
ვინ გაქცევია საკუთარ ბედს, მე რომ გავექცე?..
იცი, მინდოდა სიყვარული რომ დამეთესა,
ამოვიდოდა და მოვკრეფდი, მასზე ალერსებს…
თავის გატანა პოეზიის ასეთ დელგმაში,
ვერც მე შევძელი, მეც ჩავხედე სიკვდილს თვალებში…
რადგან ბევრმა ვერ აიტანა ჩემი დემარში,
და კლავდნენ, კლავდნენ ჩემს სიყვარულს კულუარებში…
მე ის ხელიდან გამოვტაცე, თითქოს, ჯალათებს,
როცა საწყალი ლამის უკვე სულსა ღაფავდა…
მე ამ წყდიადში ვარსკვლავივით შემოვანათე,
და პოეზიაც ჩემი ენით ალაპარაკდა!!!

ჩავიწვებოდი (კ-ს)

თქვენ სილამაზე გადაგარჩენთ,
მე ნიჭი, ვითომ?
ჩემი სხეული ჩემს სულს
ხშირად არ ეთანხმება…
ერთი თხოვნა მაქვს,
თუკი შევცდი, უნდა დამინდო,
რადგან მჩვევია
მეც ალივით აბრიალება…
ჩავიწვებოდი, შენს წინ,
მართლა, ჩავიწვებოდი,
არა მტოვებენ დემონები
ერთი წამითაც…
მე გრიგალების და ქარების
ცქერით ვტკბებოდი,
როცა განგებამ
ელვას და მეხს გამომარიდა…
თან მოჰყვებიან,
ქარს ზვავებიც თან მოჰყვებიან,
მე კი შემოვდექ მწვერვალებზე,
როგორც მნათობი…
მთებს გადავცქერი,
რომელზედაც ვეფხვნი ფრთხებიან,
და თან ვიხსენებ,
სილამაზით შენც რომ მაფრთხობდი…

ნუ დამპატიჟებ

ნუ დამპატიჟებ,
ტყუილია,
ვერსად წამოვალ,
მე ხომ ფეხებში
მედებიან წლები გასული...
ჩემთვის ძვირფასო,
ის მზე უკვე აღარ ამოვა,
ვწევარ ღრუბლებზე,
მზესთან ახლოს,
ცაზე გართხმული...
ვწევარ და ვფიქრობ,
მჭირდებოდა პოპულარობა?..
წუხელ ქარებმა მოიტანეს
თოვლის ნამქერი...
ამ ცის გადაღმა
სირინოზთა გუნდი გალობდა,
და ცას ავსებდა
ხმები მათგან გადმონადენი...
ვიცი, აღარც შენ გეღიმება,
ალბათ, ალერსზე...
ვიღაც ლირაზე მიჯაჭვულა
მთელი არსებით...
ანგელოზები გამიშლიან
ლოგინს მთვარეზე,
მე მოგონებაც მყოფნის შენზე,
უკვე, სავსებით!

თუ გეყვარები

რაც უნდა იყოს, რაც უნდა მოხდეს,
სულ რომ წამლეკონ ამ მეწყერებმა...
სიცოცხლეს მაინც ჩავთვლი სამოთხედ
და შენთან ყოფნას ბედნიერებად...
რადგან სამყარო ასე უსაზღვრო,
რაც ცნობადია ყველაფერს იტევს...
მე აწმყოს თავი რად გავუყადრო,
თუკი ცხოვრება ძაღლივით მიყეფს...
გაუშვი, ჰქონდეს ჩემ მკერდს ბზარები,
გაუშვი, თუნდაც სისხლმა იწვეთოს...
არაფრად ჩავთვლი, თუ გეყვარები,

რომც ფეხი ჩემგან ამოიკვეთო...
გამოვუძღვები შენსკენ ქარიშხლებს,
ვნახავ ხარირმებს გალაღებულებს...
და შემოგიმსხვრევთ ერთად კარიბჭეს,
აგიხდით ქვევრებს ჩამაჭრებულებს...
გამოხვალ, როგორც მზის ათინათი,
და სხივებივით გადმოიღვრები...
ირმებს თვალს მოსჭრი შენი სინათლით,
და მხოლოდ, მხოლოდ ჩემი იქნები!!!

მოგისმენ

ამომდიოდა, მახსოვს, მზე შენზე,
შენ კი უეცრად მითხარ უარი...
შენი სახელი მეწერა მკერდზე,
გავკვალე შენსკენ გზები უკვალი...
როგორ დავკარგე, როგორ დავკარგე,
ყველა, ვინც ჩემთვის ოდნავ იწვოდა...
ვისთანაც, ჩემი გული გადავრგე,
და ვისი გულიც ჩემთვის მინდოდა...
რა გვიანია, რა გვიანია,
შებუდებულან ხეზე ჩიტები...
შენი ამბავი არ გიამბია,
მოგისმენ თუ გსურს და მომიყვები...

ნეტა, სად წყდება?

რატომ წახვედით ასე შორს ჩემგან,
ისე, რომ არცკი დამემშვიდობეთ?..
ნუთუ, არ გსურდათ რაიმე გეთქვათ,
მაშ, ხელი რატომ გამომიწოდეთ?..
ნეტა, სად წყდება, ან სად მთავრდება,
თქვენი ან ჩემი ბედის ხაზები?..
თქვენ წასვლას იქნებ ჰქვია გაქცევა,
მე კი, თქვენც იცით, ისევ აქ ვრჩები...
თქვენ ახლაც, ისევ, სხვას აჯილდოვებთ,
თქვენი შარმით და თქვენი აურით...
მე კი კვლავ, თითქოს ომში ვიბრძოდე,
თითქოს მომიკლეს კვლავ ბედაური...
დააჯილდოვეთ, დააჯილდოვეთ,
ყველა, ვინც თქვენი კოცნის ღირსია...

ისიც მეყოფა მე რომ მიპოვნეთ...
და აღასრულეთ თქვენი მისია...

ნიანა ნიას!

რომ გიცნობდე, დაგიწერდი,
დაგიწერდი, ალბათ, ლექსებს...
ისე, როგორც სხვა დროს ვწერდი,
თითქოს მიყვარს და ვაღმერთებ!!!
კარგი იყო, შენთან ვიყო,
ჭიქებს ჭიქებს მივურტყამდით,
გაკოცებდი, ისე თითქოს,
ჩემი სატრფოც კი იყავი...
თორემ ასე, ახლა რომ ხარ,
შენს თავს ზღვები რომ მაშორებს...
ვიცი, ჩემთან ვერ წამოხვალ,
რას გაივლი ამდენ მორევს..
დარჩი, დარჩი ჩემს ხსოვნაში...
როგორც ზღვაში მარტოდ ნავი...
როგორც ერთი ტკბილი ბავშვი...
მე რომ დამრჩა უნახავი...

მშურს შენი ლოკვა

ამ წუთისოფლის დავრჩები მოწმედ,
რომ იყო, მართლაც, რომ ის არსებობს...
შენს დანახვაზე ცა დაიმორცხვებს,
ვფიქრობ, შენ სჯობნი მთელ მის სამეფოს...
ნუ მიმზერ ასე, ნუ მიმზერ ასე,
ეგ შენი მზერა ჩემს სულში ატანს...
ასე მგონია, რომ წამით მასწრებ...
რომ გუმანით გრძნობ ტყუილს და მართალს...
რომ მინგრევ ღვთისგან ბოძებულ აწმყოს,
რომ მონატრებას გაუსვი ხაზი...
რომ ჩემი გრძნობის სევდისფერ ტატნობს,
შენი ღვთიური ბეჭედი აზის...
რომ ყველა გზები შეერთდა ჩემთვის,
ვით შენი თმები მხრებზე დაყრილი...
რომ მეც კი ასე დაღლილს და შეცვლილს,
მსურს შენი ლოკვა შენი ძაღლივით...
გამომიტანე, გამომიტანე,
თუნდ, განაჩენი საბედისწერო...

და თუ ტყეებში შველის ნუკრს ჰკლავენ,
შენგან სიკვდილიც მსურს შევიფერო!!!

რისხვა ამიტანს

როგორ აგიხსნა, როგორ მიყვარდა,
მიწა, რომელსაც სამშობლო ერქვა...
ხალხი, რომელიც მას სისხლით რწყავდა,
და მიწაც მათი ძარღვივით ფეთქდა...
ახლა, რომც მსურდეს, ვერ დავბრუნდები,
ვერ დავბრუნდები უკან იმ წლებში...
როცა გვიყვარდა ყველას უკლებლივ,
ჩვენი მიწა-წყლის ყოველი კენჭი...
ახლა კი, ხშირად ისეც მგონია,
რომ იმ სიყვარულს აზრი არ ჰქონდა...
რომ ყოველივე თან გაჰყოლია,
იმ დღეებს, იმ წლებს, ალბათ, სახსოვრად...
დღეს სულერთია, გიყვარს, არ გიყვარს...
დღეს ყველა გრძნობამ დაკარგა ფასი...
თუმც, ზოგჯერ, სმის დროს, რისხვა ამიტანს,
და ხელში ღვინის მეფშვნება თასი!!!

ჩემი გული წაგიღია (დადუნას)

წაგიღია, წაგიღია,
ჩემი გული წაგიღია...
მე კი ვეძებ საგულეში,
ვერაფერი გამიგია...
იქნებ ჩემი ხოხობი ხარ,
ან კაკაბი ლურჯი ფრთებით...
დილის ნიავს მოჰყოლიხარ,
და ჩემს ბაღში ნამით თვრები...
არ დამიფრთხე, არ დამიფრთხე,
თუ, ძვირფასო, ხელი გახლო...
ძაფს მივაბამ ჩემს ნატვრისხეს,
რომ მამყოფოს შენთან ახლოს...
და ზღაპრები თუკი გიყვარს,
ზღაპრებს ისე კარგად ვყვები...
რომ ჭკუიდან გადაგიყვან,
და შენც ხელში ჩამადნები...

მეც წავალ

გამწირავს ერთხელ ცა და მეც წავალ,
და არაფერი დამენანება...
რადგან, ძვირფასო, შენ შემრჩი წამლად,
და ჩემი სული შენს სულს დანებდა...
შენ კი არეულს ამ სასტიკ დროში,
როგორ შემოგრჩა ეგ სილამაზე...
ასე ყვავილი ამოდის თოვლში,
და ბრწყინვალეებით ვარსკვლავებს აბნევს...
არ ვიცი, რისთვის გავჩნდი ამქვეყნად,
საიდან მოველ, ან საით ვივლი...
ხან სიხარული, ხან მწუხარება...
ხან სიყვარული, ხან სიძულვილი...
მე მიჭირს, მიჭირს, თუ ჩემთან არ ხარ,
და, ვიცი, ღობე-ყორეს ვედები...
რას მეტყვი ახალს, რას მეტყვი ახალს...
თუ შენც ჩემსავით სიკვდილს ნებდები...

ჯანდაბას

სისულელეა, განა, არ ვიცი,
მწუხარე სახით ქალზე ტირილი...
ვიღას სცალია ქალზე დარდისთვის,
გრძნობებს გაუდის ლიწინ-ლიწინი...
ძველ სენტიმენტებს დააცვდა ფრთები,
და მდედრიც გვიმზერს სულ სხვა თვალებით...
ტყუილად მხვდები, ტყუილად მხვდები,
არა ვარ ღირსი ამ მოკრძალების...
ვერც გულს გიჩვენებ, სიმართლე გითხრა,
გული დიდი ხნის გამოხრულია...
აღარ მოქმედებს მასზე არც რისხვა,
არც დაყვავება უკვე სრულიად...
მორევში ვარ და, ვიცი, გავაღწევ,
არც ეს მორევი, მორევს არა ჰგავს...
მე მკერდზე მხოლოდ მამული მაწევს...
სხვა ყველაფერი, მართლაც, ჯანდაბას!!!

...

ღამეა და ლოდად აწევს,
ლოდად აწევს ღამეს ნისლი...

სულ არ უსმენს მთვარის აზრებს,
მისგან თავს რომ ვეღარ იხსნის...
ღამეს მთვარის აურა აქვს,
მიეძალა მასაც დარდი...
ვარსკვლავებით თავი გააქვს,
დაისიდან აისამდი...
ვუსმენ, ვუსმენ სიოს ნოტებს,
ყვავილების ჩურჩულს ბაღში...
ვარდს ბულბულზე რომ აბოდებს,
ყოველ დილას ძილბურანში...

მაინც მსურდა

ფატას ჰგავხარ სადედოფლეს,
დიადემას მთვარის ვერცხლის...
მე იმედი როგორ მქონდეს,
შენ თუ მხოლოდ მზეებს ეტრფი...
მაინც მსურდა შენს გულმკერდზე,
ჩემი ნატვრა დამებნია...
გაზაფხული დადის მთებზე,
გამოსულა გზაზე ია...
მე კი ბედის ანაბარა,
დავალ, როგორც მთვარეული...
მზის სხივებში აბანავა
დილამ თავის თაიგული...
მოგიძღვნიდი, მოგიძღვნიდი,
შენ რომ ჩემგან რამე გსურდეს...
მწიფე ატმებს გაგიფცქვნიდი,
დაგითმობდი ჩემს საუზმეს...
შენ კი, ალბათ, სხვისით ხარობ,
სხვისი მზე გწვავს ათასფერი...
დაშრა, დაშრა, ბედის წყარო,
ვკოცნი შენს მკერდს გადათელილს...

მე ბევრი რამე შენზე არ ვიცი (ელენას, ჭოველიძეს)

ნეტა, როგორი გქონდა ბავშვობა,
მე ბევრი რამე შენზე არ ვიცი...
მზეს ჩემი სული ცაში აჰქონდა,
და მეც მივდევდი ტკბილი განცდისთვის...
კი, იყო წლები ჯადოქარული,
და თავბრუსხვევაც სიყვარულებით...

ცა უსასრულო და მოქარგული,
სავსე ბავშვობის სასწაულებით...
ნება რომ მქონდეს, ან რომ შემეძლოს,
გამექრო ბოდვა ამ მძიმე წლების...
იქნებ შეგვეგრძნო, ისევ შეგვეგრძნო,
გემო, იმ სუფთა, ბავშვური ცრემლის...
ვინ იცის, იქნებ შემყვარებოდი,
ალბათ შემორჩნენ თქვენსკენ ჭალები...
მეც მქონდა ერთ დროს თვალები ორბის,
და არწივივით მჭრელი ბრჭყალები...

სად ვნახო მუზა

ისევ მუზების გარეშე დავრჩი,
არ შველის ამას ტვინის ჯგლეთანი...
ვინ დამიბრუნებს სიყვარულს ვალში,
ნეტა, ვის ატკბობს ჩემი ნესტანი?..
არა ვყოფილვარ სამაგალითო,
თუმცა, ვიბრძოდი დღე და მოსწრება...
იქნებ თავისი მუზა დამითმოს,
ვისაც მობეზრდა მათზე ოცნება...
არ ვეძებ მის სულს და ათას რამეს,
ლამაზი იყოს შესახედავად...
მიჟუჟუნებდეს ხანდახან თვალებს,
თუნდაც მკოცნიდეს გაუბედავად...
ისე, კი, ჯობს, რომ ცეცხლს მიკიდებდეს,
როგორც მხრაკავდა ჩემი წყეული...
გულის კედლებსაც ისევე გლეჯდეს,
როგორც ის ძველი, გადარეული...
თორემ პარნასზე ისეც გავივლი,
მუზით ვიქნები თუ უმუზებოდ...
ის კი მდაღავდა ნაღვერდალივით,
და გულიც მუდამ ჩირაღდნად მენთო...
სად ვნახო მუზა, იმას რომ სჯობდეს,
რომ მიამსხვრიოს მისი ბორკილი...
რომ ისევ გავყვე მთებისკენ ორბებს,
ის კი მომდევდეს ანგელოზივით...

ნუუ, ნუ მეტყვი

როგორც ღვთის წყევლა, ბედისწერა სულ უკან დამდევს,
ასე მგონია დაბადებაც კი არ მაცალა...

ვგავარ მტრისაგან გაძარცვულ და გადამწვარ ტაძრებს,
ტაძრებს, რომლებიც ყვავ-ყორნების ბუდე გამხდარა...
ნუუ ნუ მეტყვი, რომ მპატიობ ყველა შეცდომას,
ჩემი ცოდვების მე თვითონაც მიჭირს აწონა,
მე ეს სიცოცხლე საჭადრაკო დაფა მეგონა...
და ვერც ჩათრევას ვამჯობინე, ალბათ, ჩაყოლა...
ვერა, მონობას ვერასოდეს ვერ დავჯერდები,
არც ჩემ წინაპრებს მსგავსი დამღით არ უცოცხლიათ...
როგორც ომებში მიდიოდნენ ძველი მხედრები,
სწორედ იმათი განრისხება გამომყოლია...
და თუკი მიმზერს საუკუნე ცივი თვალებით,
არა იმიტომ, რომ ჩემს ცოდვებს ბოლო მოუღოს...
მე შენს სიწმინდეს ამ ხელებით ვერ ვეკარები,
და ჩემი დაშნა ჩემს ნეკნებში ჩემს გულს პოულობს...

ვერ მივაღწიე

ვეცადე, მაგრამ, მაინც ვერაფრით,
ვერ მივაღწიე სრულყოფილებას...
ბოლოში მუდამ მიწყდება ძაფი,
ჭიქა ტყდება და ღვინო იქცევა...
კვლავ ნისლიანი გათენდა დილა,
ვიოლინო კი სიმებს აფეთებს...
ზეციდან ცივი ნოტები ცვივა,
და დილიდანვე სულს მიასკეტებს...
ვეპოტინები რაღაც უაზროს,
რაღაც უსაზღვროდ უნივერსალურს...
ნუუ, ნუ ცდილობ ჩამომეფარო...
სიმშვიდე მინდა ღრუბლებს შეფარულს...
რა ამოძრავებთ ცაში ვარსკვლავებს,
რა ძალამ შექმნა ეს მირიადი...
სად მიაქანებს, სად მიაქანებს,
მიწას სხეული ამ სიდიადით?..
ვინა ვარ, ან შენ რატომ გიხილე?..
კოსმიურ ცეცხლში რად შემხვდა როლი?..
ქარი, რომელიც კარში ჭიხვინებს...
თუ ნისლი მთებს რომ დაუყვა ძრწოლით?..

მითვლი ღალატებს

ნუ გაჩუმდები, ნუ გაჩუმდები,
გთხოვ, ამომივსე სიცარიელე...

არ მიყვარს, როცა ჩუმდება ზღვები,
და სულს რომ ფრთხილად მითვალიერებ...
როცა ჩურჩულით მითვლი ღალატებს,
მერე თამაშობ და ბრაზს არ იმჩნევ...
ღამეა, ცაზე მთვარე ანათებს,
მთვარე უნაზეს ვარსკვლავს აირჩევს...
მე კი კვლავ ველი, ველი გარიჟრაჟს,
რომ ღამის ცოდვებს მზით ვუმკურნალო...
და სულს რომელიც ისევ აიჭრა,
კვლავ განაჩენი გამოვუტანო...
არა მჭირდება, არა მჭირდება,
ეს მოსასხამი შავი მანტიით...
ბედი, რომელიც ზღაპრებს მპირდება,
და მათამაშებს ხელში ბავშვივით...

ნაღდად

რაღაც დიდი და ახალი,
ნაღდი ცხოვრება იწყება...
ბევრად იმაზე მაღალი
ვიდრე მე და შენ გვჭირდება...
ონკანში ღვინო წამოვა,
მთვარე მზედ გადაიქცევა...
და ყველა, ყველა ბანოვანს,
მოეწონება ქმრის ქცევა...
ზეციდან წვიმის მაგივრად,
ფულის პაჭკები იწვიმებს...
სულით და გულით რაც გინდა,
სიხარულისგან იკივლებ!!!

მიწამლე რამე (მარი მარის)

მიწამლე რამე, დამიკორტნეს გული ყვავებმა,
მიწამლე რამე, ან მომეცი სადმე სამალი...
აღარ არსებობს დღეს შენს გარდა სხვა ნეტარება,
რადგან შენა ხარ ჩემი შხამიც, ჩემი წამალიც...
რატომ მგონია, რომ დუელში გამომიწვიე,
და ჩემსკენ რაშებს მოაგელვებ, შაჰის ხალათით...
სასახლის კარი არბალეტით შემომიმსხვრიე,
და თავს დამადექ, შუბის წვერით, როგორც ჯალათი...
ნუღარ აყოვნებ, რად შეჩერდი, შუბი ასწიე,
მე ხომ რაც გითქვამს, ჭრილობებად მკერდზე დამეტყო...

დიახ, მე ყველა ომებიდან გამოვაღწიე,
რომ სასიკვდილო ბოლო დარტყმა შენთვის დამეთმო!

შენ კი ჰგავდე ჯადოქარს

ვიცი, ვიცი, რომ გინდა,
მხოლოდ შენზე ვფიქრობდე...
თუნდაც, მაგ სიშორიდან,
ხშირად ძილსაც მიფრთხობდე...
ისე მაგრად დავფეთდე,
გავდიოდე კედლებზე...
ვლოცულობდე სანთლებზე
შენს თმებზე და შენს მკერდზე...
შენ კი ჰგავდე ჯადოქარს,
ვერ ვუძლებდე შენს თვალებს...
გულზე სევდა მაბობღავს
რაც შენ შემომეყარე...
მე ბევრ რამეს ავიტან,
კარგვის დიდი ნიჭი მაქვს...
ჰო, შენს მერე, თავიდან,
ყველაც გამომიფრინდა...
ვატყობ, როგორ მეფდები,
ჩემს საბრალო გრძნობებზე...
რა მჭირს, რა მსურს ვერ ვხვდები,
მინდა, მინდა, მომბეზრდე...
კიდევ კარგი, შორსა ხარ,
და, ვინ იცის, სხვისიც ხარ...
თუმცა, ერთსაც მოვჩმახავ,
გულის კოვზზე მიზიხარ...

ხდება

წუხელ, რაღაც შემთხვევით,
ხელში შემომაჩეჩეს,
არ ვიცოდი რა იყო,
მაგრამ, მაინც გავხსენი...
ამურები ყოფილან,
ჰოდა, ისე გამწეწეს,
ჩემგან, მართლაც, არ დარჩა,
გრამი აღარაფერი...
როცა ცოტა დავწყნარდი,
თვალში გამოვიხედე,

წამს თავზარი დამეცა,
რადგან ზეცა გაიხსნა...
ჩემს წინ ქალი კი არა,
იდგა თვითონ სიკეთე,
გამიღიმა მშვიდად და,
სიყვარული ამიხსნა...
ახლა, როგორ გგონიათ,
კაცს ცოლიც მყავს,
შვილიც მყავს,
ის კი გევრდით დამყვება,
არ მცილდება არაფრით...
ვიცი, ეშაფოტამდე
ჩემი ფეხით მიმიყვანს,
დანას ხელსაც გაჰკრავს და
უტვინო თავს წამაცლის...

რა გაასწორებს

ამ სამყაროში ჩემი ადგილი
ვფიქრობ, როგორც ჩანს, მართლაც არ იყო...
ბედი მტორავდა შლეგიანივით...
და მუდამ ვიყავ სათადარიგო...
ამდენ ომებში რით ვეღარ გაცვდა,
ეს ჩემი ხმალი, სისხლში ნაწრთობი...
ბევრი შენიშვნა ყელში გადამცდა,
მადლობით მქონდა ენა ნაღრძობი...
რა გაასწორებს ამ ვულკანურ მთებს,
ან სულის ტკივილს რა გადასწონავს...
სად არის ღმერთი, ვინ მიპასუხებს,
მითხარით, სანამ მტერი ჩამქოლავს...
მითხარით, რაა ბედნიერება?..
ან მზე ამ ცაზე ვისთვის ამოდის?..
იქნებ, მე ვცდები, ან მეჩვენება,
სულზე შემაბეს კარი სამოთხის...
მაგრამ შემოსვლას ვერავინ ბედავს,
რომ ჩემი სული გადაიაროს...
მე გულზე მაწევს სამყაროს სევდა,
როგორც ჯანღები კლდეებს ფრიალოს...

უბრალოდ ვხვდები

თუ ვერ შევხვდებით, ძვირფასო, დიდხანს,
სიცივეს შენს გულს ნუ გააკარებ...
ამ ცხოვრებაში მე ვინ რას მკითხავს,
უბრალოდ ვხვდები, რომ თავს მაყვარებ...
თუმცა, არ ვიცი, რაში გარგია,
ხშირად იაფი ჩემი გრძნობანი...
ღმერთს შენი მკერდი მოუქარგია,
როგორც ძველ ოსტატს ხის კიდობანი...
მართლაც, რა გითხრა ასე შორიდან,
შენ ზღვასთან ცხოვრობ, მე კი აქ ვიწვი...
ბედნიერებას მე ვერ მოგიტან,
მე ხომ, უბრალოდ, ვარ შენი ნისლი...
შემოგერტყმები, შემოგეკვრები,
იქნებ, შენს სულშიც შემოვაღწიო...
მაგრამ, იცოდე, თუ შემეხები,
ვინ იცის, მომკლა და წყლად მაქციო...
შენ გძინავს ახლა და შენს სიზმრებში,
მინდა, როგორმე შემოვეხეტო...
იასამნები მომქონდეს შენთვის,

და შენ კი ცხადში შემომეფეთო...

მე კი გეტყოდი

შენ მეუბნები, რომ, თითქოს, მე ვარ,
ქალთა გულების გულთამპყრობელი...
მე კი გეტყოდი, რომ მათი ტყვე ვარ,
და არა მათი გულთა მფლობელი...
მგონია, სული გაცივდა, თითქოს,
ვით შემოდგომა შემოძარცვული...
გაზაფხული კი თავის მსხვეპლს ითხოვს,
და მას ვაჩუქე მეც ჩემი გული...
ასე მგონია, ზღვის ფსკერზე ვწევარ,
და ზვიგენები ტკბილ ძილს მიფრთხობენ...
შენ კი რატომღაც ჩემი არ გჯერა,
ვინ იცის, შენ ხელს სხვებიც ითხოვენ...
ვინ იცის, აჰყვე სხვათა ცდუნებას,
ციებ-ცხელებას, ოქროს, ფულების...
თუ კი ასეა, იყოს ღვთის ნება,
წადი, იცხოვრე, შენც ფუფუნებით...
მე კი ვიქნები, სადმე, ზღვის ფსკერზე,
ან, თუნდაც, ხრამში გადაჩეხილი...

ვიფიქრებ შენზე, ვიფიქრებ შენზე,
რათა, არ იყო გულდაწყვეტილი...

შენ უფლება გაქვს

რას ელოდები ჩემგან, არ ვიცი,
მე არაფერი არ ვიცი შენზე...
მადლობა გითხრა სილამაზისთვის?
ან დავრჩე მხოლოდ ბედის იმედზე?
არა, არა ღირს, თან მეშინია,
მეც ეჭვის ჭია არ შემომიჩნდეს...
მთელი ქალაქი დღეს ჭორებს მიაქვს,
თან ვიცი, მართლაც, მოცდა მოგიწევს...
ან როგორ მივხვდე, ასე რად ხდება,
ბედი გვერდით გვყავს და სხვაგან ვეძებთ...
მე ის არასდროს არ მეთანხმება,
მან არაფერი არ მითხრა შენზე...
ვინ იცის, იქნებ, მხოლოდ ქარი ხარ,
ჩამივლი სტვენით, ქროლვით, ზუზუნით...
მე ხომ არასდროს არ მინახიხარ,
იქნებ, ბავშვიც ხარ, გასკდე სლუკუნით...
არ შემაცდინო, არ შემაცდინო,
მე დამარცხებას ვეღარ ავიტან...
შენ უფლება გაქვს გული მატკინო,
თან, მე ხომ შენი წყენა არ მინდა...

ვერ ვიტან

თუ კი გავიდა, ვეღარ აღდგება,
წარსულს გადაშლის ახალი კვალი...
ის ლაშქარივით იარაღდება,
არის მკითხავი და გულთმისანი...
ეს მხოლოდ მე ვარ, მე შემიძლია,
დავბრუნდე, თუნდაც, ანტიკურ დროში...
ვნახო, ვინ წერდა, ჩვენთვის ბიბლიას,
სად წევს თამარი, რომელ კუბოში...
და თუ ვერ ვიტან ნაცრისფერ ფერებს...
ვერ ვიტან ღამეს, ვერ ვიტან წყვდიადს...
ლამის სამყარო გადავიმტერე,
ვერ ვიტან ვერც სულს, შავს, ტალახიანს...
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
ამ რელსებიდან გადამიყვანონ...

ვერ მოვაშორო ამ ნაპრალიდან,
სამშობლო და მეც გადავიყვარო...

არ დამტოვებენ

როცა დავთვრები ამ გაზაფხულით,
რომელიც, ალბათ, უკვე გზაშია...
როცა ნატვრები ცამდე ასული,
შემოეხვევა ჩემ ფანტაზიას...
არ დამტოვებენ, არ დამტოვებენ,
უშენოდ ჩემი ანგელოზები...
მიწაზე ცისფერ კვალს რომ სტოვებენ,
ვით ზეციური მანდილოსნები...
ჩემს ბაღში ნუშმა ყლორტი იყარა,
მაყვლის წკირები ლეღვს გადაეწნა...
ბზამ ნაწნავები გადაიყარა,
და ალუბალი ატამს გაექცა...
უკვე იებიც თვალებს ახელენ,
და წვიმის თქეში მონაკადულობს...
მითხრეს, რომ თურმე აღარ მახსენებ,
არც გაგონდები და არც მნატრულობ...

ეს დროა მკაცრი (შ.ნ.-ს)

შენ არ გეგონოს, რომ დამავიწყდი,
ან დაგპირდი და არ შევასრულებ...
რამდენსაც მეტყვი იმდენს დავიცდი,
გამახსენდები და თავს მაწყურებ...
მე არ მიმიძღვის ბრალი ამაში,
რომ ვარსკვლავები ციდან ცვივიან...
რომ ზამთარია ჩემს ქვეყანაში,
რომ მანდ ჩამოსვლა არ შემიძლია...
მე ხომ აქ შენთვის ღამეებს ვტეხავ,
და ჩემს ნუგეშებს გზა-გზა ვარიგებ...
სადა ხარ, ნეტა, სადა ხარ, ნეტა...
სიზმარში გნახავ და დამარიგე...
როგორ მოვიქცე თუკი მწყურია,
შენი ღიმილის თეთრი წინწკლები...
ეს დროა მკაცრი, დრომ აურია,
მე კი, არასდროს დამავიწყდები...

ნუ გამარისხებ

ნუ გაიკვირვებ თუ ვულკანს ვგავარ,
თუ დიდხანს, დიდხანს მიწევს დუმილი...
მე ჯერაც ვსწავლობ ცის ანაბანას,
და ვბღავი ზოგჯერ დამდუღრულივით...
და ისიც მინდა კარგად იცოდე,
ჩემი დუმილი არის საშიში...
რადგან გულ-ღვიძლი იქნებ იწვოდეს,
ემუქრებოდეს ტვინსაც გათიშვით!
და თუ ეს მოხდა, მაშინ, ვერაფრით...
მე ვერაფერი ვერ შემაკავებს...
ამოფრქვეული ცისკენ ვესწრაფი
და ცეცხლით მინდა შევწვდე ვარსკლავებს...
დაიძრებიან ჩემი ზვავები...
მწვერვალთა ქიმზე ამოტვიფრული...
როგორც ფოლადის ნაღვერდალები,
მიწის გულიდან ამოზიდული...
ნუ გამარისხებ, ნუ გამარისხებ,
ჯობს ვიყო ასე დადუმებული...
ხედავ, კლდეებმა ტანზე აისხეს,
ღბუბლები შავად ჩამუქებული...

თუნდ იყოს ასე (მრ-ს)

რა ვიცი, იქნებ, სულაც მაგიჟებ,
და მეც უაზროდ, მართლაც, ვგიჟდები...
იქნებ, თამაშობ მაგ სიფაქიზეს...
ისე ავიჭერ, ვერც ვუფიქრდები...
თუნდ იყოს ასე, უარესებსაც
ავიტან, სულაც, რომ არ ასხივო...
გადავივიწყებ ჩემ ძველ სტრესებსაც,
ოღონდ ალერსი შენი მასმინო...
მესმის შრიალი ატმის ფოთლების,
მიენამუნა ჭერამს ალუჩა...
შენი ბრჭყალები მიმინოსებრი
ჩემს ყელის ძარღვთან ფრთხილად გაყუჩდა...
რაზე ფიქრობენ, რაზე ფიქრობენ,
ყელზე მცოცავი შენი თითები...
ასე მგონია ქალებს მიფრთხობენ,
ვისაც ვერასდროს ვერ ვივიწყებდი...
მე შეყვარებულს ვერა ვთამაშობ...
რა უდროო დროს წყდება სიზმრები...

ძვირფასო, იქნებ, გინდა დამახრჩო,
თუკი ასეა, არ გაგიწყრები...

ნუ დამინდობენ (მარის ახობაძეს)

შენ თუ მიშველი, შენ თუ მიშველი,
სანამ ომის ველს მოვრწყავ სისხლისფრად...
შემომხვევია ტანს, როგორც გველი,
რაღაც წითელი, მართლაც, სისხლის ზღვა...
შენზე ოცნებებს გვერდზე გადავდებ,
რადგან დრო მიტევს გაუმაძღარი...
მინდა იცოდე, ჭორებს არ ავდევ,
დღეს ყველასა აქვს ისეც ცხრა თვალი...
და სანამ ომის დილა გათენდა,
სანამ ჩაბერეს ბუკს და ნაღარას...
ამ ჩემს ორლესულ გორდას დავფერავ,
და სულს ცრემლების ჟანგით დავფარავ...
ნუ დამინდობენ, ნუ დამინდობენ,
გულში ჩამესოს გველის ნესტარი...
შენი თვალები თუ დამიპყრობენ,
რადგან არავინ მომწონს შენსავით...
თორემ მტერს, თუნდაც ზღვებად მოსეულს,
ასჯერ რომ მომკლას, ვერ გავექცევი...
ჯერ კი შენს მკერდზე მომსკდარ ბროწეულს
ვწვევივარ თურმე და შევექცევი...

მაპატიე

ყველას უნდა სიხარული,
ალბათ, მწერსაც, ალბათ, გველსაც,
ყველას უნდა სიხარული,
ყველას, ყველას, ყველას, ყველას...
ყველას უნდა ასხივებდეს,
მზე, რომელსაც სხივები აქვს...
და ცისკრებიც აცინებდეს,
ღამეს ცივს და ყინვებიანს...
როგორ მიყვარს შენი სახე,
ყვავილივით დახატული...
როცა ირგვლიც ღიმილს აფრქვევს,
შენი ტრფობით გაზაფხული...
მაპატიე, თუ შევცდი და,
თუ ოდესმე ვერ გაგიგე...

ვერ ჩამოველ ღრუბლებიდან,
ვერ ვტოვებდი პირამიდებს...
მაპატიე, მაპატიე,
რომ სულ ცაში დავფრინავდი...
რომ ჩემს გულში ვერ ჩაგტიე...
და ბუზღუნით გულს გიჭამდი...

მე თავს ვიცავდი

მე ხომ ამ ჩემმა ილუზიებმა,
ვერ ამიხილეს ვერასდროს თვალი...
და, ალბათ, ღმერთმა, რომც მომცეს ნება,
ნებას არ მომცემს ჩემი მორალი...
რაც ვიყავ, იმად დავრჩი და მორჩა,
ზეცას ვარსკვლავად ვინ შერჩენია?..
მე ომი მქონდა მხოლოდ ჩემ დროსთან,
რომ მომავალი ამომერჩია...
წამებს თუ წუთებს მოჰქონდათ დაღი,
და აჭედებდნენ აწმყოს ლურსმნებით...
და ბობოქრობდნენ ქარი თუ ჯანღი,
განუსაზღვრელი თავისუფლებით...
ამიტომ შემრჩა მეც როსინანტი,
ეს დონ კიხოტის მძიმე ჯაგლაგი...
მე არ ვიბრძოდი, მე თავს ვიცავდი,
და თავზე მედგა დროის ჯალათი...
ზოგჯერ იმედით გავხედავ ზეცას,
ნეტა, სად გაქრა ძველი თაღები?..
ხან ყავლი გასდის ოქროს და ვერცხლსაც,
და ჟანგდებიან იარაღები...

წამიკიდე

მე ვითვლიდი სიყვარულის პარამეტრებს,
ამური კი ისარს ზურგში მიმიზნებდა...
და ვერც მივხვდი, როდის, რატომ გაგაღმერთე,
ვის ვახსოვდი, ან, უბრალოდ, მივიწყებდა...
წარსულია, წარსულია ყველაფერი,
რადგან აწმყო, ალბათ, აწმყო არ არსებობს...
და ძილის წინ თუ შენს მკერდზე მრჩება ხელი,
მე სიზმარში მესიზმრება საქართველო...
წამიკიდე, წამიკიდე შენი ცეცხლი,
რომ ხანძარმა სიყვარული ამიკრძალოს...

ცეცხლის მერე დარჩენილი ჩემი ფერფლი,
ქარიშხლებმა ცის თაღამდე აიტანოს...
ნუ დამალავ, ნუ დამალავ გააფთრებას,
თუკი ჩემში ბარბაროსი დაინახე...
სიყვარული არასოდეს არა კვდება...
ის გარბის და თავის ბოღმას სხვაზე ანთხევს...
შემიცვალე, შემიცვალე ხასიათი,
იქნებ შიშმა ერთიანად ამიტანოს...
მიყვარდი და მეც ზეცაში დავფრინავდი,
და თუ გავქრი, ღალატში არ ჩამითვალო...

შენ თუ არა

რომ არ გძინავს კარგად ვიცი...
ფისოსავით ნაბავ თვალებს...
თუ არა გსურს ნუ დამიცდი...
ნუ დამიცდი ნურცერთ ღამეს...
ვიცი, ვიცი, ყველაფერი,
შენთვის მხოლოდ თამაშია...
მე კი ბედმა მერამდენე
ტკბილი ღამე ამახია...
წავალ სხვასთან გავერთობი,
ვინც აჟღერებს ნაზად სიმებს...
ვინც გამიგებს და ვენდობი,
ვინც ლამაზად გამიღიმებს...
შემომიმტვრევს ქარი სარკმელს,
და სადაც ხარ ქარი მეტყვის...
შენ თუ არა სხვა მინატრებს,
და გულისპირს გახსნის ჩემთვის...

ნუუ... ნუ ტკბები...

ვის რა სასჯელი არგუნა ღმერთმა,
არავინ იცის, არავინ არ თქვას...
მე მომისაჯა არ ყოფნა შენთან,
შენ კი ყოფნა და ცხოვრება სხვასთან...
ნუუ, ნუ ტკბები, ერთსა გთხოვ ისევ,
ასე საკუთარ სილამაზეთი...
ისეთი დროა, კაცი მოიწყენ,
შენ რომ არ იყო, მართლაც, ასეთი...
მოილამაზე, მოილამაზე,
სამყარო შენი თმების ჩანჩქერით...

მე კი ვიქნები უშენოდ, ასე,
ჩემი მგლებით და ჩემი აფთრებით...
კი, მართალია, როცა მიჭირდა,
შენ შემეშველე მწუხარებაში...
ალბათ, სიკეთის დიდი ნიჭი გაქვს,
ამას ადვილად გამჩნევ მზერაში...
ნუ ამიკრძალავ, ნუ ამიკრძალავ,
შენს სიახლოვეს ყოფნას ბოლომდე...
თორემ, ძვირფასო, სადა მაქვს ძალა,
რომ ამის გამო არ გავბოროტდე!
ერთი კი მინდა, მაინც, იცოდე,
შენ ჩემი სულის გახდი ნაწილი...
და თუნდაც, გველს და ეშმას მისთხოვდე,
მაინც მექნება შენი წადილი...
და თუ კვლავ შენსკენ გზა ამერია,
შორს გადამხვეწეს ქარბორბალებმა...
მსურს, თუკი შენთვის არაფერია,
ახლავე მომკლან შენმა თვალებმა!!!

ვიცოდე მაინც (მ.ა.-ს)

მითხარ, სადა ხარ, რამდენს გელოდი,
გაშალა ღამემ თავის მარაო...
არადა, როგორ ჩაგეხვეოდი,
ღამე კი კვნესის, არა, არაო...
ალბათ, ამ ქვეყნად, შენ, ერთადერთმა,
თუ იცი, ჩემი გულისნადები...
ყველა ფიქრები მოდიან შენთან,
თან თავს შველიან ჩემგან გაქცევით...
ვიცოდე, მაინც, რად ჩამისახლე,
მკერდში, თან გულთან, მაგ სიყვარულით...
როგორც ინათებს, როგორც ინათებს,
ქარს გამოვყვები ცხენთა მარულით...
შენ არ მოდიხარ, ჰოდა, რა გზაა,
თავი ჩემს ფიქრებს უნდა შევაკლა...
რა პატარაა, რა პატარაა,
სიცოცხლე, როგორ მინდა ხელახლა...
როგორც საჭმელი ისე მშივდები,
რაც საშინლად ჰგავს ნამდვილ წამებას..
უარს თუ მეტყვი, აგიხირდები,
და შემოგაფლეთ თოთო გარეკანს...
ნუ შეგაშინებს, ნუ შეგაშინებს,
ჩემი მტევნების ცხელი თითები...

შენ მე ხომ ფიქრიც არ შემარჩინე,
და გიკვირს თუკი ასე მინდები?..

ბაღი ხარ (კ-ს)

საოცარია, შემოდგომაზეც,
შემოდგომაზეც გაზაფხულს ჰგავხარ...
ბაღი ხარ, მზით და იებით სავსე,
და ყვავილების ფურცლების თავსხმა...
გეტყვი, შენამდე სულ არ მესმოდა,
რა იყო ქალთა სრულყოფილება...
ან ყელი სახეს როგორ ერწყმოდა,
ან თმები გულმკერდს როგორ მიჰყვება...
როგორ გავექცე, როგორ გავექცე,
თვალებს, ღიმილს რომ აქსოვს სევდაში...
მტევნებს, უთეთრესს და მოალერსეს,
და ვარსკვლავების ციმციმს მზერაში...
ბევრი ვეცადე, ბევრი ვეწვალე,
თვით სილამაზე რომ არ დაგეფრთხო...
მაგრამ როგორც კი გამოგეცალე,
უკვდავებაც კი ფერხთით გაგერთხო...

გადაიარეს

ვინც ჩემს გულს ჩასწვდა, მე ყველა მიყვარს,
ვინც სიყვარული ღიად ამიხსნა...
ვინც იჯერებდა ჩემ ზღაპარ-სიზმარს...
იმედი ჰქონდა ჩემი ნატვრისა...
მე ყველა მიყვარს, ვინც იყო ჩემთან,
ან ჩემი აზრი გაიზიარა...
ვინც გამიქარვა, სულ ოდნავ სევდა,
თავის სიხარულ-ტკივილიანად...
მე ყველა მიყვარს, ჰო, მეტ-ნაკლებად,
ვინც ვერ გატეხა დრომ ულმობელმა...
გადაიარეს შავმა ღრუბლებმა...
როგორც ბოროტმა ანგელოზებმა...

მიწა ვარვარებს

ასე მგონია, დრო გადასწიეს
და ამიტომაც ჩვენც ავცდით დროში...

მე სასახლეებს გადამაჩვიეს,
და ჩავრჩი, ჩავრჩი, ამ უდაბნოში...
მიწა ვარვარებს, მიწა ვარვარებს,
ქვიშების მტვერი ქარებს მოჰყვება...
როგორც კი წამით დავხუჭავ თვალებს,
ტანზე გველები შემაცოცდება...
მე მსიამოვნებს მათი სიგრილე,
მათი ყვეითელი ფერის ხაზები...
როცა შენს ყელთან გველი სისინებს,
რა ნელა გადის, ყველა წამები...
დრო მოვა, ალბათ, მეც გამოვაღწევ,
მეც გამოვაღწევ ამ უდაბნოდან...
მივეკედლები სადმე მონასტერს,
როგორც მოსული სხვა სამყაროდან...
ალბათ, პირველად, სულ ყველაზე წინ,
ძვირფასო, შენ თუ გამახსენდები...
და ცხოვრებისგან დაღლილ-დალეწილს
დამამშვიდებენ შენი მტევნები...

რაც გსურს

თავს რომ გაბეზრებ, მე კარგად ვიცი,
ალბათ, დაგღალე ჩემი ლექსებით...
თვითონ დროც გარბის ისეთი სიმწრით,
ვერცერთ წუთს, რომ ვერ დაესესხები...
შენ კი, მაგ შენი ლამაზი ფერით,
ისევ შემთხვევით შემეჯახები...
მომნუსხავ შენი უბადლო მზერით,
გამომაშტერებ სახის ნაკვთებით...
როგორც ფუტკარი, თითქოს იწოვდე,
მაგ ფერებს ველის ყვავილებიდან...
ამოგიცნობენ, ამოგიცნობენ,
ჩემი თვალები ათასებიდან...
ქრება ნისლები, ქრება ღრუბლები,
და ვარსკვლავებიც ქრება ზეციდან...
ისევ უსიტყვოდ მესაუბრები,
მაგრამ, შენ რაც გსურს, იცი, მეც მინდა...

რაღაც

გვაქვს კი ქვეყანა? ან მიწა-წყალი?
თუ ფარსად იქცა სულყველაფერი?

თითქოს არი და თითქოს არც არი,
როგორც მბჟუტავი ბნელში სანთელი...
თითქოს ვესწრები რაღაც მასკარადს,
კვლავ გალიაში ჰყავთ დონ-კიხოტი...
ისევ დასცინის ვიღაც მასხარა,
მარო თავისი ბრიყვი მიხოთი...
მიიპრემიებს, მოიპრემიებს,
ვინმე უნიჭო ყველა პრემიას...
და ხალხიც უცქერს მხოლოდ სერიებს,
და უძლებს, უძლებს ამ მისტერიას...

როგორ მსურდა

მგონია, რომ კვლავ ბევრი მაქვს სათქმელი,
და რომ დღემდე ვერაფერიც ვერ ვთქვი...
ამ ცხოვრების შუაგულში გათქვეფილს,
ორი ფრთა მაქვს, მაინც, ზურგზე თეთრი...
მომატარებს, მომატარებს ეს ფრთები,
მთელ სამყაროს მომატარებს, ალბათ...
უკვდავებას სანამ შევუერთდები,
და სიკვდილი სამარეში ჩამფლავს...
როგორ მსურდა, როგორ მსურდა შეხება,
შენი თმების, შენი ყელის, ბროლის...
სანამ სული ეშმას გადაეყრება
და თავი აქვს ჯერაც მასთან ბრძოლის...
გამაცანი, გამაცანი სამყარო,
შენ რომ დღემდე განცვიფრებს და გაგიჟებს...
სიყვარული, ალბათ, ყველგან არ ხარობს,
და ღმერთებმაც გულის ფსკერზე დაგვირგეს...
ვიღაც ზრუნავს, ვიღაც ზრუნავს ჩვენს სულზე,
და მეც მინდა, რომ არ დავაზიანო...
მე ის ჩემი თეთრი ფრთებით შევფუთე,
და სამივემ მინდა ერთად ვიაროთ...

მსურს რომ გირწმუნო

იმ თანაგრძნობას შენ რომ მიცხადებ,
ვგრძნობ, როგორც ყელში გაჩხერილ ტკივილს...
როგორც მოდებულ ხანძრის სიცხადე,
შენი სიკეთე ძარღვებში მივლის...
რა იშვიათად მეორდებიან,
დღენი ტკბილნი და ყვავილოვანნი...

ვგრძნობ საქართველოს ორბისფრთებიანს,
როგორც გრიგალებს ციდან მოვარდნილს...
როგორც ხატავდნენ, როგორც ხედავდნენ,
დედოფალს ფერხთით ვეფხვის ბოკვრებით...
ჭიხვინით სივრცეს რომ გასჭექავდნენ,
და ცეცხლს აფრქვევდნენ ცხენთა ფლოქვები...
მსურს რომ გირწმუნო, როგორც თილისმა,
ამ ურთულესი დღეების შემდეგ...
როგორც სუფრასთან ტკბილი ღვინის სმა,
შენ კი, ქალღმერთი ყველაფრის შემძლე...

შენც ვარსკვლავი ხარ

ნუ მომაცილებ ეჭვიან მზერას,
სანამ უფეთქავს ძარღვი პლანეტას...
სანამ ფერები აქვს ცისარტყელას,
სანამ სამარის ზარი დარეკავს...
არ ჩაცხრებიან, არ ჩაცხრებიან,
მუდამ იქროლებს, ალბათ, ქარები...
ზღვაში ზვირთები ზვირთებს ხვდებიან,
ცაში მზეები და ვარსკვლავები...
შენც ვარსკვლავი ხარ, და იქნებ მეტიც,
ალბათ, ვარსკვლავი უვარსკვლავესი...
და შენი თეთრი და სავსე მკერდიც,
უსხლტება თითებს უსაყვარლესი...
წითლად ანთია ჰორიზონტები,
და კომეტები ცვივიან მთებში...
შენი თვალები, როგორც მონსტრები,
ეშვებს მიყრიან გაოფლილ მკერდში...
მეც რახანია ხელით მიჭირავს,
ზეცის ნაგლეჯი უვარსკვლავებო...
თუ სიყვარულის დიდი ნიჭი მაქვს,
მართლაც, არ მსურდა შენთან წამეგო...

ნეტა რა ჰქონდა მზეს დასაცინი?

მზემ დაიხურა ქუდი და გაქრა,
ჩავიდა ზღვაში ჰორიზონტს იქით...
და მე ვისმენდი, ვისმენდი ნათლად,
ვარსკვლავთა ჭორებს და მთვარის ქილიკს...
ნეტა, რა ჰქონდა, მართლაც, რა ჰქონდა,
მზეს დასაცინი, ვერაფერს მივხვდი...

მე კი ღრუბლებიც დამამახსოვრდა,
და მოფხუკუნე მსხლის ტოტზე ჭირხლი...
მას დასცინიან, რადგანაც მზეა,
რომ სიდიადით ის ყველას დასწვავს...
და თუკი ირგვლივ ბნელი ღამეა,
მზეს, მაშინ, ქვეყნად არავინ არ ჰყავს...
შეთანხმედებიან, შეჯარდებიან,
ღრუბლები, სეტყვა, ელვა თუ მეხი...
და მერე ერთად თავზე ესხმიან,
ყველა ილეთით და ყველა ხერხით...
მაგრამ მზე, აბა, რის მზეა, მაშინ,
რომ ის ამ ქაჯებს ყაყანში აჰყვეს...
ერთს გადმოხედავს, ჯერ ღრუბლებს დაშლის,
და მერე სხივებს მოაფენს საწყლებს...

დგანან ალვები

გავრბივარ, მაგრამ უკან ვბრუნდები,
უკან ვბრუნდები, ყოველ წასვლაზე...
დგანან ალვები, როგორც ტყუპები,
არეკლილები შენს ფანჯარაზე...
და ველი, იქნებ, გამოაღწიოს,
ეს ლაბირინთი დილის სხივებმა...
როდესაც ზეცა მოჰგავს საფირონს,
და ფოთლებიდან მზე იღიმება...
ჯერ კი დილაა, მაგრამ ვინ იცის,
კოპები შეკრან რუხმა ღრუბლებმა...
და დაიჭექოს ისეთი რისხვით,
ცასაც წაუხდეს დილის გუნება...
და მწვერვალები აშოლტილები,
რომ ტრაბახობდნენ ღრუბლის ქულებით...
ცის განრისხებით დაშოკილები,
დარჩნენ ელვებით მონუსხულები...
ასე გრიალით ჩაივლის დილა,
და როცა ზეცა გადაჭირხლდება,
მზე გამოჩნდება, როგორც გვირილა,
და დაემჩნევა სარკმლებს წინწკლებად...
შენ თვალებს ახელ და ჩემზე ფიქრობ,
კვლავ სიზმრებშია წუთით გონება...
მე კი რამდენჯერ უნდა დავიპყრო,
აპრილის დილის უბიწოება?..

სად მიმათრევს

დაგროვილა შენს თვალებში,
ტკივილები ბოლო დღეთა...
რას უშველი წამებს შეშლილს,
რას უშველი დარდებს, ნეტა...
არბევს, არბევს, ჩემს იმედებს,
თვალს მომდგარი ერთიც ცრემლი...
რად მიმეტებს, რად მიმეტებს,
სად მიმათრევს ჩემი ეტლი...
მკვდარი ვიყავ, მკვდარი ვიყავ,
თუმც, თილისმა მქონდა შენი...
ჩემთან ბედმა გამოგრიყა,
თუ შემთხვევით მომაგენი?..
შეჯიბრი აქვთ ცაში ღრუბლებს,
ეჯახება ელვა ელვას...
შენს ცრემლებში გავილუმპე,
თუმც, არ ვითხოვ შებრალებას...

ქაჯობანა

არ მიყვარს ეს მოღრუბლული ზეცა,
არაფერი, ირგვლივ, არაფერი...
არც ქარია, არც წვიმაა, მეხსაც,
აღარ უჭრის თავის კამათელი...
ეს კედლებიც, ეს კედლებიც სწუხან,
მე ხომ გარეთ აღარავინ მიხმობს...
არადა, ტყეს ვინატრებდი უღრანს,
ვინატრებდი თვალუწვდენელ მინდორს...
სიხარულით გავექცევი აწმყოს,
ამ გადამღლელ ქაჯობანას თამაშს...
ყველა ცხოვრობს, ვისაც როგორ აწყობს,
უფრთხილდება ყველა თავის დამღას!!!
ამ ყველაფერს დავუსვამდა წერტილს,
უსწრაფესად შევკვეცავდი მანძილს...
მოხვედიო? ღმერთი მშვიდად მეტყვის,
და მიმიჩენს სამუდამო ადგილს...

განწყობა

ცვდება ქვები, ცვდება რკინა,
თვით ფოლადიც იჟანგება...

თუმცა, რკინას არა სცივა,
ჟანგი შეჭამს და მოკვდება...
ხორცი, ხორცი არა ცვდება,
ხორცს ვერ შეჭამს, თუმცა, ჟანგი...
ბოლოს მუდამ ისიც კვდება,
სცივა კიდეც სიკვდილამდი...
აი, სული იჟანგება,
კარგად იცის გემოც ყინვის...
მაგრამ, სული არა კვდება,
ის უბრალოდ სხეულს იცვლის...

ეს დრო არ იყოს

მართლაც, შენს მერე ვის შევიყვარებ,
მთლად გადავქექე ეს დედამიწა...
ვერ გავიკარებ, ვერ გავიკარებ,
თუნდ ანგელოზი მესტუმროს ციდან!!!
მითხარი, როგორ და ვინ ჩამიქრობს,
სულს, როგორც სანთელს, შენგან ანთებულს?..
ეს დრო არ იყოს, ეს დრო არ იყოს,
მოგატარებდი მთებს აყვავებულს...
სად ბედისწერის თეთრი ხაზები,
ჩანჩქერებივით ეშვება ციდან...
და გაზაფხულიც სხვა გამძაფრებით,
სხვა სიყვარულით და ეშხით ბრწყინავს...
დაგავიწყებდი, დაგავიწყებდი,
დღეებს ნაღვლიანს, დღეებს მწუხარეს,
და ყვავილების ჭრელი მძივებით,
ამოვავსებდი მაგ მკერდზე ბზარებს...
როგორ გაუძლო, როგორ გაუძლო,
ამ დღეებს შენმა ბროლის თითებმა...
გთხოვ, ერთხელ მაინც გამესაუბრო,
სანამ ეგ სახე დამავიწყდება...

არ გაიყიდო

არ გაიყიდო, არ გაიყიდო,
არ ამოუდგე ამ შარლატანებს...
აწმყო მარადჟამს მაგათი იყო,
მომავალი კი ბრძანებს სხვა გვარებს...
არ გაიყიდო, დაფნის კი არა,
რომ გთავაზობდნენ ოქროს გვირგვინებს...

წყალს წაუღია ამ დროიანად
ვინც იყიდება და თან ჭრიჭინებს...
მიიღე მხოლოდ ის, რაც გეკუთვნის,
რაც შენია და არა სხვისია...
ამ წყეულ დროში გულში ბებუთი
და ზურგში ტყვია უკეთ იციან...

თუნდ ერთხელ კიდევ (მ.ა.-ს)

ნეტა, ვიცოდე, ვის ეკუთვნის
ეგ შენი მზერა,
ვისთვის აბრწყინებ,
ნეტა, თვალებს და აელვარებ?..
შენმა ღიმილმა გამიჩინა,
ძვირფასო, რწმენა,
რომ მოვა დრო და,
უეჭველად, მეც შემიყვარებ...
უღვთოდ, უღმერთოდ,
როგორც ერთ დროს უყვარდათ ქალებს...
და ვეღარ გაძლებ,
ვეღარ გაძლებ, ალბათ, უჩემოდ...
ჯერ ნაღდად სიზმრად,
ტკბილ სიზმრებში შემომხვევ მკლავებს,
და მერე ცხადშიც მოგინდება,
რომ თავს უშველო...
ჰო, ვმარჩიელობ,
თან ვოცნებობ,
ვაშავებ რამეს?..
ჩემს ცხოვრებაში
შენ ერთი ხარ ვინც დამაბნია...
მე ველოდები შენგან,
თუნდაც, თვალებით ალერსს...
და ვამუხრუჭებ
შენს კოცნამდე ჩემს ფანტაზიას!!!

მოდი წაიღე (მ.ა.-ს)

მოდი, წაიღე,
ყველაფერი რაც გამაჩნია
თუნდ, ერთ კოცნაში,
თუნდ ღიმილში, ეს სულერთია...
მე ტანზე შენზე ოცნებანი

თუღა მაცვია,
რადგან, რაც მქონდა,
გზად შენამდე შემომფლეთია...
მოდი, წაიღე,
რაც მაჩუქეს წუხელ ქარებმა...
რაც მიანდერძა
თვალწინ ელვამ გაელვებულმა...
არ დაიჯერებ,
მაგრამ, ვნახე როგორ დანებდა,
მთვარე ვარსკვლავს და
ტანთ გაიძრო აღელვებულმა...
მე კი, რად უნდა ლაპარაკი,
რომ გაფანატებ...
მწყურიხარ,
შენი მკერდი მსურდა ახლოს მენახა...
მოდი, თვალებით
ვარსკვლავები შემომანათე
რომ დავიჯერო
სიყვარულის ისევ ხელახლა...

აღარ გადათქვა

შენ ხომ მითხარი,
მიყვარხარო,
აღარ გადათქვა,
რადგან, მინდა რომ
დავიჯერო შენი სიტყვები...
რომ მოვისმინე, გულში, თითქოს,
რაღაც განათდა,
და ანგელოზი ჩამძახოდა,
თითქოს, ღვთის ენით...
სურვილებს ჩემსას,
თითქოს, წყაროს წყალი აპკურე,
წამს ყველა წყენამ გამიარა,
როგორც მჩვევია..
რადგან სამყარო
ისევ ჩემსკენ შემოაბრუნე,
შენი უღმერთო სილამაზე
რომ შემემჩნია...
ნუღარ გადათქვამ,
დარჩი ჩემთან,
აღარ გაბრუნდე,
თორემ სიყალბეს
მაჩეჩებენ ყოველი მხრიდან...

ვერ წარმოიდგენ,
როგორ მინდა შენით გავბრუვდე,
და შენი კანის მხურვალებამ
დამდუღროს მინდა!!!

აბა, ეს დილაა?

ვეძებ სხივს, ეგებ სადმე გამოჩნდეს,
ამ იდიოტურ დღეთა დევნაში...
ეგებ ინებოს მზემ და აღმოხდეს,
თუნდ, ერთ ასოში, თუნდ, ერთ ბგერაში...
ვიწვევ გაზაფხულს, ვიწვევ გაზაფხულს,
მინდა მომიჯდეს სუფრაზე გვერდით...
და ველოდები ზამთრის დასასრულს,
ცოტა დარდებით და ცოტაც სევდით...
და, ვიცი, მართლაც, განა არ ვიცი,
ყველა თავისას ეძებს სიხარულს...
ნუ გამიწყრები ამდენ ნაღვლისთვის,
რომ დღემდე აწმყოს ვადარებ წარსულს...
რაღაც არსებობს, ალბათ, საერთო,
ამ შეუწყვეტელ დღეთა ბრუნვაში...
და ჩემი სევდა თუ გადაგედო,
ერთს გთხოვ, ხსოვნიდან მაინც ნუ წამშლი!!!

ის მაინც მოვა

რად აგვიანებს გაზაფხული, ნეტა, შემოსვლას?
არ ვიცი, იქნებ, ღმერთმა კარიც გადაუკეტა...
რადგან სხეულზე სიყვარულის ნაცვლად ემოსა,
რაც სხვებსაცა აქვთ, რამე, ძველი, ჯაბა თუ ჯუბა...
ან იქნებ უკან მოჰყვებოდნენ ცივი ნისლები,
ანდა, ზვავები, მწვერვალიდან დაგორებული...
არ ემჩნეოდა ნატამალიც ძველი ღირსების,
და აღარ იყო არავისზე შეყვარებული...
ის მაინც მოვა, ის ზეციდან გზას გამოიკვლევს,
გამოექცევა სეტყვას, ზვავებს, ქარს ამოვარდნილს...
მოვა, შემხედავს და მკერდიდან გულს ამოიღებს,
და გავალთ ზღვაში ყვავილებით სავსე ხომალდით...

გაგექეცი

ალბათ, ისევ ჩამოივლის,
ქარი, წინათ, აქ რომ ჰქროდა...
მოიყოლებს სურნელს შინდის,
დამწიფებულ ბაღს რომ ჰქონდა...
თუკი დახვდა სევდის მთები,
მოხვეტავს და თან წაიღებს...
ჯერ ისევ შენ მესიზმრები,
ისევ შენზე ვხედავ სიზმრებს...
ბზინავს, ბზინავს შავი თმები,
ჩამავალი მზის სხივებზე...
შენი ბაგით დავითვრები,
შენი მტევნით ჩემს ცხელ მკერდზე...
გეგექეცი, არ გიცნობდი,
რად მეგონა სხვებს არჩევდი...
გახსოვს, როგორ შიშით ძრწოდი,
სანამ ბაგეს შემაჩვევდი...

გამომეცხადე

გამომეცხადე, სანამ ჩამითრევს,
ეს მოძალადე ღამის სიზმრები...
სანამ ფეხზე დგას ჩემი ნატვრის ხე,
და საბოლოოდ გამოვფხიზლდები...
გამომეცხადე უუთეთრესი,
ულამაზესი სულით, სხეულით...
როგორც ქალწული უპირველესი,
როგორც ნატვრები შემოსეული...
ნუ შეგაშფოთებს ყოფის სიმკაცრე,
ნუ დაგაღონებს ქალთა ცრემლები...
გამომეცხადე, როგორც ინათებს,
როგორც გასცვივა მთვარეს ვერცხლები...
ნუ დაგაბრკოლებს, ნუ დაგაბრკოლებს,
დროის ნაგები ბარიკადები...
აიყვავილებს ნუშები რტოებს,
გამოიტანენ ნაყოფს ატმები...
ნუ დამშორდები, გამომეცხადე...
ბოლო წუთამდე მუდამ მოგელი...
მე მხოლოდ შენ ერთს მინდა გხედავდე...
და ვიყო შენი განძის მფლობელი...

მოდის დღეები უგანთიადო

მიყვარს მყინვარი, თავის სითეთრით,
სიდიადეში დარწმუნებული...
როცა უტევენ ქარები ხვნეშით,
ბრაზით და რისხვით ადუღებული...
რა პირქუშია მისი კოპები,
დამუქრებული ცათა სამეფოს...
მიწისეული კატასტროფები,
არასდროს ხდება უვარსკვლავებოდ...
მყინვარი, როგორც შუამავალი,
ნაცრისფერ ღრუბლებს მზერას შეავლებს...
გადაიქროლებს ელვა ფრთამალი
და თავის მერანს თოვლზე შეაგდებს...
გადაიგრგვინებს მეხი კლდეებზე
და პირს დააღებს შავად ნაპრალი...
გაივლის ღამე და კიდეებზე
მყინვარს შერჩება ნავარსკვლავარი...
როგორ მიყვარდით, მთებო დიადო,
როცა თოვლს აჩნდა თათნი მგლისანი...
მოდის დღეები უგანთიადო,
ვით უნაყოფო ქალის სიძვანი...

იქნებ შენ გგავდნენ (ნინო ბაგრატიონს)

რას ნიშნავს შენი მეფური გვარი,
შთამომავალი რომ ხარ მეფეთა?
ერთ დროს ჩვენც გვყავდა ნაღდი ლაშქარი,
რომლის ძარღვებში სხვა სისხლი ჩქეფდა...
იქნებ შენ გგავდნენ, შენს ლამაზ სახეს,
ახლაც ატყვია იმ დროის კვალი...
მართლაც, რას ნიშნავს შენ მიკარნახე,
იყო მეფეთა შთამომავალი...
შენ გიცქერ, მაგრამ ყურში ჩამესმის,
ყურში ჩამესმის, ექო იმ დღეთა...
წინ მიუძღოდათ ვით მგლებს დაგეშილს,
ჯარს, ომში თეთრი დროშა მეფეთა...
რა ლამაზი ხარ, შენს სიამაყეს,
ალბათ, დედოფლის შერჩა იერი...
თან რომ ატარებ მეფურ გვარ-სახელს,
შენ, თუნდაც ამით ხარ ბედნიერი...

წავიდე დროა

ნეტა, ვიცოდე, რას მოაქვს შენთვის,
ან სიხარული, ან რამე მსგავსი?..
სისხლი სისხლს ერწყმის, სისხლი სისხლს ერწყმის,
როგორც მტკვრის წყალი შედის არაგვში...
არ მემღერება, არ მემღერება...
დღეს დარდებია ჩემი მხლებელი...
ვერც ჩემი ხელი ვერ შეგეხება,
დარჩები ჩემგან ხელუხლებელი...
მე წავალ სადმე, სანთელს ავანთებ,
სანთელს ერქმევა შენი სახელი...
გთხოვ, ჩემს სიყვარულს ნუ გაამძაფრებ...
ბედნიერებას მისგან არ ველი...
რა საჭიროა, რა საჭიროა...
ჩემგან რაიმეს აღიარება...
ალბათ, ძვირფასო, წავიდე დროა,
უბრალოდ, მიმძიმს კარის გაღება!!!

შეგიყვარებდი

შეგიყვარებდი, შორს რომ არ იყო,
თუნდაც სევდების გასაქარვებლად...
რომ მერე შენი დარდი გავიყო,
როგორც მჩვევია, გაუაზრებლად...
შეგიყვარებდი და მექნებოდა,
ალბათ, მიზეზი სიხარულისა...
რომ შენი თავი მომნატრებოდა,
ანდა, სურვილი გაზაფხულისა...
შეგიყვარებდი, შეგიყვარებდი,
თუ მიმიღებდი, თუ მენდობოდი...
თუნდ, ისე, როგორც უყვართ ქალები,
არაფრის გამო, მაგრამ ბოლომდის...
შეგიყვარებდი და ჩემს სინანულს,
ქარს გავატანდი დასავიწყებლად...
შეგისრულებდი ყველაფერს რაც გსურს,
ხელი რაზედაც კი მიმიწვდება...

როგორ გნატრულობ

გეტყვი, რომ სადაც არ უნდა იყო,
სადმე, შორეულ ვარსკვლავზე, თუნდაც...
მე შემიძლია, რომ მთვარეს ვკითხო,
და მითხრას სად ხარ და რითი სუნთქავ...

როგორ გნატრულობ, როგორ გნატრულობ,
არ მინდა ისე შემომაღამდეს,
შენი სურვილი არ ავასრულო,
რაც უნდა სევდა და დარდი მკლავდეს...
შენი სამშობლო ვიცი ზღვა არი,
ჩემი აჭრილი ცამდე მთებია...
მაგრამ, იცოდე, ჩემი წამალი,
მარტო ეგ შენი ბაგეებია...
არ გააკარო, არ გააკარო,
ჩემს მეტი შენს თავს არსად არავინ!..
თუნდაც, დაინგრეს მთელი სამყარო,
არ არსებობდეს გამოსავალი...
მე მაინც მოვალ, მაინც მოგნახავ,
თუნდ, ჩადოქრებმა კოშკში ჩაგკეტონ...
ჰო, მინდა, მინდა, მე შენი ნახვა,
რომ ეგ თვალები შემომაფეთო!!!

დღე გაზაფხულს დაემსგავსა

დღე გაზაფხულს დაემსგავსა, თითქოს,
და ჰაერიც გაზაფხულით ფეთქავს...
თუკი ზეცა მზეს და მთვარეს ითხოვს,
მე, ძვირფასო, მოვითხოვდი შენ თავს...
შევიდოდით, ბაღში, ტოტზე, სადაც,
მოლაღური ზის და ტკბილად გალობს...
ჩაიცვამდი ყვავილების კაბას,
გაიხდიდი ყოველდღიურ სამოსს...
მოისროდი მშვიდად ღამის სევდას,
დამატკბობდა გარუჯული კანი...
რომ ბადაგი ერთმანეთის გვესვა,
ტუჩებიდან, როგორც წყაროს წყალი...
ჩვენს გარშემო წრე ჩაებათ ვარდებს,
მათი ფერი ელვარებდეს ირგვლივ...
ჩვენ კი ისევ ერთმანეთის გვწამდეს,
გვაგიჟებდეს ერთმანეთის ხიბლი...
ლამაზია, ლამაზია ბაღი,
გალობს, გალობს, მგალობელთა გუნდი...
და ქსოვს ზეცას ლურჯი ყაისნაღი,
ძოწით, ლალით, ალმას-იაგუნდით...

ბუხრის პირას (ზოი კას)

როგორ მინდა, როგორ მინდა სადმე,
ბუხრის პირას, ჩუმად, ჩვენთვის მივსხდეთ...
მიყვებოდე ახალ-ახალ ამბებს,
ტყუილ-მართალს, ჭორებსა და სიზმრებს...
მიყვებოდე, მთვარე როგორ ენდო,
მზეს და სადღაც ჰორიზონტზე გაჰყვა...
თეთრი ხელი მზის ცხელ მკერდზე ედო,
თავის სხივებს ჰფენდა ტალღა-ტალღა...
შავი ღვინო გვედგას თიხის დოქით...
გვაბრუებდეს მისი ტკბილი წვენი...
მახსენებდე თავს უნაზეს კოცნით...
მწვავდე შენი ნაღვერდლიან ენით...
ბუხარი კი მთელი ღამე ენთოს,
ტკაცატკუცი გასდიოდეს კოპიტს...
მივაფრენდეთ ოცნებათა თეთრონს,
დოქის ტუჩზე თითო ყლუპის მოსმით!!!

როგორ არ მინდა

როგორ არ მინდა ამ უსისხლო დროში ცხოვრება,
როცა მკვდარია ყველაფერი და უშფოთველი...
როდესაც სულში სიძულვილის დენთი გროვდება,
და თავის წუთებს მოღალატის ჟინით მოელის...
როცა შენს ნათქვამს ეშმაკების ენით თარგმნიან,
და ყოფაც ხდება ველურივით პრიმიტიული...
როცა სიცოცხლე ცხოველურად მკაცრი ბარგია,
და ისიც კვდება, რაც გეგონა მარადიული...
თავდახრილი ხარ და აღარ გსურს თავი ასწიო,
რადგან არ გინდა შეეჯახო უსასოებას...
და ცდილობ, ცდილობ, რომ როგორმე დრო გადასწიო,
რადგან ყელს სჭრიან, ყველას თვალწინ, შენს ნაოცნებარს...

შენ წიწკანა ჩიტი იყო (თ.გ.-ს)

რა ხანია, ვეღარ გხედავ,
კვლავ უშენოდ ვანთებ სანთლებს...
როგორ მინდა გზა აგებნას,
და მეც იქვე სადმე გავჩნდე...
შენ წიწკანა ჩიტი იყო,
მე არწივი ან დურუჯი,
ნოტაცია წაგიკითხო,
კანკალებდე ჩემი შიშით...

შეგიფარებ, მერე, ფრთისქვეშ,
და შორს სადმე გაგიტაცებ,
დაგავიწყებ მალე შიშებს,
და შენც ჩემთან დიდხანს გასძლებ!
ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო,
არსად აღარ გაფრინდები...
ჰო, რადგანაც ბევრი ნატრობს,
სითბოს, ჩემი მძლავრი ფრთების...

ვერ გადალახავ

ვიღაცა, იქნებ, გნატრულობს კიდეც,
ვიღაცა შენზე ღამეებს ათევს,
შენზე ნახულობს ის ფერად სიზმრებს,
სანთელს ყიდულობს და შენზე ანთებს...
როგორ ჩამოთვლი ყველა ნიუანსს,
ყველა ნიაუანს რას ჩატევ ლექსში?..
ვხოვრება ასე სასტიკი თუა,
იქნებ ვერც გნახოს, ვინც ასე გეტრფის...
ჰო, ვცხოვრობთ, მართლაც, საოცარ დროში,
ყველა მუშაობს, მართლაც, ჩაშლაზე...
მეც მაგონდება, როცა შენ გკოცნი,
"ჩვენი ბავშვობა და სილამაზე"...
ვერ გადალახავ, ვერ გადალახავ,
ყველგან მრისხანე შავი ზღვებია...
მე გნახავ, მაშინ, სხვა თუ არ გნახავს,
და გეტყვი, რაც შენ მოგნატრებია...

ტანგო

როგორც ვეფხვი ეპარება თავის მსხვერპლს,
ნახტომისთვის ლეოპარდიც მზადაა...
ტანგო, ალბათ, შუა ზღვაშიც წაგვიღებს,
სადაც ზვირთთა მთელი ესტაკადაა...
შევაჯახოთ, შევაჯახოთ მკერდები...
ასე რიტმი თავის თავს ეჯახება...
მკლავი მომეც იმავე გახელებით,
როგორც ჭერზე ჭაღის გაჩახჩახება...
კვდება, კვდება, ქრება ბოლო ბგერები,
შენი მკერდი ჩემს გულმკერდზე ქვავდება,
ჩვენ ერთმანეთს ისე შევეფერებით,
როგორც სულთა ცაში გადასახლება...

ჰო, მგონია, რომ მიწაზე არა ვართ,
რომ ვარსკვლავთა მიგვაცილებს ესკორტი...
და ეს ტანგოც სულ შემთხვევით გადარჩა,
რადგან ტანზე ფოთოლივით მეკრობი...

ნუ, ნუ მღერი...

რაზე მღერი, რაზე მღერი,
რაზე გალობს შენი ბაგე?..
გადაფარავს მთებს ნამქერი,
და მერე კი გაივაკებს...
აქ ქარები ჯერაც ქრიან,
და დღეებიც მდორედ მიდის...
ზეცა, თითქოს, ეკრანია,
ვარსკვლავების პანაშვიდის...
მზეს მოუკლავს თურმე მთვარე,
და ცის იქით გაქცეულა...
ჰოდა, ქარიც მოსთქვამს მწარედ,
მზე კი თურმე ქვად ქცეულა...
ნუ, ნუ მღერი, შენს მწუხარე,
ხმას ვერ ვუძლებ, ვერ ვეჩვევი...
გამომწვევად მიმზერს ღამე,
მაგრამ ცრემლი აბნევს ჩემი...

თუკი მიყვარხარ (ხათუნას გვასალიას)

ვინ იცის, იქნებ, ვხვდებოდით კიდეც,
და ვერ გამჩნევდი, რაღაც მიზეზით...
და გადიოდა ცხოვრება ისე,
როგორც ქედებზე ქრება ნისლები...
გეტყოდი, მე ხომ, მართლაც, არ ვიცი,
ვინ ატრიალებს ბედის კარუსელს...
ან უშენობას როგორ განვიცდი,
ან ქრისტე ჯვარზე რად მიალურსმეს...
ან ეს სამყაროც უკიდეგანო,
ზურგს რატომ გვაქცევს ასე ხშირ-ხშირად?..
რატომ სურს მუდამ ცოფი შემყაროს,
თუკი მიყვარხარ და შენთან მინდა...
რამდენჯერ ვმდგარვარ ჩუმად ხატებთან...
ენთო სანთელი და ელვარებდა...
ხატთან რომელიც ძალას მმატებდა,
და სული ჩემი კი ნეტარებდა...

მაშ, რა ეშმაკი შემიჩნდა, მითხარ,
რომ შენთან ყოფნა კვლავ ავინიჟე?...
ან სევდამ გული რად გამომიხრა...
ან ეს ამური რას დამკიჟინებს?..
და მიპყრობს, მიპყრობს უიმედობა,
რადგან შორსა ხარ და ვერ მოგწვდები...
ან ერთხელ ნახვა როგორ მეყოფა,
მთელი ცხოვრება თუ გელოდები?..

თუ გესტუმრებით

დაგეწვეოდით ჭიქა ყავაზე,
ჰო, ერთხელ კიდევ დაგეწვეოდით...
ვისაუბრებდით რამე ლამაზზე,
თუნდაც, გაზაფხულს როგორ ვხვდებოდით...
ასე მგონია, ყველა ზეიმობს,
გარშემო ყველას ერთი დოღი აქვს...
ჩვენც, იქნებ, ეტლით გავისეირნოთ,
ამ ეტიკეტებს ბევრი დრო მიაქვს...
არ დაიჯეროთ, არ დაიჯეროთ,
რომ პოეზიამ დაკარგა ხიბლი...
რომ ვარსკვლავები მთვარესა მტერობს,
მთვარეს მზე უყვარს იმათი ჯიბრით...
თქვენ გიყვართ ვინმე? ნუ, ნუ, ჩურჩულებთ,
გიკვირთ, ალბათ, რომ ამ კითხვას ვბედავ...
იქნებ, გიყვარდათ და აისრულეთ,
რაც კი რამ გქონდათ სურვილი, ერთად...
ან, იქნებ, სულაც არ გყვარებიათ,
და ბაგეებზეც ცეცხლი არ გენთოთ...
დღეები სხვებთან გიტარებიათ,
ვერ მოიცალეთ საერთმანეთოდ...
აზრი არა აქვს, აზრი არა აქვს,
ვიქნები, ასე, ჩუმად თქვენს ჩრდილში..
თუ გესტუმრებით, კარს ნუ ჩარაზავთ,
თუ მოვალ, მხოლოდ ჭიქა ყავისთვის...

...

რა ლამაზია, მგონი გავშტერდი,
ერთი ლაწანი ვითომ მიშველის?..
გამოიხედა ცას მივაჩერდი,
თითქოსდა ვიყო ვარსკვლავთმრიცხველი...

ამ, სიკეთისას ესღა მინდოდა?..
წაიღო სული, გული, რაც მქონდა...
ვიცოდი ბედი არ დამინდობდა,
და ამ ანგელოზს გამოაცხობდა...
ახლა უყარე, თუნდაც კაკალი,
რა ამოიგდებს ამას თავიდან,
მგონი მომედო კიდეც ხანძარი...
თუმც, რომ იცოდეს, როგორ არ მინდა...

დილა

ჩამოსცალა ღამემ თავის
რკინის ქვიშის საათი...
დილა მოდის ისევ ქარვის,
გაიღვიძებს ქალაქი...
გაიღვიძებს ვით მთვლემარე
გველეშაპის თავები...
და ზეციდან ფრთხილად წავლენ
წითელი ვარსკვლავები...
აღარ მახსოვს ვინ მესტუმრა
ჩემ ღამეულ სიზმარში,
ვარდი მიმზერს ძველებურად
გამჭვირვალე მინაში...
ვიღაც მოხდის ქალაქს ზეცას
და ღერძებიც ჭრიალებს,
ნუთუ აღარ განათდება,
მზე ისევ აგვიანებს...
მე კი ჩემი სიზმრებიდან
გადმოვდივარ აწმყოში,
მთელი ღამე მიძებნიხარ,
აქვე, ახლო-მახლოში...
ჩაიქნია გულმა ხელი,
რადგან ვეღარ გიპოვა...
მე შენს მოსვლას აღარ ველი
ღამემ სხვა დამიტოვა...

ყველა დატოვე

ბედმა საჩუქრად ანგელოზი გამომიგზავნა.
ჩუმად დაფრინავს, დალიცლიცებს ამ ჩემს ოთახში...
ასე მგონია, მეც დავფრინავ, მეც ქარისა ვარ,
ჩაბუდებული მარგალიტის კრიალოსანში...

იქნებ, მესტუმრო, მნახო, გულში ჩუმად ჩამხედო,
და მოუსმინო ვარსკვლავები როგორ გალობენ...
რა ლამაზია, რა ნათელი ჩემი სამეფო...
ასე ძნელია, მოაღწიო ჩემ სამყარომდე?..
გარეთ რაღაცას ჩურჩულებენ მწვანე ნაძვები,
ისინი ღამით ჩემს სარკმლებში იჭვრიტებიან...
შენ კი რატომღაც არ მოდიხარ, არ მენახვები,
და შენზე ჩემი სურვილებიც სევდით კვდებიან...
მიყარ-მოყარე, რაც რამე გაქვს, ნუ დაახანებ,
ყველა დატოვე და სასწრაფოდ ჩემთან წამოდი...
სულ არაფერი, მე, უბრალოდ, თავს შეგაყვარებ,
თან დატკბებოდი ჩემთან ერთად მთვარის გალობით...

რა ვაწყენინეთ

ნეტა აყვავდა გაზაფხული, თუ ჯერაც არა?
ეზოში ჭერმებს ისევ ძველი ჭორფლი აყრია...
თითქოს, იების სურნელებაც სადღაც გამქრალა...
არა, ნამდვილად გაზაფხული ამას არ ჰქვია...
მისგან ნაწყენმა განაჩენი გამოვუტანე,
რა ვაწყენინეთ ამ ამინდებს ვერ გამიგია...
რატომ მიცქერის ალუბალი ასე მწუხარედ,
და ვერც ალუჩას ვერას ვუგებ ასე ფიქრიანს...
მართლაც, გაზაფხულს, ნეტა, ვინმე გამიხალისებს?..
ალბათ, ცამ და მზემ მასზე, ნაღდად, ხელი აიღო...
ან, შენ, ძვირფასო, ერთი კოცნა მაინც მაღირსე,
თორემ, ხომ ხედავ, ამ დროებამ ტვინი წაიღო...

ვერ დავცხრები

წამო, წამო, ვიქარიშხლოთ,
ზღვაში გავყვეთ ამ გემებს...
მსურს ეგონოთ მათაც, თითქოს,
ბრაზით ანძებს ვამსხვრევდეთ...
გავყვეთ ნაპირს, ამღვრეული,
ტალღა ტალღას უწევდეს,
და გემებიც დამსხვრეული,
თავის პორტებს უტევდეს...
ვერ დავცხრები, ვერ დავცხრები,
სანამ წუთებს მითვლიან...
სანამ ვინმეს ვეყვარები,
სანამ არ დამიშლიან...

აქ ნაპირი არის მყიფე,
ხედავ, გასდევს ბზარები...
შენც ლეღვივით უნდა მწიფდე,
სანამ მოგეკარები...
მალე ჩაგისაფრდებიან,
სიყვარულის მხედრები...
აუ, როგორ გატკბებიან
ტუჩზე ძოწის კერტები...
შემაგებე, შემაგებე,
ტანი ხორბლის კანისა,
ყველა ანძა დასტყდათ გემებს,
ზვირთმა ფსკერს მიასრისა...

ნუ, ნუ კეტავთ...

მე არ ვიცი, რა წამომცდა,
თქვენზე, ზოგი რჩევას მაძლევს...
ხომ არ შევხვდეთ საღამოჟამს,
დავსხდეთ, სადმე აივანზე...
და ვუცქიროთ ჩამავალ მზეს,
თავის ძალას როგორ კარგავს...
დილით ისევ რომ აღმოხდეს,
გადაისვრის როცა საბანს...
ხომ ვერ მეტყვით, რაა ნიჭი,
თქვენ რომ ჩემში, მგონი, ამჩნევთ...
ვიცი, ვიცი, ზოგჯერ სიტყვით,
ყველა ტკივილს რომ გიახლებთ...
სულ არ მინდა გავცდე საზღვრებს,
ანდა, სადმე ჩავრჩე ზღვაში...
უნებურად ჩემ გზას ავცდე,
ამ წარღვნაში და ღელვაში...
თუკი გული მთელ სამყაროს,
მთელ სამყაროს ერთად იტევს...
მინდა სისხლმაც იწანწკაროს,
ნუ, ნუ კეტავთ თქვენსკენ სივრცეს...

შემოვალ შენში

შემოვალ შენში, როგორც მზის სხივი,
როცა ატმები ყლორტებს გაიტანს...
როცა დარჩები მარტო ნისლივით
არა ნუგეშით აღარსაიდან...

შემოვალ შენში გაუფრთხილებლად,
თუნდაც დაკეტო გულის კედლები...
როცა შინდები გაიკვირტება
და აყვავდება ტყეში ტყემლები...
როცა სურნელი იასამნების
ბაღჩა-ბაღებში დატრიალდება...
შემოვალ, მკერდში ჩაგისახლდები,
და გავღვივდები იქვე მარწყვებად...

ვერ ვერევი

ვერ ვერევი შენს ორეულს,
მყინავს, როგორც სუსხი ზამთრის...
ვერ ვაყუჩებ შეთრთოლებულს,
გულს, რომელშიც თოვლი ბარდნის...
ვერ ვაყუჩებ, ვერ ვაყუჩებ,
სილამაზეს რადგან ებრძვის...
თოვლი ათოვს ჩემს ალუჩებს,
ათოვს ქუჩას ღამით შეცვლილს...
ვხედავ, ვხედავ, რომ მჯობიხარ,
და ჩემს ბრძოლას არ აქვს აზრი...
რა ტყუილად მომნდობიხარ,
ვით ჩუქურთმა ძველი ტაძრის...
ვეძებ, ვეძებ, საყრდენს ვეძებ,
და ჩემს ტვინში ქაოსია...
ფანტელები შენს თვალებზე
სახის თეთრი სამოსია...
მე კი იმის თავიც არ მაქვს,
გავუმკლავდე შენს ორეულს...
ვამჩნევ სულსაც როგორ ფარავს,
თოვლი, შენზე ბრაზმორეულს...

ნუ დამაბრალებ

ნუ დამაბრალებ, ნუ დამაბრალებ,
რომ სხვების გამო შენ არ მახსოვხარ...
არა, როგორც კი გულის კარს ვაღებ,
შენ გხედავ, რადგან, გულთან ახლოს ხარ...
შენ გხედავ შენი თეთრი ფერებით,
უკიდეგანო სიკეთით სავსეს...
როგორც ცას თავის ცისარტყელები,
შენც მე მზესავით სინათლით მავსებ...

უარი ნისლებს, უარი ჯანღებს,
სეტყვას და ქარსაც ვუთხარ უარი...
ღამე ვარსკვლავებს თუ აკიაფებს,
ამაშიც შენი წვლილი თუ არი...
როგორც მთის წვერზე პირველი სხივით,
განიცდის დილა სხვა ნეტარებას...
შენც ასე არჩენ ჩემს სულში ტკივილს...
ყოველგვარ სევდას და მწუხარებას...

თავს ვერ ვიმართლებ

ვინ, რად მოაწყო სამყარო ასე,
რომ სულ თან დამაქვს შენი ტკივილი...
ან სილამაზეს რას შეაფასებ,
თუ გიმზერს ველის თაიგულივით...
დღე გადის, ვისმენ ათას სიბრიყვეს,
რაც ბევრს, უბრალოდ, სიბრძნე ჰგონია...
ასე მგონია სადღაც მიმჭყლიტეს,
და შენც ქცევაში მიწერ ორიანს...
თავს ვერ ვიმართლებ, არ გამომივა,
რომ შენს წინ დავდგე მორცხვი ბავშვივით...
ბევრი სიმართლე მხოლოდ ჭორია,
ვით ქალის კანზე ფერუმარილი...
გადაგაშლიდი წითელ პომადას,
შენმა ტუჩებმა რომ აიტანეს...
შეისუნთქავდი შენც არომატად,
შენთვის ბრძოლაში გაოფლილ ტანებს...
და შენს კანს, ახლა ზედ რომ ატყვია,
ატმის ყვავილის ნატერფალები...
ჩემი ტუჩები ისე გარყვნიან,
სხვას ახლოს აღარ გაეკარები...
იგრძენ? ჰაერში აპრილი სუნთქავს,
ის შენს სურვილებს, ალბათ, დააცხრობს...
ხედავ, იქ, ველზე, ჩვენ გვიშლის სუფრას,
ყვავილებთანაც ჩვენზე ბაასობს...

მისტიკა

მინდოდა, მაგრამ, მაინც ვერ აგცდი,
მაინც ვერ აგცდი, ვით ბედისწერას...
გრძნობ მთელი ჩემი სულით და განცდით,
როგორც ტაძრებში ვგრძნობთ ღმერთის რწმენას...

ასე მგონია, ვიბრძვი სიკვდილთან,
ის კი არა და აღარ მეშვება...
ალბათ, ესაა ნაღდი მისტიკა,
რადგან ვითხოვდი ღმერთთან შეშვებას...
იქ იწვის ცეცხლი მარადიული
იქ უკვდავების წყარო გადმოჩქეფს...
რომელსაც ძალა აქვს მაგიური,
მაგრამ მას ღმერთი მე აღარ მომცემს...
მე ისე ავცდი რეალურ საზღვარს,
რომ ერთი წამით არ მიფიქრია...
სიკვდილი არ მწამს, სიკვდილი არ მწამს,
რადგან მე ის არ გამომიცდია...
დარეკონ ზარი, თუნდაც, სულ ბოლო,
ჩემს მკრეხელობას მე ცოდვად არ ვთვლი...
და თუ, ძვირფასო, მნახო უგონოდ,
ნუ, ნუ დახედავ ვენებს გადახსნილს...

მოდი მესტუმრე

ჩამთავრდა ამ დღის ციებ-ცხელება,
და მეც მარტო ვარ ისევ ღამესთან...
რად მემდურება შენი მშვენება,
სიტყვა რად მრჩება შენი ნანემსრად...
აირევიან, აირევიან,
მალე ფიქრები თოვლის ზვავებად...
და ვულკანებიც წამოდგებიან...
ჩემი აზრების დამსამარებლად...
არა მაქვს ძალა, არა მაქვს ძალა,
ამ ცამდეაწვდილს გავუძლო ზვირთებს...
ხსოვნა, რომელიც სხეულს მიწამლავს
და სამყაროსთან დუელში მიწვევს...
ვერ მიპოვია, ვერ მიპოვია,
ვერაფრით ჩემი ნავსაყუდელი...
განვიცდი, როცა მკერდს მიკორტნიან,
ზოგი გიჟი თუ ზოგიც სულელი...
მოდი, მესტუმრე, გაჩუქებ ყვავილს,
ის, ხომ ჩემს სულში მუდმივად ხარობს...
როცა ირმები დაიწყებს ბღავილს,
და გაბრწყინდება შენი სამყარო...

დასამსხვრევია

აზრი აქვს, ვითომ, კერპების მსხვრევას?
თუ მას მგლებივით იცავენ ხშირად...
როგორ ავუხსნა, მითხარი ყველას,
მზე როგორ ჩადის, ცა როგორ ბრწყინავს...
დასამსხვრევია, დასამსხვრევია,
რაც კი არსებობს ყველა კერპები...
ნათელი წყვდიადს დასჯახებია,
ჩვენ გვხვდება მათი ანახეთქები...
არ გაგიკვირდეს, თუ კბილით იცავს,
ბრბოს თავისი აქვს ფილოსოფია...
რომ ბრძოლა მიდის ძალიან დიდხანს,
და ათასობით სიცოცხლეც მიაქვს...
მიჭირდა, მაგრამ მაინც ვამსხვრიე,
ჩემში კერპების თაყვანისცემა...
მოდი, სხივები გადმომაფრქვიე,
მომასმენინე მაგ გულის ცემა...

ვერაფერს იზამ

მე შევცდი, ალბათ, და შეგაშინე,
და ჩემს მცდელობებს აზრი არა აქვს...
რა ვიცი, იქნებ, გულიც გატკინე,
რადგან ვერ ჩახვდი შენ ჩემ ქარაგმას...
ვერაფერს იზამ, ჩვენ ადრე ვკვდებით,
იქამდე, სანამ გვაღიარებენ...
მიწას ვერ ზიდავ მაგ სუსტი მხრებით...
თან გაზაფხულიც გვიმტვრევს კარებებს...
იქნებ ბავშვიც ხარ, მართლაც, ვინ იცის,
ვერ გამისწორებ თვალებს ადვილად...
ვერ გაგიმეტე სიყვარულისთვის,
და შენც ჩემს ნაცვლად სხვამ გაგაცილა...

ხომ არ გასულა

არ ვეკარები გაცვეთილ თემებს,
ათასჯერ მიღეჭ-მოღეჭილ აზრებს...
ღამე მოდის და გულს არ მიჩვენებს,
პირიქით, ცივად მიკეტავს სარკმლებს...
ვგრძნობ დღეს და ღამეს შორის სხვაობას,
ღამეს ვარსკვლავთა დასდევს ლაშქარი...
მაცოფებს შენი უნახაობა,
და ჩემი ბედის წყარო დამშრალი...

ბაღში კი, როგორც, ფრთები წეროსი,
ცისკენ იწევენ კაკლის ტოტები...
ნაკადულის წინ ზის ანგელოზი,
დარაჯი ჩემი მწარე ბოჰემის...
და ვფიქრობ, ნეტა, ხომ არ გასულა,
ღამეს, რომელსაც დიდხანს ველოდი...
ან, იქნებ, აწმყოც იქცა წარსულად,
მე კი ვიჯექ და ვმარჩიელობდი...
ძველი დრო იყოს, მსხვერპლს გავიღებდი,
იმ ერთი ღამის გადასარჩენად...
თუმცა, მუქარით მიბღვერს იმედი,
თითქოს, მოჭრესო ძირში მარჯვენა...

შენი ნათელი

მოდი, დღეიდან შენ იყავი ჩემი ცისკარი,
თორემ ხომ ხედავ, ზეცა ტირის ვერ გადაიღო...
მოდი, წუთები რომ მაჩუქო დაუვიწყარი,
თორემ მზესაც სურს, როგორც ვატყობ, სადღაც გამრიყოს...
მოდი, სადა ხარ, მომენატრა შენი ნათელი,
მე შენში ვნახე გაზაფხულის ყველა თვისება,
რა საოცარი სურნელება დაგდევს საკმელის,
რა დიდებულად იმზირება შენი ღირსება...
მოდი, ამ დღეთა მწუხარება რომ გადაფარო,
ციტრუსებივით მომიტანო ფერი ნარინჯის...
მოდი, ბავშვივით, სულ, უბრალოდ, რომ გამახარო,
მკლავებგაშლილმა გადმოადგა ჩემსკენ ნაბიჯი...

დასამსხვრევია

აზრი აქვს, ვითომ, კერპების მსხვრევას?
თუ მას მგლებივით იცავენ ხშირად...
როგორ ავუხსნა, მითხარი ყველას,
მზე როგორ ჩადის, ცა როგორ ბრწყინავს...
დასამსხვრევია, დასამსხვრევია,
რაც კი არსებობს ყველა კერპები...
ნათელი წყვდიადს დასჯახებია,
ჩვენ გვხვდება მათი ანახეთქები...
არ გაგიკვირდეს, თუ კბილით იცავს,
ბრბოს თავისი აქვს ფილოსოფია...
რომ ბრძოლა მიდის ძალიან დიდხანს,
და ათასობით სიცოცხლეც მიაქვს...

მიჭირდა, მაგრამ მაინც ვამსხვრიე,
ჩემში კერპების თაყვანისცემა...
მოდი, სხივები გადმომაფრქვიე,
მომასმენინე მაგ გულის ცემა...

სიჩუმე

შორს, ღრუბლებში გედი ცურავს,
და მუსიკა ავსებს დარბაზს...
ჰორიზონტზე მთვარის სურათს,
ცა უკიდებს, თითქოს, ხანძარს...
სიჩუმეა, ცეცხლის ფონზე
იკლაკნება გედის ფრთები...
მზისგან დამწვარ კაბადონზე
ფართხალებენ კლავიშები...
და ნოტებიც პიუპიტრზე
იმუქრება აალებით...
სევდიანი თვალით მიმზერს,
სარკმლის ჭრილში ვარსკვლავები...
და როდესაც გედმა ყელი
ლერწამივით მოიღერა...
ერთად გაქრა ყველაფერი,
დასხლეტილი გაწყდა ბგერა...

შემოაღწევენ (ნ.პ.-ს)

ისევ გაზაფხულს ელოდები, ის კი არ მოდის,
ვინ იცის, გზიდან სადღაც სხვაგან გადაუხვია...
მეც გაზაფხულის შემოსვლისას მუდამ ვჩქარობდი,
იმას კი ჩემი ერთი თხოვნაც არ გაუგია...
შემოაღწევენ შენს კუნძულზეც თბილი ქარები,
და ზამთრის სევდას სამუდამოდ გაიყოლებენ...
მთებს დასჭირდებათ გაზაფხულის მოსასხამები,
მოირთვებიან და მინდვრებსაც აიყოლებენ...
მართლაც თავისი წუთები აქვს ყველა დროებას,
ჩვენ კი ველით და ოცნებების კოშკებს ვიშენებთ...
მარტის სიგიჟე სცვლის ზამთრების უბიწოებას,
ის მაინც მოვა და ბუნებაც კვლავ შეიფერებს...

გთხოვ

გთხოვ, თუკი მაგრად მომწყურდეს წყალი,
დამალევინე შენი პეშვებით...
უდაბნოს ქვიშას ედება ალი,
მე კი ამ ხვატშიც სულ შენ გეძებდი...
მართლაც, მგონიხარ ის ოაზისი,
ცისკრისას ჩემთვის ნამს რომ აგროვებს...
ის ერთადერთი გამონაკლისი,
ბოლო დღეებმა რომ მისახსოვრეს...
ჯერ კი გზაში ვარ, ჯერაც ქარები,
ცხელი ქვიშებით მიმასპინძლდება...
სანამ სხეული ნაწანწალები,
მთვარის დისკივით გადაიწვება...
ჩუმად მივყვები წლების ქარავანს,
და შენი ხსოვნის მტვერში ვეფლობი...
ვინც გიყვარს, იქნებ, მე ის არცა ვარ,
და შენც სხვებივით ჩემით ერთობი...

ის გაზაფხული

გადამავიწყდა, შენ რომ არსებობ,
როგორც ზღვის კენჭი, ათას კენჭებში...
მაინც გთხოვ, თავი არ შემახსენო,
მე ხომ ფსკერამდე ვერ დავეშვები...
ვინ იცის, არც შენ აღარ გახსოვარ,
წაგიღო შენმა მელანქოლიამ...
ან ვინმე სულ სხვამ დაგიახლოვა,
აქ ჩემს მეტს ბედი ყველას ჰქონია...
ეს ყვავილები ადრე დარგული,
შენი ფერებით აყვავილდება...
რომ გავიხსენო ის გაზაფხული,
ახლა, რომელიც აღარ მჭირდება...
აღარ მჭირდება, მართლაც, სრულებით...
აფეთქებული თეთრად ბაღები...
გაღვიძებული ნაკადულები,
ამღერებული იალაღები...
სასაცილოა, სასაცილოა,
სიტყვებს რომ ვხმარობ ასე გაცვეთილს...
ჩემი ცხოვრება შავი ტილოა,
ასი ათასჯერ გადანაკეცი...

მოვედი

მოვედი, ქარმა მომაგდო თქვენთან,
მოვედი, ვხედავ, არც ისე გილხინთ...
მსურს მოვისროლო ეს თქვენი სევდა,
სადმე შორს, თუნდაც, ამ ზეცის იქით...
მიყვარს, ვინც ქვეყნად სიკეთეს თესავს,
ვისაც ჩემსავით აქვს ამის ნიჭი...
და მინდა გკითხოთ, როგორ ხართ, ნეტა?..
ჩემზე კი გეტყვით, მე არა მიჭირს...
მოვედი, მინდა, რომ გაგაღიმოთ,
გულს, თუნდაც, ჭამდეს ცხრა პირი ჟანგი...
ნაღვლიან დღეებს რომ გაგარიდოთ,
და გკითხოთ, ფრთხილად, ხომ არ გიყვარდით?

გენდობით

ვენდობი ღიმილს, რომ ახლავს სევდა,
ვენდობი თვალებს, ცრემლით რომ ბრწყინავს,
ვენდობი ალერსს, თქვენ რომ მიბედავთ,
გენდობით ცხადშიც და, თუნდაც, მძინარს...
ფორტუნა ბევრჯერ ჩაგვივლის გვერდზე,
მას ჯადოქრობის აქვს ნიჭი დიდი...
თქვენ, ალბათ, გაჩნდით ქვეყნად ჩემ ბედზე,
და მე კი დამყვა თქვენს მიმართ რიდი...
დღევანდელ დღეებს დრო მიმოფანტავს,
ვერავინ გვეტყვის რა გადარჩება...
ეს სიყვარულიც გაგვყვება ნატვრად,
უბრალო ლტოლვად და გატაცებად...

ლოდინი

ძნელია, როცა ლოდინის მეტი,
სხვა არაფერი გრჩება საშველად...
სული კი, სული ზეცას მიელტვის,
ალბათ, სხეულის გადასარჩენად...
რა სათუთია, რა სათუთია,
ურთიერთობის თეთრი ყვავილი...
მაგრამ, ვინ იცის, რა ჩაუთქვია,
ბედს, ფრთები, რომ აქვს გამოტანილი...
გზაჯვარედინი? მე არა მჯერა,
უამრავია, მართლაც, რა დალევს...
გზა კი რომელიც მერგო სასჯელად,
ალბათ, სამშობლოს სახელს ატარებს...

მსურდა მეხილე

იქ, სადაც, ჯერაც, ისევ ხარობს ყაყაჩოები,
რაღაც ველური აღტაცებით მსურდა მეხილე...
მე მოვდიოდი შენსკენ ისევ იმ სასოებით,
როგორც სიზმრებში მოვყვებოდი ამ მთაგრეხილებს...
დრო შეიცვალა და ხეობებს სულ სხვა ქარები,
სულ სხვა წვიმები და თოვლები ეფიქრებიან...
ან მე რა მეთქმის, მეც შენს ქსელში ისე გავები,
როგორც კლდის ძირში ჩანჩქერები ეხეთქებიან..
ჩვენ ვჩნდებით ყველა, სადღაც, რაღაც დროის კვეთაზე,
და თუ სამყარო მოძრავია, გვახვედრებს ბედიც...
ნეტა, რა ხდება ამ წუთებში შენს პლანეტაზე,
ჰო, არაფერი, არაფერი, ალბათ, შემთხვევით...

კერპებზე

რამდენხანს ძლებენ, ნეტა, კერპები,
იცი, ვგულისხმობ, ხორციელ კერპებს...
თუკი ყველას გვყავს ერთი ღმერთები,
მაშინ, რად ვიმკით სხვადასხვა შედეგს...
მათ სიცოცხლეში უწერენ ლექსებს,
რადგან გვესტუმრნენ სხვა ვარსკვლავიდან...
მოკვდებიან და მათ ძვირფას ძეგლებს
ხარხარით ყრიან პედესტალიდან...
ნუ დასთეს ქარებს, ნუ დასთეს ქარებს,
რომ არ მოიმკა ქარიშხალები...
უყვარდი ხალხებს? გადაგიყვარებს,
სულ სხვა ზიზღით და სხვა მრისხანებით!

რა ხდება ქვეყნად

გადაიარა დილამ მთლიანად,
დადგა შუადღე და დამასხივა...
მზემ თავის სევდა გამიზიარა,
მართლაც, მომიყვა სულ მისხალ-მისხალ...
რა ხდება ქვეყნად, როცა მაღლიდან,
დასცქერს ხანძრებით მოცულ ტყე-ველებს...
მიწას ნაღმები როგორ აცვივა,
როგორ ძარცვავენ საკურთხეველებს...

ისიც კი მითხრა, დიდი ხანია,
დიდი ხანია, ვერ იღიმება...
რადგან აშინებს ვაკხანალია,
ხალხი, თანდათან, რომ იძირება...
აღარც ზნეობა, აღარც მორალი,
აღარ არსებობს, თურმე, საერთოდ,
და თვითონ მიწაც ნაპასტორალი,
უკიდეგანო ჭუჭყში ჩაეფლო...
ღირსება თოკით ყულფზე ჰკიდია,
ქალწულთა ხელით გამონასკვული...
ხალხს, ვინც ყველაზე დიდი ფლიდია,
ლამის, შუბლზე ჰყავს გამოსახული...
და იბრალებენ, კვლავ იბრალებენ,
ზოგი პაპობას, ზოგი მეფობას...
და ეკრანებიც ატრიალებენ
დღეში ათასჯერ ამ უღმერთობას...
ვუსმენდი მზეს და გული მწყდებოდა,
გული მწყდებოდა სისხლდაწრეტილი...
ჩემს წინ კი კარი არ იღებოდა,
კარი დიდი ხნის გადაკეტილი...

გამოგიტყდები

მიყვარხარ, მაგრამ, როგორ, რა ძალით,
ჩემს ამპლიტუდას ვერაფერს ვუგებ...
ან რას გახდები ჩემთან აკრძალვით,
მე ქარი ვარ და მივაფრენ ღრუბლებს...
წამო, გაგაცნობ, ელვებს, ქარიშხლებს,
თეთრ მწვერვალებზე დაბუდებულებს...
გაგაცნობ, როცა თოვლი აიღებს,
ნაპრალებს მთებში გაყუჩებულებს ...
გამოგიტყდები, მინდა გავუძლო,
თვალებს მზესავით გაბრწყინებულებს,
და მინდა, მინდა ვესიყვარულო,
მტევნებს, შენს მკერდზე დაღვინებულებს...
აქ საუკუნო გზაა უკვალი,
აქ არწივები სვავებს ხვდებიან...
და მეც რაღა მაქვს დასამდურავი,
მგონი, ჭრილობაც შემხორცებია...
წამოდი, ვნახოთ, ზღვას რა აქაფებს,
სად ნახეს ღმერთის ნატერფალები...
ან მზე სამყაროს როგორ ანათებს,
ან მთვარეს ვისზე რჩება თვალები...

ამიყოლიე

ამიყოლიე, ამიყოლიე,
დასკდომაზე მაქვს ლამის ნერვები...
ამ დაუგეგმავ ეიფორიებს,
რომ ვეღარ ვუძლებ, რატომ ვერ ხვდები...
ნუ გაიკვირვებ ჩემგან ნურაფერს,
თუ ზოგჯერ დავდევ უნახავ სიზმრებს...
რომ ხშირად სწორედ იმათ უმართლებს,
მართლაც, უწიგნურთ, უმეცართ, ბრიყვებს...
შენ კი ჩემს გულთან რადგან ახლოს ხარ,
ყველა შეცდომას რადგან გპატიობ,
გეტყვი, რომ ქვეყნად ზოგი დაღოღავს,
ზოგი სვავობს და ზოგიც არწივობს...
ამიყოლიე, ამიყოლიე,
სანამ მოასწრო სისხლმა ჩაქცევა...
რადგან ცხოვრებას, როგორც მორიელს,
ხან კბენა უყვარს, ხან კი გაქცევა...

ნუ მომატყუებ

უკვე არაფერს არ მკარნახობს ზეშთაგონება,
ალბათ მუზებმა ჩემთან ყოფნა აღარ ისურვეს,
მე, მართლაც, მძაფრად განვიცადე ეს განშორება,
რადგან არცერთი დაპირება არ ამისრულეს...
მე კარგად მახსოვს სისასტიკე ქართულ ზღაპრების,
ბედნიერების საძებნელად ბევრი ვეხეტე...
და სულიც ჩემი ხშირად ისე იყო ნაცემი,
თითქოს უშენდა ბნელი ძალა რკინის ხელკეტებს...
ნუ მომატყუებ, მე სიმართლე მინდა ამჯერად,
ის ვიცი, ვიცი, რომ აწმყოსთან ომში ვმარცხდები...
ჩემმა იმედმა უსასრულო ზღვა გადასერა,
წავა, დამტოვებს უიმედოდ და მეც ჩავცხრები...

ფადიშაჰი ვარ

აქლემს ავკიდე ოქრო-ვერცხლი აურაცხელი,
ფადიშაჰი ვარ, დამებედა უდაბნოს ქვიშა...
აღმოსავლეთში გავარდნილა ჩემი სახელი,
მზეზე სწერია ჟამი ჩემი ქვეყნად მოსვლისა...
მართლაც მძიმეა ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი,
და აქლემებსაც ეკეცებათ ხშირად მუხლები...

წამირთმევია ბევრჯერ ცოლი თვით სულთანისთვის,
ჯარებს სმენიათ ჩემი "მოჰკალ" დანაქუხები!
წინ, მხოლოდ გულში, გულში მომხვდეს მტერთა ისარი!
რომ მშვიდად იგრძნოს თავი ზურგში ჩემმა ჰარემმა...
სისხლს დავღვრი იმდენს, არ წყდებოდეს გლოვა და ზარი,
და იხსენებდნენ ყველგან ძრწოლით ჩემს მრისხანებას...

კიდევ ბევრი

ყველაფერი, ალბათ, მოვა თავისით,
შენ კი ბედთან სულ ტყუილად პაექრობ,
მთავარია, გქონდეს ცოტა ხალისი,
და ღმერთთანაც ცოტა რამე საერთო...
შენც შეგეძლოს, შექმნა გალაქტიკების,
დაოკება და გახედნა მერნების...
სიყვარულით თუკი გადაიწვები,
და მთლიანად თუ შიგ ჩაიფერფლები...
მთავარია, მთავარია, გიყვარდეს,
ეს ცა, მიწა, ეს ზღაპრული სამყარო...
მართლაც, სულაც, სულიც რომ აგიჯანყდეს,
შეეცადე თავი კვლავ შეაყვარო!
რომ მონობას სიკვდილი სჯობს ათასწილ,
უკვე ერმა უთვალავჯერ დასცადა...
დრო არ ვარგა? შენც ადექ და გადასწი,
გაუძეხი მეკობრეთა არმადას!!!

თავს ვერ განებებ

შენ დაგხატავდი, სიამოვნებით,
ჩემთვის ხატვა რომ ესწავლებინათ...
თან გაგართობდი, ცოტას, კოცნებით,
რომ მოდელს ჩემთან არ მოგეწყინა...
მაგრამ, არ ვიცი, სად იმყოფები,
რომელ მხარეში გაგტყორცნა ბედმა...
ვის ამშვიდებენ შენი ლოცვები,
რამეს თუ ამბობ, საშველად ჩემდა...
გადაშლილია, გადაშლილია,
ჩემს გულში შენი უბის წიგნაკი...
და შენს მკერდს, ასე ურცხს და ჟინიანს,
ასდის სურნელი თეთრი მიხაკის...
ყურს ნუ დაუგდებ ჩემს შედარებებს,
ზოგჯერ ის, მართლაც, ხელოვნურია...

ერთს კი გეტყოდი, თავს ვერ განებებ,
მაგ ძუძუს კოცნა, ისე მწყურია!!!

ნუ წახვალ

შენ ამიხილო, შენ ამიხილო,
შენ ამიხილო მინდა თვალები...
შენი მტევანით მოწვდილი ღვინო
შხამიც რომ იყოს, მაინც დავლევდი...
ნუ წახვალ ჩემგან, მე გული მტკივა,
და მეშინია ბოლო ფრაზების...
როდესაც სულში ვარვარებს ყინვა,
და ჩემს სიტყვებზე კი მიბრაზდები...
ნუ წახვალ ჩემგან, არა იმიტომ,
რომ მეშინია ახალ დღეების...
ან, შესაძლოა, გადამივიწყო,
ან მეც არასდროს გამახსენდები...
არა, უბრალოდ, მე შენთან მინდა,
შენ მივსებ მკერდში სიცარიელეს,
როგორც ქარები დამფრთხალნი ციდან
ავსებენ სუნთქვით ქედებს და ველებს...
მე შენთან მინდა, და აქ ვსვამ წერტილს,
შენ როგორც გინდა ისე გაიგე...
და ნუ დამცინებ როლებში შეჭრილს,
თორემ, ჩემს სიტყვებს უკან წავიღებ!!!

გამინაპირა

ასე მგონია, დროს დავეწიე,
და, თითქოს, კიდეც გადავასწარი,
მერე რა, თუკი შენ არ მეწვიე,
და შენზე ფიქრებს გადავეჩვიე...
მე მუდამ ვამბობ, რასაც მკარნახობს,
გული უცეცხლოდ, თითქმის, ჩამქრალი...
გული, რომელსაც სისხლი ღალატობს...
და უკვე, მგონი, გული არც არი...
გამინაპირა, გამინაპირა,
ბევრმა გიენამ, ბევრმა აფთარმა...
ქარმა ეზოში ნუში ატირა,
მწარედ დასცინა ვარსკვლავს ვარსკვლავმა...
ამასაც, თითქოს, საქმე არ ჰქონდეს,
ჩემს აივანზე ბოლთას სცემს ყვავი...

და, ვიცი, ვიცი, დამიმახსოვრებ,
მეც, რომ სხვებივით მოვიკლა თავი...
და, ვფიქრობ, ალბათ, ერთმანეთს ვგავართ,
ყველა პოეტი ჯიხვის ყანწივით...
რა ასაზრდოვებს ამ ხალხის ლავას,
უპოეზიოთ, მაყვლის ყვავივით...
რა ასაზრდოებს, რა ასაზრდოებს,
ვინც მომავლისკენ კარი ჩაკეტა...
ხან სინანული დამიმარტოვებს,
ხან ცივი სევდა ოკეანეთა...
შენთან ვარჩევდი ყოფნას ამჯერად...
ვინ იცის, ღიმილს ვისთვის იმეტებ...
მე ბედმა წლები ჩამომაწერა
და თითებს უჭერს ყელში იმედებს...

შტორმი

მეც სამყარო ავაფეთქო მინდა,
შტორმი იყოს ტორნადოზე მძაფრი,
ქვემეხივით ქუხდეს მეხი ციდან,
ზღვას კი პირზე მოსდიოდეს ქაფი...
გამასვენებს, გამასვენებს ეს მზე...
რომ როგორმე, ალბათ, გამაჩუმოს...
ქარიშხლები ჩამიქროლებს გვერდზე,
გაიტაცებს ჩემს თავახდილ კუბოს...
წვიმა გარეცხს ჩემს გულმკერდზე სისხლებს,
ზღვა მომაწვდენს თავის ბოლო ბღავილს...
ელვის ფრთები წამიღებენ ცისკენ,
ჩემ სახლს ფრთხილად გადაუფრენს ყვავი...

გემს მივყვები

არაფერი არ მიშველის ახლა,
ერთი შენ ხარ, შენ თუ მეჯადოქრები...
გადალეკავს შენს სიყვარულს ტალღა,
და მეც, ალბათ, მაგ ტალღის ქვეშ მოვყვები...
შენი სახე, ელვის გამონათება,
სამუდამოდ ჩააკვდება ჩემს თვალებს...
მასზე ფიქრი, მასზე ფიქრი დამჩემდა,
და ვერაფრით სხვა სახით ვერ შევცვალე...
დაუძახე, დაუძახე ეშმაკებს,
იქნებ რამე მომიხერხო საჩემო...

თორემ ისე ვიმეორებ შენს სახელს,
თითქოს ქვეყნად მხოლოდ შენღა არსებობ...
გემს მივყვები, მეჯახება პირქარი,
და გრიგალი ანძებს მილეწ-მოლეწავს...
მე წუხელაც ვნახე შენზე სიზმარი,
ჩემი გული მსურდა შენთვის მომეცა...
არ დამკარგო, არ დამკარგო არასდროს,
მე შენს სიზმარს ჩემი კლიტე დავადე...
გინდა გითხრა? მე გარედან ვდარაჯობ,
და თუ კარგად მოიქცევი, გავაღებ!!!

წითელი (შ.ნ.-ს)

წითელი ვარდი, წითელი ვაშლი,
წითელი კაბა, ტახტიც წითელი...
წითელ როიალს კლავიშებ აშლილს...
აჟღერებს შენი მკლავი შიშველი...
და სიგარეტი ძველ საფერფლეში,
თითქოს, თითების კონტურს იფერებს...
ოქროს თავთავი ასხეპილ თმებში,
და პომადიან ტუჩთა სიწრფელე...
მე მჯერა შენი, მე მჯერა შენი,
რაც არ უნდა თქვა, ყველაფრის მჯერა...
რომ გიპნოზს ფლობდა წითელი გველი...
და მომნუსხველი რომ ჰქონდა მზერა...

მრისხანება დღევანდელი

რა დრო იყო, მრისხანებას დუელებში იოკებდნენ,
დღეს რა დარჩა? როგორა ვთქვა, გინებამდე ჩამოვედით...
ვისაც უნდა, სადაც უნდა, როგორც უნდა, გაგინებენ,
და არავის არ აღელვებს, შენი აწმყო, შენი ბედი...
ერთსაც ვიტყვი, როგორც უნდა შეკავება გსურდეს თავის,
როგორ შეძლებ? ერთი სიტყვა უეჭველად წამოგცდება...
იგივეა, რომ ბულბული ყურს უგდებდეს ყვავის ჩხავილს,
თუმც, ბულბულიც ზოგჯერ, ალბათ, სწორედ ყვავის გამო ცდება...

თუ შენს გამო

არ არსებობს სილამაზეს,
სხვა სხეული რომ შვენოდეს,
ისე, როგორც შენი შვენის,
ჯადოქრული შენი სახის...
სხვა წლებია, სხვა წლებია,
თორემ ყველა უნდა გცნობდეს,
ვისაც რამე გაეგება,
თუნდ, მცირედი სილამაზის...
არ მგონია სისულელე,
თუ შენს გამო, მე თავს ვკარგავ...
თუ შენს გამო, ბუნებრივად,
დამავიწყდა ჩემი წლები...
თუ შენს გამო გადავსებულ
თასს გრძნობებით როგორ ვხარჯავ,
და უფსკრულში, სიყვარულის,
როგორ მშვიდად ვიჩეხები...
გამოასწრებს, გამოასწრებს,
მზის სხივები ღრუბლებს ცისას,
და სულ მალე, ყველა ერთად,
სადმე ახლოს დაეცემა...
შენც სხივი ხარ, უნაზესი,
შორეული ვარსკვლავისა,
და მეც ვშიშობ, რომ შემთხვევით,
არ ჩაგაქროს ჩემმა ცრემლმა...

არა ვარ სანდო (დადუ ნას)

გასაგებია არ გჯერა ჩემი
და ამიტომაც ირიბად მიმზერ...
მე ვიქცეოდი ამ მარტის რჩევით,
ჰოდა, რა ვიცი, ცოტა ავიჭერ...
არ მიყვარს, როცა ეშვება ფარდა,
თუნდაც დასმული იყოს წერტილი...
დილიდან, თითქოს, რაღაცა მაკლდა,
რაღაც აქამდე არდაწერილი...
ნუ მომენდობი, ნუ მომენდობი,
შენც კარგად იცი, არა ვარ სანდო...
მოგეხსენება, ლექსით შეპყრობილს,
ვერავინ ამხსნის ზეციურ ჯადოს...
რადგან ჩემს ირგვლივ მუდამ ქარიშხლებს
და მორევის ხმას გააქვს ზრიალი...
თითქოს, ეშმაკი მკერდზე მაბიჯებს,
ვარ მისი შხამის თანაზიარი...
აბა, მითხარი, რა მომცა აწმყომ,

ან მომავალი სად გაქრა, ნეტა?..
ვინ გაიმეტებს თაფლს ჩემთვის სამყოფს,
ვზივარ და ვისმენ საწუთროს ყეფას...

რა გავაკეთო

მე ვდარდობ შენზე, არ ვიცი სად ხარ,
მაგრამ, რატომღაც სულ მედარდები...
გეცოდინება, რომ გულში მყავხარ,
როგორც ფიფქების ფოლიანტები...
კი, ვიცი, ვიცი, ამომარჩიე,
და სულაც რომ არ ნანობ ამაზე...
საღამო იცვლის დეკორაციებს,
შენსკენ ბილიკებს მიფიანდაზებს...
მე კი არ ვიცი, რა გავაკეთო,
მინდა გადმოვდგა, თითქოს, ნაბიჯი...
მაგრამ, შემთხვევით, რომ დაგაფეთო,
და აგიმღვრიო სული ნარინჯი?..
როგორ მოვიქცე, როგორ მოვიქცე,
იქნებ, შენ მითხრა და დამამშვიდო...
ალბათ, ნატვრის ხის ძებნა მომიწევს,
რომ შენი ნატვრა მის ტოტს დავკიდო...

ტყავს ნუ შეიცვლი

ტყავს ნუ შეიცვლი, ტყავს ნუ შეიცვლი,
დადექი, როგორც რკინის კედელი..
როგორ კვდებოდნენ ადრე რწმენისთვის
დღეს კი მომრავლდა უხსენებელი...
რამდენიც გინდა, რამდენიც გინდა,
გველის კვერცხშია გამოჩეკილი..
ჩამოფრენილსა თამაშობს ციდან,
და შენც გგონია, სუფთა, კეთილი...
კი, ცივი შხაპიც ბევრჯერ კარგია,
თუ კი არ ახლავს იქვე ნესტარი...
როგორ ვუშველო ამ აპათიას,
სად გადაბარგდა ჩემი ნესტანი?..

გამიმეორე

გამიმეორე, ეგ სიტყვები გამიმეორე,
ასე მგონია, მათ ღიმილი შენი ატყვია...
როგორც ატყვიათ ალის კვალი ცად მეტეორებს,
ხოლო გაზაფხულს ნუშისფერი ჭორფლი აყრია...
მე მიყვარს, მიყვარს, როცა ბგერებს ჩუმად ამოთქვამ,
თითქოს, ყვავილთა მოზეიმე ვალსში ერთვები...
იქნებ, არც გსურდა გეთქვა, მაგრამ, მაინც წამოგცდა,
ან ეგ სიტყვები იყვნენ თვითონ მოუხელთები...
იქნებ, არც გითქვამს, და, უბრალოდ, მე მომეჩვენა,
თითქოს ბგერები შენი ბაგის ცეცხლში იწვოდნენ...
მაინც იცოდე, ეგ სიტყვები გასდევს რეფრენად,
სიყვარულს, მე რომ უნებლიედ გამოგიწოდე!!!

მოდი, მომხედე

მინდოდა ბედი, მე რომ მარგუნა,
ღმერთმა და მერე დამსაჯა ასე?..
სამყაროს ღერძი შემოაბრუნა,
და გამიყენა მიუვალ გზაზე...
შემეხმიანე, შემეხმიანე,
თორემ გაცივდა სისხლი ძარღვებში...
მიყვარხარ, როგორც ეს ცა კრიალებს,
და როგორც მთვარე ზის ვარსკვლავებში...
მიყვარს ეგ თმები, შენ რომ გიხდება,
ხშირად მათზეც კი მიოცნებია...
რა მოგიხდება, რა მოგიხდება,
ერთხელ დანებდე ჩემს ხელს ვნებიანს...
და თუნდაც იყოს ის ერთი ღამე,
საბოლოო და საბედისწერო...
მომხედე, თორემ, იმედს მიკლავენ
და სურთ სამყაროც გადამიმტერონ!

ყველანი წავლენ

ყველაფერს, მართლაც, ორი მხარე აქვს,
ტკივილს, სიხარულს, ცრემლსა თუ სიცილს...
რაც შენთვის მზეა, ჩემთვის მთვარეა,
ანდა, პირიქით, აბა, ვინ იცის...
მომიალერსე, რომ გამიაროს,
ამ ღამეული სევდის ყინვებმა...
მივახრჩო ბედი თუ შარიანობს,
და მწუხარებაც თუ იჩხვლიტება...

ნუ გიკვირს, თუკი, შენს გაკვალულ გზას
ბევრი აირჩევს გადასარჩენად...
ყვავს რომ თავისი ბახალა უყვარს,
რომ ვერ აკეთებს ხალხი არჩევანს...
მათთვის ყოველთვის და ყველა დროში,
ქრისტეზე ახლოს არის ბარაბა...
ათივე მცნება ღირს სამი გროში,
რას იზამ, უყვართ დავიდარაბა!!!
მერე რა, თუკი კანზე ჩაგაკვდა,
ყველა ტკივილი რაც განგიცდია...
გადაივიწყე ვინც გიღალატა
და გაერიდე დღეებს სისხლიანს...
თუკი არსებობს დღეცა და ღამეც,
და არჩევანი კი სულ ერთია...
ყველანი წავლენ, ყველანი წავლენ
იქ სადაც მუდამ უკუნეთია...

შენზე რატომ გავჩერდი

ვინც მიყვარს, ჩემთან ის აღარ მოვა,
აღარასოდეს აღარ მიკითხავს...
არადა, მართლაც, რა საღამოა,
დაისი შენი ცრემლივით ბრწყინავს...
იცი, ვერ გეტყვი, ვერ გიპასუხებ,
ამჯერად შენზე რატომ გავჩერდი...
რასაც გული მთხოვს იმას ვასრულებ,
ჰო, თუნდაც გულის მეათასედი...
კი, ველური ვარ, ათას მწვერვალებს,
ათას ხეობებს ერთად ვედები...
მე ხომ, ძვირფასო, შენთვის ვეწამე,
მკერდზე მიჭერენ შენი ღვედები...
ნუ გამიმეტებ, ასე უბრალოდ,
ნუ მეტყვი, თითქოს, სხვა ნახე ვინმე...
როგორც ზამთარი ქრება უკვალოდ,
წახველ და ფეხი ამოიძირკვე...
უკვე სხივები სხივებს აქრობენ,
ბაღში ხეების ჩრდილი ბაცდება...
ქარები მთვარეს გამოათრობენ,
წაბარბაცდება და ცას ასცდება...

მადლობელი ვარ

ხან წამიერი სიხარულიც ისე ბევრს უდრის,
მთელი სიცოცხლეც კი გეყოფა ბედნიერებად...
ეგებ, ის წამი წყალობაა, ზეცის და უფლის...
მე კი, ნეტავი, შენს საჩუქრად რად მეჩვენება...
თითქოს, ჭრილობა შემიხორცდა უუძველესი,
და მკერდმაც იგრძნო საოცარი თავისუფლება...
როგორც პირველი ნაკადული მიდის ველებში,
რომ გაიღვიძონ გაზაფხულის თაიგულებმა...
მადლობელი ვარ, იმ წამისთვის ღირდა სიცოცხლე,
რომ საწყაული გადამივსე აღუვსებელი...
და თუ კვლავ შევხვდით, ისევ ისე თუ დაიმორცხვებ,
არ გაგიკვირდეს თუ ყიჟინით შევძარ ტყე-ველი...

შენც თეთრი ფერი შეგირჩევია

გეტყვი, რომ შენი სიცოცხლით ვცხოვრობ,
შენ კი ვერაფრით ამას ვერ ხვდები,
რაც იყო მინდა რომ მოვისროლო,
რაღა თქმა უნდა, თუ კვლავ შევხვდებით...
იცი, სიყვარულს თეთრი ფერი აქვს,
და უყვარს, უყვარს ჩვენთან თამაში...
შენც თეთრი ფერი შეგირჩევია
და თეთრ ცას ეძებ ამ ქვეყანაში...
მოდი, გაგიყოფ ბედნიერებას,
მე ის წვეთობით ჩემთვის ვაგროვე...
რადგან უშენოდ გამიძნელდება
და მინდა, მინდა შენს სიახლოვეს...
გამოაღწევენ, გამოაღწევენ,
ძველ სიზმრებიდან თეთრი გედები...
როცა გრძნობები სარკმლებს აღებენ,
და შენც უსაზღვროდ მეიმედები...
მაგრამ, ნუ მკითხავ საით მიდიან,
თავს თუ მაღწევენ ჩემი ფიქრები...
ჩემი გზა მუდამ ბეწვის ხიდია,
და თუ მიწყდება, ზედ ვეკიდები...

მიყვარხარ გულში

არ ჩავერევი შენს სიხარულში,
გაუშვი, იყოს შენი მთლიანად...
მე შენ ბავშვივით მიყვარხარ გულში,
ბავშვივით, ჩემი ტკივილიანად...

ნუ გააკარებ, ნუ გააკარებ,
შენს სულს, ჩემს აზრებს, ხშირად მკრეხელურს...
მე მეშინია რომ მოდის ღამე,
და ვემსგავსები შიშველს და ველურს...
არ მიძებნიხარ, გამომეცხადე,
როგორც ბელურას ბარტყი მშიერი...
თითქოს, დარბაზის კარი შევაღე,
და დამხვდი შუქი ზეცისმიერი...
და მე ვერ ვხვდები, ეს რა წესია,
უცხოს რომ ხელი გამომიწოდე...
თითქოს ფუტკარი შემომესია
და ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვოდე...
არ დამიმალო, მითხარ, სიმართლე,
მენდობი, როგორც მე შენ გენდობი?..
მე ხომ ფრთების ქვეშ დაგიბინადრე,
და, სხვა რა გზაა, ბედს მივენდობი...

მიწა

ნუ მიაძინებ ჩემს აღმაფრენას,
გთხოვ, ზოგჯერ მაინც გამომიარო...
და დარჩე კიდეც, თუ გსურს დარჩენა,
სანამ არაგვი არაგვიანობს...
რომ შენი ყოფნით, ჩემთან, ძვირფასო,
გადამავიწყო ყოფის ტირება...
რომ ყველაფერში არ დავითარსო,
როცა დღე ბღავის და იძირება...
რად მაჩუმებდნენ, რად მაჩუმებდნენ?..
რა იყო ჩემში მიუღებელი?..
მითხარი ჯვარზე რატომ მკიდებდნენ?..
რად მიმილეწეს რწმენის კედელი?..
ნუ ფიქრობ, თითქოს, მიწა მტვერია,
ანდა, ტალახი გადაზელილი...
მიწა ეს შენი სისხლის ჭერია,
შენს მეობაზე ჯვარდაწერილი...
და თუკი მტერი სულში გიძვრება,
მიწას ის მტერი არ გააკარო!..
გადაირჩინე ისე ღირსება,
რომ განაცვიფრო მთელი სამყარო!!!

აქ უნდა მოვკვდე

გავჩნდი თუ არა, რამე არის აქ დასამალი?..
ჩემი მიწა-წყლის სიყვარული შევისისხლხორცე...
იყოს ნაგავი, თუნდაც, ბილწი და შემზარავი...
ჩემი მიწაა, მას ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე...
და მეტსაც ვიტყვი, მტრისგან ასე ნაფლეთ-ნაგლეჯი,
უფრო მტკივა და უფრო მიყვარს, უფრო ჩემია...
როგორც თავისი მწვრთნელი უყვართ ძაღლებს დაგეშილს,
როგორც გველს თავის წლოკი, ალბათ, სხვებს ურჩევია...
მე ვერ ვუშველი ამ ქვეყანას ვერსად გაქცევით,
რა თავში ვიხლი, სხვა მიწაზე, სხვასთან სიამეს?..
აქ უნდა მოვკვდე, თუნდაც, ვიყო ბოლო ქართველი,
უნდა ვიბრძოლო, უნდა შევძლო ეს სიკვდილამდე!!!

არ გაჩერდება

თითქოს, ისეთი ამინდებია,
ქალაქი დარჩა უპოეზიოდ...
მე, მგონი, თავიც დამვიწყებია,
და გახსენებას ამაოდ ვცდილობ....
ნუ შემიჩნდები, ნუ შემიჩნდები...
ეს ტრასაც, ალბათ, არის ფერარის...
ფერარს ასხია წითელი ფრთები,
მიქრის, მიფრინავს, როგორც მერანი...
გაკოცებ, ისე მაგრად გაკოცებ,
შენ ლოყებს ტკაცანს დავაწყებინებ...
ნეტა გათოვდეს, ისე გათოვდეს,
რომ ვეღარ ვცნობდე, ტყეებს, ველ-მინდვრებს...
ეს ზეცაც, მგონი, ლურჯად ანთია,
ნეტა, რა უნდათ ცაზე გვირილებს?..
იქვე ფერარის ფრთაც ახატია
და, მგონი, კიდეც დაიჭიხვინებს...
გაბაცდებიან, გაბაცდებიან,
გარიჟრაჟისას ზღვაზე ჩრდილები...
ზღვები ნაპირებს გადასცდებიან,
როგორც მერნები აწყვეტილები...
გამოურიყავს ტალღებს რამდენი,
მეთევზეების ძველი ნავები...
ზღვები, უთვალავ ცოდვის ჩამდენნი,
გართხმულან, როგორც მომაკვდავები...
არ გაჩერდება, არ გაჩერდება,
ტრასაზე ღმუის ჯერაც ფერარი...
შუადღე მოდის, მიწა ცხელდება...
და მერნებს გააქვთ ცაზე თქერანი...

გამყიდველებს

აუ, რა სწრაფად გყიდიან,
როგორც კი ვინმე სხვა მოვა...
ცხოვრება მართლაც ხიდია,
ზედ ყველა გავა-გამოვა...
გიყვარდეთ, სხვები გიყვარდეთ,
აუსხით მარგალიტები...
ნაცარში არ ჩაგივარდეთ
კოვზი, მომუჭეთ თითები!!!

რა ლამაზი თვალები გაქვს

ჩემს ცხელ გრძნობებს, ჩემს ცხელ გრძნობებს,
ზღვის ცივ წყალში ვიოკებდი...
ახლა უკან ქარი მომდევს,
დიდი წიოკ-ფრიოკებით...
დამიყვავე, დამიყვავე,
სანამ წვეთავს გულში სისხლი...
შემოხვეულ შენს ცივ მკლავებს,
როგორც გველებს, ისე ვიხსნი...
ვერ დაწყნარდა, ვერ დამშვიდდა,
ქარი ჩემზე მარჩიელობს...
ფოთლებს მაყრის ვაშლის ხიდან,
ჩემს მოსყიდვას ამით მცდელობს...
რა ლამაზი თვალები გაქვს,
მათ გუგებში ვიძირები...
ძუძუს ნატვრისხალებიანს
აკრთობს შენი კიკინები...
დამიღამდეს, დამიღამდეს,
როგორც ციცას შენს მკლავებში...
რომ ვკრეფავდე სევდის მარცვლებს,
ჩაბნეულებს შენს თვალებში...

შენ რომ დარდი გამატანე

მე ხომ ვიცი, რომ მჭორავენ,
და შენც ჭორებს აჰყოლიხარ...
შენ ჭორებში როგორ გაგრევ,
როცა გულში ჩამყოლიხარ...

მე, უბრალოდ, გიფრთხილდები,
რომ არ გახდე ჩემი წერა...
თუ კი, მართლაც, გაქვს კითხვები,
მკითხე, რაღა სხვისი გჯერა?..
გახსნილ მკერდზე გაგიშლია,
თმები, როგორც ყვავილები...
ჩემთვის კოცნა დაგიშლია,
სხვისი კოცნით არ იღლები...
გაატარე, გაატარე,
ეს დღეებიც სხვასთან ყოფნით...
შენ რომ დარდი გამატანე,
მე, ხანდახან, იმ დარდს ვკოცნი...

გარდაცვლის დროა

რა სიჩუმეა, თითქოს აკლდამის
ქარი უბერავს ლაქაშებიდან...
თან სამოთხისკენ გზას მიმასწავლის,
თუ როგორ გადის ცისკენ მთებიდან...
გარდაცვლის დროა, ვიღაც აცხადებს,
წამოფრთხიალდნენ ხიდან ყვავები...
აღარ მგონია დროს რომ დავხარბდე,
მაინც ვერაფრით გავუმკლავდები...
ჭალაში ფრთხილად გაწვა სიცივე,
ხეზე ყვინთავენ ლურჯი ქედნები...
მე სინანული ვერ მოვიცილე,
არ მსურს სიცოცხლე დანაყვედრები...
ასე მგონია, უკან ვბუნდები,
პირველ ნაბიჯებს სადაც ვადგამდი...
გადაიფრენენ მტრედის გუნდები,
აღარ მეგონა თუ კვლავ მნხავდი...

აღარ დამპირდე (ტ-ს)

მინდა, არ მინდა, ვერ ამისრულებს,
ვერ ამისრულებს ვერაფრით ნატვრას...
გაგიმხელ, მე დღეს ბევრჯერ გისურვე,
ჰო, სასურველი შენს მეტი არ მყავს...
აღარ დამპირდე, რადგან ვიჯერებ,
ყველა შენს სიტყვას, ყველა შენს ნათქვამს...
რა მოხდა, თუკი წლები მიბღვერენ,
ისე მიყვარხარ, ყველასთან დავფქვავ...

შენც კარგად იცი, რომ უნებლიედ,
სულ უნებლიედ აღმოგაჩინე...
მინდა, რომ ჩემზე გული შეგტკივდეს,
მოდი, ძვირფასო, გთხოვ, მომარჩინე!!!

ღამეა ტკბობის

რასა ვგრძნობ, იცი? სივრცე არ მყოფნის,
რომ ჩემი ფრთები ცამდე გავშალო...
ღამეა თრობის, ღამეა ტკბობის,
ღამე რომელიც გასვლას არ ჩქარობს...
გამოიჩინე, გამოიჩინე,
გულმოწყალება შენი ქალური...
ცაზე ვარსკვლავი ამოირჩიე
და მას აჩუქე ეგ სიყვარული....
არა, არ მინდა რომ გული დამწყდეს,
რომ აღტაცებას გადამაჩვიო...
მსურს ბედზე უფრო მეტად შენ მწამდე,
თეთრი და შავი რომ გავარჩიო...
ასე მგონია, მტერი დამეცა,
და ამურებმა ისევ გამთოკეს...
შენა ხარ ჩემი თრობის ღამეც და,
ბედნიერება თუ სიმარტოვე...

ქარის აყოლა

ვგრძნობ, ნელა-ნელა როგორ ვცილდებით,
რომ სხვა გრძნობებმა გადაგიბირეს...
რომ აღარ ჩადგა არასდიდებით,
ქარი რომელიც გარეთ ქვითინებს...
რაც კი გამაჩნდა, გაუტაცია...
მიდის ველებზე მიაფრიალებს...
ჩემი ცხოვრება ისე მკაცრია,
რომ ამ ქარსაც კი შეაჟრიალებს...
გადაეხეტა, გადაეხეტა,
თავზე უფსკრულებს, ბზარებს, ნაპრალებს...
კავკასიონის კლდეებს ეკვეთა,
ბებერ ხეობებს მიაზანზარებს...
ჩემგან რა უნდა, მე სად მიმათრევს...
მე უფსკრულებში ისეც ვვარდები...
სადაც სიბნელე ახრჩობს სინათლეს,
და ისიც იცავს თავს გააფთრებით...

მართლაც, არა ღირს ქარის აყოლა,
როგორ ვიცხოვრებ მისი ცხოვრებით,
წამიღებს, სადმე თოვლში ჩამქოლავს...
ან დაგორებულ ზვავში მოვყვები...
ქარი, აბა, სხვას რას დამპირდება,
ქარებს არცა აქვთ, მგონი თვალები...
მე რა გავუგო შენს ახირებას,
არ გენანები? ნუ გენანები...

რაღაც ზმანების მსგავსი

ალბათ, ჯადოქრობაა, ამ სიტყვათა თამაშში,
მოკლედ, გალაკტიონი, სულ რაღაცით მეტია...
სულს კი შემოსჩენია უცნაური განგაში,
რა მსურს ვერ გამიგია და ვერც სხვები მეტყვიან...
რაღაც ზმანების მსგავსი იყო მათი ეპოქა,
ისტორიის დუღილი სისხლით გადარეცხილი...
ვეღარავინ გაუწევს იმ ჩავლილ წლებს დედობას,
იყო მისი სიკვდილიც საქართველოს სირცხვილი...
ვინ მოაგნებს ჩემ სხეულს, ვინ აჰყვება ცდუნებას,
აქ ყოველჟამს ქარია და ცხენების ჭიხვინი...
სულს სჩვევია გაქცევა, როცა მოესურვება,
და ქიმიდან გაფრენა გადაჩეხილ ჯიხვივით...
დადგა, დადგა აპრილი, ხევხუვების ღავღავით,
ბედმა თავის ბრჭყალები ისევ მკერდში ჩამასვა...
ჩამოდიან მთებიდან ფურ-ირმები ღამღამით,
კვლავ საერთოს ეძებენ, მაინც ამ ქვეყანასთან.
მე კი როგორ გავერთე, მგონი, აზრიც გამექცა,
ქედებს მოუყვებიან გაცრეცილი ნისლები...
დავბრუნდები, ძვირფასო, დავბრუნდები მთვარესთან,
და შენს ჯიბრზე იმასთან ასჯერ დავქორწინდები...

არა, ეს ქარი თუ ამოვარდა

როგორ უბრწყინავს, როგორ უბრწყინავს,
როგორ უბრწყინავს ამ ქალს თვალები...
მითვალთვალებენ თითქოს მწუხრიდან,
აწ გარდაცვლილი დედოფალები.
მათ ათასობით მამრი იცავდა,
სასახლეებთან ედგათ ჯარები...
მეზარბაზნეთა თუ მოისართა,
მერნები თავის მოსართავებით...

მიყურებს რაღაც სისხლის სიჭარბით,
ავანტურაზე მიწვევს აშკარად...
თითქოს ამურმა დიდი სისწრაფით,
ვარდის ბაღები შემომატარა...
არა, ეს უკვე მეტისმეტია,
მე მგონი ჩემსკენ ადგამს ნაბიჯებს...
ქალების მეტი რა მყვარებია,
მაგრამ, ეს, ალბათ, მთლად გამაგიჟებს...
ნუ გადმოადგამს, ნუ გადმოადგამს,
შეჩერდეს, ღმერთს ვთხოვ, თუნდაც, წამები...
არა, ეს ქარი თუ ამოვარდა,
და შემომაჭდო სიძვის მკლავები...

მიიღე ჩემგან

მსურს შევეჩვიო შენს გამოხედვას,
როგორც საკუთარ ბუნაგს ძაღლები...
ჯერ კი მაცოფებს ერთი მოხედვაც,
ან თუ მიმზერენ შენი თვალები...
არა, არ მინდა შენგან წავიღო,
შენი გრძნობების თუნდაც ნამცეცი,
ლოცვა, რომელიც ჩემი არ იყო,
სევდა, რომელიც სხვისთვის გაეცი.
მართალი გითხრა, ვეღარ მართობენ,
ტბათა ბუტბუტი, ვერხვთა შრიალი...
ვერც ვარსკვლავები რომ კიაფობენ,
ვერც ქარიშხლებში ზღვების ღრიალი...
მოკლედ, შენს ახლოს ყოფნას ვეჩვევი,
მიყვარხარ ჩემი მტევნის ნეკივით...
და თუ გატკინე გული შემთხვევით,
მიიღე ჩემგან კომპლიმენტივით!!!

ნუ გიკვირს

გულს გტკენენ? ნუ გიკვირს, ეს მათი წესია...
ჯობს, კარგის მაგიერ ელოდო უარესს...
არ გახსოვს, თუ როგორ აწამეს მესია,
სამყაროს მახვილით რომ გადაუარეს...
თოვლსა და ყინვაში გზას ვიკვლევ ზეცისკენ,
ამ მთიდან პატარა ბილიკი ჩამოდის...
და რადგან დღეს ისევ შენს ნახვას ველირსე,
რად გიკვირს, წამწამზე თუ ცრემლი ჩამომდის...

მე ზოგჯერ მგონია, რომ ზეცა მიჭირავს,
მიჭირავს არც ისე ძლიერი ხელებით...
ძვირფასო, მე, იცი, დანახვის ნიჭი მაქვს,
და, შენ, მე, საოცრად სუსტი მეჩვენები...
ნუ მისცემ, ნუ მისცემ, მაგ სევდას კალაპოტს,
ღამეს დღე მოსდევს და კვლავ დილა თენდება...
ღალატის წესია, რომ ის ვინც გღალატობს,
შენ, აუცილებლად, ახლობლად გერგება!!!

სიზმრად გეტყვი (მ.მ.-ს)

კი, მომწონს შენი თვალების ჭრილი,
და თუნდაც შენი გამჭოლი მზერა...
მე შენი სისხლი ძარღვებში მივლის,
და, ვფიქრობ, ალბათ, ამ სისხლის ტყვეც ვარ...
ჩამოსხდებიან, ჩამოსხდებიან,
ვარდების ყლორტზე შენზე ფიქრები...
ცას ვარსკვლავები ჩამოსწყდებიან,
როგორც ქალს მკერდზე მარგალიტები...
და მე არ ვიცი, როგორ ავდივარ,
მწვერვალზე, რომელ ბილიკს მივყვები...
ქარმა თავისი ფრთები დამპირდა,
ზღვებმა მაჩუქეს თავის ზვირთები...
მალე ზვავებთან ერთად წამოვალ,
ჩამოვუყვები კლდიან ქარაფებს,
ვიღებ ქარიშხლის ღრიალს გალობად,
და სიზმრად გეტყვი, ჩემო, დანარჩენს...

ნუ მაკვირდები

ვერ ამოვავსე ჩვენს შორის ზღვარი,
თუმცა, შენც იცი, ბევრი ვეცადე...
და ჩამყვა გულში მე შენი ჯავრი,
ამ ნაპრალების ამოვსებამდე...
ყველა გიენას სისხლი სწყურია,
და მოგკლავს კიდეც თუ დაგასწრებენ...
თუმცა ორივე სასწაულია,
მზის ამოსვლა და ჩასვლაც ასევე...
ნუ მაკვირდები, ნუ მაკვირდები,
ის რაც ვიყავი, მე აღარა ვარ...
ვერც ვეღარაფერს ვეღარ გპირდები,
და უდროობას ვიდებ საბაბად...

ესაა ჩემი ავანტურიზმი,
მე ამაზე შორს, ალბათ, ვერც წავალ...
შენ, ცოცხლობ, ვიცი, სიყვარულისთვის,
მე კი ტრფობისთვის მსურდა მეწამლა...
ტრფობას, რომელსაც მოაქვს ნაყოფი...
და გაზაფხულზე კვირტი ამოაქვს...
მოდი, ძვირფასო, მომიახლოვდი,
მოდი, გახედე, რა საღამოა...

შეგვახვედრებს

ნუ დაღონდი, შეგვახვედრებს,
შეგვახვედრებს ისევ ბედი...
რომ იმედით გული ფეთქდეს,
გული ფეთქდეს მონატრებით...
მზეს გახედე, როგორ ათბობს,
მწვანე ველებს ყვავილიანს...
ატამს სურს ბალს მიეტმასნოს
და შროშანი ეძებს იას...
ცა სავსეა გაზაფხულის
გადმომფრენი ფრინველებით...
ქვებში გარბის ნაკადული,
ვარდს ბულბული ატკბობს სტვენით...
მიყვარს, მიყვარს შენი მზერა,
რაღაც თბილის დაპირებით...
შეგვახვედრებს ბედისწერა,
ისევ თეთრი აპრილებით...

სხვა აცვიათ ბაღებს ფარჩა

დღეს სხვა დროა, სხვა ვნებათა,
მიწა მღერის არიას...
სხვა აცვია ბაღებს ფარჩა,
ღამეც სულ სხვაგვარია...
შევეხები მე შენს თითებს,
უდარდელი მანერით...
თუმც წამები წამებს მისდევს
ვეფხვის გამძვინვარებით...
გადავხედავ ჩუმად აწმყოს,
ჭარბობს ნაცრისფერები...
როგორ მახსოვს, როგორ მახსოვს,
შენი მკერდის მტევნები...

დაუხრია წამწამები,
დამწიფებულ ალუბალს...
ვკოცნი, ვკოცნი გამწარებით,
შენს სულს ასე სანუკვარს...

მე ზეცაში ვარ

მეც ჩავიძირე ამ წყეულ დროში,
ჩემზე არაფერს არსად ჰყვებიან...
შხამი მეტია ჩემ თეთრ ღვინოში,
და გონებაშიც სევდა მეტია...
გარეთ მეფობენ ისევ ყორნები,
და ზეციდანაც კვლავ სისხლი ჟონავს...
შენ ჩემ ცინიზმზე ნუ აღშფოთდები,
მე ამ ცინიზმით ვამსხვრევ ამ დრო-ჟამს...
არ მინდა ვიქცე მონად სხვებივით,
გაუშვი, თუნდაც, ნურვინ ამყვება...
ვერ ჩავიწვები მე სანთელივით,
ვარსკვლავი ვარ და მევარსკვლავება...
წალეკოს მიწა, ზღვებმა წალეკოს,
მოწყდეს ზვავები, ქუხდეს ღვარცოფი...
ვეღარ შებღალავს ის ჩემ სამეფოს,
მე ზეცაში ვარ, მიწას ამოვცდი...

ნუ ამიმღვრევ

ნუ ამიმღვრევ, ნუ ამიმღვრევ,
წყალს დაწმენდილს სათავიდან...
სარკმელიდან ქარი მიღრენს,
საშველი კი არსაიდან...
ველი, მაგრამ არ სრულდება,
დღემდე შენი დანაპირი...
ტბის ნაპირზე გედი კვდება,
გედი გედის ცრემლით ტირის...
რას ვეძებდი, რას მივაგენ,
შენ გიპოვე, სხვა მომეკრა...
ოცნებათა კოშკი ვაგე,
ვაგე, მაგრამ ჩამომენგრა...

სად მეპოვე (ტატას, კვეკვესკირს)

დაგეძებდი, დაგეძებდი, არ ვიცოდი,
სად მეპოვე, რომელ ყვავილს შეაფარე ფრთხილად თავი...
იქნებ თვალებს, მწვანე თვალებს სხვა გიკოცნის...
და მისი ხარ, მისი მზე და ცის ვარსკვლავი...
მოვიკლავდი, თავს, განა, არ მოვიკლავდი,
როგორც გაშლილს, დაუნდობლად სწყვეტენ ტიტებს...
მოგიტანდი, ულამაზეს თაიგულებს მოგიტანდი,
მაგრამ, მჯერა, შენ აჯობებ იმ ყვავილებს...
რას აპირებს, რას აპირებს, ნეტა, ბედი,
მე ხომ ჩუმად მის გარეშე დაგიგულე...
როგორც მწყურვალს წყარო, ისე მენატრები,
მაპატიე, რომ ვერ გჩუქნი თაიგულებს...

ვისი ბრალია

გინდა, მოვალ და საღამომდე შენთან დავრჩები,
ეგებ, მცირე ხნით ამომივსო სიცარიელე...
თორემ სამყაროს რა ხანია ვეთვალთმაქცები,
თითქოს, ვერც ვამჩნევ, თითქოს, მქონდეს თვალის სიელმე...
მაგრამ რა დამრჩა, დამრჩა, ვითომ, რამე სათქმელი?
ააქვს კი აზრი სიყვარულზე კიდევ ლაპარაკს?
ალბათ, კი, თუკი მოაცოცხლებ ბალახს გათელილს,
თორემ, რაც მითქვამს, ყველაფერი სადღაც გამქრალა...
საით მიფრინავს, ეს მერცხალი, საით მიფრინავს,
ეს ხომალდები მარტოობას თავს თუ აღწევენ?..
ვისი ბრალია თუ ვენებში ცივი სისხლი მაქვს,
ნუთუ ვკვდები და ვეღარაფრით გადამარჩენენ?..

არ დამელია მიზეზები

ვინ გამიმეტა? სიყვარულმა,
სხვა ვინ იქნება...
შენ გაღიარა, მე კი, თითქოს,
ტყვია, მესროლა...
მე გენდობოდი, ვით მჩვევია,
დაუფიქრებლად...
შენ კი ამკიდე როდინდელი
კაენის ცოდვა...
და მეც გზას ვიკვლევ ამ დაწყევლილ
ქარიშხალებში...
იქნებ როგორმე გავიტანო
თავი მისხლობით...

თუმც, მარტოდ დავრჩი
აღელვებულ ოკეანეში,
და როგორც თევზი უჟანგბადოდ,
ვიბრძვი, ვიხრჩობი...
არ დამელია, მიზეზები,
არ დამელია,
გამილიცლიცეს, გადამივსეს
თასი შხამებით...
და როგორც მივხვდი, არც სიკვდილი
არაფერია,
ადრე მოვა თუ, პირიქით,
დაგვიანებით...

რა მოუხდება

რა მოუხდება შენს ლამაზ სხეულს,
შენს ბროლის გულმკერდს რა მოუხდება?..
ვერ დავეწიე ფიქრებს გაქცეულს,
ვერ ამოვხსენი ჩემში რა ხდება...
მაგ თმებზე, ალბათ, ჭირხლია თოვლის,
ან ფურცლებია ტყემლის ყვავილის...
იქნებ, კვალია ჩემი ამბორის,
ან ანგელოზის ფერუმარილი...
ჩემს დანახვაზე ნუ შეკრავ კოპებს,
ნუ გამაგონებ სიტყვებს სევდიანს...
ნუ შემაშფოთებ, ნუ შემაშფოთებ,
მშვიდი წუთები მენატრებიან...
არადა, ასე როგორ გაგიშვა,
უკოცნელი და ხელუხლებელი...
შენ გაზაფხულმა მოგინაკლისა,
ჰოდა, ჩაბარდე მსურს უვნებელი...

პოეზიას

ასე მგონია, დავარწყულე უდაბნოეთი,
რომ გადავნამე პოეზიით ეს ცისქვეშეთი...
რომ ჩემ ტაიჭებს ომის გზებზე მივაქროლებდი,
და დავამარცხე სამუდამოდ ყველა ბნელეთი...
გაანათებენ, ეს ლექსები გაანათებენ,
ყველა უფსკრულეთს, ყველა წყვდიადს, სამარადისოდ...
არაფერია, დღეს ხელიდან თუკი მტაცებენ,
რაც კი ჩემია, ხვალ სამყარო მაინც გამიცნობს...

შემოაგელვე, ეგ მერნები შემოაგელვე,
რომ სილამაზემ შენმა ზეცის ფერიც წალეკოს...
კი, ვიცი, ვიცი, ეს შენა ხარ ზღვებს რომ აღელვებ,
შენი დროც მოვა, დააჩოქებ ყველა სამეფოს!!!

ეგ მრისხანება

იცი, კი, ნეტა, როგორ გიხდება,
ეგ მრისხანება ასე ქალური...
ბაღებში, ალბათ, მალე მიწყდება,
ჩიტების სტვენა და ჟრიამული...
რად გიკვირს თუკი მე დღემდე ვცოდავ,
რომ ამ მტკნარ დღეებს ვერ შევეჩვიე...
მეც, როგორც მთებზე ნისლი მიცოცავს,
დროს ასეთ ნისლად სურდა ვექციე...
მე კი მინდოდა ზღვა ვყოფილიყავ,
მელეწა კლდენი და არტახები...
რომ წამელეკა მიწის პირიდან,
ქალაქნი სიძვით ნაპარტახები...
შენ არ გეგონოს, რამეს ვტყუოდე,
მერე, რა, თუკი, დღეს აპრილია...
თუკი ზეცას სურს, გაუშვი, თოვდეს,
ეს წლები მაინც გადაყრილია...
ვერ ვიტან ომებს გამარჯვებულებს,
არც დამარცხებულ ომებს მივბღავი...
ვინ გილაღალატებს თუ გიერთგულებს,
ომებს მწარე აქვთ მუდამ იგავი...
კი, მინდა, მინდა დამამახსოვრდე,
ეგ განრისხებაც რომ თან დამქონდეს...
შენს ყველა სიტყვებს, როგორც დამწვრობებს,
დავატარებდე ჩემს სიახლოვეს...
ჰოდა, რად გიკვირს თუკი ვთამაშობ,
დრო-ჟამით, როგორც შლამში ბავშვები...
მე სილამაზემ შენმა დამახრჩო,
შენ კი, რა რისხვით შემომაჩერდი!!!

დავდივარ წრეზე

საოცარია, არ მპატიობს ბედი არაფერს,
ყველა შეცდომა ძმრად და შხამად ამომადინა...
მე კი ყველაფერს, სულ ყველაფერს უნდა დავაკვდე,
და არაფერი არ გამომდის დღემდე ადვილად...

დავდივარ წრეზე, ჯადოქარი მომყვება კვალში,
რათა წაშალოს ყველა ჩემი ნაფეხურები...
და რომც აფრენა მოვინდომო, ფრთებს როგორ გავშლი,
უნდა ვისმინო ამ წმინდანის საყვედურები...
როგორ მოვიქცე, იქნებ მითხრას, ვინმემ მირჩიოს,
უკვდავების წყალს, მეც ვიცი, რიმ ვეღარ მივაგნებ...
სხვა რამეს ვდარდობ, ბოროტებამ არ ჩამითრიოს,
სანამ ზეციურ სამყოფელში გადავინაცვლებ...

საით მიდის

ალბათ, არა მხოლოდ მე ვარ,
ჩაკარგული ამ რთულ დროში...
საუკუნის მესმის რყევა
და წუწუნი საწუთროსი...
სულ არ მინდა ავყვე ამ ჟამს,
მორევს ასე ბნელს და მღვრიეს...
რომ გაჩენილს ცეცხლის ხანძარს,
დავეღუპე უკაცრიელს...
ვერ გავიგე საით იწევს,
საით მიდის ეს თაობა...
ვინ უთითებს მათ ზეცის გეზს,
რა ჰქვია მათ უძრაობას...
უკან, უკან, სადაც ალბათ,
გაუვალი უღრანია...
უმეცრების შავი ტალღა
და უძირო ვულკანია...
ამოხეთქე, ამოხეთქე,
მაგ მკერდიდან ცეცხლის მთები...
აპათია ჩამომსხეპე,
ხარხარებდნენ ვულკანები...

აისების ნაცვლად

ვერ ვეშვები შენს სილუეტს,
მოელვარეს ათას ფერში...
მერე მკერდი შემიტყუებს,
მერე სხივი შენს თვალებში...
და სიჩუმეც, როგორც გველი,
ჩემს ცივ ძარღვებს ეპარება...
სად გაფრინდა ის ფრინველი
შენს მკლავზე რომ ნეტარებდა...

აპრილია, მალე, ალბათ,
ველი გაშლის ყაყაჩოებს...
სად წავიდა ვინც გიყვარდა,
ვინ სწვავს, ვისი სიახლოვე?..
აისების ნაცვლად, ალბათ,
ელოდები შენც დაისებს...
რაც გამაჩნდა დამეკარგა
მგონი, ღმერთიც შეცდა ისევ...

რა ხარბია კაცის თვალი

ყველა ტყვიას ავიცილებ,
დამიზნებულს გულში მშვიდად...
ცა ვარსკვლავებს, როგორც იებს,
დედამიწას აფენს მძივად...
რა ხარბია, რა ხარბია,
ზოგჯერ, მართლაც კაცის თვალი...
მთვარეს დარჩა პირი ღია,
როცა მზესთან შევუსწარი...
ჩამჭრის, ჩამჭრის ეს წუთები,
შენს თვალებს რომ აღმერთებდა...
რომ შემასხა წამით ფრთები,
და ოცნების ნისლში მხვევდა...
ვუსმენ შენს გულს მოკალმახეს,
ათრთოლებულს ჩემს ცხელ ხელზე...
ჩაუქროლებს სევდა ბაღებს,
ჩემს მკერდს შენსას შეახეთქებს...
არ გამექცე, არ გამექცე,
მე სვავი ვარ, შენ კაკაბი...
თორემ უფრო გამამხეცებს,
სურნელება მელნის კაბის...
ამ ხრიოკ და უხეშ ქვებზე,
დღემდე ვის არ გადავყრივარ...
ნუ, ნუ მიგაქვს თავი გვერდზე,
მეც შენსავით ამაყი ვარ!!!

დამხვდე მზესავით

დაისი მოდის არა იმიტომ,
რომ ჰორიზონტი გადააწითლოს...
არა, ძვირფასო, დაისი მოდის,
რომ შენს მშვენიერ სულს უმასპინძლოს...

ისე შორია ბედის ვარსკვლავი,
რომ ხშირად ვერც კი აღწევს ჩვენამდე...
და თუ დაფრინავს პეპელასავით,
ის კვდება ჩვენთან ჩამოფრენამდე...
შენ არ გეგონო ზედმეტად მკაცრი,
მე ეს ვხოვრებამ ასე მასწავლა...
და ვუძლებ, ვუძლებ, მათოვს თუ მაწვიმს,
ხან ფარულად და ხანაც აშკარად...
შენც კარგად იცი, მზე იხედება,
მზე იხედება ხშირად ღრუბლებში...
და რაც აქ ხდება, ის, ალბათ, ხვდება,
ან გული, როგორ აქვს საგულეში...
ერთურთს ეძებენ, ერთურთს ეძებენ,
ყველა მტრედი და ყველა მერცხალი...
ნეტა, მე და შენც შეგვახვედრებდნენ,
მე მოვიდე და დამხვდე მზესავით...

...

გაზაფხულმა ტრფობა იცის,
შემოდგომამ ქარები...
გადავთვალე თოკზე თითით
შენი ჭრელი კაბები...
ამივლი და ჩამომივლი
თვალებს ჩემსკენ აპარებ...
თუ მიგიხვდი ჩანაფიქრი,
წამსვე ააპარპალებ...
ნეტა, რამდენს მალოდინებ,
დარდიანს და ფიქრიანს...
ისე იკრავ მკერდზე ღილებს,
თითქოს ვერ გაგიხსნიან...

გადმოიფრენენ

სულ მალე, ალბათ, გაზაფხულსაც თავის ფურცლები,
ატმის კანივით, ნელა-ნელა შემოაცვდება...
გრძელდება დროის მდინარება დაუსრულებლივ,
უსასრულობას მიაღწევს და მასაც გასცდება...
და მეც არ მჯერა ამ საზღვრების სიკვდილ-სიცოცხლის,
გადმოიფრენენ მეწამულ ცას წეროს მწკრივები...
ეს ცა რომ არა, ხომ ვერასდროს ვერ გაგიცნობდი,
და ალბათ სხვათა სილამაზეს გავიკვირვებდი...

მაგრამ, ღმერთებმა არ ისურვეს ჩვენი გათიშვა,
მეც ვტკბები შენი მოელვარე კანის ფერებით...
როგორც ყიჟინით ეგებება დილის გარიჟრაჟს,
აღტაცებული მგალობლები და ფრინველები...
და ვხედავ, ვხედავ, შენს დიდებას ვერას აკლებენ,
ვერა წუთები, ვერა წლები, ვერა დროება...
თვით ჯვაროსნებიც შენს ჭიშკარს თუ შემოამტვრევდნენ,
მუხლს მოიყრიდნენ, ვით ხატის წინ, საამბორებლად...

ეს გზა არცაა

ეს გზა რომელსაც ჩვენ გავდივართ ურთულესია,
ეს გზა არცაა, ბილიკია, ალბათ, ციცაბო...
თან ყველა მხრიდან, ყველა მხრიდან ტყვიებს გვესვრიან,
რომც გერტყას ხმალი, აქვს კი აზრი ამოიწვადო...
აწმყო დაცოცავს, მომავალი კი მიაჭენებს,
ჰოდა, ვინ იცის, უფსკრულშიც კი გადაიჩეხოს...
თავისუფლების ვიღეჭები მცირე ნარჩენებს,
ვშიშობ, ვაითუ, ამ აწმყომაც უცბად მიყელთოს...
ასე მგონია, უკიდია ცეცხლი ჩემს ნერვებს,
და იწვის, იწვის, ერთიანად აღმოსავლეთი...
როგორ არ მინდა ჩემი სიტყვა რომ ყალბად ჟღერდეს,
როგორც სიცოცხლის, როგორა ვთქვა, ეს მონაკვეთი...

არ დამემდურო

ამ მოლოდინში სიტყვა არ დაგცდეს,
ტკბებოდეს დილა თავისუფლებით...
ვინღა უყურებს დღეს სხვათა განცდებს,
დღეს მთვარია მაისურები...
დღეს, მთავარია, რა აწერია,
უსულო საგნებს, ბოძზე ბილბორდებს...
სხვა დანარჩენი მხოლოდ მტვერია,
ჩვენ რომ სათუთად გადმოგვილოცეს...
რწმენა, ღირსება, ამისთანანი,
გადასულია სულმთლად მოდიდან...
არ ჰყვავის თეთრი იასამანი,
გავალ და რამე ნამცხვარს მოგიტან...
არ დამემდურო, არ დამემდურო,
თუ ჩამიყოლეს ზამთრის ქარებმა...
თუ ძველებურად ვერ გიერთგულო,
ან, ეს, უბრალოდ, დამეზარება!!!

გაიშლებიან

აყვავებულა ჩემი ნატვრისხე,
გამოუსხია ჩემი ნატვრები...
თითქოს, ჭიქაში ღვინო ჩამისხეს,
მეც ვზივარ ჩემთვის და ვეწაფები...
გაიშლებიან, გაიშლებიან,
როგორც ალუჩის თეთრი კვირტები...
ნატვრები, მე რომ ამირჩევია,
მათში, ზოგიერთს შენც რომ გპირდები...
ჰოდა, ჰყვაოდეს, ვის რას უშავებს,
ნატვრებია და უნდა იხარონ...
ნატვრებს ვინატრებ ტკბილს და უშაქრესს,
ოღონდ ყლორტებმა გამოიტანონ!!!

უნდა მოასწრო

სულ ცოდვა-მადლის ნაპრალზე მდგომმა,
როგორ ვიცოცხლე, როგორ შევძელი...
თან მაწუხებდა ყოფნა-არყოფნა,
და სულ კეთება შეუძლებელის...
ბევრია, ვიცი, ზღაპრული მხარე,
ბევრიც ოცნების ქალაქებია...
უნდა მოასწრო სანამ მოკლავენ,
შენში მოგზაურს მტრედისფრთებიანს...
სანამ გიყვარს და სანამ უყვარხარ,
სანამ ჩურჩულებს ვინმე შენს სახელს...
სანამ მუდარით ამბობს - ნუ წახვალ!
სანამ ცრემლები უსველებს თვალებს...
შენ ნუ მოუსმენ ჩემ დიდაქტიკას,
ანუ ჩემ აზრებს და ამ ჩემ ბოდვას...
ისე ნახავდა კაცი აფრიკას,
ვეფხვსაც მოკლავდა თითო-ოროლას...

სევდა

აღელვებას წამი უნდა,
დაწყნარებას წუთები...
ვერაფრით ვერ დაგიბრუნდა,
შენი ფერი ტუჩების...

მარტოობა ხომ არ ჯობდა,
იქნებ, მართლაც, გეცადა...
ბუხრის ცეცხლი გაგათბობდა,
გრძნობებს ჩაგიფერფლავდა...
სევდა მოდის, მოთარეშობს,
თვალებს ხელებს აფარებს...
შენს ფიქრებზე გადმოერთო,
მარტოობას გაყვარებს...
იყოს, იყოს, სევდაც იყოს,
იყოს სველი თვალები...
ტუჩი ღვინით შემთვრალიყოს,
ბუზღუნებდნენ ქარები...

მისებს, ზღვისებს...

რა ლამაზი გაელვება იყო,
როგორ ვგრძნობდი ზუგრგზე შენს ლურჯ თვალებს...
ისევ შენი სიყვარული მიპყრობს,
შენი ყველა შემოხედვა მაბნევს...
გადავხედე, გადავხედე ყველას,
მისებს, ზღვისებს, ყველანაირ ქალებს...
ძველ თუ ახალს, თითქმის, ყველა ევას,
სასწაული სილამაზით სავსეს...
შეგადარე და სიმართლეს გეტყვი,
ვერ ვიპოვე ჯერაც შენი მსგავსი...
დაქრის, დაქრის ცაში ოქროს ეტლი,
ჩვენი წრფელი სიყვარულის ასლი...

მიყვარხარ (თეთ-ს)

გამყარე სევდას, სევდას გამყარე,
იქნებ, გავექცე ამ სასოებას...
ვგრძნობ, ნელა-ნელა, თავს რომ მაყვარებ,
რომ ვერწყმი შენში უსაზღვროებას...
და თუ სამყარო ისე ძველია,
როგორც გვითხრობენ, როგორც ამბობენ...
როგორ გავძელით საკვირველია
და გადავურჩით ამდენ დამპყრობელს...
ალბათ, თეთნულდის კლდეთა სიმყარით,
ან მყინვარწვერის თოვლის ნათებით...
არ გიყვარვარო, როგორ მითხარი?
და ამ დროს შენს მეტს სხვას ვერ ვამჩნევდი!!!

ბედნიერება ხრამია

ბედნიერების მთასთან ვარ
ბედნიერების მძებნელი...
როგორც ხელმწიფის მასხარა,
ან მისი ცოლის მხლებელი...
თან ვფიქრობ, ნუთუ მჭირდება,
ეს მთა სინათლის მფრქვეველი?
თუკი სხვებისთვის იქნება,
იგივე მიუღწეველი?..
მართლაც, ეს ბედნიერება
ნეტა, ვის რაში არგია?..
მაგასა, სჯობდეს ეგება,
ცხრაჯერ შავ დღეს რომ გაყრიან...
მერე შენსას რომ გარეკავ,
ყველაფერზე რომ ფეთქდები...
რომ დაგეტყობა გარედან,
გადამსხვრეული ნეკნები...
მაინც შენსას რომ არ იშლი,
ისევ ბრძოლას რომ აპირებ...
თუ, ერთი, თავი აიშვი,
ყბებს დაალეწავ ვამპირებს...
რა არის ბედნიერება,
სურვილთა ტბაში ლივლივი?
სიხარულით რომ გეკვრება
სუნთქვა და ცას ხევ ყვირილით?..
ალბათ, სულ რაღაც წამია,
მერე წავა და გაივლის...
ბედნიერება ხრამია
რადგან გავსება არ იცის!!!

შორენა ანნა კონცელიძეს

როგორი ფეთქებადი ხარ,
"სკოლზკი" რუსი რომ იტყოდა...
მტრის ბანაკივით აყრილხარ,
და უბრძოლველად მიფორთხავ...
გწყინს, ჩემგან ყველაფერი გწყინს,
ორ ცეცხლს შუა ხარ მდგომარე...
თუნდ, შენი ერთი შენიშვნით
რა უცბად მომაყომარე...
მიკარგავ, ხალისს მიკარგავ,

რომ შენც სხვებივით მიყვარდე...
როგორ დაგპირდე წინასწარ
ჯომოლუნგმას ან მყინვარწვერს...
ვხედავ არ გიყვარს შაბლონი,
უფრთხი ტყვიების რიკოშეტს...
თუ შემეშალა ჩამქოლი,
როგორც გიტლერს ან პინოჩეტს...
ჰოდა, მეც რა ვქნა, გაგირბი,
თუმც, ჰაბიტუსით მომწონხარ...
მკერდს ნაყინივით ჩაგიდნი,
შამპანურივით გოგო ხარ!!!

როგორ მომენატრე

რომ არ გაგეღიმა, რომ არ გაგეღიმა,
ალბათ, არასოდეს აღარ შეგხვდებოდი...
მოჩანს გაზაფხული შენი თვალებიდან,
ნაღდად მოვკვდებოდი, შენ რომ შეგხებოდი...
ზღვაში, მწვერვალიდან მკერდით ჩავეშვები,
სადაც უცნაური ხარობს ნარცისები...
გნახავ სიზმარში და მოგეალერსები,
დღისით ავსებული სევდით დავიცლები...
როგორ მომენატრე, შენ კი გაელვებით,
ჩემთან შემოგაგდო, რაღაც ირონიამ,...
გვერდით ჩაგიარე, ძუნწი მანერებით,
მახლდა სიყვარულის ლურჯი სიმფონია...
ვიცი, მჯერა კიდეც, რომ მაქვს გარეკილი,
ჩემი სურვილები არწივს ააყეფებს...
მხვდება ნამსხვრევები შენგან არეკლილი
მე კი ვეხეთქები ნდომის პარაპეტებს...

ჩემს ეშმაკებს შემოგისევ

დაგტოვებდი, დაგტოვებდი,
არჩევანი რომ მქონოდა...
მოტაიჭო ჩემი ბედი
იცან, შენსკენ რომ მოქროდა?..
შევიყვარებ შენს მკრთალ სახეს,
თეთრ მკერდს ჩიტის გულით მფეთქავს...
ელვარებას რომ მიაფენს,
რასაც ამჩნევს, რასაც ხედავს...
ჩემში? ჩემში, ალბათ, ისევ,

ქარიშხლები გადასწონის...
ჩემს ეშმაკებს შემოგისევ...
ჩემს ოცნებებს პირველ ყოვლის...
და სანამ შენ აზრზე მოხვალ,
ან სათქმელად გახსნი ბაგეს...
შორს ვიქნებით, მზის მახლობლად...
და გვიამბობს მთვარე ზღაპრებს...

და ველი

რაც გსურს დამარქვი, არ მეწყინება,
სანამ გამიცნობ, არა მაქვს ჯავრი...
ზოგჯერ პირველი შთაბეჭდილება,
არაა ზუსტი და მცდარიც მსჯავრი...
ვერას იღონებ, ვერას გააწყობ...
პლაგიატების მიტევს ჯარები...
მე კი ჩემს მუზას რომ ვუღალატო,
ვეყვარები ან არ ვეყვარები...
ავუტანივარ, მეც ვიცი, წერას,
მინდა მურმანი ჩამოვიცილო...
თუ გსურს, შენს გამო, შევიცვლი რწმენას,
მოვისვრი ამ ჩემს იწილ-ბიწილოს...
თორემ ლოდინი ისე ძნელია,
ნერვების ფლეთას აზრი არა აქვს...
და ველი, ველი როგორც ელიან...
იალაღებზე წასხმულ ქარავანს...

უშენოდ ყოფნა

ასე მგონია, ღამეს მიცვლიან,
ჩემი არ არის, სხვისი ღამეა...
თუნდაც, ეს ღამე რის მაქნისია,
უშენოდ ყოფნა რა სიამეა...
არ მსურს ტყუილად დამაიმედოს,
ქარმა, რომელიც სარკმელს მოასკდა,
ვარდმა, რომელიც ბაღჩაში მეფობს,
გედმა, რომელიც მოფრინდა ტბასთან...
როგორ ბზინავენ, როგორ ბზინავენ,
შენს შუა თითზე მარგალიტები...
ანგელოზები თმებს დაგიწნავენ,
ფრთებს გათხოვებენ ოქროს ჩიტები...
იქნებ, მესტუმრო, იქნებ, მოფრინდე,

მომნატრებია შენი ღიმილი...
ეს იგივეა მზე ამოვიდეს,
მოქუფრულ ცაზე სასწაულივით!!!

ველარ იცილებ

საოცარია, როგორ სჭირდება,
ყველა ჩვენთაგანს დღეს თანაგრძნობა...
ძნელია, როცა ღმერთი გიწყრება,
და არსაიდან არა დანდობა!
და გრძნობ, ტკივილებს, როგორც უეჭველს,
სამარადისოდ შენთან თანამდევს...
ველარ იცილებ თავიდან ეჭვებს,
ეჭვებს დამცინავს, ეჭვებს გადამდებს...
რაში მჭირდება ტოლერანტობა,
თუ ის ჩემს მიწას მაჭრის და მართმევს...
მტერს არ სჩვევია ჩემი დანდობა,
მტერს შემოსეულს, მტერს მოძალადეს,
ის უკვე შინაც გამიბატონდა
და ვგრძობ პირიდან ლუკმას რომ მტაცებს...
არ დაუჯეროთ, არ დაუჯეროთ,
ამ შემპარავ და ცბიერ სახეებს,
ჰოდა, მეც მინდა გადავემტერო,
ამ ჩემი სულის გამპარტახებლებს...

ძველ განწყობაზე (ლ.მ.-ს)

ასე მგონია, თითქოს დაგკარგე,
და მერე ისევ აღმოგაჩინე...
მე ახლა თავს შენ ვერ შეგაყვარებ,
ვერც ძველ სიყვარულს ვერ დაგაცილებ...
ვის უყვარს, როცა მეგობრებს ჰკარგავს,
ან უღიმღამოდ გაჰყავს დღეები...
თეტრში ისევ ეშვება ფარდა,
ფარდის იქიდან შენ იხედები...
ალბათ, სავსეა ისევ დარბაზი,
მაგრამ, აქ უკვე, სულ სხვა ხალხია...
ისხმება ღვინო, ივსება თასი,
ვიღაც გაძალებს, ჩუმს და ხათრიანს...
ეს შენ კი არა, ეს სული მღერის,

და მლაშე ცრემლი გორავს ლოყაზე...
შენს ბგერებს უკან გიბრუნებს ჭერი...
და შენც მოდიხარ ძველ განწყობაზე...

ორნი ვართ

გამომაღვიძე, და ამ ჟამმაც ბედის კალთაში,
ვით საკუთარი, ისე მიმიღო...
ორნი ვიყავით, სხვა არავინ იყო ქალაქში ,
შენ გარბოდი და მე მოგდევდი. როგორც მიმინო...
დამისაკუთრე, ისე სწრაფად დამისაკუთრე,
მართალი გითხრა, გაფიქრებაც ვერ მოვასწარი...
ვიგრძენ ტკივილებს სიყვარული როგორ აყუჩებს,
და რომ დამთავრდა უსასრულო ჩემი ზღაპარი...
მართლაც, ორნი ვართ, ორად ორნი ამ ვარსკვლავეთში,
და დედამიწაც, როგორც ძველად, ისე ტრიალებს...
ხომალდებივით, აღელვებულ ოკეანეში,
განცდაც და შიშიც ერთმანეთის გავიზიარეთ...
შემომეკედლე, როგორც ყვავილს ჭრელი პეპელა,
რა უცნაურად სათუთია შენი ბუნება...
ეს სამყაროა, რომ მიგვიღო დაუყვედრებლად,
თავის წიაღში საბოლოოდ დასაბრუნებლად...

შენი რისხვა საბაბია

რას მანიშნებს შენი ხელი,
ან თვალები, მე რომ მამჩნევს...
ჩაგისახლდა, იქნებ, გველი,
და ზეცაც ვერ გადამარჩენს...
ვიცი, ვიცი, განრისხება
შენი ზღვასაც შეშურდება...
როცა ნისლი აიშლება,
და ზვირთები ფეხზე დგება...
წაიღებენ, ჩაითრევენ,
ეს ტალღები ჩემს სულს წყალში...
ჩაახრჩობენ ჩემს იმედებს,
ამოსუნთქვა-ჩასუნთქვაში...
შენი რისხვა საბაბია,
რომ ჩემს ნდომას ედოს ვეტო...
მეც ვაშიშვლებ ფანტაზიას,
ამ ზღვისგან რომ გადმომედო...
აირეკლავს, აირეკლავს,

ეს ნაპირი სხივებს მზისას...
ვუსმენ, ვუსმენ ბედის ყეფას,
ვით რექვიემს მოცარტისას...

ის მონატრება

რად გამახსენე შენი თავი, რად გამახსენე,
ახლა შენს გამო სინანულმა უნდა შემიპყროს...
წვიმს და წვეთები ჩემი სარკმლის მინას ასველებს,
ეს ცა კი არა, მოგონება გლოვობდეს, თითქოს...
რად გამახსენე, იმ ღამეთა მელანქოლია,
თუმცა, ეს სიტყვა, მგონია, რომ გააშაბლონეს...
ის მონატრება, ადრინდელი, წლებს გაჰყოლია,
და როიალიც ახმოვანებს ჩვეულ კანცონებს...
მე კი რატომღაც მაგონდება შენი თითები,
და ვამჩნევ ჩრდილებს, კლავიშებზე რომ გადადიან...
და რამდენჯერაც, რამდენჯერაც გამეფიქრები,
ვიხსენებ წუთებს, შენს ბაგეს რომ გაუზღაპრია...

შევხვდებით ვიცი

მინდა მიცქირო, მინდა მიცქირო,
რომ დამამშვიდონ შენმა თვალებმა...
ასე ძარღვებში გადადის ღვინო,
და მწიფე მტევნის გამჭვირვალება...
და ვხვდები, ვხვდები, დღეს სანუგეშო,
შენთვის და ჩემთვის არაფერია...
ეს მშფოთვარება ან როგორ ვწყემსო,
სად ჩავუკეტო გზა არტერიას...
შემოიღობეს სევდის ბაღებმა,
ჩემი წარსულის მშვიდი ბგერები...
ხან ზღვის ხმაური მომენატრება,
ხან შემოდგომის მკრთალი ფერები...
და სინანული, როგორც ნესტარი,
სხეულში ყველა კუნჭულს ჩახერგავს ...
შევხვდებით, ვიცი, და უეცარი
ნაღველი მოკლავს ჩემს აღტაცებას...

ნეტა რას ფიქრობთ

კი, ვიცი, ვიცი, არა ანაღვლებთ,
ამ მთებს აზიდულთ, ზეცის კარამდე...
ასე მგონია, მეც ვუღალატე...
მეც გავცილდი და გავიბანაკე...
ნეტა, რას ფიქრობთ, სამშობლოს მთებო,
თუ გაგონდებათ, ზოგჯერ ილია?
აქ, სადაც თქვენი დუმილი მეფობს,
და მარადისი თეთრი ნისლია...
მომეცით, თქვენი სისხლი მომეცით,
მომეცით სისხლი უსაყვარლესი...
ჩემს აწმყოს ასე მილეწ-მოლეწილს,
სჭირდება თქვენი თოვლის ალერსი...
და თუ ვერ ვხვდები, რად ერევიან,
თქვენს ნისლებს სხვათა შავი ნისლები...
ვინ იცის ნისლიც ჩემი მტერია,
და მკერდს მაცხია მისი სისხლები.

რა ფაქიზია

მალე ზამთარი შეიცვლის სახეს,
უკვე გაზაფხულს ელის ბაღები...
მართლაც, საცაა კარს შემოაღებს...
და შენც ვარდივით გამიყვავდები...
და შენი კაბაც, კაბა ზიზია,
მკერდზე ნაქსოვი მარგარიტკებით...
რა ფაქიზია, რა ფაქიზია,
როგორ მომწონხარ, როგორ მიტკბები...
და ველი, ველი, ხევებს მოვარდნილს,
კლდეზე ჩანჩქერებს გაშლილი თმებით...
ბევრად უკეთეს დროებს მომავლის,
რადგან, შენ მყავხარ, ძვირფასო, გვერდით...

ყველა სიყვარულს

ყველა სიყვარულს სევდაც თან ახლავს,
რაღაც უთქმელი, შეუცნობელი...
ყველას არტყია თავისი დამღა,
უნახავს ვინმეს ის უჭკნობელი?..
არაფერია, არაფერია,
გადაიტანენ ამას გულები...
მითხარი, იქნებ, გზა აგერია,
რატომ ვართ დღემდე დაკარგულები...

სად გაქრა ჩვენი დიდი ცხოვრება,
ჩვენ რომ სამოთხის გხას გვასწავლიდა...
ბედი, რომელიც ზვავებს მოჰყვება,
ქარი, რომელიც სხვაგან წავიდა...
გვამახსორდება, გვამახსოვრდება,
მხოლოდ სასტიკი ეპიზოდები...
რა უნუგეშოდ კვდება ოცნება,
და სიყვარულის ხმება ყლორტები...
მე კი არ მინდა გული ამტკივდეს,
ეს ალუბლები გაკრეფილია...
აღარაფერი აღარ დამპირდე,
რა იდილია, რის იდილია...

გათენდა?..

გათენდა დილა, ავწიე ფარდა,
დღევანდელი დღე ვინ მომილოცა?
გამახსენდება, როგორ მიყვარდა,
ბზობის წინ, ღამით, ხატის წინ ლოცვა...
გამახსენდება, გამახსენდება,
წლები, რომლებიც ისე გავიდა...
რად დამიმალეს ბედნიერება...
თითქოს, ციური სალოცავიდან...
რატომ დაკარგა სანთელმა ძალა,
უნდა ვეზიდო სხვათა ცოდვანი?..
რატომ არავინ არ მიმასწავლა,
გზა ტაძრისაკენ, გზა სხივოსანი...
გადამიმალე, გადამიმალე,
მკვდრის მზე, რომელიც მოსდევს დაისებს...
და გთხოვ, ნურც ღიმილს ნუ დაინანებ,
ერთი ლამაზი დილა მაღირსე!!!

ამ კლდეებზე ჩამოდიან

ისევ გასცდა სული ზეცის ჰორიზონტებს,
მთვარე მიმზერს და სიყვარულს მეფიცება...
მზის სხივებო, ცისარტყელა ჩამიკოცნეთ,
ოღონდ ფრთხილად, მგონი, ცოტა ერიდება...
ჩამოდიან, ამ კლდეებზე ჩამოდიან,
მთის წვერიდან მოწყვეტილი ჩანჩქერები...
წყლის წვეთები ასრულებენ რაფსოდიას,
ჩანჩქერების ქაფიანი ფანტელებით...

რას ინატრებ, უადგილო არის ნატვრა,
ამ ნისლებსაც უკვე თავი აუშვიათ...
გაზაფხული მოვიდა და გაიფანტა...
მწვანე ველზე ჭრელი სუფრა გაუშლია...
დამელოდე, ცის კიდურთან დამელოდე,
მოვალ ჩემი ოქროსფერი ტახტრევანით...
როცა მეხი დააჭექებს თავის თოფებს,
და ქარივით აეკრობა ცას მერანი...

რა ხმაურია

გარეთ ისეთი ბნელი ღამეა
ეზო სავსეა, ალბათ, ჭინკებით,
ცა კი იმდენად გამჭვირვალეა,
მგონია შიგაც შევიჭვრიტები...
ფიქრი ამყვება როგორც მეძავი,
და სამზეოზე გამომაჭენებს...
ახლა იმდენად ვარ გარეწარი,
ალბათ, ეშმაკიც კი შემაჩვენებს...
ვეღარ ვენდობი, ვეღარ ვენდობი,
ვეღარც ღამეს და ვეღარც გარიჟრაჟს...
არ მაქვს იმედი არვის შენდობის...
მე ცოდვამ გულზე გადამაბიჯა...
რომ ღამეს ჩემი სისხლი სწყურია,
აღარ მჭირდება ამის კარნახი...
რა ხმაურია, რა ხმაურია,
თუ ქაჯი დახტის ბაღში მათრახით?..

ქარს წაეღო

მივაბნიე, მოვაბნიე,
მარტები და აპრილები...
მერე, შენს ოცნებებს ვდიე,
გზაზე ვნახე დაყრილები...
მარჯვნივ, მარცხნივ,
ყველგან შენი ყვავილები გაზრდილიყო,
დავიხარე და ბევრს დავწვდი
ჩემი ერთიც კი არ იყო...
ქარს წაეღო, ქარს წაეღო,
ყველა ძველი ოცნებანი...

ვფიქრობ, ძალა როგორ გეყო,
მაინც რაში დამდე ბრალი...
მე სიმშვიდეს აღარ ვეძებ,
შენ, უბრალოდ, არ გითხარი...
რომ ღიმილი შენს ბაგეზე
არის ჩემი ნატვრისთვალი...

სხვა რიტმები

ისმის, ისმის სხვა რიტმები,
დღეს გზას იკვლევს სხვა თაობა...
მე, უბრალოდ, არ ვიცვლები,
გარშემო კი მიდის ჭკნობა...
მეც ღირსებას კარში ვისვრი,
აღარ შერჩა გროშის ფასი...
მზეც თუ თავის სხივებს იცვლის,
მაშ, რა ყრია დიდებაში...
ვინღა ელის ვერცხლის რაშებს,
ან პრინცს ოქროსკულულიანს...
მთავარია, ვინ ვის ასწრებს,
ვინღა უსმენს ტყეთა შრიალს...
აღარ ჩანან, აღარ ჩანან,
ჩემ სარკმლის წინ ბეღურები,
ან მერცხლები სად გამქრალან,
შენ ერთიღა მეგულები...
ყურს ნუ უგდებ ქარის ნათქვამს,
ქარი შენი შურით კვდება...
ხედავ, მთვარე იცვლის კაბას,
და ჩემი არ ერიდება...

ამოარჩიე

ალბათ, ვიცვლებით, ალბათ, ვიცვლებით,
ვიცვლებით დროის შესაბამისად...
ხან სიყვარულით ჩავიციკლებით,
ხან სიძულვილი გვკლავს მოყვარისა...
იქნებ, არც იყო ქვეყნად რომეო,
არც ჯულიეტა არ არსებობდა...
რომელმა უთხრა - მეამბორეო?..
დრო კი მეფობდა, მათზეც მეფობდა...
ამოარჩიე, ამოარჩიე,
შენი თილისმა ამ ვარსკვლავებში...

მაგრამ თუ თვალი სხვას მიაჩვიე,
ჭორს დაგიყრიან კულუარებში...
ამდენ ცრუსა და ყალბ ვარსკვლავებში,
დანახვა უნდა ნამდვილ ვარსკვლავებს,
ვით ბალერინა კაცის მკლავებში,
შენი ბაგების გზა მომასწავლე...
რომ არ გამექცეს, რომ არ გამექცეს,
წუთები, ისე სწრაფად გარბიან...
გადავინახავ მე შენს ალერსებს,
რაც არ ყოფილა და მინატრია...

ვერ წაუხვალ

ემატება რისხვა ქარებს
ხეობებში როცა ქრიან...
ცა ზანზარებს, ცა ზანზარებს,
ლეკვნი ლომებს ეძახიან...
ან ვის უყვარს არტახები,
მნახე, თორემ, გავრღნი რკინას...
ჩემი გული ნაბრჭყალები,
როგორც ძაღლი ისე ღრინავს...
ჩემს მუქარას ვერ წაუხვალ,
თუნდაც გასცდე კლდეებს, ხრამებს...
ზვავებს მეხის ხმაზე მქუხართ,
გაცოფებულ ზღვებს, მღელვარეს...
არა გჯერა, იქნებ, ჩემი,
აგვსებია თვალი სისხლით...
მოვქრი შენსკენ ზეცის რჩევით,
ელვის ფრთებით, ჯანღთა რისხვით...
როგორ მინდა გადაგაწყდე,
აგაკვნესო, აგაწივლო...
ჰო, ძვირფასო, გულს არ დაგწყვეტ,
კოცნით უნდა დაგაწითლო!!!

სონეტი

ალბათ, თანდათან გადამივლის ის გატაცება,
რომელიც შენთან შეხვედრიდან ჩემში მძვინვარებს...
როცა ბაღებში პირველივე კვირტი გასკდება,
მე მოვალ შენთან, რომ ვუშველო შენს სიმწუხარეს...
მე მოვალ როცა, ყვავილები აყვავდებიან,
და გაზაფხულიც გადაიცვამს ფარჩას ბაღების...

როცა ვეფხვები სანადიროდ ჩასაფრდებიან,
შენ კი სურვილით შვლის ნუკრივით აცახცახდები...
როცა მინდვრებში ჩადგებიან ზამთრის ქარები,
ნაკადულები დაიწყებენ გზების ძიებას...
როცა არავის, აღარავის არ ეყვარები,
და ჩემს გრძნობებზე დააპირებ შურისძიებას...
რადგან არა მსურს, სხვათა გამო, ჩემში დადაბლდე,
მოვალ, გნახავ და მიგატოვებ განთიადამდე!!!

რატომ მეგონა (ნატას, ქართველიშვილს)

რატომ მეგონა, რატომ მეგონა,
რომ ჩემთან ისე ახლოს ცხოვრობდი,
შემეძლო შენი ხმა გამეგონა,
რომ ჩემს მიზნებთან თანამშრომლობდი...
გული მეტკინა, ისე შორსა ხარ,
თურმე რამხელა სივრცე გვაცილებს...
როგორ გიპოვი, როგორ მოგნახავ...
ან რა გავუგო ასეთ მანძილებს...
მართლაც, ვინ იცის, ვისზე გაბოდებს,
ან ვის ვარსკვლავებს ეპოტინები...
ვისი სახელი უნდა გახსოვდეს,
ვისი როლი და ვისი წიგნები...
ისე ავღელდი და ავირიე,
ლამის შორიდან შემოგეჭერი...
რად დამინგრიე, რად დამინგრიე,
კედელი დღემდე დაუნგრეველი...
რად გამახსენე ცამეტი ტყვია,
პოეტის მკერდში ასგან მორტყმული...
ჩვენზეც, ვინ იცის, რას არ იტყვიან,
დროა ასეთი ბარბაროსული...

გათენდა დილა

ნუ მეტყვი, თითქოს აკრძალული ხილი ტკბილია,
თუ შეჭამ, ალბათ, ეს მხოლოდ მაშინ...
თოვლი თუ დნება, იქნებ, ჩვენი მთები ტირიან...
მე კი უამრავ დროსა ვკარგავ ამ შენს პოვნაში...
მგონი, სულ სამჯერ გამიღიმე, როგორც დავთვალე...
ის ღიმილებიც იმ წამებმა უკან წამართვა...
შენზე თუ ვფიქრობ, ჩემი გული ისე ფართხალებს,
თითქოს დაღალა უსაშველოდ მძიმე აღმართმა...

ჩვენს არსებობას ერთადერთი აზრი ჰქონია,
ვიღაც გიყვარდეს, ვიღაც გწამდეს, ვიღაც გელოდეს...
მოგიყვებოდი, მოგითხრობდი ჩემს ისტორიას,
შენ თუ როგორმე მოაღწევდი საქართველომდე...
გათენდა დილა, დამავიწყდა ღამის სიზმარი,
შენ ერთადერთმა იცი მხოლოდ ჩემი ვინც არი...

ნუ მიბრაზდები

არ ვიცი, იქნებ, გიყვარვარ კიდეც,
ნუ მიბრაზდები, ნუ მიბრაზდები...
ეგ სიყვარული მეც მინდა მჭირდეს,
რომ არა სივრცე და ეს საზღვრები...
დამისაკუთრე, თუ შეგიძლია,
უარს არ გეტყვი, დამისაკუთრე...
გამომარიდე დღეებს სისხლიანს,
წუთებს დამსხვრეულს, წამებს სათუთებს...
გამომარიდე, თუ გაქვს უნარი,
თუკი უჩემოდ, მართლაც, ვეღარ ძლებ...
მაჩუქე შენი თავსასთუმალი,
თან მესაუბრე ბედისწერაზე...
იქნებ, გაშინებს ჩემი სიმაღლე,
და გეშინია, რომ ვერ შემწვდები...
იცი, ამაზე შენ ნუ ინაღვლებ,
წვიმად გაქცევ და დამეწვეთები...

გაექეც ქარებს

ვაგებთ მუდმივად, ვაგებთ ყოველწამს,
თუმც, იშვიათად, მაგრამ, ხომ ვიგებთ...
ეს, ალბათ, ფრთები რომ გამოგვესხას,
რომ წუთით მაინც ფრენა მოგვინდეს...
თორემ უდაბნოს ქვიშის ქარები,
ისე ფიტავენ კანსა და სხეულს,
რომც მსურდეს, როგორ მოგეკარები,
როგორ გავარღვევ ბადეს შენეულს...
თავგადასავლებს მე არ ვეძებდი,
რადგან ისინი თვითონ მაგნებდნენ...
ვცოცხლობდი მხოლოდ შემოქმედებით
რითაც ცხოვრებაც მოვიფარდაგე...
გაექეც ქარებს, გაექეც ქარებს,
ქარებს რომლებსაც მოაქვთ ქვიშანი...

ხედავ, მოუძღვის ღრუბელთა ჯარებს
ანგელოზები სამოთხისანი...

სად მეძახის

ჩემთან მოდი, თუკი ბედი მიგატოვებს,
მე ვიქნები შენი ბედის საწყაული...
დაგვიყრიდნენ, დაგვიყრიდნენ, იმწამს, ჭორებს,
როგორც კი მზე ზეცას ერთხელ გადაუვლის...
ანათებენ, ანათებენ ცას მნათობნი,
მათი სახით მილიარდი წლები მიმზერს...
ვცოდვილობდი, მაგრამ როგორ ჩავაქრობდი...
შენ რომ უცბად წამიკიდე, იმ სიგიჟეს...
ჩემს წინ ქარი ფოთლებს იმდენს აბზრიალებს,
მთელი თავის ილეთები ამოწურა...
მე კი ვიცდი, ვიცდი, როდის გამიმართლებს,
რომ არ ვიგრძნო თავი ასე მარტოსულად...
მეც შევქმნიდი, მეც შევქმნიდი, ალბათ, მიწას,
მიწას თავის ზღვებითა და ოკეანით...
მხოლოდ მაშინ, თუკი მომცემ რამე ნიშანს,
რომ მნატრულობ, რომ უზომოდ შეგიყვარდი...
სად მეძახის, სად მეძახის ყოველ ღამე,
ნეტა, ზეცა, ლურჯი ქვებით მოჭექილი...
გთხოვ, ძვირფასო, ერთი სიტყვა მითხარ რამე,
არ მსურს ვიყო, შენგან ასე მოკვეთილი...

იმ სიზმარისა

თუ კი სიცოცხლე დუელში მიწვევს,
რა დამკარგვია, ნეტა, ამ დროში...
დაკეტილია გარშემო სივრცე,
მეც დრო ამომშლის, მეც დრო ამომშლის...
ალბათ, ყველაფერს აქვს დასასრული,
და ვულკანებიც ბოლოს ქრებიან...
ცეცხლის წვიმებში დუღდა წარსული,
მე კი ვარდები მომნატრებია...
ვარდები ჩემი ეზოს ბაღისა,
ვარდი გაშლილი თუ გაუშლელი...
განა რა დამრჩა იმ სიზმარისა,
წიგნი ვარ ჯერაც გადაუშლელი...
დილით შაშვები ჯერაც გალობენ,
მათი ხმა მესმის ჯერაც აშკარად...

თითქოს რაღაცას ფეხი წამოვდე,
და საუკუნემ ზურგზე გამშხლართა...
ერეკებიან, ერეკებიან,
დღეს ჯარისკაცებს ათას ომებში...
თუ კვლავ იდეის გამო კვდებიან
ჯერაც რომაულ კატაკომბებში...
სული ამოჰხდა კიდევ ერთ ღამეს,
კიდევ ერთმა დღემ უნდა იმეფოს...
მითხარი რამე, მითხარი რამე,
იქნებ, შენ მაინც დამაიმედო...

შემომახედე

შემომახედე შენს სულში ფრთხილად,
სულ ერთი წუთით შემომახედე...
ხომ იცი, ზოგჯერ ცაც გადახდილა,
ზოგჯერ ბუნება გველსაც აღმერთებს...
მიყვარდე, ეს ხომ ბუნებრივია,
თუნდაც, სიცოცხლის გადასარჩენად...
ღამეა, მთვარე ფერშეცვლილია,
და ვარსკვლავების მიჭირს გარჩევა...
გამიღე სული, სული გამიღე,
როგორც ქალაქის კარებს აღებდნენ...
სანამ ხომალდი ზღვაში წამიღებს
და მტრები ჩემს მკერდს შემოანგრევდნენ...
მე ხომ შენი თმის ღერზე ვკიდივარ,
და არც მჭირდება სხვა სამყოფელი...
ამ სიზმარ-ცხადში ათქვეფილი ვარ,
და შენი სულის გახსნას მოველი...

ტანგო

ისევ მახელებს ეს რიტმი ახლა,
ეჭვიც ძაღლივით მიყეფს და მაბნევს...
ტრიალებს ტანი და მიდის მაღლა,
და ტანგო ამბობს ცეკვაში სათქმელს...
შემომეტმასნე, შემომეტმასნე,
რომ კანმა იგრძნოს ცეცხლი ტუჩების...
რომ ბროლის მკერდზე შენს ბრილიანტებს,
გაჰქონდეს წითლად ტკაცატკუცები...
ეს მოძრაობა ახალ ჟინს ბადებს,
და ვიოლინო ასრულებს სოლოს...

ჩემი მტევანი მოგხსნის პირბადეს,
შენ კი ნება გაქვს ტყვია მესროლო!!!
ეს ერთი კოცნა ათას სხვას უდრის,
ელვამ ძარღვებში თავის გზა ნახა...
მალე ჩაქრება ვნება ამ წუთის,
თუმც, შენი თეძო ვერ იგრძნობს დაღლას...
შემომემსხვრევა ეს შენი წელი,
ვეღარ გიხსნიან ვეფხვის ბრჭყალები...
და როგორც ღვინით სავსე ჭურჭელი
მხრებზე ლაპლაპებს თეთრი მკლავები...

ფიქრი

როგორ დამშრალა ჩემი
ბედნიერების წყარო...
სული დავტანჯე რწმენით
და ისევ პოვნას ვლამობ...
უკან მიხედვა არ ღირს
იქ ჭაობია სრული...
სად გადაწევას ფარდის,
სდევს გამოხედვა მტრული...
დარჩეს, წარსულში დარჩეს,
რაც იმ მერნებმა კვალა...
მტრისგან გაძარცვულ ტაძრებს,
თუ აქვთ ღვთიური ძალა...
სისხლს აღარ ითხოვს რადგან
იმ მეომართა სული...
მათ ცივ სხეულზე ნაპრალს
ჰგავს ნახმალევის რღმული.
ალბათ, ვიპოვი კვლავ ბედს,
როცა ეს აწმყოც გავა...
ბედს ბედისწერაც თან სდევს,
და ჩემს სიყვარულს კრძალავს...
თუკი ისარი არ გაქვს,
როგორ გაარტყამ ნიშანს...
ვგრძნობ, რომ ქვეყანას ვკარგავ,
რადგან ვერ ვხედავ მიზანს...

ეს სულერთია

მაინტერესებს ვისში გამცვალე,
არც ვეჭვიანობ, არც არაფერი...

მოდი, რა, სკამი გამომაცალე,
ყელზე ყულფით ვარ და ჭერს ავცქერი...
ასე ელიან მარადისობას,
მერნები უფსკრულს გადაჩეხილი...
ნუ გეგონება შენ ეს გიჟობა,
თუ დღეს სიკვდილით ვარ ატეხილი...
ეს საფეთქლებიც ისე ცხელია,
დუღს ჩემი სისხლი, ვით გეიზერი...
ზღვაში ჩაძირულს რას უშველიან,
თუნდ, კატარღები, თუნდ, კრეისერი...
მივდივარ, გყავდეს, ვინც გსურს, ვინც გინდა,
ჰო, ახლა უკვე ეს სულერთია...
სიცოცხლე ისეც არად მიღირდა,
თუმც, შევძელ, შენ რომ ვერ შეგემჩნია!!!

ნუ დამინდობ

რას მიქვია, ღელე, ზღვა ან ოკეანე,
როცა ზვირთი მოდის და კლდეს ელეწება...
როცა ბედი წელთა ნაცვლად გვითვლის წამებს,
და მკერდიც მკერდს საბოლოოდ ეწებება...
მრისხანეა, მრისხანეა სიყვარულიც,
თუ ვერ ხედავს ვერსაიდან გამოსავალს...
თუ ვერ დასძლევს: ვნებას, ლტოლვას, სურვილს, წყურვილს,
ის სიკვდილში ეძებს ხშირად თავის წამალს...
დამავიწყე, დამავიწყე, რაც კი მახსოვს,
ერთგულება, ღალატი თუ ვერაგობა...
ან დამახრჩე, როგორც დილა ღამეს ახრჩობს,
დიდ სიყვარულს თუკი თან სდევს დიდი მტრობა...
ნუ დამინდობ, რადგან სიკვდილს ისეც ვეძებ,
ვით მედეა კლავდა შვილებს თავის ხელით...
ჩემი სისხლი მოღელავდეს შენს თეთრ მკერდზე...
რომ სიკვდილიც შევიყვარო მხოლოდ შენით...

მეც გატყუებდი

მე შენ გეძებდი,
შენ კი არა, ჩვენ ძველ სიყვარულს,
როცა თანხმობა განმიცხადე,
რომ მყვარებოდი...
ასე ეძებენ ტყეში ჩიტებს,
ტოტზე მინაბულს,

კი არ მიყვარდი,
კარგად მახსოვს, შენთვის ვკვდებოდი...
ვის გაუგდია სიყვარული
თავის გულიდან,
ვის აუღია მასზე ხელი სულ უმიზეზოდ?
ალბათ, რამდენი დრო გავიდა
იმ ზაფხულიდან,
რომ მპირდებოდი
ჩემს ტკბილ მკერდზე დაგაძინებო...
ვიგერიებდით,
რამდენ წვიმებს, რამდენ ქარიშხლებს...
ხან სიხარული გვეწვეოდა,
ხან ტკივილები...
იქნებ არ გჯერა,
მაგრამ ისევ შენ თუ გამიგებ,
დაჭკნა ვარდები
მაშინდელი დაკრეფილები...
წვიმს, ქარი მინას ახმაურებს,
წვეთებს აწვეთებს,
წვიმს, მარტმა ისევ
მოიტანა თავის წვიმები...
ქალაქი ჯერაც ძაღლის ნაცვლად
კატებს აყეფებს,
რადგან ძაღლები
ბუნაგში ჰყავს ჩაკეტილები...
და მეც, ერთსა გთხოვ,
უმწეობას ნუ დამაბრალებ,
კი, ბევრჯერ მსურდა,
რომ ჭიშკარი გამომეხურა...
თუ შენ ტყუილად ახამხამებ
მაგ შენს წამწამებს...
მეც გატყუებდი,
ვითომ ვიყავ შენთან მეფურად...

შენს განრისხებას

მე რა გავუგო შენს განრისხებას,
რომელ ღმერთსა სცნობ, რომელი ბადებს?..
ან ეგ თვალები რატომ მიწყრება,
ჩემს წარმოსახვას რომ შლის და ანგრევს...
ეს სიტყვებია, სულ სიტყვებია,
შენს სამსჯავროზე გამოფენილი...
ისინი რაღაც ამბავს ჰყვებიან,
ზეციდან როა გადმოწერილი...

შენ არ გინახავს სხვათა შუბლები,
როცა მახვილი თავზე ემსხვრევათ...
როცა სიკვდილის შავი წურბლები
მომაკვდავ გვამთა გულებს ეხვევა...
მაგრამ, რომც მომკლა, მადლობელი ვარ,
რადგან შემომხვდი გზაზე შემთხვევით...
შენს ფანებში ხომ მაინც ვწერივარ,
თუმცა, მიმზერი პირგამეხებით!!!

ნუ უარობ

გიწეწს, გიწეწს, შავ თმებს ქარი,
გიწეწს, რადგან ეამება...
ქარს არა აქვს სახვეწარი,
ქარი შენი თმებით თვრება...
გრძნობას, ახლა მე რომ მნესტრავს,
ეს ცა, ალბათ, ვერ დაიტევს...
ქარი ვარდებს დაგიკრეფავს,
ქარი ჩემ თავს დაგაფიცებს...
ნუ უარობ, ნუ უარობ,
საქართველო უარს მიაქვს...
მიკვირს, რატომ არა მწყალობ,
მე ხომ ორბის თვალები მაქვს...
ვკრიფე, ვკრიფე, ვერ დავკრიფე,
შენს მკერდზე რომ მარწყვნი წვანან...
ვკვნიტე, თუმცა, ვერ გავკვნიტე,
გასაკვნეტად დამენანა...

ნუ დანებდები

არ მერიდება, მე მუდამ ყველგან,
თავისუფალი ვარ არჩევანში...
ჩვენი გაჩენა არის ღვთის ნება,
ხოლო სიკვდილი ეშმას რევანში...
და, ეგებ, მართლაც, არ ღირდეს გლოვა,
რით განსხვავდება ყოფნა - არყოფნა?
სიცოცხლე წავა, სიკვდილი მოვა,
ჩანს, სიცოცხლეშიც დევს უარყოფა...
თუ ცოცხლები ვართ, ტკბობას ვეძლევით,
და თუნდ ურდულით ჰკეტდე კარებებს...
მოვა სიკვდილი თავის მხედრებით
და ჩვენს ნაპოვარს მოითარეშებს...

ის არ კითხულობს, ვინ ხარ, ვინ გიყვარს,
ზეცა და მიწა მისთვის ერთია...
ის არასოდეს იცვლის მიმიკას,
ირჩევს ჯანმრთელს თუ სუსტს ან კეთრიანს...
ნუ დანებდები, ნუ დანებდები,
ენდე სინათლეს, ბნელს რომ მიჰკვალავს...
რადგან ცდებიან მისი მხედრები,
და თვით სიკვდილიც მაგრად მიჰქარავს...

მაინც იფეთქეს

თუმც გვიან, მაგრამ მაინც იფეთქეს,
მაინც იფეთქეს იასამნებმა...
მეც ჩავეჭიდე რაღაც იმედებს,
და შენი სახეც მესაყვარლება...
მაგრამ, ვიცი, რომ ბეწვზე ჰკიდია,
ეს სიყვარულიც უძვირფასესი...
რადგან დღეს გრძნობებს ისე ჰყიდიან,
როგორც მეძავი გვიცქერს თვალებში...
გამოვაღწიე, გამოვაღწიე,
და მოვაღწიე შენს სინათლემდე...
გთხოვ, ერთი წამით თავი ასწიე,
სანამ მოვკვდები და სულს დავლევდე...
რომ კვლავ შევიგრძნო, როგორც ოდესღაც,
სურნელი შენი იასამნების...
წამით გახედე ამ საოცრებას,
როგორ გაყვავდა თეთრად ბაღები...

დამაფარებ საბანს? (მანანას, ჩხაიძეს)

შენზე ვარსკვლავს გაეცინა,
ჩემზე მთვარეს, ალბათ...
თუ შენს მკერდზე ჩამეძინა,
დამაფარებ საბანს?
თუ არა და ვეტყვი ნიავს,
მომიძებნის სულ სხვას...
მომინახავს ველებს ტრიალს,
ვერხვს, წიფელს თუ მურყანს...
სიყვარულზე ხელს ავიღებ,
ტბას მოვნახავ მბზინავს...
სადმე სწორედ იქ დავიდებ,
ტბის გედივით ბინას...

გაზაფხულზე ჩიტბატონებს
მოვამრავლებ ჩემთან...
თუ წამოხვალ გიპატრონებ,
თუ გსურს, არწივს შეგრთავ!!!

შენც ალი ხარ

მინდა, მინდა, სადმე გამყვე,
გამყვე, თუნდაც, ჯოჯოხეთში,
თორემ ეს დრო ისე მარყევს
ამოვიდა უკვე ყელში...
ვიცი, ვიცი, შენც ალი ხარ,
მდინარეში რომ შიშვლდება...
თითქოს სადღაც მინახიხარ,
ამ სველ ქვებზე ფეხი სხლტება...
დამიმონე, დამიმონე,
ალებს მუდამ ვემონები...
თორემ, თითქოს, წყალს მივქონდე,
და მახრჩობენ შენი თმები...

რად მიყვარხარ

რად მიყვარხარ, რატომ, რისთვის?
რას მთავაზობ, რა ძალას ფლობ?
მაგ ლამაზი თვალებისთვის,
თუ მკერდისთვის მე რომ მაფრთხობს...
მე რომ ასე ცეცხლს მიკიდებს,
და სურვილთა ზღვაში მახრჩობს...
ხან ღიმილით მომისყიდე,
ხან ნერვებზე რომ თამაშობ...
რა ყოფილა, რა ყოფილა,
ეს ცხოვრება, ერთი წამი...
შენი ბაგე გაპობილა,
თუ ატამი, ვერ ვიცანი...
ვის ატკბობენ მოსხმარტალე
კალმახები ბროლის მკერდზე...
შემოდგომა მოვა მალე,
მეალერსე, მეალერსე!..
მეალერსე, თორემ ველებს,
მალე თოვლი გადაფარავს...
დრო მოიტანს სხვა სახელებს,
სხვას დაუდგამს ოქროს კარავს...

რა ლამაზი მძივები გაქვს,
ძუძუ, მთვარე, შუქით სავსე...
ყელი, გედის ყელს მიგიგავს...
წელი? წელით მომეტმასნე!!!

სონეტი (კ-ს)

ჯერ არ გამითქვამს, საიდუმლოს
გათქმები არ მწამს...
შენ კი ქალი ხარ და, ვინ იცის,
ვის არ უთხარი...
მესმის მუსიკა, თითქოს თოთოს
ურწევდნენ აკვანს,
ხარ ჩემი სიზმრის თანამგზავრი
და სასთუმალი...
გავიმეორებ კვლავ ჩემს სიტყვებს
არ მეზარება...
რომ ვერ გადაგცვლი ვერც წარსულში,
ვერც მომავალში...
რომ სილამაზით შენ ვერავინ
შეგედარება,
როგორც მე, ალბათ, შენს ტრფობაში
და სიყვარულში...
გადამიწვიე, გთხოვ ცეკვაში
გადამიწვიე,
რომ შენი ტანის მხურვალება იგრძნონ
მკლავებმა...
გმადლობ, ძვირფასო, რომ ეს შხამი
თაფლად მიქციე,
რომ თავბრუს მახვევს სულ ოდნავიც
კი მოკარება...
ამ მწარე დროში ერთადერთი
შენ ხარ ნუგეში...
ულამაზესიც, ჩვენს ავბედით
საუკუნეში!!!

ამომიბრწყინე

შენ რომ იცოდე, როგორ ვეცადე,
რამდენ მისებს არ დავადგი თვალი...
მაგრამ, როგორც კი გამომეცხადე,
ყველა მათგანის წაშალე კვალი.

მინდა სახელი რომ გადაგარქვა,
ხარ ზეციური ნათლის წყალობა...
ის ერთადერთი რაც მე გადამრჩა,
ჩემი ნატვრების ნატვრისთვალობა...
ქვეყნად ძალიან ბევრი რამეა,
სანახავი და მოსახილველი,
მაგრამ თუ ცაზე მზე და მთვარეა,
მიწაზე, ალბათ, შენ ხარ პირველი...
ამომიბრწყინე, ამომიბრწყინე,
შენი უზადო სახის სხივები...
ჩემი იმედი სანამ ციმციმებს,
სანამ მიყვარხარ და გიფრთხილდები...

დაივიწყე

დაივიწყე, დაივიწყე,
ყველაფერი ცუდი...
მზეს გახედე თავის სხივებს
ყველას როგორ სჩუქნის...
როგორ ფეთქავს ძარღვი მიწის,
როგორ ღელავს ზღვები...
აგვისტოში როგორ იწვის
მსხმოიარე ზვრები...
როგორ უხმობს შეყვარებულს,
ჩიტი სტვენა-სტვენით...
ან ვის ნახავ ჩემზე ერთგულს,
დაიღლები ძებნით...

სიყვარულის ზღვაში შეველ

სიყვარულის ზღვაში შეველ,
ვით ხომალდი აფრიანი...
სადაც სხვები ვერ აღწევენ,
ზვირთებია ქაფიანი...
ქანაობდა ჩემი გემი
მიაპობდა სევდის ტალღებს...
მივაღწიე რწევა-რწევით,
ულამაზეს კუნძულამდე...
წინ მაისი მომეგება,
და აპრილი მოკლე კაბით,
სიყვარული არა კვდება,
სიყვარული დადის ბადით...

მეც გამაბა იმ ბადეში,
და მას მერე ზღვა-ზღვა დავალ...
მთვარის გამო მზე თუ კვნესის,
მზესთან აბა მე რაღა ვარ...
თუ გუნდები სირინოზთა
უსაყვარლეს ხმებით გალობს...
ანგელოზის ფრთები ჰქონდა
ხოხობს იქ რომ პატარძალობს...
დამატყვევეს, დამატყვევეს,
მიმაძინეს მე იმ ხმებმა...
და მას მერე იმ ჭრელ ველებს,
ჩემი სახეც ესიზმრება...

ნუ გამიწყრები

არ ვიცი, მიხვდა ვინმე თუ არა,
რომ სამშობლოსთან გაიგივებდი...
რომ არ მოქმედებს ჩემზე მუქარა,
რომ გამომესხა არწივის ფრთები...
რომ ყველა მხრიდან ისევ მიტევენ,
შური, ჭორები, გაუტანლობა...
მაგრამ ვერასდროს დამავიწყებენ,
შენით ტკბობას და შენთან თაფლობას...
ისევ ტკბილი ხარ, ისევ მინდიხარ.
და თუკი მიჭირს, შენთან ვბრუნდები,
ტალღა რომ ანგრევს იმ ნაპირიდან,
იმ ტაძრებიდან გესაუბრები...
კი, როცა გხედავ აუტანელი
და უსაშველო დარდით ვივსები...
რა ლამაზი ხარ, რა საყვარელი,
ნუ მეტყვი აუგს, ნუ გამიწყრები...

აირეკლება

არ დაიჯერო, თითქოს, ოდესმე,
ერთად მოსძოვენ ცხვარი და მგელი...
ჩემი დაისის საღამოებზე,
ჯერ ისევ გნატრობ, ჯერ ისევ გელი...
აქ შემოდგომა ფოთლებს აყვითლებს,
მდინარეც მდორედ მიედინება...
ნახე, იხვებმა როგორ ჩაყვინთეს,
ალბათ, როგორც ჩანს, თევზიც იქნება...

მიყვარს რგოლები წყალზე გაშლილი,
მიყვარს ფშანების უხმოდ ყურება...
გადაიქროლებს ფაფარაშლილი
ცხენების რემა დასარწყულებლად...
ხედავ, ღრუბლები თითქოს აენთო,
შორს ჰორიზონტი გადაეკიდა...
რამდენი რამე გვქონდა საერთო,
რაც იყო უკვე აღარ იქნება...
აირეკლება, აირეკლება,
წყლის ზედაპირზე ჩვენი ცხოვრება...
სიცოცხლე ფსკერზე დაილექება,
არ გავჩენილვართ რადგან ფრთოსნებად...
აბჯარი მესხა გლადიატორის,
დრომ სხეულზე რომ შემომალეწა...
თუმც, შენს ძებნაში იმდენს დავძრწოდი,
შემოვიარე ლამის პლანეტა...
გადაალურჯა სივრცე დაისმა,
ფოთლებს მირეკავს ქარი ხნულებში...
წუხს მელოდია ამ სიზმარისა,
შროშნები მოჩანს ნაკადულებში...

რას დაარქმევს

ბედიც ალბათ თავის ნიჭით,
ატრიალებს კრიალოასანს...
კაროლი მაქვს, ტუზით მიჭრის,
ტუზი მაქვს და ჯოკერი ჰყავს...
რას დაარქმევს, რას დაარქმევს,
ჩემს ცხოვრებას, ნეტა, ზეცა...
წამოვდგები, ის კვლავ მაქცევს,
დავალაგებ? ის აწეწავს...
შემისრულებ? მინდა გთხოვო,
ნუ მენდობი, არ ვარ სანდო...
რადგან ბედმა საუცხოოდ
ჩემშიც რაღაც ჯადო ჩადო...
გიღალატებ, თუნდაც ხოხობს,
ან კაკაბს და ქედანს ჰგავდე...
ერთგულებას მე ნუ მომთხოვ,
მე ის სადღაც გადავაგდე...
აღარ მაკრთობს არა ელვა,
მეცინება უკვე მეხზე...
მიყვარს როცა ზღვაზე ღელვა
პანიკას სტეხს ხომალდებზე...
მიყვარს, მიყვარს შენი თმები,

როცა შენს მკერდს ორადა ჰყოფს...
ერთსაც გეტყვი, მენატრები,
მსურს კოცნებით ამოგახრჩო...

აი, მწვერვალიც

თითქოს მოკლდება ჩემი ბილიკი,
წინ მივალ? არა, უკან, პირიქით...
დრომ ყველაფერი უკვე ალაგმა,
ზურგი მაქცია თითქოს ქალაქმა...
ვთალე რაც იყო ჩემი სათლელი,
ერთად ამოვთქვი მთელი სათქმელი...
ახლა აღარსად მიმეჩქარება,
გადაიქროლეს ყველა ქარებმა...
წამები გადის წია-წიათი,
ყინულს მიჩხაპნის ფრთხილად წრიაპი...
აი, მწვერვალიც, მაგრამ ჩემია?
ფეხები უკან რატომ მრჩებიან?..
მარტოს არ მინდა მისი დაპყრობა,
რატომ ჩამომრჩა ასე მაყრობა...
ქვევით კვლავ მიდის ორომტრიალი,
მოდით, დავგორდეთ ჩვენც კოტრიალით...

ამპარტავნობა

შენ, როცა ახლა გამარჯვების ტრიუმფით სტკბები,
მე ჩუმად დავალ ჩემს ქალაქში და დარდი მახრჩობს...
ასე მგონია, გადაკეტეს ჩემს ირგვლივ გზები,
და ყველა მათგანს ბასკერვილთა ძაღლი სდარაჯობს...

მართლაც, ვერ ვიტან ამპარტავნობას,
რომელიც სკამს და სავარძელს მოაქვს...
თქვენც ჩამობრძანდით, რა საჭიროა,
თქვენც ქართველი ხართ, გაიგოთ დროა...
თქვენც დაბერდებით, საოცრად სწრაფად,
სიკვდილიც წამსვე მოგაჩერდებათ...
და გაუშლელი ვარდების ნაცვლად,
ხელში მიმჭკნარი ტოტი შეგრჩებათ...
ჰო, ყველაფერი უკან დაგრჩებათ,
ყოყლოჩინობა, დაჭერა თავის,
აბა, დაფიქრდით, ჩვენ ხომ ერთნი ვართ,
ყველას გვაქვს ერთი ძვალი და ტყავი...

რა? თქვენი ძვალი ჩემსას სჯობია?
მე მეეჭვება, თქვენ კი არ ვიცი...
ჰო, ყველა ყველას თანასწორია,
ძვალზე რაც გინდა ის გადაიცვი.

რას მივაწერო

კაი, არ შედგა სიყვარული,
რომ მენატრები?
რას მივაწერო ეს სურვილი
შენთან ყოფნისა?
თითქოს ჩემს ხომალდს
დააგლიჯა ქარმა აფრები,
მერე ტალღებმა ეს აფრები
მისრის-მოსრისა...
ვარსებობთ, ვცოცხლობთ, ყველას ჩვენი
დაგვაქვს ოცნება,
ამ ოცნებებში გასცვენია
ჭადრებს ფოთლები...
ენას კბილს ვაჭერ შეხვედრებზე
რა წამომცდება,
მე ხომ არ ვიცი,
არც ნიჭი მაქვს დიდად მოთმენის...
არც ის იფიქრო, რომ წუთითაც
ვიყავ გულწრფელი,
როცა რაიმეს გიყვებოდი,
ვითომ, უაზროდ...
რადგან არ ჰქონდა ჩემს სიყვარულს
არც საფუძველი,
როგორც ბრძოლებში არ მიდიან,
უხმლოდ, უაბჯროდ.
მომკლავს სურვილი თუ არ მომკლავს
არც ეს არ ვიცი...
მართლაც არ ვიცი
უშენობას როგორ ავიტან...
შენ გეღიმება, მე კი ამას ისე განვიცდი,
როგორც ხელმწიფე
როცა ხალხი აგდებს ტახტიდან!!!

ვინ მოასწავლათ

ვერ მივხვდი, როდის დაიდე ბინა,
ჩემს გულში, როდის, რა გზით შემოხველ...
ან თავს როგორ გრძნობ, ნუთუ არ ყინავს,
მოკვდები, შენ თუ მანდ მზეს ელოდე...
დახვავდებიან ცაზე ღრუბლები,
ფანტელი თეთრად დაკრისტალდება...
ფიჭვები მთებში ჩაკარგულები,
წიწვებს გაშლიან ყაისნაღებად...
ვინ მოასწავლათ, ვინ მოასწავლათ,
გზა ფიფქებს, ნეტა, ჩემი მკერდისკენ...
ალბათ, შენს სულშიც ყინავს აშკარად,
გადამწვარია ჩვენი ბედის მზე...
და სანამ ყინვა ხელში შემიკლავს,
სანამ გასცვივა ფიჭვებს წიწვები...
გნახავ რიჟრაჟზე, გაღვიძებისას,
და შენს სიზმრებად გადავიქცევი...

ნუ წამრთმევ

წამომივლის როცა ჟინი
შენი ბრილიანტების...
ვით მდინარე მოვარდნილი,
უფსკრულებში ვვარდები...
უფსკრულებში სადაც მუდამ
ეშმას ცეცხლი ლაპლაპებს...
ჯურღმულები კი სასთუმლად,
უდევთ თავქვეშ ნაპრალებს...
გამოვაღწევ იმ რკალიდან,
მე რომ მითრევს თრობისას...
ღვთაებრივი ცის ტაძრიდან,
მთვარე ლოცვებს მოგვიტანს...
ნუ წამართმევ შენს თეთრ მკლავებს,
დამანებე სხეული...
სანამ სარკმელს შემოამტვრევს
ქარი გადარეული!!!

ვერ აიცილებ

ტყუილად ოხრავ, ძვირფასო, შენში,
მე ვპოვე ჩემი ორნამენტები...
როგორც სკივრებზე შენახულს სხვენში,
ატყვია ყველა დროის ბეჭდები...

კვლავ უდაბნოში მივდევ ქარავანს,
ნუ გამაცილებ ისევ ცრემლებით...
მე ხომ, ძვირფასო, შენი არა ვარ,
თუმც, ძველებურად შენზე ვფეთდები...
ცხოვრება მუდამ ერთნაირია,
სწორედ მას ველით, ვინც ჩვენგან მიდის...
ის, მართლაც, ერთი ძველი სკივრია,
სადაც მე და შენ ყველაფერს ვყრიდით...
ვერ აიცილებ, ვერ აიცილებ,
ბედის გამჭოლ და შხამიან ისარს...
ყველა ეშმაკი ჩვენზე ქირქილებს
და ბოროტებას კბილებით იცავს...
ეს მე კი არა, შენც დრო გღალატობს,
ტყუილად ეძებ მის ეკლებს ჩემში...
ქარია, მკერდში რომ დანავარდობს,
შხამი კი დაძრწის ისევ ვენებში...
შემომინახე, შემომინახე,
ეგ ორი ცრემლი თვალზე რომ ბრწყინავს...
ზვავი ვარ, მოვწყდი, ქედებს მივარღვევ,
პატივი ეცი ჩემს თავგანწირვას!!!

რად მგონია

აქ რომ იყო, ალბათ, ხელში აგიყვანდი,
ანდა, ზურგზე, ან რა ვიცი, როგორც იყო...
შენ რომ სხვასთან სიყვარულის დარგე ვარდი,
მე მინდოდა ჩემი ვარდი გამხდარიყო.
მაგრამ, როგორ, გაზაფხული აგვიანებს,
ან იმ ვარდმა, ნეტა, როგორ გაიხარა?..
როგორ გვიან, როგორ გვიან გაღიარეს,
ამ დღეებმა მწუხარემ და ავდრიანმა...
რად მგონია, თითქოს ყელში გადამიცდი,
კუჭი, ალბათ, გული კი ვერ მოგინელებს...
აამღვრიე დაწმენდილი ჩემი სისხლი,
რომ ძილის წინ, მე კი არა, სხვა გხვევს ხელებს...
ჩემი იყო, მართლაც, ხელში აგიყვანდი,
გატარებდი, გატარებდი დაცემამდე...
ადრე, მახსოვს, მგონი, უფრო იებს ჰგავდი...
ახლა? ახლა მოუჯოკრავ ყველა ვარდებს!!!

ტანგო

დაგიფარავს თეთრი კანი,
თხელი კაბით დაგიფარავს...
გამახელებს შენი მკლავი,
ცეკვისას რომ კოცნას მპარავს...
დააამშვიდე, დააამშვიდე,
მოითოკე ეგ ნერვები...
ნუ მომიჭერ ასე თითებს,
ნუ მომიჭერ გევედრები...
თორემ ისეც შენი ტანი,
ვხედავ ნდომას არა მალავს...
შენი თმა და შენი შარმი,
აქარწყლებენ შენს მუქარას...
მოდი, მოდი, მომეკარი,
სხვა ეშხი აქვს ამ განცხრომას...
შევამსხვრიოთ ვნების კარი,
სანამ ნდომა გადაგვწონავს...
და ეგ მკერდიც ასე სავსე,
ამ ტაქტშიც რომ ჩემ მკერდს ეძებს...
ასე როგორ დაიმსგავსე,
ასე როგორ აჰყვა ვნებებს...
მგონი, რიტმით გამისწარი,
ფრთხილად, არსად გადამჩეხო...
როგორც ვამჩნევ, გაქვს მიზანი,
ჩემს კანს შენი სისხლი ეცხოს!!!

პოეტის მანტო

შენ ვარდებს ეძებ, მაგრამ ჩემსავით,
შენც ყველგან მხოლოდ ეკლები გხვდება...
მე სიტყვები მყავს მოსამწყემსავი,
და ყველაფერში სიტყვებსა ვხედავ...
არა ვჩემულობ, რაში მარგია,
პოეტის მანტო, ასე უხეში...
ყველა დიდება დაუკარგია
ამ უწყეულეს საუკუნეში...
მის ყველა სიტყვას დღეს გველი ნესტრავს,
რომ ვერ იხილონ მზე და სინათლე...
თავის სიკვდილით ის ველარ შესძრავს,
გულებს, რომლებიც გაუჩინარდნენ...
იქნებ, მეშლება, ანდა, დავბრმავდი,
იქნებ, უბრალოდ, სხვა ზღვაში ვცურავ...
ან პოეზიაც გახდა დასჯადი,
და მეც ჩემს სიტყვებს მტრებისთვის ვწურავ...
და ეს მტევნებიც ჩემ საწნახელში,

დარჩება, ალბათ, ხელუხლებელი...
გაივლის სული ცხოვრების წნეხში,
სული ჯიუტი და უხედნელი...
და ეს სიტყვებიც, როგორც აფთრები,
ლოდივით ჯებირს ეხეთქებიან...
ქარს ჩაუქრია ყველა სანთლები,
მაგრამ მოძღვარნი ვერას ხვდებიან...
რატომ, რად ვიმკით, მითხარ, ქარიშხალს,
ნუთუ ყოველთვის ქარსა ვთესავდით?..
ან ერთმანეთიც, იქნებ, არ გვიყვარს,
იქნებ, ეშმაკთან დავნათესავდით...
მაშ, გაზაფხული რატომ შემოდის,
რატომ სხდებიან ცაზე ვარსკვლავნი,
რატომ ვგრძნობ ტანზე ცრემლებს მეგობრის,
რად ვუმზერთ მყინვარს ასე დამტკბარნი?..
ჩვენ ხომ სულყველას ერთი დედა გვყავს,
ერთი საშოდან მოვდივართ ყველა...
მე დავიბადე, ალბათ, ხელახლა,
ამ საკუთარი ლექსების მკვლელად...
დამთავრდა, მორჩა, ვმარხავ ამ სიტყვებს,
არ უწერია მათ დიდი ჟამი...
ყველას,სულ ყველას გადავივიწყებ,
რა საოცრად სჭრის დღეს გველის შხამი...

ნუ მოახრჩობ

ნუ მოახრჩობ, ნუ მოახრჩობ,
ჩემს იმედებს, შენ რომ განდე...
შავ ზღვასავით რატომ ჯავრობ,
თითქოს ომში მტერს მოარღვევ...
და მეც ვუსმენ ზვავთა გრიალს,
ჩანჩქერების შემოძახილს...
აქ ქარები ჯერაც ქრიან,
მთებში ჯერაც მეფობს ჯანღი...
სულს ჯებირებს ვერ ავუგებ,
როცა ჩემგან გაცლას ლამობს...
თუ ზვავები კლდეებს უტევს,
და ღრუბლები მეხზე ჯავრობს...
როგორ გადის, რა სისწრაფით,
ეს დღეები ნაჩუქარი...
ხან შხამია და ხან თაფლი,
ხან ტბა, ხანაც ნაგუბარი...
ვერ აიტანს უცხო ფრინველს,
ეს კლდეები ვერ აიტანს..

ვგრძნობ, ფსკერისკენ როგორ მითრევს,
ეჭვის ჭია გულს რომ მიხრავს...
გადამჩეხონ, გადამჩეხონ,
ამ მერნებმა ქარაფებზე...
რომ ჭიხვინის ხმა და ეხო..
კლდეს კლდეებზე აჯახებდეს...

გადმოაბიჯე

გადმოაბიჯე ჩემს სულის კედლებს,
გადმოაბიჯე, არ მოგერიდოს...
მე ხომ უშენოდ ვერაფრით ვერ ვძლებ,
და მინდა მთელი სხეულით გიგრძნო...
თითქოს, ქარიშხლებს შემოუძეხი,
და გადათელე რაც რამ გამაჩნდა...
ასე ეცემა მინდვრებზე მეხი,
ასე ედება ტყე-ველს სარანჩა...
მე კი ვულკანმა, როგორ ვიცოცხლო,
რით ვუმკურნალო დაფხრეწილ ნერვებს...
ან სული როგორ გამოვიგლოვო,
ან ღმერთთან როგორ ავიდე შემდეგ...
ასე შუბის წვერს მკერდზე აბჯენდნენ,
ალბათ, თავის მსხვერპლს ბარბაროსები...
მეც სხვა რა გზაა, უნდა დაგნებდე,
მოკვდები? იქაც თან ჩამოგყვები!

რაღაცით კი ჰგავს

ამ ჭაპანწყვეტას ჩვენ რომ დღეში ვართ,
ტყუილს და მართალს ერთად არეულს,
სადმე ჯურღმულში ყოფნა მერჩია,
სადაც ცხოვრება ჰგავს სიზმარეულს...
სად ბოროტების ღმერთი მბრძანებლობს,
მას უგორებენ წითელ ხალიჩას...
სად არაფერი უმწუხარებოდ,
და უცრემლებოდ ნაყოფს არ იბამს...
სად ცხრაბალიან შტორმის ღრიალში
ზღვაში გადიან კრეისერები...
და ამ ცეცხლოვან იმპერიაში,
ზვირთს ცას უწევენ გეიზერები...
რაღაცით კი ჰგავს ჩვენი ცხოვრება
ამ ჯურღმულებში ყოფნას, უღმერთოს...

ზვავი, რომელიც მწვერვალს მოსწყდება,
რომ მთებს ფილტვები გადაუკეტოს!!!

თოვლს მიჰყვებიან

ნუ მანებივრებ, ნუ მანებივრებ,
შენი სიტყვების არა ვარ ღირსი...
ყინავს და მინდა ისე შემცივდეს,
ისმენდე ჩემი კბილების კიწკიწს...
ამაღამ, ალბათ, ისეთ თოვლს დადებს,
იქნებ ქუჩამდე ვერც კი გაკვალო...
ვინ იცის, ქარიც კი ამოვარდეს,
და ჩვენც თოვლივით კარში გაგვყაროს...
ვინ იცის, მართლაც, რას გვპირდებიან,
გადატეხილი ქარში ატმები...
თოვლს მიჰყვებიან, ქარს მიჰყვებიან,
წეროებივით ჩემი ნატვრები...

არ შემიძლია

ვუახლოვდები, ცრემლების ტბას ვუახლოვდები,
მის ზედაპირზე იმედების გროვები ყრია...
ბევრი დამხრჩვალა, ბევრი, ისევ, ჯერაც ცოცხლები...
სულს ღაფავენ და რა იღონონ აღარ იციან...
საშინელია, იმედები, ყველგან, გარშემო,
ასე მგონია ჯოჯოხეთის ქვაბში აღმოვჩნდი...
და, ალბათ, ყველას, ყველას უნდა, რომ შემაჩვენონ,
მე კი გავქვავდი, ვგავარ, მართლაც, ხელ-ფეხდაბორკილს...
არ შემიძლია, არა, დიდხანს ამ ტბის ყურება,
სადაც გედები არ დაცურავს, არც ნერგი ხარობს...
ჩემი იმედიც იყოს, იყოს ტბის საკუთრება,
ჩაიძიროს და, იქნებ, მაშინ ამოიყაროს!!!

სული გამივსე (ეკას, რომალე-ჯიჯეიშვილს)

შენთან მოვედი, ვიცი, გული არც შენ დაგწყდება,
სევდა, რომ ოდნავ, სულ, სულ ოდნავ გამიხალისო...
ვიცი იმღერებ და გიტარის სიმიც გაწყდება,
რომ ეს საღამო არ იქნება არც უმაგისოდ...
ზოგს რა ბედი აქვს, მართლაც, აბა, ჩემი არ იყოს,

რაღაც ბოშური დაგვყოლია ჩანასახიდან...
ან, იქნებ, ჩვენით ანგელოზი რომ დამტკბარიყო,
შენ ხმა მოგცა და მე კი ენა ამომაგლიჯა...
მე ვწერ, შენ მღერი, ჩვენი ნიჭი რას გაუყვია,
გაუშვი იყოს ჩვენს გარშემო კბენა-ღრენანი...
შენ კარგად იცი, სიყვარული თითქოს უტყვია,
მაგრამ თანა სდევს უეჭველი აღმაფრენანი...
გაითავისე, ეგ გიტარა გაითავისე,
მის სიყვარულში სხვა ვერავინ შეგეცილება...
სული გამივსე მისი ჟღერით და გადამივსე,
რომ სისხლმაც იგძნოს მაგიური ძარღვში ცვლილება!!!

ჩანახატი

ჩაუტეხავთ პარნასამდე ხიდი,
და ეს სულიც ჯოჯოხეთში დადის...
ვყიდი, ვყიდი, სამშობლოსაც ვყიდი,
აღარა მაქვს აღარაფრის დარდი.
გამოაღეთ, გამოაღეთ ზეცა,
დაგვანახოს ელვამ სულთა მხარე...
ბელზებელი როგორა ზის ცეცხლთან,
ეშმაკები ჩვენს ძვლებს როგორ ხრავენ...
დირიჟორობს, დირიჟორობს ღმერთი,
მნათობთა და ვარსკვლავების რიალს,
ზვავების ხმა ზეცის ღრიალს ერთვის,
იწყებს, იწყებს მიწის ღერძიც ჭრიალს...
ტრიალებენ კატაფალკის თვლები,
ეს სიკვდილი მიაცილებს სულებს...
ჩაუბღუჯავს მესაფლავეს ჯვრები,
საქელეხეს ჰკლავენ დეკეულებს...
მოვუხადე პოეზიას ხარკი,
თქვენ კი მისი შეფასება გინდათ...
ჰოდა, ლექსში ჩავდე მისი ხატი,
განისვენეთ, განისვენეთ, მშვიდად!!!

გაჩერდა სისხლი

გავა წლები და ვიცი ინანებთ
რომ არ მიმიღეთ რჩეულთა შორის...
რომ მუდამ ბედი ჰქონდათ ტირანებს,
რისი? ჰო, ალბათ, ტახტების პოვნის...
ჩვენ კი რას ვეძებთ, იქნებ, არც ვიცით,

ააქვს კი აზრი ცხოვრებით ტკბობას?
თუკი არავინ აღარსად გიცდის,
შენ კი აბრალებ უამინდობას...
ასე მგონია, გაჩერდა სისხლი,
რომ ძარღვში წვეთიც აღარ მოძრაობს,
რომ აკრეფილა მთებიდან ნისლი,
და ეს შაშვია ასე რომ გალობს...
დამამახსოვრდა, როგორ მიყვარდი,
როცა ალუჩას ესხა საოცრად...
წვიმა იყავ და ციდან წინწკლავდი,
როცა ჭერამმა ატამს აკოცა...

გათენდა

თუ პოვნა გინდა, იპოვი,
არ მიანებო თავი...
გაშალე ქორონიკონი,
თხის გაპოხილი ტყავი...
იქნებ ახლოს ხარ მიზანთან,
რაღაც წამები რჩება...
ჩემს მკერდში გამოიზამთრა,
ლამის ჩემმავე მტრებმა...
ეს რა ადვილი ყოფილა,
თურმე დაპყრობა შენი...
გათენდა, ზეცამ მორჩილად
გახსნა თავისი ბჭენი...
გამოიჭყიტა ცისკარმა,
შეკრა კამარა სხივმა...
ღამე კაბადონს მიბარდა,
ციდან ცის ნამი ცვივა...

არ მსურვებია

რაღაც შემიჩნდა, შენში ვეძებ რაღაც წარმართულს,
ან ეგებ მინდა ამ ყოფიდან სხვაგან გაქცევა...
დავეძებ რაღაც ამქვეყნიურს, მძაფრს, მუხანათურს,
მგონი, ჯადოქრად თუ ეშმაკად მსურს გადაქცევა...
ნუ გიკვირს, ამ ჩემს ბრმა აზრებში შენი წვლილია,
შენ ხომ ბოლო წლებს უნებურად მილამაზებდი...
დღეს შენი მკერდი ამ ცასავით გადახსნილია
მე კი ვდგავარ და კლოუნივით გეჯამბაზები...
რა მოხდა, თუკი ძველებურად აღარ მაოცებ,

რადგან შენს თვალებს ერთი სხივი, მგონი, მოაკლდა...
არ კი მგონია ეს ამბავი შენთან წამომცდეს...
თუმც, კარგად იცი მწყრალადა ვარ დღემდე მორალთან...
არ მსურვებია, შენთვის ომში ისე ჩავები...
და დამნაშავე იყო, ალბათ, შენი თვალები...

ნუ გჯერა

მაგ ყვავილს, არ ვიცი, რა ჰქვია,
მიყვარხარ და ხომ ვერ დამიშლი...
თეთრ ტანზე მაისი გაცვია,
როგორც მთას სამოსი ქარიშხლის...
ვეტრფოდი, ო, რამდენ ლამაზმანს,
და გულიც რამდენმა წაიღო...
მაგრამ შენ არცერთი არა გგავს,
ასეთი არცერთიც არ იყო...
არ გჯერა ამ გულის სიწრფელის,
ნუ გჯერა, მე სულაც არ ვდარდობ...
ეგ შენი ყვავილი წითელი,
მაგონებს აპრილის ყაყაჩოს...
იყო დრო მეც ქარებს ავდევდი,
ყველა დღე რაღაცით მათრობდა...
ვიყავი მეგზური ზვავების,
მიყვარდა ანთება მნათობთა...
ნუ გაჰყრი, ნუ გაჰყრი ნაპერწკლებს,
დაგეწვა შროშანის ვუალი...
შეხედე მზე მთვარეს აცეკვებს,
ვერ უთხრა შენსავით უარი...

არ მომასვენო

ნუ მეწირები, ნუ მეწირები,
ზვარაკად, როგორც აპრილის კრავი...
მიყვარს ლოყები ალეწილები,
თუ უნებურად მაგონებ ყვავილს...
არ მომასვენო, არ მომასვენო,
აქ სიყვარულზე დღემდე მღერიან..
და თუ მღერიან, ალბათ, არსებობს,
მაშ, გაუმარჯოს მის იმპერიას...
მიყვარს თვალები შენი შეშლილი,
ანთებულები ჩემი წყურვილით...
ებღაუჭები ჩემს გულს ფესვივით,

თუ შენი მკერდის სამკაულივით...
ნუ მეწირები, ნუ მეწირები,
ჩემი ცოდვებიც მყოფნის ყელამდე...
ვართ წყაროები დაწრეტილები,
როგორ მოვაღწევთ შენს მინდვრებამდე...

სიყვარულმა ჩამითრია

დასდენია ვაზს ცრემლები,
ვარდს ფურცლები დასჭკნობია...
ვიცი წახვალ, გამეცლები,
ეს ორპირიც გამჭოლია...
რას დარდობენ, რას დარდობენ,
ბაღში შენი ყაყაჩონი...
ნუთუ მხოლოდ თვალს ატკბობენ,
ვით ქალაქნი სატახტონი...
ვენდობოდი შენს მკრთალ ფერებს,
სიყვარულმა ჩამითრია...
სად საღამო ცვლიდა ბგერებს,
როგორც ძარღვი არიტმიას...
ეხვეოდა ქარი ნიავს,
თავისაზე იდგა ქარი...
ის, რაც გულში ჩამითქვია,
ჯერ ვერცერთხელ ვერ გითხარი...
ჩემი ხელი შენს ხელს ეძებს,
ვერ გამოდის ოცნებიდან...
ვებრძვი შენს თმებს, როგორც მეწყრებს,
და შენს მკერდზე მოვკვდე მინდა...

ეიფელის კოშკზე ავალ

ეიფელის კოშკზე ავალ
გადმოვხედავ პარიზს ციდან...
ერთადერთი შემრჩი წამლად,
უთვალავი ქალებიდან...
ავდგები და გადმოვხტები,
გავაკვირვებ ცას და მიწას...
მე ხომ მუდამ მქონდა ფრთები,
შენ ტყუილად გაგიკვირდა...
ღმერთო, ღმერთო, თუ სადმე ხარ,
თუ ზეციდან იცქირები...
ბავშვობაში მე რომ მესხა,

მომაშველე კვლავ ის ფრთები...
რომ დაცლილი გულის ნაცვლად,
ისევ სავსე გული მქონდეს...
ყველას შევხვდე ვინც კი მყავდა,
კვლავ მათ შორის მიმოვქროდე...

შემატოვე სიმარტოვე

მასულდგმულებს შენზე ფიქრი,
უკვე სადაც უნდა ვიყო...
წელს კი, ალბათ, ჩვენი ჯიბრით,
გაზაფხული გამქრალიყო...
გძებნე, გძებნე, ვერ გიპოვე,
გადასულხარ თურმე საზღვარს,
შემატოვე სიმარტოვე,
ჩემს დაღარულ შუბლზე აბრად...
გავეცლები, გავეცლები,
ამ გაზაფხულს ავდრებიანს...
უკან დარჩა ოქროს წლები,
წინ აფთრები საფთრდებიან...
ვინ მომიტანს შენზე ამბავს...
ვინ გამისხნის გულს ჩაკეტილს...
მკერდზე თვალს ვინ მიმინაბავს...
ვინ განასკვავს ძაფს გაწყვეტილს...
ერთ დროს ამ თაღს ტრიუმფალურს,
მეომართა ერტყა გუნდი...
ვუმზერ სახეს, შენს, ოვალურს,
ნეტა, რატომ არ დაბრუნდი...

ჩანაფიქრი

დღეს ფერებგაცვენილ ამ დარბაზს,
სტუმრობდნენ ლამაზი ქალები...
ხვატებმა მინდვრები გადაწვა,
ველებზე მეფობენ გვალვები...
ელი და არ მოაქვთ ვარდები,
შენ ამბობ, რომ ჩემი ბრალია...
თანდათან ნისლივით მკრთალდები,
თუ ისევ თებერვლის ქარია...
აწმყოსთან ვერაფერს გააწყობ,
მომავალს შენსავით მეც ველი...
ვხედავ კვლავ ვიღაცამ დამასწრო...

ვატყობ, რომ მყოლია შემცვლელი...
ეს ღამე დღის ნაფიქრს გადაშლის,
და ვიცი წამართმევს ამ წუთებს...
ფიფქივით დადიხარ ქალაქში
და ღამის რეკლამებს აწუხებ...

მოგინაკლისე

შენ არ ბრუნდები, საოცარია,
ქარმა ღრუბლები ცისკენ წაასხა...
აღარაფერი არ მიხარია,
არც არაფერზე არ ვარ თანახმა...
წვიმის წვეთები ფოთლებს ეცემა,
ბაღჩებმა უბე ბოღმით გაივსეს...
ხმაური ქუჩას გადაეცემა,
მე შენ, უბრალოდ, მოგინაკლისე...

მოალიონდა

მგონი, ბუნებაც კი ჩვენ გვიწყრება,
სად გაქრა მზე და ოქროს სხივები...
ეს ყველაფერი არის ღვთის ნება
თუ ზეციური გაკვეთილები?...
იყო დროება, გაზაფხულისას,
ზეცა აფრქვევდა სხივებს ელვარეს...
გამოძახილი ჩემი სულისა,
მარგალიტები და სიფერმკრთალე...
მგონია ზღვებმა ფეხი აიდგეს,
ძეწნას ჩაეწნა ფოცხვრის ბრჭყალები...
ალბათ, არასდროს არ გადაიღებს,
სცრის, უგემურად, გულგაწყალებით...
ჩემი თითები შენს ხელს ეხება,
შენ კრთები, როგორც გველის ნაკბენზე,
წვიმა ეცემა შენს კანს შხეფებად,
და ელვა გარბის გადასარბენზე...
მოალიონდა, ზღვის ზედაპირზე,
დაჩნდნენ ნავების სილუეტები...
მარტო ერთსა გთხოვ, ასე ნუ მიმზერ,
დამნაშავეა წვიმის წვეთები...

როგორ მინდა

როგორ მინდა, როგორც ბღარტებს,
შენს სიხარულს ფრთები ესხას...
ჩემთან ახლოს დაფრინავდეს,
მაგონებდეს დილის მერცხალს...
თუნდაც ერთი გვერდი იყო,
ჩემი გრძელი სევდის ზღაპრის...
რომ ვხედავდე როგორ მიპყრობ,
მართლაც, თავით-ფეხებამდის...
აატარებს-ჩაატარებს,
მზე თავის ეტლს ჩემს ბაღებზე...
და ღრუბელიც ნათლავს ჯარებს,
წყლის წვეთებით წამწამებზე...
ჩამოდიან-ჩამოდიან,
ფურ-ირმები ღამით ბარში...
შენი დარდი ჩამყოლია,
მაშ, რად გეძებ ჩემს სიზმარში...

შტორმი

ზღვებმა ძარღვები აშალეს,
ქედებმა შეკრეს წარბები...
ელვა ცას სტყორცნის მაშხალებს,
მოიჩქარიან ჯანღები...
თან ზვირთებს მოუმწყვდევიათ
გემი და კლდისკენ ქაჩავენ...
ოქროს მძებნელი ბევრია,
ეძებენ ქანცის გაცლამდე...
ქარმა დაფლითა აფრები,
გემს ზვირთნი ეფოფრებიან...
გადამსხვრეული ანძები,
ცხენივით ყალყზე დგებიან...
ღამე უკუნეთს გაჰღმუის,
ღრუბლები თვალებს ჰკვესავენ...
ტალღები დავლურ-დავლურით
გემზე სიკვდილსა სთესავენ...

ნუ მოიწყენ (ეკას, რომალე-ჯიჯეიშვილს)

ნუ მოიწყენ, ენდე სანთლებს,
ეს ცხოვრება მოჰგავს თამაშს...

რადგან რასაც ბედი გაძლევს,
იმას ისევ ბედი ჰკარგავს...
დარბაზს ჭრელი ხალხი ავსებს,
ოვაცია მანძილს ფარავს,
დაფნის გვირგვინს ქარი გტაცებს,
ვინ აჟღერებს შენს გიტარას?..
შემკრთალია ხედავ მთვარე,
სხივებს სძინავთ ბაღის ჩრდილში...
შენს ხმას სხვას ვერ შევადარებ,
და ვერც სახეს სარკის ჭრილში...
დამაყარე, დამაყარე,
შეკითხვები თუ კი გინდა...
ან ანგელოზს გადამყარე,
ნაშობს შენი სიმღერიდან...

რა რბილია ეს საღამო

სხვას რომ თავი დავანებოთ,
შენი მზერა გულ-მკერდს მიწვავს...
ან შენს ღიმილს როგორ ვენდო,
მზეს მოჰგავხარ ღიმილისას...
შემოდიხარ ჩემში, როგორც,
ციდან თოვლი სულში მიწის...
როგორ მსურდა, რომ შემევლო
ხელი შენი ნაწნავისთვის...
რა რბილია ეს საღამო,
და ცაც როგორ გამჭვირვალე...
ეს წიწკანა რასა ლამობს,
რას უამბობს ვარსკვლავს მთვარე...
გადაეკრა, გადაეკრა,
მეწამული ცის ალბიონს...
ჰოდა, შენ თუ გაჩნდი პეპლად,
მე ყვავილად ვინ მაქციოს...

რა ქარებმა გადმოგაგდეს

ყველა ჭიქა გამოვცალე,
სევდის, დარდის, ბალღამისა...
ყველა, ყველა იყო მწარე,
მაჭრისა თუ ბადაგისა...
ვარსკვლავების მაყრიონი,
ჩაქრა, შუქი არ მაღირსა...

ცეცხლმა დაწვა ალიონი,
ჩემი ტკბილი ქალაქისა...
რა ქარებმა გადმოგაგდეს,
აქ მდუღარე მოდის წვიმა...
იქნებ ჩემთან გადმობარგდე,
უშენობით მომეწყინა...
დავთეს ბაღში ყაყაჩოებს,
შემომხვიე მაგრად ხელი...
სანამ დარდი არ დამტოვებს,
სანამ შენგან სიკვდილს ველი...

კვდება წუთები

როგორ მატკბობდი, ჯერ კიდევ გუშინ,
დღეს კი დღე არის უკანასკნელი...
კვდება წუთები, ხელს ვერ შეუშლი,
აღარ აღელვებთ მათ არაფერი...
შენს წმინდა სხეულს, ვით დილის ლამპარს,
დაატარებენ ანგელოზები...
მე კი ამ ხილვით, კრავივით გამტკნარს,
თითქოს უალოდ მეწვის ხორცები...
შემოაღებენ, შემოაღებენ,
შენი თვალები ჩემს გულს დაკეტილს...
შენ მაპატიე თუ ვერ გავბედე,
გავკარებოდი ტუჩებს გაკვნეტილს...
არა აქვს აზრი, მინდა თუ არა,
უკანასკნელად გემშვიდობები...
მოგონებანი გქონდეს ვუალად,
გასახსენებლად ტყემლის ტოტები...

ალეგორია

ვარ მონათლული შენს წითელ სისხლში,
თუმც, ვიღაც მგლები შენს თავს მტაცებენ...
და გეძებ, გეძებ, ყოველ შეშლილში...
მაგრამ, შენს პოვნას სხვები მასწრებენ...
და შენი სახე ასე მდიდრული,
ჯერ ისევ ელის მხატვარს თავისას...
როგორც ფრესკებზე ამოტვიფრული,
ბრწყინვალე სახე დედოფალისა...
და მტრები, როცა თავს მამეტებენ,
შენ მახსენდები ძოწით მოსილი...

და ვიცი, ვიცი, მათ რომ დავნებდე,
დამხვდები სადმე სულამოცლილი...
და მე არ ვიცი, როგორ მოვიქცე,
თუ ისტორიამ ზურგი მაქცია...
თუ აღარ დამრჩა ერთი მოისრეც,
თუ მტრებიც სიკვდილს რას დამაცლიან...

ამოიტანს სულს გიტარა

მომოაფრქვევს ეს გიტარა
ბგერებს, როგორც ჯადოქარი...
შენ არ ჩაგყვეს რამე ჯავრად,
მაქვს რატომღაც ამის ჯავრი...
მივანებე, მივანებე,
მივანებე ამ რიტმს თავი...
გადაიხსნის ღამე ვენებს...
ღამე ჩემი გამკითხავი...
გთხოვ ნუ ჩქარობ, ვეღარ ვუძლებ,
ენერგიას, შენ რომ მაწვდი...
ამ მტევნებით სავსე უბეს,
ვერც კი მივხვდი, რომ დავაკვდი...
ამოიტანს, ამოიტანს,
ამოიტანს სულს გიტარა...
მელოდია მე რომ მტკივა,
იქნებ სხვამაც შეიყვარა...
მომეახლე, მომეახლე,
მკერდს დაეტყოს ნაპრალები...
თუ შენს ძუძუს ხელი ვახლე,
ალბათ, ვიყავ ნამთვრალევი...

ნუ გეწყინება

დარჩეს ეს ლექსიც, როგორც ამოვთქვი,
ეს მე კი არა, მუზა ურცხვობდა...
შენ კი, ძვირფასო, გთხოვ, ნუ გამომცდი,
მე ხომ ჯერ შენთვის სულ მთლად უცხო ვარ...
და თუ შემთხვევით გადაგეყარე,
ეტყობა ბედმა ასე ინება...
ხომ სიყვარულის ჭირი შემყარე,
თუ მაინც მოვრჩი, ნუ გეწყინება!!!

აირევა ერთმანეთში

გადაიხსნის, გადაიხსნის,
გადაიხსნის მიწა გულმკერდს...
მაგრამ როდის, ცამ არ იცის,
ცა ღიმილით უპასუხებს...
წამსვე კოპებს შეიყრიან,
რაც კი ქვეყნად ღრუბლებია...
მიწისა და ზეცის ტრფიალს,
ვერ იტანენ, დუღდებიან...
წამოუშენს, წამოუშენს,
სეტყვას, თავსხმას, თავისებურს...
წამსვე ველებს უსათუთესს
დაამსგავსებს მინდვრებს ველურს...
როგორც ვატყობ, ღრუბელს დღემდე
ჯერ არავინ ყვარებია...
ჩამოუვლის, მოიმწყემსებს,
რაც თავთავის ყანებია...
ზვრებს გახედავს დამწიფებულს,
ათქვირებულ ქარვის მტევნებს,
გააღვიძებს ჩაძინებულ,
განრისხებულ ზევსის მხედრებს...
აირევა ერთმანეთში,
დილა, ღამე, დღე და ბნელი...
ასე მეხი დაქუხს ზვრებში,
როგორც სულში მკვლელის ხელი...
მეც ვერ ვიტყვი რა მინდოდა,
ან რა სურვილს დავათრევდი...
სანამ ღამე გავიდოდა
თავს შენს მკერდზე გავათევდი...

ჰო, ვცოდავ, ვცოდავ...

მეც ხშირად ვცოდავ, როგორც, ალბათ, ბევრი ცოდვილი,
ვერც აღსარებას ვერ ვამხელ და ღმერთსაც ვუმალავ...
ჰო, ვცოდავ, ვცოდავ, როგორც ბევრი კეთილშობილი,
ვით შეუცოდავს შეუგნებლად, ალბათ, უთვალავს...
ხშირად ვიხსნიდი მეც მხრებიდან ცოდვის ღამეებს,
არც მიფიქრია მიზეზებზე გამართლებისა...
რადგან სურვილის ალი სწვავდა შემოგარეებს,
და ტკბილიც არის შეცოდვანი დამაჭრებისას...
მართლაც, რა დათვლის იმ დღეების თავდავიწყებას,
ბევრმა ამურმა შემომიღო ჩუმად ჭიშკარი...
ბევრი მათგანი იმ ცარიელ დღეებს მივსებდა,

რომ არასოდეს გამხდარიყვნენ დასავიწყარი...
და სანამ შენი გატაცებაც ცოდვილს ჩამჭრიდეს,
ვუმზერ და ვითვლი შენს გადადგმულ ბავშვურ ნაბიჯებს...

ვერ მოვერიე

იქნებ არც გამყვეს, მაგ სილამაზის,
არც ნატამალი არავითარი...
ვგრძნობ ნერწყვი ყელში როგორ გადადის,
რომ სულ არა ხარ დასავიწყარი...
მაგრამ, რას იზამ, ვერ მოვერიე,
მორალს, ვერც თხოვნით, ვერც დაღერებით...
რომ ჯულიეტებს და ოფელიებს,
შეშურდებოდათ შენი ფერები...
მიმუხთლა ბედმა, მართლაც, მიმუხთლა,
რომ გადამყარა შენს მწვანე თვალებს...
ვერა, ვერ ჩავწვდი მათ ფსკერებს უღრანს,
თითქოს ჯადოქრის ბრჭყალებს ვეკავე...
იქნებ, ვერც მიხვდი, როგორ მიყვარდი,
რომ ხატი იყავ ჩემი ლოცვების...
რომ ჩემი სულის წმინდა ნიღაბი,
ჯერაც ვერ გაძღა იმ გაოცებით...

მონატრება

მე, არ არსებობს, ვერ გავყრი სხეულს,
სულისგან, როგორც ბევრი აკეთებს...
ვით მტერნი, ასნი ერთზე მისეულს,
ჰკლავენ და რინგიც მოჰგავს სამხეცეს...
დამაიმედე, რომ მაინც მოვა,
ჟამი, რომელსაც ასე ველოდით...
რომ სარკმელს გარეთ ალუბლის შტოა,
და მიწა თავის მარწყვის მდელოთი...
რა ძვირფასია, რა ძვირფასია,
ეზო წინაპრის დანატოვარი...
რომ ისევ ჰყვავის აქ აკაცია,
და უმკლავდება მეწყერს მოვარდნილს...
ვერა მუქარით ხელს ვერ ავიღებ,
რაც ათასწლობით დამითესია...
ისევ იზრდება ჩემი ალვისხე,
და ეს ატამიც უტკბილესია...
ეს მიწა ბევრად მეტის ღირსია,

და თუ საკადრის პატივს მიაგებ...
ასცდები დღეებს ცივს და სისხლიანს,
და ლაჟვარდივით იგანთიადებ...